

19
172



ბავშვთა

114

7

44

1972

გნათობი

საქართველოს
საზოგადოებრივი-კულტურული
და სასწავლებლო-მეცნიერო ცენტრი

სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური-საზოგადოებრივი-კულტურული და სასწავლებლო-მეცნიერო ცენტრი

წელიწადი 48-ე

№ 7

თბილისი, 1972 წ.

საქართველოს საზოგადოებრივი-კულტურული ცენტრის ორგანო

შინაარსი

სიბრძნის კლდეები — მოთხრობები და ნაშრომები	3
საბავშვო ზოგადი — ლექსები	8
ბივი ბავშვობა — ლექსები	11
მთავარი მოთხრობა — თვითმკვლელობა. რომანი. წიგნი მეორე	15
ნაწილი ბავშვობა — ლექსები	31
საზოგადოებრივი — საზოგადოებრივი. მოთხრობა	33
სოციალ-დემოკრატიული — უკანასკნელი ბაქანბანი. ანთუნი	48
საზოგადოებრივი — ფიქციონალი. რომანი. ნაწილი მეორე	90

კრიტიკა და კვლევისტიკა

ბივი ბავშვობა — ბავშვობის ნაწილი მემორიალზე	107
ბივი ბავშვობა — ბივი ბავშვობის უკანასკნელი კონკლუზია	116
მთავარი მოთხრობა — საზოგადოებრივი და ბავშვობის მემორიალზე	123
მთავარი მოთხრობა — ნ. ბავშვობის უკანასკნელი კონკლუზია	133
ანთუნი — სოციალ-დემოკრატიული	139
ბივი ბავშვობა — იაკობ ბავშვობის და სოციალ-დემოკრატიული	148

მეცნიერება

ბავშვობის კრიტიკა — მართლმადიდებელი ანთუნი. გავრცელება	151
3. კონკლუზია — „ბივი ბავშვობა“-„ბივი ბავშვობა“ ბავშვობის და ანთუნი	176

შალვა გოგალაიშვილი — დიდი სამხედრო ომის ნაკვალევზე
პანტანო კახაძე — „დილის გიგლიოთიკის“ ფარგლებზე
ელიზბარ ჯაფარიძე — გამოკვლევა სპირტოვან ღვინოზე



შთავარი რედაქტორი ელგუჯა მალარაძე

სარედაქციო კოლეგია:

ირ. აბაშიძე, მ. ბანაშვილი, მ. გამყარაშვილი, მ. ლიპანიძე, ა. ძღვინიძე, ა. სულაბაძე,
რი. ა. ქუთათილი, ე. უფიანი, (პ/მგ. მღიანი), ს. ზანთაშვილი, მ. შანაბაძე, ვ. ყულა-
კიძე, ო. ბილაძე, რ. ჯაფარიძე, ვ. ჯიბლაძე.

ტიპრედაქტორი რ. ნაპოტაძე

რედაქციის მისამართი:

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ბალეშტონები: რედაქტორის — 98-55-11.
პ/მგ. მღიანის — 98-55-18, ვანუოფილეშვი-
ლის — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

გადაეცა ასაწეობად 6/VI-72 წ. ხელმოწერი-
ლი დასაბეჭდად 26/VII-7 წ. ასაწეობის ზომა
7 1/4 x 12, ქაღალდის ფორმატი 70 x 108 1/16.
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი
ნაბეჭდი ფურცელი 16,8. სააღ-საგამომცემლო
თაბახი 12.

№ 01978. ტირაჟი 13.150. შეკვ. 2021.
საქ. კმ ც-ის გამომცემლობის სტამბა.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.



მოულოდნელად ნაღვლიანი დასასრული

მოთხრობა

კიბეზე რომ ჩამოვდიოდი, შარია და მისი მეგობარი ნათელა ბაღში დავიხახე. მერხზე შესკეპებულნი. დამცინავედ გადაკუყრებდნენ მეზობლის ეზოს, საიდანაც ხმამაღალი და ცხარე ლაპარაკი ისმოდა.

— მოდიხართ? — გადავძახე. დაპირებული ვიყავი, მზის გადახრისას ორივეს გორაკზე წაიყვანდი.

გოგონებმა ოთახში შეირბინეს და მერე, უკვე გზაზე დამდგარს, ხტუნვა-ხტუნვით დამედევნენ.

მარიკას ტრანზისტორი წამოეღო.

— ისევ მოგაქვს? — უკმაყოფილოდ შევეაღე თვალი.

— შენ იქ ყოველთვის გაჩუმებული ხარ და, აბა, რა ვქნა. — ცოტა არ იყოს განაწყინებულად შემედავა.

ერთგვარად მართალი იყო და რა მეტქმოდა. ჰალარამორეული კაცი რომ ოცნებაში მყოფი და გარინდებული მნახონ, არავინ დამძრახავს, თორმეტი წლის გოგოს კი, ცხადია, ავადმყოფად ჩათვლიან. პო, მართალი იყო, ოღონდ პასუხი არც თუ თავაზიანი მეჩვენა, დავპირე მესაყვედურნა, მაგრამ დავზოგე, გუნება არ გავუფუჟე და მხოლოდ ეს ვუთხარი:

— ვის მიტერებოდით წელან მერხზე შემდგარი? როგორ შეიძლება უფრო-

სებს აგრე მოურიღებლად დასცინოდე! შეგონა, დაირცხვენდა, მაგრამ მოცუტუველი:

— ოი, ბაბუ, ნეტავი შენც გენახა ისინი! — ხითხითებს მარიკა. — დამდგარიან ხის ძირში პაპა, შვილი, შვილიშვილი, ერთიმეორეს პირიდან ტაცებენ სიტყვას, დაობენ და ვერ გაუგიათ რატომ და რაზე დაობენ. თითქოს სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენო და ერთმანეთისა არა ესმით რაო!

მარიკა ამასთანავე ისე ოსტატურად ბაძავს აზრდაბნეული მამაკაცების ეესტიკულაციას, რომ მეც გულიანად ვიცინი. ამის შემდეგ ჩვენ ისევ შერიგებული ვართ და აღარც მახსოვს რაში ვადანაშაულებდი.

გორაკი ახლოა ჩვენი აგარაკიდან. გასცილებები თუ არა პიონერთა საზაფხულო ბანაკს, გზატკეცილს სიგანეზე გადასჭრი და ბილიკს აყუებები. აღმართი ჩრდილიანია და გაუქირვებლად აივლი. გორაკის მარჯვენა ფერდობი ხეებით არის დაბურული და წარაფი იქ თავდება, სადაც იწყება სიგრძეზე გაწოლილი ვიწრო პლატო, რომელსაც მხოლოდ ერთი ხე შერჩენია, ისიც მრუდე. გორაკის მარცხენა მხარე კი ციცაბოა, ტიტველი და მის ძირში, ხევის დასავლეთით, გაშენებულია პატარა სოფელი,

რომელსაც შარავანდელად ადგას ბეთანიის მონასტრის ეკლესია.

მარიკამ იცის, სად თავდება ჩემი გზა. დაწინაურდება, მიცუნცულდება მრუდე ხესთან, ჩამოჯდება ვიდაცის მადლიანი ხელით მოტანილ ბრტყელ ქვაზე და, კმაყოფილი, რომ ჩემ საყვარელ ადგილზე მიმასწრო, ჯერ ეშმაკურად ამომხედავს, მერე იქვე, მიწაზე მოიკალათებს და, ვითომ მედიდური კილოთი, მეტყვის:

— დამითმია თქვენთვის, ინებეთ დასვენება!

მზიანში გორაკის წვერიდან რომ გარემო გამოჩნდება, მრავალჯერ მინახავს და მაინც ისევ ხარბად გაეცქერი. ან სხვა ვინ იქნება მობეზრდეს და თვალი აარიდოს გომბორის კალთებს, ზედაზენის მალღობს და დასალიერზე მოხატულ კავეასიონს, მთელ იმ მწვანე სივრცეს, რომელსაც უსასრულო ლურჯი გუმბათი გადმოხურვია. უთვალავი საუკუნეა ასეთივე იყო ის და ასეთად ხედავდა ჩემი წინაპარი. აქ არაფერია წამიერი და წარმავალი, აქ მარადისობაა.

მარიკა ერთხანს ჩუმად ზის. ოღონდ ზოგჯერ თვალს ჩაუკრავს მეგობარს და ტრანზიტორს, კალთაში რომ უდევს, ალურსიანად გადაუსვამს თითებს. კარგად ვიცი, რისი მომასწავებელია ეს ამბავი: რაღაც წუთი ან ორი და მშვიდობით გორაკის მყუდროებაში! რას იზამ, გართობას ვერ აუკრძალავ. სხვა გზა არაა, უნდა დავემორჩილო გოგონას ნება-სურვილს... მაგრამ ერთ რაიმეს ვერ შევრიგებია: რატომღა, რომ ჯანსაღ ბავშვს იზიდავს ჯაზის ჰანგი, რომელიც აგებულია დისონანსებზე და სადაც ერთი საკრავი მეორესთან შეუთანხმებლად გამოსცემს ხმას! ყურს თუ დაუგდებ, ის ხმები ხომ დაღლილობის და დაბნეულობის ამოძახილია. მაშ რაგორ მოხდა, როდის მომასწრო გადამწიფება და ბევრის განცდა ადამიანმა, როცა ის ჯერ მხოლოდ თორმეტი წლისაა?! და განა მარტო მარიკაა ასეთი? ბევრი მარიკა და ბევრი ნათელი! როცა ერთხელ წუნი დავევი მის ერთ საყვარელ ჰანგს,

მარიკამ შეცოდებით ამხედ-დამხედა და სინანული გამოთქვა:

— არაფერი გაგეგება მუნისისა, სმენა გლაატობს და რა გიშველო!

ჯაზის მოსმენა რომ ავიციდინო, ეცდილობ სუბარში ჩავითრიო გოგონები და ვეკითხები მათ:

— გინახავთ თამარი ბეთანიის ეკლესიაში? არა? მაშ ხვალ წავიდეთ...

— როგორც გინდა... — გულგრილად ამბობს მარიკა.

ამგვარი თანხმობა აგერაც უარს ნიშნავდა და გულნატყენმა ჩავილაპარაკე:

— კიდევ კარგი, იქამდე შორია და ვერ გაიგონებდა...

— ვინ ვერ გაიგონებდა? — გაკვირვებულია მარიკა.

— ვინა და, აი, ის... — ბეთანიაზე მივუთითე. — ძალიან ეწყინებოდა...

— იტყვი რაღაც უცნაურს, — ხელი ჩააქნია მარიკამ, — როგორ არა, სხვა სადარბებელი არაფერი აქვს იმ თამარს, სულ ჩემი ნახვის მოლოდინია!

* * *

უძის მხრიდან რომელიღაც დიდი ფრინველი, იქნებ ორბი, მახათის გორაკისაკენ ნელა მიცურავს ეთერში. დროდადრო წრეს შემოხაზავს და მერე ისევ დინჯად განაგრძობს თავის შეუზღუდველ გზას. თვალით მიუყვები, შემშურს და შევენატრი მის გაშლილ ფრთებს...

მარიკამ ისარგებლა ჩემი წუთიერი ჭარინდებით, გამალებით ჯაბატარებს წითელ ისარს სხეადასხვა ტალღაზე, მაგრამ ვერსად წააწყდა სასურველ ჰანგს. ჯაზის ნაცვლად ყველგან მხოლოდ დიქტორის სიტყვები ისმის.

„...იმ დროს, როცა მილიარდები იხარება სამხედრო შეიარაღებაზე“...

დამთავრებას არ აცლის. სხვა ტალღას ზევრავს.

„...ახალი სახის რეაქტიულმა თვითნფრინავებმა გუშინ დაბომბეს“...

ისევ გადართო. ახალ წერტილს ეძებს.

„...ამ ორი ქვეყნის ურთიერთობა აშკარად ისე დაძაბულია, რომ“...

— გააწყალეს გული, სულ ერთიდაიკვიე! — ნერვიულობს მარიაკა.

— შენც აიღე და მოეშვი, — მშვიდად ურჩევს ნათელა. — ზომ გესმის, საგაზეთო ღებულებს გადმოსცემენ.

მარიაკა ჭიუტობს, ისევ გაატარა და გამოატარა ისარი, ეძებს, მაგრამ ყველა ტალღაზე დიქტორის ხმა მოისმის: „დანგრეული ქალაქები“, „მოწამლული მდინარეები“, „ახალი მსოფლიო ომის საშიშროება“...

გოგონების თვალბუბნებში არ ჩანს მღვლევარება. ისინი მხოლოდ უსმენენ ამბავს, რომელიც ჩვეულებრივ მოვლენად ქცეულა მათთვის.

შემკრთალი შევეყურებ ორივეს და ამ წუთში ბავშვებად კი არა, ცხოვრების გამოცდილებით. გაბრძნილ ადამიანებად მეჩვენებიან ისინი.

— ასკილი არ დაგვაიწყდეს! — წამოიჭრა მარიაკა.

გაიქცნენ. მირბიან და მათთვის სასიხარულოს რაღაცას მისძახიან და ახლა ისინი ისევ ბავშვები არიან. პლატოს ბოლოში რომ ბუჩქი ილანდება, იქ შეჩერდნენ, ჩაიშუბლეს და მცენარეს ხელი დარიეს. მარიაკას ტოლები ხეალ მსაკარადს აწყობენ. ნათელა და მარიაკა აპირებენ შევკანიანი ველურების მსგავსად მოიკაშვონ: თმაში მინდვრის ყვავილებს ჩაიწნიან, მკერდზე ასკილის აცმას ჩამოიკიდებენ, ნესტოებთან კი მამლის ფრთებს დამაჯვრებენ, მტერს რომ დაინახვენ, საბრძოლო ყივინას დასცხებენ და ისრებით დაცხრილავენ...

ჩამავალი მზე მთების ზურგს ეფარება. ცის სიმაღლეში შეჭრილი სხივები ნარინჯისფერად ღებავენ ობლად შერჩენილ ღრუბლის ნაგლეჯს. შუქი რამდენიმე წამს ლაპლაპებს, მერე ფერმკრთალდება და უეცრად ქრება. მთების დაკბილული გრესილი, მზისაგან გახურებულ ეთერში დღისით რომ თხელ ნისლში იყო გახვეული და მოჩვენებას უფრო გავდა, ახლა ცოცხლად მოხატულია ლილისფერად შედებილ ცაზე

და არშიად მიჰყვება მთელ ცისკიდურს. დაპატარავდა სივრცე, შემოკლდა მანძილი. მოახლოვდნენ მყინვარწყვეტა და გომბორი, აგერაც თავზე დამებობა უძო...

მაგრამ ასეა მხოლოდ ორიოდ წუთი. შემდეგ მთები ისევ შორდებიან ჩემ გორაკს და უჩინარდებიან ბნელის სიღრმეში.

შელამდა. პლატოდან ფრთხილად ვეშეებით. ხეებით დაბურულ ბილიკზე ძლივს ვხედავთ ერთიმეორეს. პატარები შიშობენ ფეხი დაგვიცდებო, ჩემი პიჯაკის კალთებს ჩაფრენიან და ასე მომყვებიან. ერთგან ნათელამ წაიფორხილა და დაფანტა ასკილი, კალთით რომ მოჰქონდა. შეეჩერდით, აკრეფა დავაპირეთ, მაგრამ მრუმეში, აბა, სად ვიპოვიდით. გოგონებმა ჭერ დაინანეს, მაგრამ მალე ხელი ჩაიჭნიეს და ეს პატარა მარცხი მხიარულების საბაბიც გახდა მათთვის.

— აი დარდი! — თავისი ბოხი ხმით ჩაიდუღუნა ნათელამ. — რატომ მაინც დამაინც შევკანიანი, თეთრი ვარ და თეთრად დავრჩები.

ბილიკი რომ ჩათავდა და გზაზე გავედით, უცბადვე გაგვინათდა. რაღაც ათიოდე წუთში ვარსკვლავებით ფსილა ცა.

— აუ, რამდენია! — გაოცებულია მარიაკა.

დროდადრო უეცრად საღმე მოწყდებოდა ერთი, ელვის სისწრაფით გადაიბრუნს და გაქრება, მაგრამ მაშინვე ორი ახალი გამოანათებს და, როგორც ყველა სხვა, ესენიც, კაშკაშებენ, იმდენია, რომ იტყვი, მეტი აღარსად დაეტევო და მაინც ყველასათვის, ვინც ახლად გამოჩნდება, უცბადვე მოინახება ადვილი. იქ, ზევით, ალბათ რაღაც დიდი დღესასწაულია და ამიტომ არის, რომ ასე საზეიმოდ მოკაზმულა ცა.

დღესასწაულია აქაც, დედამიწაზე. თრიალეთიდან კავკასიონამდე ოთხი მხრით გაშლილ ტრამაზე, ვხედავ,

დააბიჯებს გუთნისდღა. სახით ის სულ ისეთია, ძველი ეკლესიის კედელზე მოხატული რომ შემორჩენილან უბრალო სოფლელები. დადის გუთნისდღა, თანაც ღიღინებს, ვარსკვლავებიც აპყოლიან და მასთან ერთად ღიღებსაც უვალაობენ, სიცოცხლის მადლს, ცაისა და მიწას, მდინარესა და ბალახს.

— ხომ გაიგონეთ რა სადიღებელს ამბობს ჩვენი გუთნისდღა? — ვეკითხები ბავშვებს. — ხომ გესმით როგორ აპყოლიან ვარსკვლავები?

ვთქვი და მენიშნა, რომ გოგონებმა გაკვირვებით დამიწყეს ცქერა.

რა თქმა უნდა, არც გუთნისდღა და მინახავს და არც რაიმე ხმა მსმენია ზეციდან. და თუ მაინც ვთქვი, ეს იმიტომ, რომ ძალიან მინდოდა ასე ყოფილიყო... არა უშავს, აფუხსნი პატარებს, ჩემს გულისთქმას გავანდობ მათ და ამის შემდეგ თვითონაც მოისმენენ იმ ხმას.

• • •

მღუმარედ მიუღივართ. გავიარეთ პიონერთა საზაფხულო ბანაკი და აგარაკის შენობებს ვუახლოვდებით. შორიდანვე ჩანს როგორ ციმციმებს ქუჩის გასწვრივ ბოძებზე დაკიდებული ელნათურები და, ასე მგონია, ვარსკვლავს ბაძავენ ანდა აქ ჩამოკვენილან თვითონ ის ვარსკვლავები, წელან რომ, ცას მოსწყდნენ.

— აი, თურმე, სად მოეშურებოდნენ და სად ამჯობინეს ყოფნა! — ხმამალა ვამბობ ბავშვების გასაგონად.

არავის და არაფერს მოუცია საბაბი და ასე უმიზეზოდ მაინც დიდი სიხარული მეწვია უეცრად. ნამდვილად სასიკეთოდ შემოტრიალდა ჩემთვის ეს დღე. ვიგრძენი, სიყვარულით ამევსო გული ყველაფრისადმი, რაც ჩემს გარშემოა. ამ წუთიდან გაქრა ყოველივე, რაც ბოროტებად ითვლებოდა და მხოლოდ სიკეთის კვალი ჩანს. ახლა მე, ალბათ, ბედნიერი ვარ და ამიტომაც მადლობას ვამბობ იმის გამო, რომ ბედმა სიცოცხლე მარგუნა.

„რა თქმა უნდა, — ვეუბნები ჩემ თავს, — რა თქმა უნდა, კაგერველად ბედნიერი ვარ და თუ ვარა მისთვის, რომ მიყვარდეს, მამ სხვა რისთვის ვცხოვრობ და ფეთქავს ეს გული?“

ჯერ ჩუმად, ფიქრში ვამბობ ამას და მერე უეცრად ისე ხმამალა, თითქოს მომინდა, რომ მითელემილმა აგარაკმა გაიგონოს:

— ყური უგდეთ რა ხმაშეწყობილად უგალობენ ცა და დედამიწა ყველაფერს, რაც ღვთის მიერ გაჩენილია! ხომ გესმით, რა სადიღებელს გალობენ ვარსკვლავები და ჩვენი გუთნისდღა?

კიდევ სხვა ბევრი რამ მინდა გავაგონო ამ გარემოს, მაგრამ მარიკა რატომღაც სიტყვას მაწყვეტიანებს.

• • •

ერთ შენობასთან ნათელა შეჩერდა. მეგობრები კოცნიან და ემშვიდობებიან ერთმანეთს. აქედან ჩვენ ორნი განეკრძობთ გზას.

ჩვენი ეზოს ჭიშკრამდე მარიკა მღუმარე მომყვება. აქ კი უეცრად ხელი ჩაქცა და მკლავში და მეუბნება:

— ბაბუ, შენ იცი, ძალიან მიყვარხარ...

— რა იყო, ჩემო გოგონა? — ცოტა არ იყოს მეუცხოვა მისი სერიოზული ტონი.

ჩემმა გაკვირვებამ გაბედულლება შემატა და თამამად მომმართა:

— სხვასთან, უცხოთან მაინც ნუ იტყვი ხოლმე ისეთს, რომ მერე ცუდი თქვან შენზე...

ამის გაგონება სრულიად მოულოდნელი იყო ჩემთვის.

— ცუდი? რატომ ცუდი?!

— მამ როგორ შეიძლება იმის თქმა, რომ ცაში დღესასწაულია, ვარსკვლავები გალობენ და გუთნისდღას აპყოლიანო? ვინ გუთნისდღა, რა გუთნისდღა? სხვა რაიმეც იმდენი საკვირველი თქვი, იმის გამგონე უნებურად იფიქრებს, რომ...

შეყოვნდა, თავს ძალა დაატანა და უჩვეულო გულცივობით განაგრძო:

— მარტო ჩემთან რომ იტყვი, ეგ კიდევ არაფერი. მე ადვილად გაპატიებ, მაგრამ სხვასთან, აი, მაგალითად, ნათელასთან, ხუმრობითაც არ უნდა დაგცდეს მსგავსი რამ. შენ არ იცი და, ის ძალიან ჰკვირან და ამასთანავე დამცინავეი გოგოა. იქნებ ამ წუთში ის თავისიანებს უამბობს გორაკზე ჩვენი გასეირნების ამბავს და ისინი ხარხარებენ და დაგცინიან. იცინიან, ალბათ, ჩემზედაც, რომ აგეთი ბაბუა მყავს... განა შენ არ იცი, რომ ვარსკვლავებს სიმღერა არ შეუძლიათ და კიდევაც რომ შეეძლოთ, იმ სიმაღლიდან ხმა ვერ მოაღწევს? ახ, ბაბუ. ვერ გამიგია, რამ გათქმევიანა აგეთი საოცრება!

• • •



კიბეზე ავდივარ.

ნელა ავდივარ.

როგორღაც, რატომღაც დავმძიმდი. ასე მგონია, დოღაბები დამკიდეს.

არა, ეს დაღლილობის არაა. სხვა მიზეზია, რაც ვერ მითქვამს.

ამასთანავე სევდას ვგრძნობ მოულოდნელად გულზე დაწოლილ ნაღველს. ყველაფერი მოწყენილი და უღონო მეჩვენება ახლა: აგარაკის სიჩუმე, სიბნელეში ჩაძირული გარემო, ქუჩის სიგრძეზე ჩამწყრივებული მბეუტავი ელნათურები, რომლებსაც პეპლები დახვევიან და უიმედოდ უტრიალებენ.

ღმერთო, რა ნაღვლიანად დამიღამდა!



ზაქ ბოლქვაძე

მადრიდის ღონი

კაცობრიობა ქვითინებდა, ვითარცა ბავშვი...
იმ დღეს ძაძებმა ცა დააბნელეს
და საბჭოეთი ხუთი წუთით შერყვდა მაშინ,
ვერ აჩერებდნენ... მდულარე ცრემლებს.

ის სიკვდილამდე ემსახურა ადამიანებს,
შუუქმნა მართლაც დიდებული ქვეყანა ნათლის.
ჩვენ კომუნიზმში ხუთი წუთით დავაგვიანეთ
და კომუნიზმაც გვაპატიებს ღონის ხათრით.

დიახ, ღონი ჩვენთან არის! ყოველდღე ვხვდებით,
მშვიდობის, შრომის, სიხარულის გვიჩაღებს კოცონს!
მის უკვდავებას დედამიწა შეუდგა მხრებით
და დიდ სიცოცხლედ მოაფინა უსაზღვრო კოსმოსს!

შენ—საქართველოს ახადგაზრდობა!

ფესვი ხარ ქართულ მარადისობის,
ამძღავერებ მუხას — ახალშემოსილს.
წენი გონების შუქით იწრთობა
ხვალინდელი დღე საქართველოსი!

ანთებ მომავლის დიდებულ კოცონს,
აღმორჩენებით ცისაყენ ილტვი.
რაც მთავარია, ბობოქარ დროს გრძნობ,
ხარ უტყუარი საქმით და სიტყვით!

უპირველესად გახსოვს მამული —
ეს სალოცავი მალაღი, მნათი —

და წერ გმირობის ასომთავრულით
ზნალ ცხოვრებას ახალი ქართლის!

შენმა გამზრდელმა ქართველმა ხალხმა
ღულით ტკივილი ატარა ბევრი...
დიდ ვაგვაცობას მოითხოვს ახლა
შენგან შეილობა პატარა ერის!

ყველა სიმწელეს უნდა გაუძლო,
უკანონობას აძხადო ფარდა!
ბოროტებაზე, დანაშაულზე
ივალის დახუჭვის უფლება არ გაქვს!

შენ — საქართველოს სისხლო და ხორცი —
 ისმინე, რასაც პოეტი იტყვის:
 ვინაც ნაძრახი სიცოცხლით ცოცხლობს,
 ვერც სახელოვანს მიწვდება სიკვდილს!

დიდი რწმენით და იმედით უმზერ
 სამშობლოს ბედის ზეახალ ვარსკვლავს,

მისი სხივები გეფრქვევა გულზე
 და გილამაზებს ლტოლევას და ასაკს!
 ხარ უძლეველი მოასპარეზე,
 შენი აუცი არსად არ თქმულა!
 მჯერა: ნამდვილად ახვალ მთვარეზეც,
 მიესალმები მთვარეს ქართულად!

სიკვდილის წინ სათქმელი ღმერთს

ჩემი ვარსკვლავი, ობოლი, ქრება
 და სული უკვე სხეულს ეყრება...
 მსუბუქი, აბა, როგორ იქნება
 მიწა, რომელიც გულს დამეყრება?!
 მარადიული ჩამოწვა ბინდი
 და დასასრულის დაეცა ჩრდილი...
 როგორ იქნება საფლავში მშვიდი,
 სამშობლოვ, ჩემთვის უშენოდ ძილი?!

წინაპართა ხვები — ახალ საქართველოს

ჩვენ ვიბრძოდით შენთვის, დავიხოკეთ შენთვის, ---
 ჩვენი საფლავების მომვლელო და მცველო!
 ჩვენი საზრუნავი იყო ერთადერთი:
 შენი გადაჭყვევა მთლიან საქართველოდ!
 დღეს შენ მთლიანი ხარ! ღმერთმა გადღეგრძელოს!

ნუ ქმნას ბნელი საფარველად შენდა!
 წინ გიძლოდეს უნათლესი აზრი!
 დიდი ენა — მოსაუბრე ღმერთთან —
 დაიცავი უწმინდესი ტაძრით!

ახლა, როდესაც გადიდებენ, ყველგან გისმენენ,
 ახლა, როდესაც ხალხთა ძმობის ხატად იქეცი, --
 ჩადენილ ცოდვით, დედავ, შეილევს ნუ მოიხსენებ,
 მოიხსენიე დათესილი მათგან სიკეთით!

რამდენ აკვანსაც ჩვილებს დაურწვე,
 შეილებს სიცოცხლის გზას გაუგრძელებ, --



იმდენ შენს ქებას დღე დღეს აუწყებს
და ღამე ღამეს გადაუმღერებს!

* * *

თავისუფლების, გამარჯვების ღირსი ვრი ხარ!
დაბადებიდან საკუთარი ლუკმით იზარდე!
კურთხეულ იყავ, შემწე იყავ, მიწიერ იყავ
უკუნისამდე!.. უკუნითი უკუნისამდე!...

* * *

ჩვენო სააკვნევ და ჩვენო საკუბოვე,
ჩვენო საღიმილე და ჩვენო საცრემლე! —
დამომალამოე შენთვის დაგულ პოეტს
ტკივილი, საფლავშიც რომ აღარ მასვენებს!

* * *

შენი ბრძოლების მატყანეს, აბა, ვინ წაშლის?!
გაგმარჯვინა შემოსეულ უთვალავ მტერზე!
ბევრჯერ მოგაგეს შენ ბოროტი — კეთილისა წილ,
სიყვარულის წილ — სიძულვილი მოგაგეს ბევრჯერ!

* * *

შენთვის აღვენთე, შენთვის ვიბრწყინე,
ვუდარაჯებდი კარავსა შენსა...
და, განწმენდილი შენთვის შეიდწილად,
შენს წმინდა მიწას ჩავეწნე ფესვად!

* * *

როცა მოედო შენი ზეცის თაღებს ნათელი
და სიხარული მოგეფინა კიდითი-კიდევ
როცა აღსდექი, აღზევედი და აღემართენი, —
დიდება იმ დღეს, დაუვიწყარს! დიდება იმ დღეს!

* * *

გადაავლეთ წარსულს თვალი: ბევრჯერ ცეცხლით
გადაგბუვეს,
შენი ღვიძლი მიწა-წყალი ახატია სხეების რუკებს —
წარიტაცა ზოგმა ძალით... ზოგს მიჰყიდეს... ზოგს
არუქეს...
დღეს მშვიდობის გიდგას დარი და მფარველი დრო
გამუქებს!



თ ა ს ი

მე ვარ თასი... ორის ვარ თუ
სამიხ ვარ თუ რვა ათასის,
ეს ცა რახან დამანახვე,
მწყურია და წყალი მასვი.

ბნელში ვიჯექ, უსმელი ვარ,
მომიხადო უნდა ქვევრი,
არ ჩამქრალა, ისევე ბოლავს
ქართლში ცეცხლი საკურთხეველის...

ცაზე მიდის ღრუბლის ფთილა,
უზრუნველი მღერის ჩიტი.
იმზირება სერებიდან
გადმომდგარი სერაფიტი...

გარდასულა ბაბილონი,
გარდასულა ნინეფია,
ეს რაღდენი დრო გასულა,
ეს რამდენი მძინებია...

იჩაქი სოფელში ისვენებს

წეტავი როდის მოვა შაბათი,
რომ ავიკრიფო გუდა-ნაბადი
და ჩამოვიდე შენთან, ირაკლი,
მანდ მე ბუნების ვარ ნაწილაკი.
მანდ მე ჩამდვილად დავისვენებდი,
ხეები არის მწვანე ცხენები,
ჩვენ იმათ ფაფარს ჩავეჭიდებით,
დაგვესხდებიან მხრებზე ჩიტები.

როცა აპირებს წვიმას, ხეებზე ქვევით მირბიან
ტიანჭველები
და შაბიანის ფერი იმარჯვებს, რა ლამაზია
მამინ ველები...
ატამი ისე გაწითლებულა, თითქოს ლოყაზე
ვინმემ უჩქმიტა,
თხილი გოგოა თავსაფრიანი და იმზირება
მორცხვად ბუჩქიდან.

დაცილებული კვლავ შეერთებას ამაოდ ცდილობს
 სხეულთან ლანდი,
 ხან წინ გაგვისწრებს, ხან ჩამოგვრჩება; დავდგებით — დგება,
 დავდივართ — დადის...

დიდებულა სოფლის დუმილი,
 წისქვილი გველის მუზეუმივით
 და შლაგბაუმთან ყვინთავს დარაჯი,
 მივდევთ ვაგონებს და ფანჯარაში
 იყურებიან უცხოდ მგზავრები,
 ჩვენ აქ ხეტიალს დავამთავრებდით,
 მაგრამ რკინიგზის იქით მტკვარია,
 ბონდის ხიდია და გისარია...
 იქვე დათვი ქყავთ სასადილოში და დარბის ლეკვი დათვის
 ფეხებთან,
 იქნება მეტად საინტერესო ბანჯგვლიან დათვთან შენი
 შეხვედრა...

რვა საათია... იქნება მეტიც...
 ახლა ილვიძებ თვალების ფშვინტით.
 მერე კალთაში ჩაგვისვამს დედა — თვალებს, გულსა და
 ხელებს გიკონის,
 თან ფიქრობს როდის მოვა შაბათი, რომ მეოცნებე
 და ლირიკოსი

მანდ ჩამოვიდე...
 როცა ჩამოვალ, რახან დაკვირდი, მოგიტან ნიჩაბს,
 ქუდსაც გიყიდი, ძველი გაგიცვდა, პატარაც არის,
 ყურები გიჩანს.
 შენ მომიყვები, თქვენთან ოთახში რომ შემოფრინდა
 ერთხელ ღამურა
 და აინთება შენი თვალები...
 დაბადებული ხარ საღამურად!...
 მე მინდა გნახო ძალიან პალე, შორს, რა ვქნა, ახლა
 ვერ ვიხედები
 და იმ იმედით ვიძინებ დამით, რომ თავს დამიკრავს
 ლექსი-შედევი...

რ კ მ ნ ი

დღეს მეთორმეტე საუკუნეა...
 გული იჭერა ჩემზე კუნელმა,
 დამკაწრა.. ბოლოს მოვედი, მგონი...
 თეძამს გავტოპავ, აქ არის რკონი.
 აქვე ხიდია.. ნორჩი ასაკის
 დამჯდარა ქალი და ფარდასავით

ადის ბურუსი... თითქოს ჰაერთან
 ჩვენი სულები მან შეაერთა.

რა ღამაზია ქალის სხეული
 და ჩამოსლილი თმის ხელეური.
 გადმოუწყვია ხიდზე ფეხები.

ესე შევეყურებ, როგორც მკრეხელი,
და ეგ არ არის გაუგებარი,
ვით ნედლი კაკლის თეთრი ლებანი,
ორი შიშველი ტერფი ციმციმებს
და მუხლებს, როგორც კრუხი წიწილებს,
მოულოდნელად დამალავს ჩითი...
მე რითი უნდა მოვხიბლო, რითი?...
ვნება ძლიერი და უჩინარი,
მბრძანებლობს იმის უდარდელ კისკისს,
მისი სიცილის თეთრი მდინარე
დაატრიალებს პატარა წისქვილს...

პირველად თვალი დღეს შევასწარი,
ჩვენ გველოდება რკონის ტაძარი.
იგი აქ არის, თემძის ნაპირას,
იქ განგმირული გველეშაპია,

ამხედრებულა წმინდა გიორგი
და სისხლით ირწყვის ტყე და ხრიოკი...
დღეს მეთორმეტე საუკუნეა...
ათასში ერთხელ არის ცთუნება,
რომ მოგეჩვენოს, თითქოს ოდელსაც
შენ აქ იყავი და ამ ლოდებსაც
ციხის კედლიდან შენ აგორებდი
და ისტორიის მღვრიე მორვეი
აქ გატრიალებს... სათნო ღიმილი
შემოგაშველა მზემ ბარძიმივით.
ზევით შრიალებს ცა ბალახივით,
შენ არ ყოფილხარ ჯერ თავდახრილი,
მოუღლეღია სისხლი ბრძოლებით,
არ შემოსულან ჯერ მონღოლები...

მ ა რ ს კ ე ლ ა ვ ე ბ ი

იყო ბავშვობის ღამე.. მღეროდი
და ყოველ ვარსკვლავს და ასტეროიდს
შენ შესცქეროდი გულის კანკალით,
ასე გეგონა, ცას დაკარგავდი,
თუ კი უეცრად კარს მიხურავდი.
წაიშლებოდა ღამის სურათი
და ვარსკვლავების ის ლიტანია...
შენ თითქოს მესრის ჭურჭუტანიდან
უთვალთვალეზადი მეზობლის ქორწილს
და გათიშული სული და ზორცი
ჯერ შეერთებას არ აპირებდა;
შუქი დიდთა და შუქი მცირეთა,
როგორც სინათლე ვესტიბიულში,
თავზე გაყრიდა სხივების თავთავს,
იყო ნაზი და იყო პირქუში
და სიყვარულის გამხელას ჭკავდა...

ზღვები, ტყეები და ჭორომები
შენმა მსგავსმა და წინამორბედმა
როდის დატოვა, ნეტავ რომელი
ათასწლეულის მისადგომებთან...
როდის ჩაგედგა სული ღმერთისა,
ნეტავი როდის გამოეთიშა
თევზსა და ნადირს, ფრინველს და
ქვემძრომს
შენი ჯილაგი.. რომელმა შესძლო
და გამოექცა ტყესა და ბუნავს,
იმას, ვინც დარბის, დახტის და ბრუნავს,
ან ზღვას მიარღვევს ფარულების რხვეით,
ანდა დაცოცავს დღეს შენს ფეხებთან,
როდის გაგექცა თვალები ზევით,
ვარსკვლავებისთვის რომ შეგეხედა?..

აგონაგაგაბი ვექსინის პონგოს ნაპირებთან

წამია შმაგი და უძლები
ვნებათა ჩასახვის
და ნელა ჭანაობს ჩრდილები
აეტის სასახლის.

მშვიდობით, ქალწულის უბიწო
სიზმრებო, მშვიდობით!...
მედუას თოვლისფერ მუხლებზე
ეშვება ქიტონი.

ის მალე თალამოსს დასტოვებს,
 ზეცაში რეკავდნენ,
 ტაძარში მხურვალე მლოცველებს
 მოელის ჰეკატე.

ჯერ ხეზე ჰკიდია საწმისი.
 არესის ველიდან
 არ არის დაძრული ყიყინა
 ზანჯგელიან ელინთა.

ნაპირთან ირწევა ზომალდი,
 რომელსაც მალავდა
 წყვდიადი და ცხვირთან ჭანაობს
 ათინა პალადა...



თხილთქველუაბი

არმანი

წიგნი მეორე

ჩვენ სულ მივიდიოდით, და მეჩვენებოდა, რომ აი, ასე მივიდივარ მთელი ჩემი სიცოცხლე, დაბადების დღიდანვე... და ამას არასოდეს ექნება დასასრული.

სოფელი მთის კალთაზე კვლავინდებურად ასევე შორს მეჩვენებოდა, შარავნის ზოლი კი ყოველგვარი განშტოების გარეშე ობლად ვაწოლილიყო და პეიზაჟის უღიმღამო სიყვითლეში ინთქმებოდა.

— აი, თურმე როგორი ყოფილა საზღვარგარეთი... — ვთქვი მე ხმამაღლა.

— რაო? — შემეკითხა ომარი.

ომარი ჩემს გვერდით მოლასლასებდა და მე არაჩვეულებრივად ვიძაბებოდი, მჭირდებოდა, რომ იგი წინ არ გამეშვა, თუმცა ჩვენ ერთობ ნელა მივიდიოდით.

— დავეუცადოთ იმათ. — თქვა ომარმა.

რა კარგია, რომ მან პირველმა შემომთავაზა შევეჩერებულიყავით. მე ომარს შევხედე. იგი ჰკავდა მიცვალებულს, გაუპარსავესა და დაუბანელ მიცვალებულს.

— რომ იცოდე, რას გავხარი! — მითხრა ომარმა.

მე ჩვენსკენ მომავალ ტოგოს გავხედე. იგი მუხლგაშეშებული, ფეხებგაფარჩხული გაჭირვებით მოაბოტებდა. ლოყებზე წითელი ფერის ნაცვლად რალაც ჭუჭყიანი ყავისფერი ლაქები ედო.

— სტეპკოს უნდა დავეუცადოთ. — ვუთხარი ტოგოს, რომელმაც გვერდით ჩაგვიარა, რადგან განჩრების თავი არა ჰქონდა.

იქვე, შუაგზაზე ჩავიმუხლეთ და შორს მოლასლასე სტეპკოს საცოდავ სხეულს მივაშტერდით.

— რა ნელა მოეთრევა.. — წამოიკენესა ტოგომ.

— არამზადა! დაჩვივა ყველაფერს სხვის ხარჯზე! — სრულიად უაზროდ და უადგილოდ თქვა ომარმა და გზის ნაცვლად მუხლებზე დაიფურთხა.

არაადამიანიური დაღლილობის მიუხედავად, ჩემში ყველაფერი ბობოქრობდა. ახლა მივხვდი, რომ ეს იყო ბოღმა, ყოვლისშთანმთქავი ბოღმა, რომლის მიზეზი იყო დაკარგვა რალაც ძალიან დიდისა... ყველაზე დიდისა!

მე სიძულვილით დავეუწყე ყურება ვაი-

ვაგლახით მომავალ სტეპკოს, მაგრამ ის ჭერ კიდევ შორს იყო, ეს ორი კი გვერდით მყავდა.

— თქვენც კაი ვინმე ბრძანდებით! უკანასკნელ მომენტში უარი თქვით და ყველაფრის გადახდა მარტო მე მომიხდა!

— შენც არაფერი დაგვდომია. — თქვა ყველაფერში გარკვეულობის მოყვარულმა ტოგომ.

— ეს უკვე მერე იყო... მაშინ კი თქვენ უნამუსოდ მოიჭეკით...

— ისლა მაკლდა, რომ მე სტეპკოს არიფი ვყოფილიყავი. — თქვა ომარმა.

— აბა რა!... დაუდასტურა ტოგომ.

— მაშ, გამოდის, რომ მე...

— ეს უკვე შენი საქმეა. — უხალისოდ წაიბურტყუნა ომარმა.

— ახლავე ორივეს ცხვირ-პირს ამოვინაყავთ!

მაგრამ არც ერთმა ჩემი მუჭარა აინუნში არ ჩააგდო, რადგან იცოდნენ, რომ ეს აბსოლუტურად შეუძლებელი იყო.

— ნეტავი ვიყოფე, გამცილებელი მოკვდა თუ გადარჩა? — იკითხა ტოგომ.

— აბა, რაში გაინტერესებს, რაში! — ჩაწყვეტილი ფალცეტით წამოიყვირა ომარმა. — აბა, მითხარი, რაში!...

მკლავებშიშვებულნი და პირდაღებულნი სტეპკო ბარბაცით გვიახლოვდებოდა. იგი ძალიან მაგონებდა ავადმყოფ ქეთამს.

ჩვენგან ათიოდე ნაბიჯით დაშორებულმა სტეპკომ ჭერ მუხლი ჩაბარა, მერე გზაზე პირქვე გაიშოტა და რაღაც უცნაურად აკანკალდა.

— ტირის? — გაიოცა ტოგომ.

— არა, აღებინებს. — სიხარულით თქვა ომარმა. — პარაზიტი... ჩვენამდე მაინც მოსულიყო...

როგორ შეიძლებოდა ადამიანის ასეთი სიძულვილი! აი, მე... წამოვბტი, მივირბინე სტეპკოსთან, დავიხარე და მზრუნველობით შევეკითხე, რა მოგივიდა-მეთქი. მერე ხელში ავიყვანე და

წავიღე... არა, წელზე ხელი მოვხვეთ და წაიყვანე იმ, ჩვენს წინ გაშლილ, ახალ სამყაროში... და ყველა გარკვეულად იყო ჩემი თავდადებითა და ყოველის-მიმტევებელი ადამიანურობით...

ჩვენ ჰისხედით და დავცქეროდით მოფართხალე სტეპკოს. თითოეული ჩვენგანი ფიქრობდა იმ მომენტზე, როდესაც ფეხზე უნდა წამომდგარიყო და გზა გაეგრძელებინა.

მზე უკვე მთის ტიტველ მწვერვალს ეფარებოდა და მის კალთაზე გაჩენილი ჩრდილი გვაიწულებდა დრო არ დაგვეკარგა და გზას გავდგომოდით.

— დამაცადეთ! — დაგვიყვირა სტეპკომ, როდესაც დაგვინახა, რომ წამოვდებოდა.

ჩვენ დიდსულოვნად შევეწყნარეთ მისი თხოვნა და როდესაც ზურგს უკან მოგვესმა მისი აჩქარებული ქოშინი, გზა განვაგრძეთ.

პირველი ნაბიჯები ნამდვილად წამება აღმოჩნდა. სხეულის თითოეული, ყველაზე პატარა ნაწილაკიც კი, აღშფოთებული მისადმი ასეთი დამოკიდებულებით, აუტანელ ტივილს გავყენებდა.

— წყალი!... — წამოიყვირეს სტეპკომ.

— ფოცხოვში რომ ჩაყვინთე, არ გეყო ის ნაყლაპი? — გესლიანად შეეკითხა ომარი.

— ოჰ, მე რომ ვყოფილიყავი!... — ტოგომ, ალბათ წარმოიდგინა როგორ დალევა მთელ მდინარეს.

დიდხანს გრძელდებოდა ჩვენს ზურგს უკან სტეპკოს კვნესა, რომელიც ახლა სულ კვალდაკვალ მოგვედგინა, ვიდრე ჩვენგან მარჯვნივ არ გადაიშალა ღრმა ხეობა და რაც მთავარია, მის მარცხენა კალთაზე არ გამოჩნდა ხევით სოფლისკენ მიმავალი ბილიკი.

მსოფლიოს ყველა უმაღლესი მწვერვალის დაპყრობა მონაგონია ჩვენს იმ პატარა სოფელში ასკლასთან.

საოცარია, როცა ალპინისტების გაპირვებაზე წერენ ხოლმე, მხედველობაში აქვთ ქანგბადის უკმარისობით

გამოწვეული ტანჯვა... და რატომღაც არაფერს წერენ იმ ტანჯვაზე, რომელსაც იწვევს ქუბში საკმლის უკმარობა, ანდა, როცა წერენ, რა სიყვარულითა და თავგანწირვით აზღვევენ ხოლმე ერთმანეთს ალპინისტები... რატომღაც არაფერს ამბობენ იმ ინდივიდუალურ დაზღვევაზე, როდესაც მხოლოდ საკუთარი თავის მზრუნველობაზე გადასული მთავლელი ხელსაც კი არ შეაშველებს წაბარბაცებულ ამხანაგს.

როდესაც ჩვენ სულის მოსათქმელად უკვე მერამდენეჭერ შევჩერდით, მე გამოვთქვი ჩემი მტანჯველი აზრი:

— ჩვენ ძალიან ბევრი გვაქვს საერთო იესო ქრისტესთან!

— რატომ? — შემეკითხა ომარი.

— ქრისტე გოლგოთას მთაზე ჯვარს მიათრევდა... ჩვენ კი ჩვენს სისულელეს მივითრევთ.

— გოლგოთა ბევრად უფრო დაბალი იყო. — თქვა ტოვამ.

— ქრისტე... ღმერთის... დედაც... — მოისრისა ქვაზე დარტყმული მუხბლი სტეპკომ.

ქალამნის ძირებზე ბალანი გადაგვეხება და ფეხი ძალიან ცურავდა.

მე ქვევითვენი გავიხედე. იქ უკვე ბინდებოდა.

როგორც იქნა, გამოჩნდა პლატოს ქვედა, უფრო დაქანებული ნაწილი, რომელზედაც სოფელი უნდა ყოფილიყო. სოფელი ჯერ არა ჩანდა, მაგრამ იგრძნობოდა სიცოცხლე, რადგან სულ ახლოს ვიდაცა ახველებდა. ჩვენ კიდევ რამდენიმე მეტრით მაღლა ავედით და ზევით, პლატოს ნაპირზე დავინახე პატარა ბიჭის სილუეტა, რომელიც თოკით თხას ეწყოდა. თხა წინააღმდეგობას უწევდა და ახველებდა.

— ეი, არხადამ!.. — შევძახე ბიჭს.

ბიჭი შეჩერდა, შემოგვხედა და მერე თხასთან ერთად სირბილ-სირბილით პატარა ბექობს ამოეფარა.

— არხადამ ამხანაგს ნიშნავს? — მკვახელ შემეკითხა ომარი.

— ჰო.

— მაშ, ეცადე ეს სიტყვა დაივიწყო, ჩვენ საბჭოთა კავშირში არ გვინდა... ვიდრე მივხვდებოდით, რომ... რომ... შეიძლებოდა მართალი ყოფილიყო, მე უკვე მოვასწარი მისი ჯანდაბას გასტუმრება.

— რალაც მწვადის სუნის მცემს. — მოულოდნელად გაიდრია სტეპკო.

მართლაც ნიავს დამწვარი წივის სუნი მოჰქანდა.

— ნეტა, ვისი ფულით აპირებ იმ მწვადის ჭამას? — სერაოზულად შეეკითხა ტოვამ.

სტეპკოს სახეზე ღიმილი გაჭრა. ნუთუ დაივიწყდა, ან ფიქრობდა, რომ აღარ გვახსოვდა მისი შანტაჟი?

ყოველ შემთხვევაში, სოფელში მისვლა მან პირველმა არჩია, ჩვენ კი აღარ შეგვწყენდა ილაჯი მისთვის გაგვესწრო.

— რწმენა თვით მომავლდავსაც კი მატებს ძალას. — აზრები რატომღაც ყველა წმინდანი წამებულის ირგვლივ მიტრიალებდა.

— რწმენა? რისი? — იპოვა გაჩერების საბაბი ტოვამ.

— ჩასახეთქის შოვნის რწმენა, — მივუთითე ჩვენს წინ მიმზობდავ სტეპკოს ზურგზე.

უეტრად პლატოზე აღმოვჩნდით და თვალწინ გადაგვეშალა სოფელი — ერთი საკმაოდ განიერი ქუჩა, რომელიც ნახევარწრედ ერტყმოდა მთის კალთას, და ქუჩის ორივე მხარეს უწყსარიგოდ დაფანტული მიწურები, სოფლის ცენტრში უტიფრად აყუდებულ იყო მორებით ნაშენი გარეკიბიანი, ორსართულიანი სახლი.

როდესაც სოფელს უკვე მივუახლოვდით, ქვევით განაპირას დავინახეთ „ნიკოლოზისეული“ ტიპის, ქვითკირის ახალი სახლი, ალბათ სკოლა, რადგან ეზოში სავარჯიშო ღერძი იდგა და შესახლელ კარზე აბრა იყო მიკრული.

სოფლის ზემოთ, ეკლიან მავთულ-შემორტყმულ შოედანზე ყაზარმის გრძელი შენობა იდგა.

პირველივე მიწური, რომელსაც ჩვენ უკანა მხრიდან მივუახლოვდით, ფურ-

11846

ნე აღმოჩნდა. იქიდან გამოსულმა ცხელი პურის უბადლო სურნელებამ ერთბაშად გაგვაბრუნა და მომავალი ნეტარების მწვერვალზე აგვიტაცა. სულით გამხნეებულეებმა ქოხს ცნერგიულად დავეწყეთ შემოვლა, რომ შესასვლელი გვეპოვა... და წავაწყდით სამ, ფეხშიშველა და ჩამოფლეთილ ადამიანს. თითოეულ მათგანს ქამარზე ხიშტი ეკიდა და ზურგს უკან შაშხანა უჩანდა.

— გიურჯი? — შეგვეკითხა სამათგან ყველაზე მაღალი, და დოინჯემოყრილმა შიშველი ფეხი წინ წამოდგა.

ჩვენ ვიცოდით, რომ „გიურჯი“ ქართველს ნიშნავდა და დასტურის ნიშნად თავი დაგუქნივთ.

მაღალმა ხელის მბრძანებლური მოძრაობით დანარჩენ ორს ანიშნა, რომ ზურგს უკან ამოგდგომოდნენ, თვითონ ჩადგა კოლონის თავში და ჩვენ მთავარი ქუჩის გადაჭრით ზევით გავწივით... ცხელი პურის სურნელება კი სულ სუსტდებოდა და სუსტდებოდა.

თუმცა, ასკერებს ყაზარმაში, როგორც იტყვიან, სასტიკი სახმედრო წესით მიგყავდით, მაგრამ მე რაღაც არა მჭეროდა, რომ ეს ის თურქი ჯარისკაცები იყვნენ, რომლებიც საუკეთესოდ ითვლებოდნენ მთელს ქვეყანაზე.

ფორსირებული მარშით ჩავუარეთ საყარაულოს, მერე სუფთად დაგვილი პლატო გადავკვეთეთ და შევედით ყაზარმაში, რომლის შესასვლელი ალაყაფის კარის მოპირდაპირე მხარეს იყო.

გრძელი და ძველი ყადისი, ერთიმეორეს დაშორებული პატარა ფანჯრებიდან შენობაში ბინდი სუფევდა. ყაზარმის მთელ სიგრძეზე გაკიმულ ხის ნარებზე, დიდი ხნის შეთეთრებული კედლების გასწვრივ, სასთუმალთან დაკეცილი ბაიკის საბნები შევნიშნე, ხოლო იატაკზე — სწორ ხაზად ჩამწკრივებული დაკერებული ფეხსაცმელები. ნარების წინ კი შაშხანები იდგა ჯოჯინად.

ჩვენს ირგვლივ მდგარი ჯარისკაცებიც ფეხშიშველები იყვნენ. ისინი საყ-

მათ კეთილმოსურნეობით ვეათვალისწინებდნენ თავით-ფეხებამდე და ვართავითარ შეკითხვას არ შეგამოლეკდნენ.

სტეპკომ წყალი სთხოვა და მას კუთხეში მდგარ თიხის ვეებერთელა დოქზე მიუთითეს. სტეპკომ გაკირვებით ასწია დოქი და ხარბად დაიწყო სმა, თან ნახევარს ზედ, თავის გაზინთულ შავ პალტოზე ისხამდა.

„წყალი უმცროსისააო...“ დიდი დაძაბულობა დამჭირდა იმისათვის, რომ მე აღმოჩენილიყავი უფროსი, ასაკით თუ არა, თავდაპირველ მონც.

ერთ ასკერთან მოთათბირების შემდეგ მაღალმა გაგვიყვანა კვლავ საყარაულოში, რომელიც ყაზარმიდან ტიხარით იყო გამოყოფილი, მიგვითითა კუთხეში მდგარ ნარებზე და წაივდა.

მინდოდა მაშინვე დავეწოლილიყავი და დამეწყებოდა საკუთარი სხეულის ტყვიისებური სიმძიმის ეს უსიამოვნო შეგრძნება. თითქოს შეთანხმებული ვყოფილიყავით, ნარებთან ყველა ერთდროულად მივებარბაცდით და კუთხეში ჩამოვსხედით.

სტეპკომ ერთ ასკერს რაღაცა სთხოვა, და რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე გამშაგებით ღრღნიდა ცალ მუჭაში ჩაბლუჯულ პურის ნაჭერს, თან ღრო და ღრო ჩაებჩავდა ხოლმე მეორე მუჭაში დაპერილ რაღაცას, მგონი, ყველს.

გამოხედვა მას, რაღაც უაზრო ჰქონდა, ეტყობოდა, მისი გონება შთანთქმის მეტად რთული პროცესით იყო მოცული.

ტოგო უკვე ზურგზე იწვა, თვალები დაგზუჭა და ფეხები იატაკზე ჰქონდა ჩამოშვებული. სუნთქვასთან ერთად მას ხანდახან კენესაც აღმოხდებოდა ხოლმე.

— ჩვენ, რა, პატიმრები ვართ? — იკითხა ომარმა.

— ალბათ. შენ რა, სხვა რამეს ელოდი? — მკაცრად ვუთხარი მე.

ღია კარიდან მოჩანდა ფიცრული საპირფარეოები. მათ უკან — ორი

პატარა კოცონის ბოლი და ირგვლივ მოფუსფუსე ჭარისკაცები.

— ისეთებიც არიან, თვითონ რომ იშვადებენ საჭმელს. — თქვა ომარმა.

— ჰო, ინდივიდუალური წესით.

— ჩვენ კი... ნეტავი თუ მოგვცემენ რაიმეს?

— არა მგონია... ხედავ, სხვები განზე დადიან...

— ცოტა მაინც რომ?! — პირველად იყო ომარი ასეთი ადამიანურად გულახდილი... და სუსტი.

— აქ ნათესაურ დამოკიდებულებას ნუ ელი!.. საყვარელი დედაიკოები აღარ არიან და აღარც გვეყოლებიან!

— რა თქმა უნდა, ამას მალაპარაკებდა ჩემი მხოლოდ ახლა ნამდვილად შეგნებული დიდი შეცდომის შეგნება.

ყველაფერი უკვე აღსრულდა, და მე, ბოროტმოქმედი სანამ გადარჩენაზე ვიფიქრებდი, ყველაფერში სხვებს ვამტყუნებდი... იქნებ ძალიან ახლობლებსაც...

რა თქმა უნდა, ჩემის მხრივ ეს უსინდისობაც კი იყო... მაგრამ...

— ვიღრე დედაჩემი გაიგებს, რომ ცოცხალი ვარ... — ომარმა აღარ დაამთავრა და მიაშტერდა სტეპკოს.

სტეპკოს ერთი დღის მშემოკიდებულ სახეზე ქუჩუყიანი ცრემლები სდიოდა და თვალების ირგვლივ მტვერი თუთრ რკალებად ამორცხობდა.

— შენც მოგინდა დედის აღერსი? — ირონიით შევეკითხე სტეპკოს.

სტეპკომ მობოდიშებით გაიღიმა.

— პური გამითავდა და მარტო ხახვი ძალიან მწარეა. — თქვა მან, მუჰა გახსნა და დამანახვა დარჩენილი ხახვის ნაწილი. — მაგრამ მაინც შევჭამ.

სტეპკომ ხახვს პური შეატანა. ვილაც ღვთისნიერმა ასკერმა მოგვიტანა. ეს იყო წინაინარი სიდიდისა და სიმაგრის პურის ნატეხები, ალბათ, სხვადასხვა ასკერებთან შეგროვილი.

ეს ციური მანანა დოქში მდგარი წყლის დახმარებით დაეძლიეთ, მერე ისევ, როგორც ვიყავით, ნარებზე პალტოებით წამოვწყვეით და უმაღლე ჩავე-

ფალით უღიმამო ძილის სიღრმეში.

უკვე ხუთი დღეა რაც აქავე ვართ. ამ ხანში მე ოცამდე სიტყვას ვისწავლე და ასკერებს როგორღაც ვაგებინებ.

ბიჭები ამბობენ, რომ თურქული ენა თითქოს აღრეც ვიცოდდი, მაგრამ ვმალავდი. სულელები, დღეღამეში რამდენიმე სიტყვის დამახსოვრებას მთლად კრეტინიც შესძლებს, თუ კი ძალიან მოინდომებს.

პირველსავე დღიას ჩვენ სიურპრიზი გველოდა. საშინელმა წყურვილმა გამაღვიძა და მსწრაფლ დოქს ვეცი. ყაზარმაში არავინ იყო. ომარი ფანჯარასთან იდგა და გაჰყურებდა ეზოს, სადაც მეცადინეობა მიმდინარეობდა.

პალტოს ჯიბეებში ხელბი ჩავიყავი და ვიგრძენი, რაღაც მაკლდა. შეშინებულმა მკერდზე ფარული ჯიბე მოვისინჯე, ფული ადგილზე იყო.

— რა მოხდა? — შემეკითხა ომარი, როდესაც დაინახა გახერხტილი ჯიბიდან როგორ შევძვერი პალტოს სარჩულის ქვეშ.

— ნაგანი აღარ მაქვს.

— ვაჰ!..

ტოვო გავაღვიძეთ. ფული იმასაც ადგილზე აღმოაჩინდა, ოღონდ ბრაუნინგი აღარა ჰქონდა. ბებუთები რომელთა ქაჩაშები პალტოს შიდა ნაწილზე გვეკონდა მიკერებული, თავის ადგილზე იყო.

— რა ექნათ? — თვალების სრესით გვეკითხა ჯერ კიდევ ნამძინარევემა ტოვომ.

ჩვენ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ — ჩუმად ვიყოთ და თავი ისე დავიჭიროთ, თითქოს არაფერი დაგვეარგვია.

ერთი კი ნათელი იყო — იარაღი არაოფიციალურად ჩამოგვართვეს.

შემდეგ ჩვენს წინაშე დაისვა საკითხი, პატიმრები ვიყავით თუ არა.

— თუ საჭმელს მოგვცემენ, მაშ პატიმრები ვყოფილვართ. — ვთქვი მე. — თუ კი არა, მაშ...

სტეპკოს მხოლოდ კუქის სასწრაფოდ ამოვსების საკითხი აინტერესებ-

და. მინდა მოველენებს წინ გავუსწრო და ვთქვა, რომ დღეისათვის ეს საკითხი მან ბრწყინვალედ გადაწყვიტა. ახლა, მართალია, ლოყებლადღა არ არის, მაგრამ ბევრად უკეთ გამოიყურება, ვიდრე საერთოდ როდისმე ყოფილა.

მთელი სიძლიერით მოწოლილმა შიმშილმა აიძულა სტეპკო ყაზარშიდან გაბედულად გამოსულიყო. ჩვენც იმას გავყვივით.

პლაკზე, მწყობრში მდგარი ჯარისკაცების წინ, მედიდურად მიმოდიოდა სათუთად მოვლილი, ძვირფასი მათდის ფორმაში გამოწყობილი ოფიცერი.

კარგად არ მახსოვს, ფრანგულსა თუ ინგლისურ ილუსტრირებულ ჟურნალებში მყავდა ნახული ასე ჩაცმული მხედართმთაყრები.

ხელთათმანგადაციმულ ხელში მას სტეკი ეჭირა, რომელსაც დრო და დრო დაირტყამდა ხოლმე ავურივით ყვირთულ, ვაკრიალბულ ჩექმის ყელზე.

მე არასოდეს არ მომწონდა როდესაც უნიჭო პიესებში ან ცუდ ფილმებში ოფიცრის როლის შემსრულებელი მსახიობი ხელში გადაჭარბებით ათამაშებდა ხოლმე სტეკს... აქ კი, ეს ნამდვილად შემზიზლდა.

რამდენად სულელი უნდა იყო, რომ ვერ შეამჩნია მთელი შეუსაბამობა შესსა და ჩამოკონკილ ჯარისკაცებს შორის.

მიუხედავად ყველა ამისა, ნამდვილად მეომრული იერი მხოლოდ ჯარისკაცებს ჰქონდათ.

არც ერთ ჩვენგანს არც კი ვასცინებია იმაზე, რომ ჯარისკაცები ერთმანეთს უსწორდებოდნენ არა ფეხსაცმელის წვერით, არამედ შიშველი ფეხის ცერების მიხედვით.

მერე გავიგეთ, რომ ფეხსაცმლის ეკონომიის ეს ფორმა, გარნიზონის უფროსის, მაიორის საკუთარი ინიციატივა ყოფილა.

მაიორი აგრეთვე სურსათზეც აკეთებდა ეკონომიას. ამას ადვილად დაიჭერებდა კაცი, როცა დაინახავდა თა-

ვისი რაკიონის გასაუმჯობესებლად, მთელ თავისუფალ დროს, სრულდაც მოწინააღმდეგე ჯარისკაცებს.

მაიორმა შორიდან გამოგვხედა და წავიდა მალალი ასკერის თანხლებით, რომელსაც პასანი ერქვა.

როდესაც პასანი დაბრუნდა, მან ნება დაგვრთო საქმლის საყიდლად სოფლად წავსულიყავით, ოღონდ ცოტა ხნით.

ვაშა!.. ჩვენ თავისუფალნი ვიყავით. კარგად გვახსოვდა სადაც იყო ფურნე და რამდენიმე წუთში უკვე იქ გავჩნდით.

ცომა მხოლოდ ახლა აწყობდნენ დემელში. უნდა დაგვეცადა. მოხუცმა მეპურემ, თურქულის, ქართულისა და რუსულის არევით შემოგვთავაზა, რომ რაღაცა ძალიან გემრიელ ხშიადს გამოგიცხობთო, თან გაგვაფრთხილა, თითო ოცი ყურუში! ელირებო.

გააბრტყელა თუფშისოდენა ცომა, ნაპირები მოუმრგვალა, ზედ დაადო კარაქის დიდი ნაჭერი და შემდეგ თითოეულში სამი კვერცხი ჩაახალა.

ათი წუთის შემდეგ, ხელებგაფუჭქულები, ერბოში და კვერცხში სახეამოგანგლულები გაახლებოდით საოცრად გემრიელ ხშიადებს.

ცოტა სული რომ მოვითქვით, ისევ თითო-თითო დავუქვეითთ და უკვე დინჯად შევექცეოდით ბოლოს კი ძლიეს მოვტრეით.

როდესაც ფულის გადახდის მომენტი დადგა, ომარმა და ტოგომ საოცარი თანმიმდევრობითა და შეუპოვრობით გაიმეორეს რასაც ფიქრობდნენ სტეპკოზე: შანტაჟისტთან საერთო არაფერი გვაქვს, და მით უმეტეს, იმის დანახარჯს არ გადავიხდითო.

წვრილმანობა ყოველთვის რაღაც პრინციპულ მოსაზრებებს ეყრდნობა ხოლმე. სტეპკო, მათი პრინციპები დასაკავი პანეგირიკების დროს მოკრძალებით გვერდზე იყურებოდა, სახეზე ნეტარება ეხატა, თვალები კი ისე-

თივე ქონიანი ჰქონდა, როგორც ნიკაპი. ახლა იგი მთლიანად ჩემს კმაყოფილება და თუმცა ჩვენ მთელი ძალებით ვცდილობთ დავანახოთ ხალხს, რომ ფული არა გვაქვს, დღეში ორჯერ-სამჯერ მაინც ვიხალხებით იმ ხშიადებს. სხვა ჭერჯერობით აქ ვერაფერი ვიშოვეთ.

ხანდახან ჩემს თავს ვიჭერ ხოლმე იმაზე, რომ დედობრივი სინაზით შევყურებ სტეპოსს, რომელიც თვალდათვალ სუქდება.

ისიც უნდა ითქვას, რომ სტეპო ყოველთვის ცდილობს მასიამოვნოს, არასოდეს უარს არ მეუბნება მიმდროს და ვინმეს დაცინვით მიბაძოს. კამათის დროს ყოველთვის ჩემს მხარეზეა.

პირველ დღეს ჩვენ ვერ გავბედეთ სოფელში გავლა და მაშინვე ყაზარმაში დავბრუნდით. მეორე დღეს უფრო თამამნი აღმოვჩნდით.

უშნოდ აუტლებული ორსართულიანი გარეკებიანი ხის შენობა ყუაყანა აღმოჩნდა. ყოველთვის, როცა არ უნდა ჩაიარო, იქიდან ისმის კამათლების ჩხაკუნის, ხმამალალი ლაპარაკი და ხანდახან ხრინწიანი პატეფონიც კი უკრავს.

ყველაზე ძლიერი, შეიძლება ითქვას, საოცარი შთაბეჭდილება ჩემზე დუქნებმა მოახდინეს: ეს დიდი უფანჯრო მიწურებია, ხის სქელი კარებებითა და ვეებერთელა რკინის ურდულებით. ასეთი დუქანი, სოფელში რამდენიმეა, თუმცა თითოეულში მოთავსებული საქონელი გასწვდება ასამდე ისეთ სოფელს, როგორც ეს არის.

დუქნებში ჰერამდე გროვად აწყვია საზღვარგარეთული საქონელი. სხვადასხვანაირი შევიოტები, ყველა ფერის კოყერკოტი, აბრეშუმის წინდები, ფრანგული პარფიუმერია, გერმანული სამართლებლები, და, ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც საბჭოთა კავშირში ესოდენ მოღაშია... და რითაც ასე ძვირად ვაჭრობენ სპეკულანტები.

დიდი ჰკუა არ არის საჭირო, რომ მიხვდე — ეს კონტრაბანდისტების საქ-

ონლის შემსყიდველი პუნქტებია. მთელი ამ ხნის განმავლობაში მუქარა მხანახავს იქ ვინმეს რაიმე ეყიდოს. ყველაღერი ხდება, ალბათ, მოწმეების გარეშე, ღამით.

საერთოდ, სოფელშიც არავინ მინახავს, რომ რაიმეს საქმიანობდეს. გარდა პურისმცხობელისა და მგონი სკოლის მასწავლებლისა, რომელიც ჩვენ ჯერ არ გვიჩახავს. ასეთი შთაბეჭდილება შეიძლება იმიტომ შემექმნა, რომ მინდვრის სამუშაოები დამთავრებულია...

ჩვენ ისიც გავიგეთ, რომ სოფელში სამხედრო ხელისუფლების გარდა არსებობს სამოქალაქოც, რომელსაც ყაიმაყაში ხელმძღვანელობს, და რომ ყაიმაყაში და მთლიანი ერთმანეთს მტრობენ.

ჩვენ ყველას, ცოტა არ იყოს, გვაკვირვებს, რომ დღემდე ვერაფერი მოიცალა ეკითხა, არამცთუ ჩვენი ვინაობა, არამედ ჩვენი გვარები და სახელები.

როდესაც ჩვენ ამის შესახებ პასაჟს ვეკითხეთ, გვიპასუხა, რომ ქალაქ ყარსში გაგაგზავნიან და მაგას ყველაფერს იქ გააკეთებენო. ჭერ-ჭერობით ესხედვართ და ველით.

ამ ხუთი დღის განმავლობაში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, თუ არ მივიღეთ მხედველობაში, რომ წუხელ კვლავ გაგვქურდეს. დღეს დილით არც ერთ ჩვენგანს არ აღმოაჩნდა ბეზუთი.

მაინც რა მოხერხებულად აკეთებენ ამას. ჩვენ ხომ პალტოები ზედ გვახურავს, რადგან საბნები საერთოდ არ მოუციათ.

გვაოცებს მეორეც — ქურდმა რატომ ქარქაშებიც არ აგვაჭრა, ქარქაშისანი ბებუთის გაყიდვა განა უფრო იოლი არ იქნებოდა?

• • •

რა შორიდან დავბრუნდით!.. უპ, რა ძალიან შორიდან!..

იქ იმ მომენტში, როდესაც ერთადერთი გამოსავალი მხოლოდ სიკვდილი იყო.. მე მეგონა, რომ ეს შეუძლებელია... რომ ეს მხოლოდ სიზმარია, კოშმარული სიზმარი, რომლის შემდეგ ცივოფლდასხმულს გაგვღვიძება და კიდევ დიდხანს ვერ იჭერებ, რომ ცოცხალი ხარ...

დასახვრეტადაც კი არ გავვიყვანეს, უბრალოდ, დასახოცად გავვრეკეს, ზურგიდან რომ ესროლათ მოულოდნელად, რამდენიმე ნაბიჯიდან... და აი, სწორედ ამ რამდენიმე ნაბიჯმა გადაგვარჩინა.

ჩვენ ოთხივე გაშმაგებით ვიბრძოდით სიცოცხლისათვის და ბედმა გავიშართლა... რომ ემტყუნა, მაშინ გვამი ოთხზე მეტი იქნებოდა...

ახლა, როდესაც შემიძლია მშვიდად განვასაჯო მომხდარი ამბავი, იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ ყველაფერ ამაში არც ისე პატარა როლი სისულელემ ითამაშა.

სწორედ სისულელემ, რადგან სისულელეა ყველაზე ახლო, მეგობარო როგორც ბოროტმოქმედისა, ასევე ბოროტმოქმედების მსხვერპლისა.

განა ვერ უნდა მივმგვდარიყავით, რომ ბებუთები წერილმანი ქურდობის მიზეზით არ ამოგვაცალეს?!

ის ჩვენი მიაპიტური სურვილი კი, — თავი ისე დაგვეჭირა, ვითომ ფული არ გავგანხნა, მხოლოდ თავის მოტყუება იყო. პირველ დღიდანვე ფხიზლად გვითვალთვალებდნენ. ალბათ ამიტომ იყო, რომ ყაზარმის რეგისტრაციაში არ გავგატარეს და შეიძლებოდა ჩვენ ისეთსავე არაარაობაში გავუჩინარებულეყავით, როგორც მათთვის ჩვენი აქ გაჩენა იყო.

მოვლენათა დამაჩქარებელი გახდა ტოგო, რომელსაც ხურდა გაუთავდა. საპირფარეოში ჩაკეტილმა მან ფარული ჯიბიდან მთელი ბანკოტების დასტა ამოიღო და რამდენიმე ლირა გადაითვალა. ამ დროს კი მომიჩნავე საპირფარეოსს ქუქრუტანიდან თურმექ პასანი უთვალთვალებდა.

ბებუთები იმავე ღამეს ჩუმად აგვაცალეს, ჩვენ კი, მეორე დღიდან... დანაკარგის აღმოჩენისას, ამას-საჭირო მნიშვნელობა არ მივეცით.

არ მივეცით მნიშვნელობა იმასაც, რომ საყარაულოში ჩვენთან ერთად მყოფი ხუთივე ჯარისკაცი შებინდებისას საღდაც გაისტუმრეს...

შუალამე გადასული იყო, როდესაც პასანმა დამ ორმა ასკერმა შეგვანქორიეს და გვიბრძანეს თან გავყოლოდით. მე ისინი ძალზე პირქუშნი მომეჩვენენ, თან, რაც მთავარია, სამივეს ზურგზე შაშხანები ეკიდა.

— ალბათ მაიორთან მივეყავართ. — თქვა ომარმა.

— ამ დროს!? — გაიკვირვა ტოგომ.

— მაიორთან? — ვკითხე პასანს.

მან დასტვენით თავი დამიქნია, ფანჯარაზე მდგარ ქრაქს სული შეუბერა და ჩააქრო.

ყაზარმიდან გამოვედი. ალყაფის კართან მდგარი ყარაული შეტრიალდა და მეორე მხარეს გასწია, თითქოს არც დავეუნახავართ. მე, ცოტა არ იყოს, გუნება გამომეცვალა.

ვარსკვლავებით მოჭედილი უმთვარო ცა ისეთივე იყო, როგორც ჩვენი გამოქცევის ღამეს. რძისფერი, მკრთალი შუქი მოჰვენოდა თბუნელების სოროების მსგავს ქობმახებიან, თითქოს სრულიად ამოწყვეტილ სოფელს. უფრო ნათელ ღამეს მოჩანდა სოფლის შუაგულში ამოჩრილი ყავახანა და ქვევით კი ობლად მდგარი სკოლის შენობა.

ჩვენ მთავარი ქუჩის გზაჯვარედინზე შეეჩერდით. მაგრამ ასკერებმა გვიჩვენეს, რომ პირდაპირ წადითო. მაშ, სოფლიდან გავდიოდით.

მე, როგორც ენის ვაი-ვაგლახით მცოდნემ, ვკითხე სად მივყავართ-მეთქი, მაგრამ პასუხი არ გამცეს. ბიჭები ზურგზე მომაწვენენ და ბილიქს ჩაყვები... ქვევით, საიდანაც ამ ხუთი დღის წინ ასეთი გაჭირვებით ამოვედი. ნუთუ ახლომახლო კიდევ იყო რაიმე სოფელი, ან ყაზარმა?

დაბნეულები, შეპყრობილი იმის შიშით, რომ ფეხი არ დაგვსლტამოდა და არ დავცემულიყავით, თავჩაქინდრულნი, მღუმარედ, დაბლა ვეშვეზოდით ბილიკით.

ბოლოს ხევის ძირს მივალწიეთ. ქვევით შარავზა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჩემდა გასაკვირად ახლა წინ მიმავალმა ჰასანმა მარცხნივ გაუხვია და ხევის მეორე ფერდობს აჰყვა, საკმაოდ ფართო და კარგად დატყეპნილი ბილიკით.

დავეწიე ჰასანს და ვკითხე, ეს სად მიგყევართ-მეთქი? მან რაღაც მიპასუხა, მაგრამ, სამწუხაროდ ვერაფერი ვერ გავიგე. ძალიან არ მომეწონა მისი რბილი და აშკარად დამამშვიდებელი ტონი.

მალე სოფელზე გაცილებით მაღლა, ღრმა და დაქანებული ხევის გაღმა აღმოვჩნდი. ახლა კლდეში ამოკვეთილი ბილიკი მიდიოდა პირდაპირ საზღვრისკენ, ორივე მხარეს აზიდული მთების ავებედი მღუმარების სიღრმეში.

რაც უფრო შორს მივდიოდით, მით უფრო დაქანებული ხდებოდა ფერდობები და ღრმავდებოდა ხეობა. რამდენიმე ადგილას ბილიკი ძალიან ვიწროვდებოდა და თავზე გადმოწოლილი კლდის გამო, ჩვენ თითქმის სრულ სიბნელეში გვიხდებოდა უფსკრულის პირას გავლა, და მხოლოდ მერე, როდესაც უფრო განათებულ ადგილზე გავდიოდით, შვებით ამოვისუნთქავდით ხოლმე.

ველავინდებურად, წინ ჰასანი მიდიოდა, უკან კი ორი ასკერი მოგვდევდა. რაღაც უცნაურის და საშინელის წინათგრძნობით გამოთავყანებულები, ჩვენ თითქმის არ ველაპარაკებოდით ერთმანეთს. რომელიღაც ჩვენთაგანის, რამდენჯერმე ჩურჩულით თქმული შეკითხვა: „საით მივყევართ?“ უპასუხო დარჩა და მისი უაზრობის გამო აღარ გამეორებულა.

ბოლოს ჰასანი გაჩერდა და წინ გავატარა.

ოთხივენი მოვტრიალდით და მასთან მივედი.

— წადით! .. ჰასანი არ მოკლავდა, რომ ჩვენ მივუახლოვდებოდით მანამდე, ვიდრე ის შაშხანის მოხსნას მოასწრებდა. აქვე შევნიშნეთ, რომ ჩვენს უკან მომავალ ასკერებს შაშხანები უკვე სასროლად ჰქონდათ მომარჯვებული.

— წადით იქ. იმ თქვენს საქართველოში! — რაღაც ბოროტი სიხარულით წამოიყვირა ჰასანმა და საკეტის ჩხაკუნით ვაზნა ლულაში გაგზავნა. აჩხაკუნდა ორი ასკერის საკეტიც.

მივხვდით, რომ შაშხანიდან ვერ ესროდნენ ზედმიმდგარ კაცს და თითქმის ზედ ჩამოგვიკიდეთ.

— თქვენი საქართველო იქ არის... წადით, იქ წადით! — თავიდან გვიშორებდა ჰასანი.

პირველად ვინ ატირდა, არ მახსოვს. ვტიროდით ოთხივე და ვთხოვდით დანდობას... ქართულად, რუსულად და თურქულადაც კი.

ჰასანმა ჯერ დაყოლიება დაგვიწყო, აშკარად უნდოდა რამდენიმე ნაბიჯი მაინც დაეშორებოდით. მისი სიტყვებიდან გავიგე, რომ თურქეთს ჩვენი მიღება არ შეეძლო.. რომ ჩვენთვის უმჯობესი იქნებოდა შინ დაგბრუნებულიყავით... და გეთავაზობდა აი, ამ ბილიკით წავსულიყავით წინ და არაფრის შეგვშინებოდა: — აი, თვითონ ისინიც კი უკან დაიხვევენ, ყაზარმაშიც კი დაბრუნდებიან...

ჩვენ ყველაფერს მივხვდით და ვიცოდით რაში იქნებოდა ჩვენი ერთადერთი ხსნა.

უფრო და უფრო განერვიულებულმა ჰასანმა და მისმა ორმა ასკერმა ძალით მოცილებაც კი სცადეს, მაგრამ ვერას ვახდნენ.

ახლა, ვითომ ასკერებს ვევედრებოდით ჩვენთვის სიცოცხლე ერთქებინათ, თან ზიკვებს ქართულად ვაფრთხილებდი — ზედ მიეკართ, შაშხანების მომარჯვება არ აცალოთ, ისინი სამნი არიან, ჩვენ კი ოთხნი. თუ გაჭირდა ხელი

ეკრათ და მათთან ერთად უფსკრულში გადავცივდეთ, იქნებ რომელიმე ჩვენგანი მაინც გადარჩეს—მეთქი.

ომარი და ტოგო, ასეთივე წესით, თავის მხრივ მამხნევებდნენ და მეუბნებოდნენ, რომ ყველაფერი გაივითო. მარტო სტეპკოს არაფერი ესმოდა, იგი ხან ერთსა და ხან მეორეს გვაწყდებოდა და საშინლად მყრალ სუნს ავრცელებდა.

მე ჰასანს ვეკვროდი, შეუჩერებელი ვიშეორებდი ერთსა და იმავეს და თან ვგრძნობდი, როგორ დამდიოდა ტანზე ცივი ოფლის ღვარები.

საბედნიეროდ, დანარჩენი ორი ასკერი ჰასანივით ჯანიანი არ იყო. ახლა გონება სრულიად ნათელი მქონდა და ვივარაუდებ, როგორ ჩავგორდებოდი ქვევით, ჰასანზე ხელმოხვეული, მხრებში თავჩარგული და მერე როგორ გავალწევიდი თავს უკანვე, საქართველოში. მტკიცედ მჯეროდა, რომ ცოცხალი გადავრჩებოდი ამ შავსუღარავადაფარებულ უფსკრულში ჩავარდნის შემდეგ.

და, ყველაზე საოცარი ის იყო, რომ ამასთან ერთდროულად ჩემს წინ, გაიარა მთელმა ცხოვრებამ მთელი თავისი ყველაზე უწვრილმანესი დეტალითაც კი.

ვინმეს რომ ეამბნა ჩემთვის ამის შესავსი რამ, მე არასოდეს არ დავუჩერებდი... მთელი ცხოვრება სულ რამდენიმე წამის განმავლობაში?

ჰასანი და მისი ასკერები კვლავ შეეცადნენ მოგვეცილებოდნენ. ამ ბრძოლაში, სადაც ჩვენი ტირილის გამოძახილი მთელ ხეობას ეღებოდა, ასკერები მიხვდნენ ასეთი შეუპოვრობით რატომ ვაწვებოდი უფსკრულისკენ და ახლა უკვე თვითონ გვხვევდნენ ხელებს.

ვიგრძენი, რომ მათ თითქოს შიგნით რალაცა ჩაუწყდათ და ისინიც შეშინდნენ... მაგრამ ჩვენთვის ეს ჯერ კიდევ არ წყვეტდა საკითხს.

ჰასანი რალაცას ამბობდა და ბინძურად იგინებოდა. ამ გაუგებარ სიტყ-

ვებს შორის მე გავარჩიე „მაიორი“ და „ნაგანი“, ალბათ ნაწილობრივ ჩვენი ნაგანი რომ მაიორს მისცა... ქრთმასად მივხვდი, თუ რითი შეგვეძლო თავი გვეხსნა.

— ფულს მოგცემთ! მთლიანად, რაც გვაქვს!

— მთელ ჩვენ ფულს მოგცემთ! — დაადასტურა ქართულად ომარმა.

ალბათ ინტონაციით მიხვდნენ, რომ ომარიც იგივეს ამბობდა, რადგან ერთმანეთს გადახედეს და შაშხანების ლულები, რომლებსაც ჩვენ ჩიუტად ვიგერიებდით, ძირს დაუშვეს.

იქნებ ეს მათთვისაც გამოსავალი იყო, რადგან გულცივად ჩაფიქრებული მცვლელობა ვერ ჩიდიდნეს და ახლა კი ასე იოლად ვეღარ მოახერხებდნენ.

ასკერები მოსცილდნენ სახიფათო უფსკრულს და კლდეს მიეყუდნენ.

— ჰო, ჰო!.. მოგცემთ, ყველაფერს მოგცემთ!.. — სტეპკო ცდილობდა ჩემსა და ჰასანს შორის ჩაჩრილიყო და თან თვალბეჭდში ამტვრეებოდა.

— მერე კი დამასმენთ! — თქვა ჰასანმა და ზიზღით ჰკრა ხელი სტეპკოს.

მე სიტყვა „დასმენას“ მივხვდი და დავიწყე მისი გაცხარებით გამეორება, თან წინ „არა“, „არას“ ვურთავდი. ბიჭები კი დასტურად თავს აქნევდნენ და გაიძახოდნენ: „ჰო!.. ჰო!.. ჰო!..“

დიდხანს, ძალიან დიდხანს ვევედრებოდით ჰასანს დაეჭვრებინა ჩვენთვის და გამოერთმია მთელი ჩვენი ფული, ის კი სულ რალაცას ბურღლუნებდა.

ჩვენ უკვე აღარ ვტიროდით, მთლიანად გართულები ასკერებს ვარწმუნებდით, რომ წმინდად შევიანახავდით მიცემულ სიტყვას. მაგრამ მათ კვლავ არა სჯეროდათ ჩვენი.

— საქართველოს ჯგუფიციებით! — დავიფიცე ყველაზე ძვირფასი, რაც კი გამაჩნდა და ხელით ვანიშნე ის მხარე, საითკენაც ეს-ეს იყო გვისტუმრებდნენ.

ბიჭებმა თურქული ენისადმი საოც-

რი ნიჭი გამოიჩინეს და სიტყვა-სიტყვით გაიმეორეს ჩემი ფიცი.

არა მგონია, რომ მსოფლიოს საუკეთესო ტრაგიკოსს შეეძლო ჩვენზე მეტი დამაჯერებლობით ეთქვა ეს ფიცი.

ჰასანი, ეტყობოდა, იჯერებდა რადგან დუმდა. ეს ხელსაყრელი წუთი არ უნდა დაგვეკარგა. პალტო გავიხსენი, ხელი შევიყავი ნაქსოვის ქვეშ, მკერდთან დაკრებულ ჯიბე ჩამოვიგლიჯე და ჰასანს დოლარებისა და ლირების საკმაოდ სქელი დასტა მივაწოდე. ომარიც ასე მოიქცა.

— მე ფული არა მაქვს. თქვა სტეპკომ და საოცარია, ჰასანს მის სიტყვებში ეჭვიც არ შეჰპარვია. ერთი კი უთხრა:

— გამეცალე, მყარად დორო!

— არც მე მაქვს ფული. — უთხრა ტოგომ.

ჰანსმა, ილიაში ბანკოტებს უწონოდ რომ იტენიდა, ხელი გამოიღო და ზედ ცხვირთან მიუტანა.

— შენ! — თქვა მან.

— მე ფული არა მაქვს! — საოცარი სიჯიუტით გაიმეორა ტოგომ.

უბეში ჩაწყობილმა ფულებმა ჰასანი კარგ გუნებაზე დააყენა. ხარხარით მიუთითა ტოგოს ილიაზე, სადაც ფარული ჯიბე ეკერა და მიამუნური მანქვით უჩვენა როგორ უთვალთვალებდა საპირფარეშოს ქუჭრუტანიდან. შემდეგ სიხარბისაგან ხმაჩახლჩილმა მკაცრად უბრძანა ამოეღებინა. ტოგოს რაღა დარჩენოდა, დაემორჩილა და ბეგარის გამღები გლების სიზანტით ამოიღო ფული.

ვბრუნდებოდით საოცარ კომპაქტურ ჭაფუღად. შორიდან შემხედვარე იფიქრებდა გადახვეულები მოდიანო. მხოლოდ სტეპკო მოლასლასებდა მარტოკა, ჩვენგან მოშორებით.

გზაში ჰასანმა რამდენჯერმე მოგვგონა რა მოგველოდა თუ გავცემდით. ჩვენ კვლავინდებურად მთელი არსებით ვეფიცებოდით, ჩვენგან ვერავინ ვერაფერს შეიტყობსო, რაშიც მე ოდნავადაც არ მეპარებოდა ეჭვი.

როდესაც, დახლოებით დილის ოთხ საათზე, საყარაულოში შევედით, ხუთივე ასკერი კუშტად შემოჭდომოდნენ. ჩვენზე მდგარ ჭრაქს. ჩვენ რომ დაგვიწახეს, სახეებზე ჭერ გაკვირვება და მერე სიხარული აღებეჭათ. თითქოს ჰასანი იქ არც ყოფილიყო.

ოღონდ, როდესაც ჰასანი და მისი დამქაშები წავიდნენ, ასკერები მხრებზე ხელს გვირტყამდნენ და ბედნიერი ბავშვებით შემოგვიციცინებდნენ. მერე კი, საყვედურით თავებს აქნევდნენ და წყევლიდნენ... მაიორს.

საყარაულოში თბილოდა, ჩვენ კი გვაციებდა. ომარი, ტოგო და მე ერთმანეთს მივეკარით, პალტოები დავიხურეთ. მაგრამ მაინც ციებიანივით გვაკანკალებდა. შორეულ კუთხეში კი ობლად მყოფი სტეპკო კანკალებდა და იქაურობას აყროლებდა.

ასკერებმა თავიანთი საბნები დაგვახურეს, გვეფიცებოდნენ, ჩვენ გიდარავებთ, მშვიდად დაიძინეთო, მაგრამ გათენებამდე არც ერთს თვალი არ მოგვიხუჭავს... და არც გაემთბარვართ.

დილით ასკერებმა უსიტყვოდ მისცეს სტეპკოს ერთი ნაჭერი საპონი და დასაბანად გაგზავნეს, მერე დაგვალევიდნენ რაღაც ცხელი, ჩაის რომ წაავაგდა და კვლავ ალურსით გვადებდნენ მხრებზე ხელებს და ბედნიერად იღიმებოდნენ.

არა, რა თქმა უნდა, ქვეყანაზე კარგი ხალხიც არის!

მთელი მეორე დღე გაჩუმებულნი და დაღვრემილნი ვისხედით და ყაზარმიდან ფეხი არ გაგვიდგამს. საყარაულოს ასკერები, საქმელს გეთავაზობდნენ, მაგრამ გვერიდებოდა გამორთმევა, რადგან ვიცოდით, რომ თვითონაც არა ჰყოფნიდათ.

საღამო ხანს ჩვენ მოვიჩხრიკეთ ჯიბეებში ჩარჩენილი გროშები და მაინც წავედით სოფელში პურისთვის. ჩვენი ანგარიშით, ერთი სამი დღე პურის ფულად გვეყოფოდა, მერე კი... მთავარი ის იყო, რომ ცოცხლები ვიყავით.

მესამე დღეს, დილით, როდესაც მა-

იორი მთელი თავისი მშვენიერებით პლაცზე მეცადინეობას ატარებდა, საყარაულოს ოთხმა სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა კაცმა ჩაუარა. წინ, ხნიერი, შავ კოსტუმში გამოწყობილი ხმელ-ხმელი კაცი მიდიოდა, დანარჩენები კი ცოტა დამორებით მიყვებოდნენ.

ჩვენ საპირფარეოების უკან, ვილაციის მიერ დატოვებულ ცეცხლთან ვთბებოდით.

ეტყობოდა, ეს რაღაც დელეგაცია იყო, იმიტომ, რომ მაიორმა მწყობრში მდგარი ჯარისკაცები მიატოვა, სწრაფად მიუახლოვდა მათ და მედიდურად მიესალმა.

შავებში ჩაცმულმა კაცმა მაიორს რაღაც ლაპარაკი დაუწყო. მე ჯერ არაფერი მესმოდა, მაგრამ ის კი დაეინახე, როგორ გაოცდა და შემდეგ აღშფოთდა მაიორი. შემდეგ, სწრაფი, ნერვიული ნაბიჯებით მიუახლოვდა მწყობრს და ჰასანს და მის ორ დამქაშს წინ გამოსვლა უბრძანა.

მაიორმა კიდევ წამოიყვირა რაღაც ბრძანება და ექვსმა ჯარისკაცმა ჰასანს და მის ორ დამქაშს შაშხანები ჩამოართვა, ჭამრები შეხსნა, ჯიბეები გადმოუბრუნა და მათი საცოდავი ქონება მიწაზე წამოყარა.

ერთმა ჯარისკაცმა ჩვენთან მოიბრინა და ცუდად დაფარული სიხარულით გვითხრა, რომ ყაიმაყამი ვიძახითო.

ჩვენ ავდექით და წავედით... იმდენად საცოდავები, რომ ჩვენი შესახებდობით სირცხვილით ვიწვოდით.

— ესენი არიან? — ჯერ დაუფარავი ზიზღით აგვხედ-დაგვხედა მაიორმა და მერე თავით გვანიშნა ჰასანსა და მის დამქაშებზე.

ჩვენ ვიდექით და ვლუმდით. ჰასანს შევხედე. იგი თითქოს ქანდაკებად იყო ქცეული და საღდაც, ჩვენსა და მაიორს შორის იქტირებოდა. არც ერთი კუნთი არ უთრთოდა სახეზე, მხოლოდ მის გრძელ ყელზე ვეებერთელა ხეაწი ოდნავ აღი-ჩადიოდა და მღელვარებას ამხელდა.

მისი ორი დამქაში, რომელთაც მკვდრის ფერი დასდებოდა, პირუტყვსეული შიშით სავსე თვალებს გვიჩვენებდა.

— ესენი არიან? — ახლა უფრო ხმადაბლა იკითხა მაიორმა.

ჩვენ ჯიუტად ვლუმდით. მაიორს სახე ცოტა შეურბილდა, მაგრამ ამ დროს მოულოდნელად რუსულად მოგვმართა ყაიმაყამმა:

— ნუ გეშინიათ, თქვენ აქ აღარ დარჩებით! — და მერე ცივად უბრძანა ომარს: — ჰა, თქვით!

— ეგენი არიან. — თქვა ომარმა.

— თქვენა? — მოლოდინით შემომხედა ყაიმაყამმა.

მე ვლუმდი. დაე, მხდალიც კი ვგონებოდი.. მე არ შემძლო მეთქვა რაიმე იმ დამეს მიცემული ფიცის მერე.

არც ტოვებოდა გასცა პასუხი მიცემულ შეკითხვას. მაიორმა ნერვიულად აათამაშა თავისი სტეკი. ახლა რიგი სტეკოზე მიდგა.

ესენი იყვნენ თუ სხვები? — შეეკითხა მას ყაიმაყამი და პატიმრებზე მიუთითა. — ესენი თუ არა, აბა, მას რომლები იყვნენ?

— სამივე. — ჩაახველა და ისე თქვა სტეკომ. — ამათ მხოლოდ იმიტომ არ მოგვკლეს, რომ ვერ შესძლეს.

ალბათ მაიორსაც ესმოდა რუსული ენა, რადგან „ვერ შესძლეს“ გაგონებაზე ისეთი გააყვებული ზიზღით შეხედა ჰასანს, რომ შემზარა.

ჩვენთან ლაპარაკი მოთავებული იყო და კვლავ ცეცხლისკენ წაგჩანჩალდით.

როცა ასკერების ჯიბეებიდან წამოყრილი „დოვლათის“ გვერდით ჩავიარეთ, ჩვენი ფულები იქ ვერ დაეინახეთ.

— მთელი ფული მაიორსა აქვს. — წაგვეჩურჩულა ომარმა.

— შენ რა იცი? — ჰკითხა ტოვომ, რომელიც ყოველთვის გვიან ხვდებოდა ხოლმე.

— გუშინ რომ გითხარი პურისთვის მივიღივარ-მეთქი, ყაიმაყამთან ვიყავი.

— ეს როგორ გაბედე, ჩვენ ხომ სა-

მშობლო დაიფიცეთ? — წამოვიყვირე მე.

— საქართველო... — დაუმატა ტოგომ.

— ნამდვილი იდიოტები ხართ! — აღმფოთდა ომარი.

მე ალარაფერი ვუთხარი, მაგრამ გულში მის მიმართ ზიზღი დამებოდა.

— წამოდით! — მოგვიახლოვდა ყაიმაყამის ერთერთი თანმზღები. — წამოიღეთ თქვენი ნივთები.

ჩვენ ვუპასუხეთ, რომ ნივთები არ გვაბადია, გავყვეით მას და თან გავიყოლეთ ჯერ კიდევ მწყობრში მდგარ ასკრთა ასიოდე წყვილი თვალის მზერა.

— გვადლობთ! — გვერდით ჩავლისას ვუთხარი ყაიმაყამს.

საოცარია, ჩავლისას ჰასანს თვალი ვერ გავუხსწორე, რადგან შემრცხვა მისი თუმცა შემქმლო საკუთარი ხელებით გამომეჭრა მისთვის ყელი.

— ჰასანი ისე მიყურებდა, ეგონა მეშინოდა მისი... — თითქოს თავის მართლება დაიწყო ომარმა.

— მე კი დავეცი რაცა ჩავუარე. — მხიარულად თქვა სტეპკომ.

გამცილებელმა ყაეხანაში მიგვიყვანა, მეპატრონეს გამოელაპარაკა და წავიდა. მელოტმა და თვალსწერელმა ყაეხანის მეპატრონემ გვერდით პატარა ოთახში გავვიყვანა. ფანჯრის მოპირდაპირე კუთხე ფიცრით იყო გადატიხრული და ნაშა ეყარა. მერე მეპატრონემ ბაიკის ოთახი ქუჭყიანი საბანი მოგვიტანა და ღიმილით შეგვეკითხა — ყავა ხომ არ გინდათო?

— ჩვენ ფული არა გვაქვს. — ვუთხარი მე.

— არა უჭირს, მერე იყოს. — ხელი გაიჭინა მეპატრონემ.

ამან დაგვიმედა. ერთობ კმაყოფილები ყავის დასალევად წავედით.

* * *

— დღეს ვინ ალაგებს? — იკითხა ომარმა.

— ის, ვინც ყველაზე ბევრს ხეთქავს. — ტოგომ თავით ანიშნა სტეპკოზე, რომელიც ქათმის ძვლებს წიქნას განაგრძობდა.

— ასე, ხორციანს ხომ ვერ გადავადლებ? — გამოტენილი პირით გულახეინად წაიფიქრებდა სტეპკომ.

— მუქთამქამელი... — თითქოს თავისთვის, მაგრამ საქმაოდ ხმამაღლა დაიბურტყუნა ომარმა.

— ერთხელ მაინც თქვი ისეთი რამ, რაც ჩვენ არ ვიცით. — თავის მხრივ ირონიით დაუმატა ტოგომ.

მე უკვე მომბეზრდა მათ მიერ სტეპკოს ასეთი წვრილმანი ქირდვა, თუმცა მოწყენილობის გამო პირველ ხანებში მომწონდა კიდევ მათი კინკლაობა.

— თქვენ თქვენი ალაგეთ, ჩვენ კი ჩვენსას მოვუვლით. — საქმიანად უპასუხა სტეპკომ, რომ არ ეჩვენებინა წყენა.

ყაეხანაში გადასახლების მეორე დღესვე მთლიანად დაგვიბრუნეს წართმეული ფული, და მაშინვე კვლავ გავიყავით ორ, ეკონომიურად დამოუკიდებელ ჯგუფად.

— დაჯანბნეთ წაქეუული, არა... — ვთქვი მე. — მთელი თქვენი პრინციპულობა მხოლოდ ანგარიშზეა დამყარებული.

ტოგო ძალიან გაწითლდა და თავი ჩაღუნა. ვიცოდი, რომ განიცდიდა ჩემს მისდამი დამოკიდებულების შეცვლას. ერთხელ მან სცადა კიდევ დავერწმუნებინე, რომ კვლავინდებურად ჩემი საუკეთესო მეგობარია... მაგრამ აი, ნაძირალა სტეპკოს კი კაბიკს არ დავახარებო...

მაშინ მე პირში გავუციე და არაფერი ვუპასუხე.

როგორც ყველა ცოტა გონებაზეზღუდული ადამიანი, ტოგოც ფულს ძალიან უფრთხილდება, მართლაც, იმ მომენტში, როდესაც ჩვენ სიცოცხლეს ნაღდი ფულით ვყიდულობდით, ტოგო ყველაზე უტეხი აღმოჩნდა, რაც არც ისე ადვილი იყო.

— ჯერ ერთი, რა თქვენი საქმეა? —

გადავიდა შეტევაზე სტეპკო, როდესაც მხარდაჭერა იგრძნო. — ჩვენ თქვენსავით ხარბები არა ვართ... და ქათმებს ზედ ყურის ძირში არ ვაჭრით თავებს, ჰა, ჰა, ჰა!

ეს პირადად ომარს ეხებოდა, რომელსაც სტეპკო თავის მიმართ გამელავნებული ოსტრაკიზმის იდეურ მეთაურად თვლიდა. ომარს მართლაც ძალიან უყვარდა კისერი და ქათმებს, ნამდვილი სადისტის გულგრილობით, თავებს ზედ ყურის ძირში აჭრიდა.

— მე ჩემს ქათმებს რასაც მინდა, იმას ვუხამ. აი, შენ კი, ნებსაც შეკამ, ოლონდ სხვის ანგარიშზე იყოს.

— აბა რა?... უეცრად აფეთქდა სტეპკო. — განა მე არ მიდევს წილი თქვენს ფულში?! მაგ ფულის გამო კინალამ თქვენთან ერთად მეც დამხვრიტეს.

— ასეთი ლაპარაკისათვის ჩვენ ერთხელ კინალამ ცხვირ-პირი ამოგინაყეთ. — კუშტად უთხრა ტოგომ.

— ვისა, მე?... აბა, ერთი სცადეთ!.. საქირო იყო სალაპარაკო თემის გამოცვლა, რომ ატმოსფერო შენელებულიყო.

— პირდაპირ საოცარია — ვთქვი მე. — გლეხებს ათეული კილომეტრების სიშორიდან მოჰყავთ ქათმები და რაღაც ოთხ-ხუთ ყურუშად... ერთი ფინჯანი ყავის ფასად ჰყიდიან?!

— ომარი თანაც მთელი საათი ევაჭრება ხოლმე! — ჩაურთო საბრძოლოდ განწყობილმა სტეპკომ.

— იმდენ ხანს იმიტომ ვევაჭრები, რომ მძულანი — თქვა ომარმა.

— შენივე მონაყოლით მაინცდამაინც არც გლეხებს ყვარებიხარ! — მე მალიზანებდა გამოთქმა „მძულანი“, მისი ლექსიკონის ეს ერთადერთი, გრძნობის გამომხატველი სიტყვა.

— იმათ ჩვენ ყველაფერი წაგვართვეს. — მოკუმული ტუჩებით გამოსცრა ომარმა.

— მაგრამ ესენი ხომ სხვა გლეხები არიან. — თქვა ტოგომ. — ამათ არავისთვის არაფერი წაურთმევიათ.

— გლეხი ყველა ერთნაირია... — ომარი ნამჯიდან წამოდგა ტოგომ, წამო, ნარდი ვითამაშოთ... — შენა. არ მოდიხარ? — ჰკითხა ტოგომ.

— არა, მე არ მინდა.

ომარი და ტოგომ წავიდნენ. სტეპკომ კი ბულონით სავსე ქვაბში ძეგლებს ჩაყრა დაუწყო.

უკვე ათი დღეა, რაც აღმოვაჩინეთ ზღაპრულად იაფი ქათმები და მხოლოდ იმით ვიკვებებით, ბულონი კი, საკმაოდ მოგვებურადა.

— წამოდი, ვითამაშოთ. — შემომთავაზა სტეპკომ.

— თავი დამანებე.

— რას გამხლართულხარ ამ ნამჯაზე. ადგე, წავიდეთ! ისინი მე არ მეთამაშებიაან...

— შენც ცოტა მეტი ჰკუა უნდა იხმარო...

— მე ჩემი ჰკუის ძალიან კმაყოფილი ვარ.

— ყოველი კრეტინი კმაყოფილია თავისი ჰკუის.

— ეგ ყველაფერი ლაილია... მე კი, ჩემს ჰკუას საქმით ვაჩვენებ. — სტეპკომ დაუფარავი ირონიით შემომხედა და გარეთ გავიდა.

მინდოდა მარტო დავრჩენილიყავი, რომ ცოტა მეოცნება, ამ, არც ისე დიდი ხნის, მაგრამ ესოდენ შორეულ წარსულზე... მაგრამ სტეპკოს ირონიამ ხასიათი მთლად გამიფუჭა.

ის, რომ თავის თავს იგი სხვებზე ჰკვიანად თვლიდა, ეს არც მეგუჯობოდა... და ათჯერ მეტი არ მიპასუხა მხოლოდ იმიტომ, რომ კვებით ჩემზე იყო დამოკიდებული.

რა თქმა უნდა, ეს საწყენი იყო. განსაკუთრებით კი იმიტომ, რომ სტეპკო მე უფრო მეზობლებოდა, ვიდრე ომარს და ტოგოს. ვითმენდი კი მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენს მდგომარეობაში ამას მოითხოვდა უბრალო, ადამიანური ეთიკა. სტეპკომ კი წარმოიდგინა, რომ მე მასთან ვმეგობრობ.

ღიახ... სულ უფრო და უფრო მნე-

ლდება დაიცვა თავი როგორც პიროვნებაში!

ნუთუ გეოგრაფიული საზღვრების გადასვლა სხვა საზღვრებზე გადასვლასაც ნიშნავს?... ალბათ ეს ასედაც არის. მაგრამ ჩემზეც ხომ უნდა იყოს რაღაც დამოკიდებული?!

რა თქმა უნდა, უკანასკნელ ხანებში მე სულ რაღაც სულელურ ამბებში ვებმებოდი. არც ისე სასიამოვნოა, როდესაც ერთთავად ვილაცას შენი მოკვლა უნდა და მხოლოდ იმასლა ცდილობ, რომ ეს თავიდან აიცილინო...

სადღაც, გულის სიღრმეში ვგრძობ, რომ რაღაცაში მეცა ვარ დამაშავე... მაგრამ რაში, ვერაფრით ვერ გამიგია.

ოჰ, რა უიმედოდ სულელურია ყველაფერი!

სისულელე, რომელიც ყოველთვის თავის ცენტრში მომიქცევს ხოლმე, განუქრნავი ქეცივით თავს არ მანებებს და მომამბერებლად მაგონებს თავის თავს.

აქ, ყავახანაში ყოფნის დროსაც კი მოვახარხებთ რაღაცრაღაცების ჩადენა, თუმცა ამაში ბრალი ყოველთვის ჩვენი არ მიგვიძლოდა.

ჩვენი ოთახი ყავახანიდან გამოყოფილია ბნელი და მყრალი პატარა დერეფნით. უსაქმობის გამო, ყოველთვის ყავახანაში ვსხედვართ ნარდს ვთამაშობთ, ანდა, თუ კლიენტები არ არიან, მეპატრონესთან ვმასლაათობთ.

მუღშივი მოსვლელი აქ თორმეტ კაცს არ აღემატება. ესენი ღუქნების პატრონები და კიდევ ვილაცა უცნობი საქმოსნები არიან. ყველა აქაური მდიდარია, როგორც ამას ჩვენი მეპატრონე გვეუბნება.

საქმებზე მოლაპარაკებას ისინი პატარა, ცალკე ოთახში აწარმოებენ, იქვე თეთრი ფერის რაღაცა არყის მსგავს სასმელს სვამენ, მერე კი ისევ ყავახანაში ოსტატური თაღლითობით ნარდსა და ბანქოს თამაშობენ.

ხანდახან, მთვრალეები პატეფონის ექსივე გაცეითილსა და გაკაწრულ

ფირფიტას ზედიზედ უსმენენ და თანაც ყალბად აყოლებენ ხმას *კრეკუნული*

ყველაზე დიდი მელანქოლიკურ ხანას თხი თავგამოდებული და ხმაურიანი კლიენტია. ისინი თითქოს საგანგებოდ ჩათქვირებულები, სახეგაფიციენებულები და თვალმამღვრულები არიან.

ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, რომ ისინი ან ნარკომანები, ანდა გარყვნილები უნდა იყვნენ. ან, შეიძლება ერთიცა და მეორეც, რადგან ფულიან კაცს აქ სხვა აღარაფერი დარჩენია.

ყავახანისა, რამდენიმე ღუქნისა, ფურნისა და სკოლის მეტი არაფერია, ამ ღვთისაგან და მცირეოდენი კულტურისაგან მივიწყებულ სოფელში.

ჩვენ, რაღა თქმა უნდა, ვესტუმრეთ სოფლის ერთადერთი სკოლის მასწავლებელს. როდესაც სკოლის შენობას ვუახლოვდებოდით - მასწავლებელი სწორედ ამ დროს ისტუმრებდა ილიაში გრიფელამოხრილ უკანასკნელ შეგირდს. ბიჭუნა თავჩაღუნული მიდიოდა, მასწავლებელი კი მეტად არაბედაგოგიურად მას კვალდაკვალ რაღაცას უყვიროდა.

მასწავლებელი ჩვენი ტოლი აღმოჩნდა, ულამაზოდ ასიმეტრიული სახისა, მაგრამ მეტად მეტყველი და გონიერ-თვალეზიანი.

ჩვენი მისვლა ძალიან გაეხარდა, თუმცა ცოტა შერცხვა კიდევ.

მასწავლებელს ცუდად ეცვა და ალბათ ამიტომ ომარმა მის წინაშე ერთობ ქედმაღლურად დაიჭირა თავი და წარბშეუხრელად განუცხადა, რომ იჩეინერ-მეჭანიოსის ვარო. ამან მასწავლებელზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მან თითქოს მობოდიშებით გვითხრა, რომ მე მხოლოდ შვიდკლასიანი განათლება მაქვსო და უამრავი შეკითხვები დაგვისვა იმის ირგვლივ, თუ როგორ იყო დაყენებული ჩვენთან სასკოლო საქმე.

სტეპკომ და ტოგომ აგრეთვე იგრძნეს მასწავლებლის წინაშე თავისი „ათკლასიანი“ უპირატესობა და იმის სურვილით, რომ ომარს არაფერში ჩა-

მორჩენოდნენ, მათაც უცებ აიმაღლეს თავისი განათლების ცენზი. სტეპკო გახდა ასტრონომი, ტოგო კი მათემატიკოსი.

თარჯიმანი ტოგოს საბედნიეროდ, მე გახლდით, რადგან მასწავლებლის ყველა შეკითხვა ჩემი გადასაწყვეტი იყო. პასუხებს ვაძლევდი, რაღა თქმა უნდა, ამ თვითმარქვია აინშტაინის სახელით, რომელსაც გაწითლების ჩვევაც კი დაეკარგა.

ასტრონომიის საკითხები სტეპკოსთან ასეთივე წესით წყდებოდა იმ განსხვავებით, რომ სტეპკომ საოცრად კვიანური გამომეტყველება მიიღო და მასწავლებელს ისიც კი აგრძნობინა, რომ მე ცუდად ვთარგმნიდი.

ჩემი ესოდენ დიდი დამსახურება მხოლოდ ჩემი მეგობრის აბსოლუტუ-

რი ჩამორჩენილობის წყალობით იყო და ამიტომ არა მქონდა უფლება ამით მეამყა.

გეგულოთქა

პირადად ჩემს შესახებ ბიჭებმა საკმაოდ დაუდევრად განაცხადეს, რომ სამედიცინო ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი... და აშკარად უკმაყოფილონი დარჩნენ, როდესაც ამანაც კი მოახდინა მასწავლებელზე შთაბეჭდილება.

ეს იყო ჩვენი მორიგი სისულელე, რომელიც მერე სანანებლად ვაგვიხდა, მაშინ კი, ჩვენი საოცარი ინტელექტუალური მიღწევების დასამტკიცებლად მე და სტეპკომ ვაცბუნებულ მასწავლებელს ღერძზე ვარჯიშის აუარებელი ილეთი ვაჩვენეთ და ინდაურებივით გაფხორილები ამაყად წამოვვდიით.

□ ბაბრძილია იმნაბა □

და შოღის, შოღის...

მაინც რა ხდება, ასე რატომ გვაფორიაქებს,
რატომ ვიღლებით აფრენილი მიმინოს დევნით,
რატომ ვუჩოქებთ შემოდგომის ფერად იალქნებს,
მიმოხაზულებს რქაწითელის ლერწით და მტვევით.

რა ჯადოქარი დაგვასიზმრებს უთვალავ ციცარს,
რატომ ვიჯერებთ, რომ სული აქვს ამწეს, ვეებას,
რა ემართება ჩვენს მშვენიერ, ბრდღღვიალა მიწას,
როცა სიმღერა გადაუვლის მდინარეებად.

ზოგჯერ გვისმობენ მწვერვალები გადასავლელი,
ზოგჯერ მაყვლისფერ ბინდში ვკარგავთ ქედებს საღუქებს,
მაგრამ მიცურავს მზეჭაბუკი თავფარაფნელი,
და თაობიდან თაობამდე იმზეჭაბუკებს.

დღესაც ინახავს ვეფხვის ბწკალებს პერანგი ჯაჭვის,
კლდის ქიმზე ბზინავს გმირის სისხლი გაკაუებული,
და მოყმე, მაჯადაფლეთილი, როდი ჰგავს აჩრდილს,
ან ვის უნახავს აჩრდილები ვეფხვთან შებმული!

დასაბამიდან ასე როგორ გვაფორიაქებს.
ცხელი სტრიქონი, შემოჭრილი სულში მეფურად,
რა გრიგალები ანათებენ აფრებს, იალქნებს,
მალლა და მალლა რომ მივყვებით ჩვენსუნებურად!

თრთის პოეზიის მწვანე სული, შეულახავი,
როგორც ზღაპრული რამ ჩვენება, ერის მფარველი,
აი, რატომ ჰგავს ვრცელ პოემას ველი ნახნავი,
აი, რად ცოცხლობს მზეჭაბუკი თავფარაფნელი.

გრძნეული იგი დაგვასიზმრებს იისფერ ციცარს,
ო, დაგვაჯერებს, რომ ოცნებობს ამწეც, ვეება,
უკვდავ ჩუქურთმად გვაქცევინებს უბრალო ფიცარს,
და მოდის, მოდის, უსასრულო მდინარეებად...

პყავთ დედოფალი



პატარა სკიდან გამოდის სითბო
ხარბად რომ იწოვს ღამე ზამთრული.
რალაც დიადზე ზუზუნით ფიქრობს
სამყარო მძლავრი, შემოსანთლული.

რა ნექტრით სუნთქავს მათი გუმანი, —
ჩაბნელებული თაფლის ტალანი,

მათი ვარძია, აბასთუმანი,
მათი შუამთა და მისთანანი...

მათაც აქვთ თავის დარდი უთქმელი,
პყავთ, დედოფალი და ალამდარი.
ო, ნეტავ რაზე ბჭობენ ფუტკრები,
რას ბუტბუტებენ მთელი ზამთარი...

ს ი შ ო რ ე

ნომ ხედავ, აღარ ვარსებობ შენთვის,
აღარ გიმღერი, აღარ გაღმერთებ,
მომცრო გვირაბთან, მეტროს რომ ერთვის,
ცხელ თვალებს აღარ შემოგაფეთებ.

შენს ცივ კარებზე ზარების ნაცვლად
აღარ დაგვიდებ წითელ მიხაკებს,
აღარ გიგულებ ერთადერთ კაცად,
ვისი რისხვაც კი უნდა მიყვარდეს.

ანაზე მეტად ვერ დაგშორდება.
ქალიც, ათას წლის შემდეგ რომ მოვა,

ო, მისთვის აღარ განმეორდება
შენთა უწყალო ლახვართა თოვა.

ანაზე მეტად ვერ დაგცილდება
თვით უშორესი პლანეტის ერდო,
ანაზე მეტად ვერ გაცივდება
ვერც ერთი გული, მიწას რომ ენდო...

მაგრამ მოძრაობს სამყარო მარად,
ადგილს იცვლიან დაბურული იით კორდები.
და მეც, ქცეული შეიდგერა ქარად,
ჩემსუნებურად,
უნებურად გაახლოვდები.

• • •

უნდა გაგიმართლო, უნდა გაგიმართლო,
დამზრალი თითები სანთლებად აგინთო,
თავად უსინათლომ, უნდა გაგინათო,
ჩემო სალოცავო და მამადავითო.

უნდა ავფოფინდე, უნდა დავიქანცო,
უნდა აგიფრინდე, შორით გაგენაბო,
შომწარო სიმართლე ლექსად დაგიმარცვლო,
დაშლილი ოცნება კარვად აგიღამბო.

უნდა გზა გიჩვენო, ჩემივ დამღუპველი,
უნდა დაგანახვო — პყავის აღუბალი,

უნდა გაგიმეტო მალალი ღრუბელი,
და მერე... მოწყალე იქნება უფალი.

შენ უნდა დასტოვო ჭერი თაღოვანი,
სად წყარო ვერ შესვი და ველარც
დაპურდი...

შორს გზას დაადგები მშვიდი, ახოვანი,
და ვერ გაიფონებ, რომც დამცდეს:
„დაბრუნდი!“



საღღეგრაქლო

მოთხარობა

ჩარღახმოხდილი, მუქ-მწვანე „კოლხოზნიკი“ ღუგღუგით შემოვარღა დაღღემბულ ხეობაში, თითქოს რიერაქს მოსღია კვალღაკვალ და მოიღსღრო ბინღში გახვეული ვიწრო ქალა მტერის მუქი კორიანტელითა და დამწვარი ბენზინის სუნით აავსო. საით მიიჩქარის ასე ღიღაღღრიან? ჩიტებს ჯერ არ გაუღღეღინათ, ჯერ არც ქიუხის ბინაღარი ორბები და არწივები აშლიღან, მთებზე მხოლოღ ხეობიღან ასული მსუბუქი ნისლები დაბოქირობენ და ნამნაპეტერებ კალთებს რუხ მწვერვალებზე იბერტყავენ.

მანქანაში, შოფრის გარღა, კიღევ ოთხნი სხეღან. ოთხივენი თანატოლები ჩანან, ასე, ოცღათხუთმეტი-ორმოცი წლისანი თუ იქნებიან. ახალგაზრღულაღ აცვიათ — ტურისტული ხაკის კურტაკები და მოთხიღამურეთა ღურჯაღ შეღღებიღი, თეთრკანტიანი, ნაქსოვი შარვალ-ხალათები, მაგრამ ახალგაზრღობისა ბევრი აღარაფერი შერჩენიათ: მუხლებზე გაღმოწოღიღი ღიპები, სიმსუქნისაგან გაღაუღაღებული ღოყები, ნაკეცი ღაბაბები, პირწმინღად გაღაღვერიღი თხემები და შეკღარავებული საფეთქლები, — პირის პატივისა და ნააღრევ განცხრომას თითქოს ასაკიღ შეეკღამა და გარეგნობასთან ერთაღ სუღის სიჭბუქეღ შთაე-

ნთქა. საზურგეზე მოშეებით მიწოღიღლები გულგრიღად ავღღებენ თვალს მღიღარ გარეღოს — ღურჯთვალა არავგს, ბროღისფერ ჩანჩქერებს, ცაღაზიღულ, მწვანე ბალახით შექოჩრიღ იაღღლებს, მღინარის ვაღმა-გამოღმა ტყიან გორებზე წამოყუღებულ საგუშაგო ციხე-ბურჯებს, და ზანტაღ და ნეზივრაღ ქშინავენ.

— საოცარია, — თქვა შოფრის გვერღღით რომ იჯღა, იმან, ხაკისკურტაკიანმა და მზერა ხელმარცხნივ, კლღის ქიშზე აღმართულ, პიტაღო ქვით ნაშენ ციხეს გაუშტერა; — ვინ ააშენა ან რისთვის? აი, შევეურებ და გული მისკღება, ესე იგი, ამსიღაღღეზე ჯერ მარტო ერთხელ ისე ასეღა-ჩამოსეღა თქვით და მერე კიღევ იღ უშვეღებელი ღოღების აზიღვა! არ ვიცი, ღმერთმანი, არ მესმის, — მხრები აიჩეჩა, სქელი კისერი გაჭირებებით შეაზრუნა ამხანავებისაკენ და ისე ჩაიციღა, თითქოს უვიცობისათვის ციხის ის უცნობი ამშენებელი ებრაღებაო, — მაშ, მტკნარი სუღელი არ ყოფიღა?

— თავისივე აშენებული კეღელივით პიტაღო სუღული! — დაასრულა ერთერთმა, ზეღა, მარჯვენა კუთხეში რომ იჯღა და სახე სეავის ზორკლიან კისერს მიუგავღა, და საკუთარი მოსწრებული ნათქვამით ნასიამოვნებმა ხმაიღღღა

და როყოდ გაიცინა. დანარჩენმა ორ-
მაც, შეგვერმანმა, გარუჯულსახიანმა
და მინდვრის თავცეცხლასავით მწი-
თურმა ციხისკენ გაიხედეს და ამხანა-
გების აზრი მოწონებით დაადასტურეს.

— აბა, რა!

— მართლაც, რომ...

საუბარში ბოლოს შოფერიც ჩაერია.
იგი სრულიად ახალგაზრდა, ჯერ ისევ
პირტიტველა ქაბუჯი იყო და უფრო-
სებს კრძალვითა და გაკვირვებით შე-
ნიშნა:

— რატომ ყოფილა სულელი, ალბათ
საჭირო იყო და ააშენა.

— მაინც რისთვის იყო საჭირო? ესე
იგი, რისთვის უნდა ყოფილიყო? — ჰკი-
თხა გვერდით მჯდომმა, ხაკისკურტაკი-
ანმა, ვითომ ზედმეტი ყურადღებით და
ამხანაგებს ჩუმად თვალი ჩაუკრა.

— თავდაცვისათვის. — მოკლედ მო-
უკრა შოფერმა და სიჩქარე გადართო.

— შენი აზრით, ესე იგი, ამ ტყე-
ლრეში დასადავი რა ჰქონდა? — იმავე
კილოზე ჰკითხა კურტაკიანმა.

— ტყე რა შუაშია, — კვლავ გუ-
ლუბრყვილოდ და მორიდებით შეეპა-
სუხა ქაბუჯი შოფერი, — ქვეყანას,
მიწა-წყალს, მამულს დაცვა არ უნდო-
და? მტერი ხომ უმეტესად ხეობებით
შემოდრიოდა?

— კარგი ერთი, ღმერთი გიშველის!
— აგდებით უთხრა კურტაკიანმა და
ხელი აუქნია, — ქვეყანა არა! აზირ ისა
სთქვა, რომ ვილაცას მოებრძანა და
ააშენა. საშუალება ჰქონდა, ესე იგი,
ძალა, გავლენა და... ვინ იცის, იქნებ
არც კი სჭირდებოდა და ისე, გართობი-
სათვის ააშენა, ესე იგი, თავმოსაწონე-
ბლად, — აი, ნახეთ, რა შემიძლიაო. —
ხელი საზურგეზე გადადო და ამხანაგე-
ბისაკენ შებრუნდა, — განა ეგვიპტის
პირამიდები სულ ასე არ აშენდა? და
განა ახლაც ასე არ არის? ესე იგი, ვისაც
ხელთ ძალა აქვს, ფული აქვს... ხშირად
თვითონაც არ იცის, რას აკეთებს, რის-
თვის აკეთებს, მაგრამ აკეთებს კი. —
ისევ შოფრისაკენ შემობრუნდა, — ხე-

დავ, ბიჭო, საქმე როგორ ყოფილა? შენ
კი — ქვეყანა, მიწა-წყალი, მამული!

შოფერმა აღარ უპასუხა; საქმეზე დაი-
ხარა და წარბშეკმუხვნილია მწვანე გვი-
რამში შეჭრილ გზას გახედა. დაწყებუ-
ლი საუბარი მგზავრებმა ერთმანეთში
გააგრძელეს. ოთხივენი ერთსა და იმავე
აზრს გამოთქვამდნენ, რომ არსად, არა-
სოდეს, არავითარი ქვეყანა და საქვეყ-
ნო, საზოგადო საქმე არ არსებულა,
არავითარი ერი, მამული, სამშობლო
და ასე შემდეგ, არავითარი თავდადება,
ზრუნვა და თავგანწირვა, რომ მთელი ეს
ისტორიული გმირები უვიცთა და უმაქ-
ნისთა თვალის ასახვევად და გასაბრიყ-
ვებლად არიან გამოგონილნი და თვით
ისტორიაც თავიდან ბოლომდე ყალბი
და მონაპორია, ან, უკეთეს შემთხვევაში,
ისევ ვილაცის პირადი საჭიროებისა და
სარგებლობისათვის არის შეთხზული.
რომ ყველაფერი, რაც კი საუკუნეების
მანძილზე დედამიწის ზურგზე შექმნილა
და გაკეთებულა ან ახლა კეთდება, —
ისევ და ისევ პირადი სურვილის, შესაძ-
ლებლობისა და სარგებლობის ნაყოფია
და მეტი არაფერი, და, მაშასადამე,
ყოველმა გონიერმა კაცმა მხოლოდ და
მხოლოდ თავის თავზე და თავის პირად
საჭიროებაზე უნდა იზრუნოს, თავისი
საქმე მოაწყოს, წინ წასწიოს, სურვილი
აისრულოს. ეს არის სიცოცხლისა და
არსებობის თავდაპირველი და ერთად-
ერთი მიზანი, დანიშნულება, და სხვა
ყველაფერი სიცრუე და სისულელეა.

— ოღონდაც რომ სისულელეა!

— აბა რა!

— განა საღვთო სჯულიც იმასვე არ
გვასწავლის, ზვალის დღისათვის, თვი-
თონ ზვალემან იზრუნოსო?

— რა თქმა უნდა!

— რასაკვირველია!

მიუხედავად გზის სიძნელისა, ღონიე-
რი მანქანა მსუბუქად და ძალდაუტა-
ნებლად მიჰქროდა. ხეთა ძირსდახრილ
რტოებს მტერის კორიანტელს აფრქვე-
ვდა და მოტორის თანაბარ დუგდუგს
არავგის გაბმულ ჩქრიალს უერთებდა.
საუბარიც ასევე გაბმულად და დაუს-

რულებლად გრძელდებოდა, ხოლო გზა მოკლდებოდა, ხეობა თანდათან ღრმავდებოდა, არაკვი ქუბდა და ტყვიისფერ ლოდებს ცივი, ქაფიანი ენით ლოკავდა. მთები იზრდებოდა, მალდებოდა და ჰიუხებს შებრდილ ქაფციხეთა ნანგრევებიც უფრო ხშირად ჩნდებოდა, მაგრამ მგზავრები შხერას აღარაფერზე აჩერებდნენ, ძველსა და დროგასულს ვინ იტყვის, ისინი თითქოს ვერც ტინ კლდეზე გაპრილ, უეგვიანეს გზას ხედავდნენ, რომელზედაც მიდიოდნენ — ვერ ამჩნევდნენ თვალჩაუდგამ უფსკრულებზე გაკიდულ რკინა-ბეტონის ხიდებს, კაცის რწმენისა და ებოქის ამ მართლაც სასწაულებრივ ქმნილებას, რომელიც ყველა მნახველს, უცხოსაც და შინაურსაც, ერთნაირად აცვიფრებს და თითქოს ხმამალა მოსძახის, — შემომხედეთ, მე დღეის პირმშო ვარო! მოკლედ რომ ვთქვათ, აქ მათთვის დასახი და მოსაწონი არაფერი იყო, თვალის სეირისათვის არც ეცალათ, — საქმისაკენ მიიჩქაროდნენ, საქმეზე ფიქრობდნენ, და როგორც საქმოსანთა წესია, ყურადღებით მხოლოდ იქით იყურებოდნენ.

ვიწრო ხეობა უცბად თითქოს გაიხსნა. ერთ მხარეს კარატის ვაკე მწვერვალი და ნახალის ქედი აღიმართა, მეორე მხარეს — გუდანის გვარი, სანაღლე, ბეგენ-გორი და გორზე ასვეტილი ქვის სამანი. აქ, ბეგენ-გორსა და სანაღლის ვიწროებში სახალხო გვირგვინი მამუკა ქალენდაურმა საბოლოოდ გატეხა ზეიადი ფეოდალი ზურაბ ერისთავი და ხევსურეთი ყმობასა და მონობას გადაარჩინა. დამაშვრალმა ბეგენ-გორზე შეისვენა, ხსოვნად და თავისუფლების მოწმედ ეს ქვის სვეტი — „სამანი ჩაპუდა“ და შთამომავლობას მკაცრი და შეუვლი კანონი უანდერძა: „ვინაც მგზავრმა აქ გაიაროს და არ მომიგონოს, — ცხენიდან არ ჩამოხდეს და შესანდობარი არ შესვას, ჩემი ხმლის ცოდო კისრად მას ედოს“.

აგე ქორამეშავის კლდეც — მარტია მისურბელის საბუდარი, რომლის ჯავრი

ზურაბს ძილშიაც არ ასვენებდა, აგე სასაზღვრო სოფლების წარსულსა და ხახმატის საფუშავო ციხე-კოშტებშიც კეთილი, ყინულისთავიანი წუბროვნის მწვერვალი და აგე დათვისჯვრის უღელტეხილიც. ავტომობილმა ისარივით გაიქროლა ზეკარის ვიწრო პრილში და ლეზაისკარის დაღმართებს ჩაეკიდა, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ ლეზაისკარიც უკან მოიტოვა და კისტნის გაშლილ ქალაზე გაივია.

— აი, სწორედ აქ! — ბრძანებდასავით დაიძახა ხაკისკურტაკიანმა და შოფერს მანქანა ვაკის დასაწყისში, ღვიის ბუჩქთან გააჩერებინა. — ჰა, არ ჯობია? — მიუბრუნდა ამხანაგებს, — ესე იგი მდინარე საქმაოდ გაშლილია და დინებაც ნელია.

— ნამდვილად ჯობია, — დაეთანხმნენ ისინიც და მანქანიდან პანტა-პუნტით გადმოლაგდნენ. სიზანტე იმავ წამს გაუჭრათ და მთვლემარე თვალ-წარბზეც გამოცოცხლება და ხალისი დაეტყოთ. აჩქარებით გადმოაწყეს მანქანიდან რაც კი გააჩნდათ სადღეისოდ წამოღებული — სანოვავით გატენილი საგზლის ჩანთები, ორი ცალი მოსასმელი ბადე, ტილოს თეთრი ტომრები თევზისათვის და ორი მუყაოს პარკი ქლორი. თორმეტლტრიანი ღვინით სავსე ყანჯბადის ბალიში ღვიის ზემოთ. ქვებშუა მდინარეში ჩააყიეს. ჯემერები და კურტაეები გაიხადეს, სახესა და მხარ-მკლავებზე ცივი წყალი გადაივლეს, ისევ ჩაიცივეს და ღვიის ბუჩქებქვეშ სახელდახელო სუფრა გაშალეს, — დანიერული დედალი, მოხარშული კვერცხები, ტაბაკები, ნიგვზით შეკაზმული ეკალა მხალი, ნეცლი ყველი, შებოლილი მონადირის ძეხვი და ბლომად მწვანილი და ბოლოკი. სუფრაზე ერთი ბოთლი დაფერილი ჭაჭა ჩამოდგეს და ირგვლივ მორთბილი შემოეწყვენენ.

შე ამოსახედს მოსჯარდა და მოსარკულ ცაზე ოქროსფერი მარაო გამოშალა. მკრთალი ათინათი წუბროვნისა და ბორბალის თოვლით მოზარნიშულ მწვერვალებსაც უწვდინა, მზის ამო-

სკლის წინ ბუნება ჩვეულები-სამებრ გაყუჩდა — მთები მოლო-ღინით გაირინდნენ, მუდამ შმაგი და ბობოქარი არღუნეც დამდო-ვრდა და ხეობამ თითქოს ჩასთვლიმა. მთის ჯანსაღი ჰაერთა და თავანკარი ჭა-ჭით მადალარული მეინახენი ხარბად გლგდნენ ქათმის ფრთა-ბარკალს, ძვლებს ხელუკლმა ისროდნენ და მღი-ნარის სწორ, მსუბუქ ორთქლში გაბ-ვეულ ზოლს საქმიანად ზვერავენდნენ. ოთხივეს სახეზე უთქმელი სიხარული ეხატა და საამისო მიზეზიც ჰქონდათ: მდინარე არღუნი მათს დღევანდელ სა-წადელს სრულ ასრულებას ჰპირდებო-და, — აქ ზომ სათევზაოდ ჯერ კაციშვი-ლი არ მოსულა და არა თუ საწამლაეი, რიგიანად ბადე და ანეკისეც კი არასოდეს მიჰქარებია. და თევზის ეს მდიდარი სა-ბუდარი, საუკუნეობით მიუქარები და შენახული, ახლა მათს ხელშია, მათ ეკუ-თვნის. ხოლო ეს სწორი, სამ-ოთხეი-ლომეტრიანი მონაკვეთი, ასე ნელი და მორკევივით დამდოვრებული... თევზი ალბათ ნარიყვივით წამოვა. ნეტა რამ-ღენი იქნება — ასი კილო? ორასი? შეი-ძლება ერთი ტონაც იყოს.. და თუ ორა-გულიც მოჰყვას.. ორაგული მმართვე-ლის ცოლის დღეობაზე!.. ჰეჰე. ეს მთე-ლი ამბავია, მოვლენაა, სასწაულია, ხო-ლო მმართველის ცოლის დღეობა ისეთი რამ არის, რომ თუ იყოჩაღებ, თავს გამოიჩენ, დაენახვები, შეიძლება მეო-რე დღიდანვე განყოფილების გამგის სკამზე, ან პირდაპირ მოადგილის სა-ფარქელშიც გადასკუბდე.

ასე ფიქრობდა თვითველი ცალ-ცალკე და დღევანდელი საქმიანობიდან ყველა რაღაც სათავისოს გამოელოდა. მაკდურ ფიქრთა დენას ბუნების მღუმარება და უკაცრიელობაც ხელს უწყობდა — მოლოდინს რეალურსა და საიმედოს ხდიდა: ასე აღრე აქ არავინ მოვა, საქმეს ერთ საათში მორჩებიან და აქედან საჩქაროდ იბარგებიან. ველ-კეთილის მიდამოებში, ან არაგვის ჭა-ლაზე სადმე მყუდრო, მოფარებულ ადგილს გამოინახვენ, დეკის ცეცხლს

დაანთებენ, მწვადს შეიწვავენ და სუ-ფრას „ცოცხალით“ დაიმწვენიებენ. ჭა-ღამოს კი, მდიდარი ნადვლები ჩაუხსნა-სენი და კმაყოფილი, შინ მშვიდობით დაბრუნდებიან.

მაგრამ კაცი ბუობდა, ღმერთი იცი-ნოდაო. სწორედ ამ დროს, თითქოს მათს ჯიბრზე. საიდანლაეც ცხენის ფეხის თქართქური და კაცის ეი-ნიანი კივილი გაისმა. ოთხივემ ყურები ეკვიტა, მოქნეული ყბები შეაჩერა და თავთავიანთთვის გაინაბა. ასეთ დროს რატომღაც დუმილს ვამჯობი-ნებთ ზოლზე, თითქოს დუმილით უსია-მოვნება გაქრება. ხმა ერთხანობას მარ-თლაც მიწყდა, მაგრამ მალე ისევ გამეო-რდა, უფრო ახლოდან გაისმა და იმე წამს წყალგაღმა, სიგრძივ გაწოლილ სე-რზე, თეთრცხენიანი მხედარი გადმოდ-გა. იგი თითქოს მიწიდან ამოძვრა, გაე-შებული ცხენი ლაგმის ერთი მოზიდ-ვით შეაყენა, თვალბზე ხელი მოიჩრ-დილა და მკვახე, გამომწვევი ხმით ჩამოჰკივლა:

— ჰეჰეი, ვინა ხართ, მანდ?!

გაწვრთნილი ცხენი უძრავად იდგა და ყურებაწურული პატრონის ახალ ბრძანებას ელოდა. მხედარს ხევსურუ-ლი ნაქარგი პერანგი და ასეთივე მოხა-ტული წინდა-პაქიჭი ეცვა, გვერდზე თითბრით შესალტული დაშნა მოუჩან-და და თეთრ ცხენზე ამხედრებულ ბრინ-ჯაოსაგან ნაძერწ ანტიკური დროის მეო-მრის ქანდაკებას ჰგავდა. მზით აფერა-ღებული ბუმბერაზი მთებისა და ლურჯი ცის ფონზე იგი ისეთ მარმონიულ სუ-რათს ქმნიდა, რომ ბრმასაც კი თვალს მოსტაცებდა, მაგრამ ღვიის ძირას თავ-შეყრილი მეინახენი მისი გამოჩენით ოდნავადაც არ მოხიბლულან, პირიქით. სახეზე ოთხივეს უკმაყოფილება დაე-ტყო და ტუჩის კუთხეებშიც წყენის ნა-ოქები ჩაუსხდა. მხედარმა თითქოს შე-ნიშნა ეს შორიდან და ხმას უფრო აუწია:

— არ გეყურებათ, ვინა ხართ-მეთქი?!

— წადი, წადი, გზას ეწიე, — თავის-

თვის ჩაიბურტყუნა მინდვრის თავცეცხლასავით მწითურმა და მხედარს ქვეშევეშ გახედა.

— ხმას ნუ გავცემთ და წავა, — ურჩია ამხანაგებს ხაქისკურტაკიანმა.

— ჰო, ჯობია. — სხეებიც ამ აზრს დანაბრდნენ და მხედარს ზურგი შეაქციეს. მაგრამ მხედარი არ წაიდა, მათმა ასეთმა ქცევამ უფრო გაახელა, თითქოს შორიდან ეს განზრახვაც შეუტყო, მუქარასავით რაღაც ჩაილაპარაკა, თეთროსნს დეზი ჰკრა, თავვეე დაღრიჭა და დაოთხილი პირდაპირ ახვირთებულ არღუნში შემოაგდო. წყალმა ცხენს კისერზე გადაუარა, მაგრამ გეზი არ შეუცვლია, ჩქარი მდინარე სწორი ხაზით გამოტოპა და ნაპირზე ჩქეფითა და ფხვრიალით გამოეარდა. მხედარმა ნესტობედაბერილი ცხენი ისევ ლაგმის ერთი მოზიდვით შეაყენა და სუფრასთან მსხდომებს ხმამაღლა შეუძახა:

— მოვიდათ ქორი!

მეინახენი უწადინოდ შეიმშუშნენ, ბიწვი-მოიწიეს და სუფრასთან აღგილი მოუცალეს.

— ჩამობრძანდით...

— დაგვეწვიეთ...

— დაგველოკეთ...

მხედარმა მიწვევას ყური არ ათხოვა, თითქოს ვერც გაიგონა, ცხენი უფრო წინ მიაგდო და სუფრასაც და მესუფრეთაც პაქიჭებიდან ჩამონადენი წყლის შეფხები გადააფრქვია.

— აღეპით ფეხზე! — შეუყვირა უფრო ხმამაღლა, — კაცი მოვედი და... რა წესია!

— კი, ბატონო, ახლავე, ამ წუთას. — მეინახენი წამოდგნენ, განზე გაიწიეს და კვლავ თავახიანად მიმართეს:

— ჩამობრძანდით...

— დაგვეწვიეთ...

— მიირთვით რამე...

— დაგვეწვიოთ? ჰო... რატომაც არა, ახლა შეიძლება. — მხედარმა ხმას დაუწია, ცხენი ისევ უკან მიაყენა და ჩამოხტა.

ხაქისკურტაკიანმა არყის ჭიქა მიიწოდა. მხედარმა ჭიქას სინათლეზე გახე-

და, ღმერთი შეგეწიოთო, — თქვა ჰოკლედ და ერთი აწევით გადაჭრა.

— ოჰო, ჭკაპანური კოფე! — უმატა მოწონებით, ტუჩები მოილოკა და ცარიელი ჭიქა ისევ ხაქისკურტაკიანს გაუწოდა, — გამივსე, ცხენს შევასმევ, დასველდა და...

ცხენს არაყი შეასვა, ლაგამი წამოპყარა, აორთქლილ გავაზე ხელი დაჰკრა და საძოვარზე მიუშვა. — აბა დაესხდეთ, დასხედით, — მასპინძლები შეიბატოცა და სუფრას პირველი თვითონვე მიუჭდა.

მეინახეთ ჩათრევას ჩაყოლა ამკობინეს, ერთმანეთს გადახედეს, თავები გადაიქნიეს და სუფრის ირგვლივ რიგრიგობით ჩამოსხდნენ. ხაქისკურტაკიანმა კიდევ შეუტყო ჭიქა და გადაუღვა.

— ერთიც, შემოსწრებისა!

სტუმარი უსიტყვოდ დამორჩილდა წესს და არყის ჭიქა სქელი, ხორკლიანი თითებით ჩაბლუჯა. ორმოც წელს მიღწეული ბრგე აღნაგობის კაცი იყო — უშნო და უქმაჭური. ბრტყელი, ასნეტელი მხრები ჰქონდა, დვინისფერი წვერ-ულვაშით შეჯაგრული, ოთხკუთხედი, ყვრიმალეზიანი სახე, მოხრილი ყბა და მოკაუჭებელი, კეხიანი ცხვირი. ზარბოზად ჩანდა, — მსხვილი წარბამართ დაჩრდილული, ფართო და მოყვითალო თვალები ოდნავ შემღვრეოდა. გაზინთული, გრეზილძარღვიანი მაცები ლიანდაგის საღებ პლახებს მიუგავდა, მაღალ, ნაოჭიან შუბლზე ირიბი, ღრმა ნაჭრევი აჩნდა და თავიდან ბოლომდე კლდიდან გამოვარდნილ ცოცხალ ოჩობინტრეს ჰგავდა. ჭიქა ბორტზე ჩამოღვა, ზედ ხელი დააფარა და მასპინძლები ცალცალკე შეათვალიერა.

— ქალაქელები ჩანხართ... რა ხალხი ხართ, რაზე გარჯილხართ?

— ისე...

— გამოვისიერეთ...

— ინეინრები ვართ...

— ინეინრები? ესე იგი, ანგრევთ და აწენებთ, არა?

— ასეც და ისეც.

— თუ უფრო ანგრევთ? — მისმა

ხარხარმა წამით არღუნის ჩხრიალიც კი დაფარა, — თუმცა, — დაუმატა მოკლედვე, — დაუნგრევლად არცარაფერი აშენდება.. ასეა, ერთი ინგრევა, მეორე შენდება, მაგრამ აშენებული დანგრეულს უნდა სჯობდეს, თქვენი—სჯობია? — ისევ გაიციან და ჭიქა აიღო, მაგრამ სანამ დაილოცებოდა, მასპინძლებს თავისი თავიც გააცნო. — შე კი, იცით, ვინა ვარ? — წინ წამოიხარა და საკმაოდ თავმოწონებით, გავრძელებულად წარმოსთქვა, — თოყო დანიშნული ვარ. გაგივინათ?

— არა, არ გაგივინათ.

— ჰოდა, მე ვარ... ხევსური ამბობს დანიშა, კაცი არა მჯობ ბარისა! აი, სწორედ ისა ვარ. მოვიდათ ქორი! — ჭიქა კვლავ ერთი აწვეით გადახუხა და დედალს ფრთა ააგლიჯა, — ამის მეტი არაფერი გაქვთ?

— როგორ არა, აი ძეხვი, ყველი, მწვანელი...

— მოხარშული ხორცი არა გაქვთ?

— არა.

— ეეხ, — დიდი ხნის დაუვარცხნელი მითელილ-მოთელილი თმით შემოსილი თავი უქმყოფილოდ გადაიქნია, — აბა უხორცოდ პურის ჭამას რა მადლი აქვს.

მასპინძლებმა წყენით და გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს, მაგრამ არაფერი თქვეს. თავთავიანთი ჭიქები აიღეს. სტუმარი დალოცეს და ჭამა განაგრძეს. მზის სხივმა თანდათან ჩამოიჭვეითა, ხეობაში ჩამოიღვარა და ღვიის ჩრდილი მდინარეზე ხიდივით გაჰკიდა. დანიშაური საქმელს მაინცდამაინც არ ეტანებოდა, წიწწით ჭამდა და მსუბუქ სუფრას კვლავ ცერად დაჰყურებდა. მენიახეთაც წაუხდათ მადა, უცხო კაცის ანაზღეული შემოსწრება ოთხივეს საგონებელში აგდებდა — ვინ არის? რა კაცია? რატომ დადის დილაადრიან ამ მთა-გორებზე, რას დაეძებს, რას ზეერავს? ყარაული ხომ არ არის? იქნებ ბუნების სიმდიდრეთა დაცვა ევალებათ? ან იქნებ საგანგებოდ არის მოგზაუნილი? ვინ იცის, ყველაფერი შეიძლება იყოს

და სიფრთხილეს თავი არ სტყვია. ბაკისკურტაკიანმა სიგარეტს მთუქვიადა, ამხანაგებს მრავალმნიშვნელოვნად ევადა დახედა და სტუმრისაკენ შებრუნდა.

— ძმობილო... შენ... აქ რას აკეთებ? — ჰკითხა და კვამლი ხარბად შეისუნთქა.

დანიშაურმა განაბდული თავი ასწია და შემდგრეული თვალები გაკვირვებით მიაშტერა.

— როგორ რას?! ეხნავ, ეთესავ, ვთიბ და ემეი... და ვცხოვრობ.

— არა, მაგას არ გეკითხები... ესე იგი, ის მინდოდა მეთქვა... აქ რატომ ხარ, რატომ დადიხარ-მეთქი.

— ისე, უბრალოდ, მეც თქვენსავით გამოვისიერი... გზას ვათვალერებ.

— ესე იგი, ყარაული ხარ?

— რაის ყარაული?

— რისა და... რა ვიცი, ეს იგი... რომ სთქვი, გზას ვათვალერებო.

დანიშაურს უფრო დაეტყო გაკვირვება.

— ჰოდა, ვათვალერებ. მერე რა, ახალია, კარგია და... თვალს ვახარებ, — წამით გაჩუმდა, მერე ნულა ჩაიციანა, ცალი თვალი მოჰტუტა და შემბარავად დაუმატა, — და ვაკვირდები კიდევ: რას მოიტანს, როგორ ხალხს მოიყვანს.

— ესე იგი... ეგ რაღად ვინდა?

— როგორ? — გაწყრა დანიშაური, — აბა ცოცხლები რისთვისა ვართ? ავი და კარგი არ დაეინახოთ? არ გავივით?

— ეგ ვინემ დაგავალა, თუ?..

— დიდება გულანის ჯვარს! — გაოცდა დანიშაური, — ვის უნდა დაევალებინა, განა სიცოცხლე თავისთავად ავ-კარგის ყველაზე დიდი მოვალეობა არ არის?

— ესე იგი... სხვა არაფერი?

— სხვა რაღა უნდა იყოს!

„მამ უბრალო ცნობისმოყვარეობა ყოფილა და საშიში და სახიფათო არაფერი ჩანს“. — ხაკისკურტაკიანს იმედი მოეცა და ჭიქები ამჯერად თვითონვე შეავსო. ბოთლი დაიცალა, ჭიქებიც გამოცალეს. დანიშაური ფეხზე წამოხტა.

— აბა, წამოდევით და ახლა ჩემთან წავიდეთ, ჩემი ოჯახიც გავიცნოთ... დღეს სწორედ სტუმარი მინდოდა სტუმარს ვეძებდი, და აი გიპოვეთ... უფროსი დაგიკლავთ, დიდდუმიანს. დღემა ძველიცა მაქვს. რაქვი მოგიხარშავთ, ხორცსაც რაქვი მოგიხარშავთ, კარგია, მჩვილდება... ლუდი და ეპიტაურიც ბევრი მაქვს. ნათენგენარი ლუდი მაქვს ისეთი, რომ... კუბრის ზღვა გეგონებათ. ხინკალსაც მოგიხარშავთ... ჰა, არ ჯობია? ქათმის წიწილა და ბალახ-ბუღბუღი ვაქვაც რა სულს დაუქერს... შორი კი არ არის, აქვება, ქვემოთ, ერთი გაქცევია. აბა, მოვიდათ ქორი!

ამხანაგებმა ხაყისკურტაკიანს შეხედეს, მაგრამ ის არც ჰოს ამბობდა, არც — არას, მდინარის ნელჭავლოვან ზოლს მისჩერებოდა და თვალბმობუტული რაღაცას ვარაუდობდა.

ღანიშაურს მოთმინების ძაფი გაუწყდა.

— ჰა, აბა, ჩქარა! მე ყოყმანი არ მიყვარს. ვაქვაცმა ერთი უნდა სთქვა და გააყეთო! მორჩა და გათავდა!

— არა, გმადლობთ, ეგ არ გვინდა, — გამოფხიზლდა კურტაკიანი და გაქუცული ქეჩო მოიფხანა, — შენ ეს მითხარი... ესე იგი... ამ წყალში თევზი ბევრია?

— თევზი? უთვალავი! გინდათ?

— ესე იგი... თევზი ვის არ უნდა.

— ჰოდა, თევზსაც დაგიპერო. ბალღებს წავლაღავ ანკესებითა და... თანაც გაგატანო.

— ანკესებით ვანა რა იმდენი უნდა დაიჭირონ, რომ თანაც გაგატანო? — შენიშნა მწითურსახიანმა.

— რამდენიც გინდათ: ოცი, ორმოცი, მეტიც შეიძლება... რამდენსაც დაიჭერენ.

ამის გაგონებაზე ოთხივეს კინაღამ ხმამაღალი ხარხარი აუტყდა. მმართველის ცოლის დღეობაზე სულ ცოტა ორასი კაცი მართო საპატიო სტუმარი დაჭდებოდა. მეტი თუ არა, ერთი ამდენი თანამშრომლები, მეზობლები და

ახლობლებიც მოგროვდებოდნენ, და ორმოცი და თუნდაც ასი თევზი რომელ ერთს უნდა გასწვდნოდა... ან რას გამოჩნდებოდა. ღანიშაურმა, რა თქმა უნდა, ეს არ იცოდა და ძალიანაც გაუკვირდა, მის გულუხვობას ასე უნდობლად და უხალისოდ რომ მოეკიდნენ. არ დამიჯერესო, ეგონა და ნაწყენმა უფრო ბეჭითად დაუწყო მტკიცება, — ხორკლიანი ხელი განიერ მკერდზე მიიღო და მხურვალედ და გულუბრყვილოდ გაიმეორა:

— ღმერთმანი გაგატანო! მიიღო სოფლის ბალღებს შეეყრი და გუროს წყალმდე ჩავლაღავ. ბევრი კი არ უნდა, ერთს გაჰკვიღებ და... და რასაც დაიპერენ, სულ თქვენ გაგატანო.

— არა, ვხუმრობთ, თევზი რად გვინდა... ესე იგი, დრო არა გვაქვს, — ნაძალადევი გულგრილობით უთხრა კურტაკიანმა და ამხანაგებს გამაფრთხილებლად გადახედა. ამხანაგებმაც უმაღლესი დაუკრეს:

— ჰო, დრო არა გვაქვს.

— მაგდენი სად გვცალია.

— ჩვენ სულ სულ რამდენიმე წუთსაღა დავრჩებით, დავისვენებთ, სუფთა ჰაერს ჩავყლაპავთ და წავალთ.

ღანიშაურს ძლიან ეწყინა, საწადელი რომ ვერ აისრულა: სახე დაუნაღვლიანდა, მხრები ჩამოყარა და განაბდული თავიც დაჰკიდა, მაგრამ იხტიბარი მაინც არ გაიტეხა! „თემ-სოფელს შემოსულ“ უცხო ხალხთან პირმშრალად გაყრა თავს არ ჰკადრა და, რაკი პურადობით გული ვერ იჯერა, სამსახური ახლა სხვა მხრივ შესთავაზა.

— ღმერთმა ხომ იცის, გულით მეწადა, — თქვა დანანებით, — მაგრამ რაკი ასეთ... მაშინ მეც თქვენთან ვიქნები, დავიციდით და დათვისჭვრამდე გაგაცივლებთ. ლუბისკარში ხევისბერს ჯვარის ლულს გამოვატანინებ... ლუდი იმათაც კარგი უდგათ, გულშინ ესევი, ვნახე... და გზას დაგილოცავთ. — პირუკუ შებრუნდა, — თეთრონო! — გასძახა თავქვე და სერს იქიდან ცხენის ქიხინი

რომ გაიგონა, ისევ სუფრასთან ჩაიმუხლა.

ლანიშაურის ნათქვამმა კურტაკიანსა და მის ამქარს მთლად თავზარი დასცა და გამოუვალ ჩიხში მოამწყვდია, — ცხადი იყო ამ არამკითხველ სტუმარს თუ მასპინძელს თავს ვედრავდით და აღწევდნენ. მართალია, წელან საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ ლანიშაურს არავითარი საუწყებო მოვალეობა არ ებარა და, მამასადამე, არც ისერიგად საშიში იყო, მაგრამ თავისი საქმიანობის გარეშე პირისათვის დანახვება მაინც არ უნდოდა: რა საქმეა, რისთვის? სიფრთხილეს თავი არა სტკივავინ იცის, საქმე როგორ წავა, რა მოწყვება, რა მოხდება, სად გასკდება ან სად გაირღვევა? — ეშვას არ სძინავს და ზურგსუკან ზედმეტი მოწმე და მნახველი რად უნდა გედგეს.

ოთხივენი საგონებელს მიეცნენ, მაგრამ სასიკეთო და გამოსადეგი ვერაფერი გამოიხატეს. უმწეოდ შეკუთრდნენ ერთმანეთს და აღარ იცოდნენ, რა ექნათ, რა გაეკეთებინათ და რა გზას დასდგომოდნენ. ჯანდაბას, თევზის ამ მდიდარ საბინადროს როგორმე დასთმობდნენ და ბედს სხვაგან სცდიდნენ, მაგრამ სად წასულიყვნენ? წინ წასასვლელი გზა თვითონვე მოიპრე, ისევ უკან, არაგვისაკენ თუ დაბრუნდებოდნენ, მაგრამ დღისით — მზისით არაგვის ქალაზე მგზავრსა და მეთვალყურეს რა გამოლევს. ვერც დაღამებას დაუცდიდნენ, რადგან დავვიანებით მიტანილს ფასი აღარ ექნებოდა და მაშინ მთელი თავიანთი მიზანი, იმედი და მოლოდინიც ქარისათვის უნდა გაეტანებინათ. ერთი სიტყვით, სხვა საშვებით არ ჩანდა — ან განზრახვაზე ხელი უნდა აეღოთ და იქაურობას უჩუმრად გასცლოდნენ, ანარადა, გულახდილად გამოსტყდომოდნენ და აქ მოსვლის ნამდვილი მიზანი ელიარებინათ. და ეს უნებური მოწმე, ტკბილი სიტყვით, მოფერებით, პატრივისეშითა და, თუ საქმე გახდებოდა, ფულითაც, როგორმე ჩამოეშორებინათ. თუმცა, ვინ იცის,

იქნებ არც კი რამე იქნას საქმე და გულს წინასწარვე ტყუილად ჩხეთქენ? მართლაცდა, რა უნდა მოქმედება იქნებოდა? საკუთარი ხომ არაფერი უფუძლებდა და თავი რაზე უნდა გამოიღოს? ჯერ სცადონ, სინჯონ, ნელა, ფრთხილად, შეპარებით, თანდათანობით...

ოთხივენი საბოლოოდ ამ დაკენამდე მივიდნენ და ეს აზრი საიმედოდაც ეჩვენათ. ჩუმად — თვალებით, მიმოხრით, სახით, და ჩურჩულით განუზრახნენ ერთმანეთს და ჩაიციბული ჭანგბადის სველი ბალიში სუფრის თავში ჩამოდეს.

სუფრის განახლებისთანავე შოფერი წამოდგა, — ღვინოს მაინც ვერ დავლევო, — მოიბოდიშა და მანქანისაკენ წავიდა. საბარგულიდან ხელსაწყოების ზეთით გაზინთული შალითა გამოიღო და გულალმა გამოტილი მოტორქვეშ შეძგრა. ლანიშაურმაც გაიწვია, თუკი ქეიფის გაგრძელებას აპირებთ, ბარემ ჩემსას წავიდეთო, გაჯიუტდა, მაგრამ კურტაკიანმა დაათმობინა.

— ნუ ჩქარობ, — უთხრა დაყვავებით, — დღე დიდია, ესე იგი მოვასწარებთ. აქაც, იქაც.

ლანიშაური დაჯდა. ქეიფი განახლდა. თლილ ჩაის ჭიქებში ქარვისფერი „ახმეტური“ არაქრავდა და მსუბუქ სუფრას თავისი მადლიანი შუქი და სურნელი მოჰქინა.

— მართლაც, კარგი იქნებოდა ცოცხალი კალმახი. — თქვა კურტაკიანმა, ვითომ სხვათაშორის, სასმისები მესამედაც რომ ჩამორიგდა, და ლანიშაურს გამოიმტყვინა შეხედა. ლანიშაურს საწადელის ასრულების იმედი მიეცა და უკმაყოფილო სახე სიხარულით გაებადრა.

— ჰოდა, წავიდეთ, აღეჭით, წამოდით. მისვლისთანავე გავგზავნი ბაღლებს და.. ყოჩსაც დაგიკლავთ, დღემსაც მოგიხარშავთ, და მერე ხინკალსაც მოგიწერებთ... ლუდი და ყიბიტაური რამდენიც გინდათ. — წელანდელივით მკვირცხლად წამოხტა და უფროს ხმამაღლა დაიძახა, — აბა, ჰა, მოვიდათ ქორი!

ხაისკურტაკიანმა დაბლიდან ახედა და მაცდური ღიმილით გაუღიმა.

— არა, წასვლა არ გვინდა, ესე იგი საჭირო არ არის... თუ მოვიწოდებთ, თვეს აქაც დავიჭერთ... ესე იგი... ჩვენ თვითონ დავიჭერთ... და უფრო მეტსაც.

— რით, როგორ? — ლანიშაურმა ხელეზზე დაიხედა, — ანკესი რომ არა გვაქვს?

— გვაქვს, — თვალი ჩაუკრა ხაისკურტაკიანმა, — ისეთი ანკესი გვაქვს, რომ... ესე იგი... ამ წყალში რაც თვეზია სულერთიანად მალდა ამოჰყრის. ჩვენ მხოლოდ უნდა წამოვკრიფოთ და ნაპირზე გადმოვყაროთ.

ლანიშაურს მოუთმენლობა დაეტყო: — მაინც რა უნდა იყოს ასეთი? — აბა ერთი მაჩვენეთ!

— გაჩვენებთ, რატომაც არა — უთხრა დარბაისლურად კურტაკიანმა, — ერთმანეთში დასამალი რა გვაქვს, ესე იგი, რატომ უნდა გქონდეს... დაბრძანდით, საღვთაგანთა შევევით და... — ღვინოს ძეხვის ნაქერი და ტარხუნის მოზრდილი კონა დააყოლა და ლანიშაურისაკენ გაიწია. — ესე იგი, მე ის ბინდა ვთქვა, რომ... დიდებული წესი გვაქვს ქართველებს: ერთმანეთს უბრალოდ გავეცნობით. ესე იგი, არც ფიქრი, არც ყოყმანი, — პურს გავტეხთ, სიტყვას ვიტყვით, დავლოცავთ, გულს გავხსნით და ცნობას მშობას მოვადევნებთ... ესე იგი, ღვიძლ ქმებად გადავიტყვევით, — არც შური, არც მტრობა, არც ლალატი და არც ორპირობა! — დარწყო ხაისკურტაკიანმა და მაცდური ხმითა და ბანალური მქვერმეტყველებით მშობა-მეგობრობის მთელი ფილოსოფია გადმოშალა. რაღა არ თქვა და რაღა არ მივიბ-მოვიბა. ჯერ ქართველთა კაცურკაცობა და გამტანობა შეაქო, მერე ჩვენი მიწა-წყლის სიუხვესა და სილამაზეს შეასხა ხობა, ბოლოს ზოგადად ბუნების ამოუწურავ სიმდიდრესაც გადასწვდა და მისი უღვევლობის დასასაბუთებლად ფიზიკის საყოველთაო კანონი და ვაჟა-ფშაველაც კი მოიშველია,

რომ ბუნებაში უკვალოდ არაფერი იკარგება და ერთი ჯიბის დანახარცს მეორე უმაღ ავსებს და უნდა უნდა მთელი ეს უღვევ-უღვესები სიმდიდრე, ბუმბერაზი მთით დაწყებული და პაწაწინა კენჭით დამთავრებული, ადამიანის სიკეთისათვის არის შექმნილი, ადამიანს ვეუთენის... — რა არის ბუნებისათვის ერთი პატარა მდინარე და მასში დატყერილი თევზი? — ზღვაში წვეთია და მეტი არაფერი. ესე იგი, წვეთიც არ არის. ბუნება ამით არ გაღარიბდება. პირიქით, უკეთესიც კია, — წყალში თევზი დროდადრო უნდა შეთხელდეს, ცორომ მსხვილი წვრილს ანადგურებს და ზრდა და მატება ფერხდება, ესე იგი, ბუნება აღარაფერს იძენს... და ვინ გავკეთებს ამას, თუ არა ჩვენ, ესე იგი, ადამიანები. ბუნება ხომ ადამიანის საკუთრებაა და საკუთრებას კი მოვლა, გაფრთხილება უნდა, ესე იგი, პატრონობა, ზრუნვა...

ლანიშაური ყურს კი უგდებდა, მაგრამ ამ გრძელი ქადაგებიდან ვერავითარი აზრი ვერ გამოიტანა, და, ცხადია, ვერც იმას მიხვდა, რატომ გულმოდგინოზდა ასე ძალიან კურტაკიანი, — რატომ წარმოთქვამდა ყოველ სიტყვას ასე ხაზგასმით, რაღაც განსხვავებულად, ლომილითა და ენის ტყეპნით, რატომ ცმუკავდა ადვილზე საუბრისას, რატომ ასავსავებდა კისერს და ათამაშებდა მხრებს, ხელებს, სახის ნაკვეთებსა და გაქუცულ თვალ-წარბს. მას მხოლოდ უცნაური ანკესის ნახვის სურვილი ჰქონდა და მთელი გულისყურით მის გამოჩენას მოელოდა.

— და აი, მოვედით! — დაასრულა როგორც იქნა ხაისკურტაკიანმა, — ესე იგი, მოვედით, რომ ჩვენი ლამაზი დედაბუნების წინაშე ჩვენი მამულიშვილური ვალი მოვიხადოთ, — ზედმეტი, უსარგებლო და მავნებელი ჩამოვაცალოთ, ასე ვთქვათ, განვტვირთოთ, რომ, ესე იგი, არ გაღარიბდეს და შემდეგშიც თავისი უხვი წყალობა არ მოგვაკლოს. რომ...

— ანკესი საღ არის, ანკესი! — იყ-

ვირა მოთმინებადაყარგულმა ღანიშა-
ურმა.

— ანკესი? ჰო, აქ არის... ესე იგი...
აქ არის. — წამოდგა, ღვიის ბუჩქქვეშ
ქლორებწაფარებული ქლორიანი მუყა-
ის პარკები გააშისვლა და პირი შეუხ-
სნა, — აი ეს არის.

— მერე ამით თევზი როგორ უნდა
დავიჭიროთ?! — გაოცდა ღანიშაური
მჭრქალ მოყვითალო ხრილის მაგვარი
ფხვნილის დანახვაზე და გულბრყვი-
ლოდ იკითხა, — სად არის ლასტი, ნემს-
კავი, სატყუარი, თევზი რას უნდა გა-
ვებას?

ღანიშაურის შეკითხვამ ყველა გა-
აყინა. მანქანასთან საქმით გართულ
შოფერსაც ვაეღიმა, ხოლო ხაკისკურ-
ტაკიანმა იმავე გულმოდგინებით აუხ-
სნა:

— სრულიად უბრალოდ, ესე იგი...
ამას ჩაყვით მდინარეში და შიგ რაც
თევზია, სულ ზედაპირზე ამოცივია...
ესე იგი, ქარავანივით გამოეფინება. აი
ასე, — ხელები წინ გამოშალა და ისე
ამოძრავა, თითქოს წყალს მიაპობსო,
მერე ღანიშაურს მოუთათუნა მხარზე
და სახეში შესცინა, — იცი, რა სეი-
რია! ესე იგი ერთ რამედ მარტო ყურე-
ბა ღირს. დაიცა, ჭერ ჩაყვართ და ნა-
ხავ... ან იცი, რა? — მოდი, შენ თეი-
თონ ჩაყარე. ესე იგი... შენ თეითონ,
შენი ხელით...

— მე ჩაყარო? — ღანიშაურმა წარ-
ბეები მოდრკია და ნაიარევე შუბლზე
ირიბი ნაკეცი გადააწვა. მართალია,
ქლორი თვალით არასოდეს ენახა, მაგ-
რამ გაგონილი ჰქონდა, რომ არსებობს
რალაც შხამი, რითაც მდინარეებს წამ-
ლავენ და ამას კანონი სასტიკად კრძა-
ლავს, — ასეთის ჩამდენს, თუ სადმე
წაასწრო და ხელთ იგდო, ციხეში ამ-
წყვდევს და ზარალსაც მასვე აკისრებს.
— ჰოდა, ეს არ შაიძლების, — თქვა
ღინჯად, ჭიუტად და ხაკისკურტაკიანს
საყვედურით შეხედა, — რაც არ შაიძ-
ლების, არ შაიძლების!

ხაკისკურტაკიანს და მის ამქარს ღა-
ნიშაურის მყარი პასუხი მაშინვე ცუდად

ენიშნათ, ღანიშაურისაგან — უველო,
უპასუხისმგებლო კაცისაგან, კანონისად-
მი ასეთ თავგამოდებას არ გამოელოდნენ,
მაგრამ გარეგნულად არაფერი დაიმჩნი-
ეს და არც იმედი გადაიწყვიტეს, პირი-
ქით, თავი ისე მოაჩვენეს, თითქოს
სიცილადაც არ ეყოთ და გაბრყვება
მოუნდომეს.

— ჰეჰე! — წამოიძახეს ერთხმად
მოგონილი გაოცებით, — ამ მთებში,
ბიჭო, კანონს რა უნდა! როდის იყო,
რომ მთა კანონს ემორჩილებოდა, პი-
რიქით, მთა მუდამ ურჩი იყო, თავისუ-
ფალი... და ამიტომაც არის იგი ღიადი
და ბუმბერაზი... ეგეც არ იყოს, აქ ხომ
დღეს, — ახლა, ამჟამად ჩვენს გარდა
კაციშვილი არ არის? ხოლო ჩვენ...

— და ჩვენ ვინა ვართ, რა ვართ, —
გააწყვეტინა ღანიშაურმა და შუბლის
ნაკეცი უფრო გაულრმავდა, — კანონი
რა არის? კაცია, ადამიანი, — მე, შენ,
სხვა, — პეტრე, პავლე, გიორგი!

— აგაშენა ღმერთმა, — უთხრა სახე-
დაკორტნილმა, — მაშ, ნებაც ჩვენი
ყოფილა.

— ჩვენია, მაგრამ მარტო ჩვენი არ
არის, ხალხისაა, ქვეყნისაა, ყველასია.

— რაკი აგრეა, ჩვენ ჩვენს წილს მო-
ვიხმართ და ხალხმა და ქვეყანამ...

— რომელ წილს? — კვლავ შეაწყვე-
ტინა ღანიშაურმა, — კანონმა წილი, ნა-
წილი არ იცის. იგი მთლიანია, ან არის,
ან არ არის!

— იცით, რა... — საუბარში ისევე
კურტაკიანი ჩაერია, ამხანაგები ხელის
აწვეთ გააჩუმა და ღანიშაურთან მივი-
და, — მოდი, ასე ვთქვათ... ესე იგი,
შენ შენი მიიღე, აი, ხუთნი არა ვართ?...
ესე იგი, კაცის თავზე თუმანს მოგვიმთ.
ეს მდინარე რას გაძლევს, არაფერს,
ხუთი თუმანი კი კაი ფულია.

— ფულს მომცემთ?! — გაიკვირვა
ღანიშაურმა და მსხვილი წარბები და-
კეცილ შუბლზე აყარა, — რადა? რის-
თვის?

— ესე იგი... პატივს გცემთ.

ღანიშაურმა ცალყუბად ჩაიკინა და
დაცინვით კურტაკიანს წაბაძა:

— ესე იგი, მე ფულს მომცემთ და არღუნს კი მოწამლავთ, არა? კაი პატივისცემა კია! მერე ხალხი? თემი? სოფელი? რა ვუთხრა, რა პასუხი გაცე? თავი ცოცხლად დავიშარხო?

ნათქვამს კარგად ვერ მიუხვდნენ და კურტაკიანმა ჰკითხა:

— კი მაგრამ, რა შუაშია? ესე იგი, რატომ უნდა დაიშარხო თავი?

— იმიტომ, რომ ასე შეძენილი ფული — ყალბად, ნაპარევად — ლეშს ასუქებს და კაცს კლავს. და სოფლის, ხალხის თვალში მკვდარი კაცი კი ყველანაირ მკვდარზე უარესია.

— მერე, ხალხი რას გაიგებს?

— მე ხომ ვიცი. მეცოდინება.

— შენც ნუ იტყვი. — ისე მარტივად ურჩია მწითურმა, თითქოს უკვირდა, ეს უბრალო რამე როგორ არ იცისო.

— ნუ იტყვი... ჰმ! — ღვარძლიანად ჩაიცინა ლანიშაურმა და მწითურსახიანს ზიზლით დააშტერდა. — ჩემი თქმა რად უნდა, გულს, სინდისს სად წაუხვალ, თვითონ იტყვის.

მწითურსახიანს დანარჩენებიც აპყვენენ და ლანიშაურს სიცილი დააყარეს, — ახლა გული და სინდისი ვილას ახსოვს, ვილას სწამსო?

ლანიშაურმა პირდაპირ აღარ უპასუხა, ეტყობოდა, ეს უთაებოლო მითხარ — გითხარ მეტისმეტად მობეზრდა, თავისთვის აღრენით რაღაც ჩაიბურტყუნა და მდინარისაკენ გააბიჯა. უცბად ისევ შემობრუნდა, — თქვენ რა გწამთ და რა არ გწამთ, არ ვიცი, ხოლო მე ერთი რამ მწამს და ვთქვი კიდევ — არა! და ეს საკმარისია. თოყო ლანიშაური თემ-სოფელთან, ხალხთან პირშავად არც ყოფილა და არც იქნება! მორჩა და გათავდა! — თქვა მოჭრით, ჯიუტად და სუფრასთან, თავის ადგილზე, რიყის ლოიით მიიმედა დაჯდა.

ოთხეული მიხვდა, რომ ლანიშაურთან ტყბილი სიტყვით, მოტყუებით, თილისმითა და ქრთამით ვერაფერს გახდებოდნენ და ახალ საბალითო ხერხს მიმართეს: ღვინო დააძალეს და დათრო-

ბა დაუპირეს, მაგრამ საწადელს ვერც ამით ეწივნენ. ლანიშაური თუმცა ღვინოში არ ფრთხილობდა — ყველა ჰქვას ძირამდე ცლიდა, მაგრამ დათრობისა არაფერი ემჩნეოდა, რაც უფრო მეტს სვამდა, მოღუნებისა და გაბრუნების მაგიერ, თითქოს უფრო ფხიზლდებოდა და მოძრაობა და მიხრა-მოხრაც უფრო მკვირცხლი და ძალდაუტანებელი უხდებოდა. ყოველ საღვთობაზე ფეხზე წამოხტებოდა, ჰქვას სულხარბადა გამოსცილიდა, რაღაც საგმირო ლექსს წარმოთქვამდა — წაიკაფიავებდა და ხედ აკვიტებულ სიტყვებს დაატანდა: — მოვიდათ ქორი!

ამითაც რომ არაფერი გამოვიდა, ლანიშაურის ჩამოცილება ბოლოს მუქარი-თა და დაშინებით სცადეს. ამ ხნის მანძილზე სასმელი საკმაოდ მოეკიდათ და სიმთვრალის ძალით შეუბედეს, მაგრამ კვლავ ამაოდ. ლანიშაური თითქოს ამას ელოდა, იმავე წამს ზღარბივით აიბურტვნა, ყველა კენთი, ძარღვი და სახსარი თანაბარი ძალით დაეკიმა, შეეკუმშა და უფრო მკვირივ და ერთიანი გახდა. ლანიშაურისათვის ამაში უცხო და უჩვეულო არაფერი იყო, შარი და მუქარა ღედის მუცლიდან ჰქონდა შესისხლ-სორცებული და კარგად იცოდა, როგორც უნდა მოქცეულიყო. მშვილდით მოზიდული ცალ მუხლზე წამოიწმართა, დაშინის ტარი ჩაბლუჭა და ლურჯი ფოლადის ცალღესული — „დავითფერულის ბარტყი“ — ნახევრამდე აშოსწია. ტარზე ხელის გულის დარტყმით ქარქაშშივე ჩაატყლამუნა, თვალეზიდან ნაპერწკლები გადმოყარა და მოგუდული, ქმენანარევი ხმით გამოსცრა:

— აბა, რა გწადიათ? მე აქა ვარ. მოვიდათ ქორი!

კარგად ჩანდა, ლანიშაურა უკან არაფერზე დაიხვედა და ხაკისკურტაკიანმა და მისმა ამქარმა ისევ დათმობა და გაჩუმება ამჯობინეს. მართალია, ერთი კაცი, ჯაჭვ-მუზარადით აღჭურვილი გოლიათი რომ ყოფილიყო, ოთხ კაცთან ვერაფერს გახდებოდა, მაგრამ ისინი

ღღეს ყველაზე მეტად აყალმაყალს უნდა მორიდებოდნენ. გარდა ამისა, სიმართლე რომ ითქვას, ცოტა გულტრეულად იყვნენ, იმიტომ, რომ ფეხი ნამტყუარში ედგათ და კაცს კი ისე არაფერი ალაჩრებდნენ და აცლის ფოლადს, როგორც საკუთარი სიყალბე.

— ხა-ხა-ხა! — გადაიხარხარა ნაძალადევად ხაქისკურტაკიანმა, ღანიშაურისაკენ გადაიხარა და მხარზე ხელი მოხვია, — ვხუმრობთ, ბიჭო, რა უნდა გვეწადოს, ესე იგი... კვი პურისქამა და კვი სალამი.

ღანიშაურმა სამხაც კურტაკიანს მიბარეს და ღანიშაურს ლაქუცი და მოფერება დაუწყეს. ღანიშაური დაჯდა, მაგრამ დაშნის ტარისათვის ხელი მაშინვე არ გაუშვია, ქარქაშიდან ერთხელ კიდევ ამოსწია, ერთხელ კიდევ ჩაატყლაშუნა და ველური, ენინანი შხერით ოთხივენი ცალ-ცალკე ჩამოათვალაიერა.

— ჰოდა, ეგრე, თორემ... ხო ხედავთ ყელს... და, იცოდეთ, კბენაც ცუდი იცის.

ღანიშაური დაამშვიდეს და ერთხანს ისევ სიჩუმე ჩამოეარდა. მზე გადაიხარა და ღვიის ჩრდილი ჩხარ ტოტებქვეშ მიქუშკა. კურტაკიანმა და მისმა ამხანაგებმა დაღვერილ თავებზე ცხვირსახოცები და გახეთის ნახევები წაიფარეს და სიგარეტებს მოუკიდეს. შოფერი მორჩა მოტორის მართვას, მახუთით დასვრილი ხელები იქვე, მდინარის ტოტზე გადაიბანა და მანქანის გვერდით ჩრდილში წამოწვა.

კურტაკიანს უცბად რაღაც გაახსენდა. სწრაფად წამოხტა, ავტომობილს მარჯვნიდან შემოუარა და დოშაქვეშიდან თათრული ხმალივით მოხრილი ნიამორის ყანწი ამოაძვრინა. ეს ყანწი დილას შეუქმნევლად ჩადო მანქანაში, საგანგებოდ წამოიღო, კოლორიტისათვის, რომ, როცა საქმეს მორჩებოდნენ და სუფრას გაშლიდნენ, ამხანაგებისათვის მოულოდნელ ნობათად მიერთობია და გაეოცებინა. მაგრამ რაკი ეს არ მოხერხდა, დამალვას აზრი აღარ ჰქონდა, იანაც ღვინო თავდებოდა და სანამ ბა-

ლიში მთლიანად გამოიკლებოდა, ძითო სადღეგრძელო მაინც შეეცდებოდა წაქნით, რომ განზრახვას მთლანეაშაშინლაძე თავად და გულის ბოლმაც ცოტათი მაინც მოეოხებინათ.

ყანწის გამოჩენამ ყველა გაამხიარულა, უხერხულობა გაფანტა და ხალისი გააღვიძა. ღანიშაურსაც გაეხსნა შუბლი და ჯმუხ, კუშტად შეკრულ სახეზე მოწონების ღიმილი გადაეფინა.

ხაქისკურტაკიანმა მწითურს ყანწი გაავსებინა, მალა შემართა და სამშობლოს სადღეგრძელო წამოიწყო.

— ეს ღვთისაგან კურთხეული ჩვენი სამშობლო, ესე იგი, პატარა საქართველო ისეთი მდიდარი და გულუხვი რამ არის, რომ ყველას ყველაფრისათვის გვეყოფნის. — წარმოთქვა მგრძობიარედ და ზეაწეულ ყანწს ისეთი სასოებით გახედა, თითქოს სამშობლოც, მიწა-წყალიც მთლიანად მასში იყო მოქცეული და ხელში თვითონ ეჭირა. ღანიშაური ჯერ გამტკნარებული სახით უსმენდა და წინწახრილი დაძაბული ყურადღებით ამტერდებოდა. მაგრამ თანდათან მოუსვენრობა დაეტყო, თანდათან უცნაურად აცმუქდა, ადგილზე მოჭანდ-მოჭანდა, ცალი თვალი ნახევრად მოქუტა, აიმრიზა და ცხვირში რამდენჯერმე უკმაყოფილოდ დაიქსიტინა. ხოლო როცა თამადამ წინაპართა დიდი ღვაწლი და მამულისათვის საარაკო თავდადებაც გაიხსენა და, ჩვენც იგივე ვაღი გვაქვსო, დაუმატა, ისევე უნდა მოვუაროთ და ვუპატრონოთ მშობლიურ მიწა-წყალს, მთა-ბარს, დავიკვათ, შევიწახოთ, და თუ საქირო იქნა, თავიც ისევე უყოყმანოდ შევსწიროთო, ღანიშაური ტყვიანაკრავი დათვით წამოიჭრა.

— ვალად გვქვს დაცვა მამულის, მტერთა ვერაგთა ტყეება! — წაიკვთავა და ხარისკურტაკიანს მიეარდა, — მაილ ყანწი! — საესე ყანწი თითქმის ძალით გამოპგლიჯა, განზე გადაგა, ჰრელი პატივებით შემოსილი ჯირკა წვივები გაიბოტიტნა და შემცბარ და გაწბილე-

ბულ შეინახეთ მაღლიდან გამოშვებულ დააკერდო.

— იცით ეს რის რქაა? — იცითნა მკაცრად და ყანწი მაღლა ასწია.

— რა ცოდნა უნდა, — მაუგეს წყენით, — ნიამორისაა.

— და ის იციოთლა, რომ ამისი გასაგისი ქვეყნად აღარსად არის და მარტო აქ, ჩვენს მთებში შემორჩა? არ იციოთ? მაშ არც ის გეცოდინებათ, რომ გადაარჩინა... ჰოდა, გეტყვიოთ, იყურეთ და გასწავლით: ხალხმა გადაარჩინა, უბირმა, უბრალო ხალხმა. სწორედ ამ ღამეზრქების გამო ენიაზებოდა ყველა და ზოგიერთი რეგვენი, წუწვი, უსინდისო, ათსა და ოცსაც არ სჯერდებოდა... ქვეყნად ცუდკაცს რა გამოლეეს, მაგრამ საზედნიეროდ გონიერი და გულსრული უფრო ბევრია... ჰოდა, იმ კარგმა ხალხმა რომ შეატყო, საშველი აღარ იყო, — თავდებოდა კლდის ტურფა ასული — ადგა და ხატს შესწირა. დიდი ძალა ჰქონდა მამინ ხატს და ყველას ხელი შეუტრა. ახლაც ასეა, ნიამორი დღესაც წმინდა ცხოველად ითვლება და ჩვენებური მონადირე მის სიახლოვესაც კი არ გაისვრის თოფს. მართალია, ახლა ხატი აღარავის აწინებს, მაგრამ წესი, ჩვეულება რჯულთ უმტკიცესია... ჰოდა, აი, გადაარჩა, ცოცხალია, არის, ჩვენია... და სამშობლო რადაა? — მთა, ბარი, ტყე, ველი, ქვა, კლდე, მდინარე, ნადირი, ფრინველი, ხსოვნა, ამბავი, ანდერძი, ამავი, ჰირნახული, ძველი, ახალი, ზვალინდელიც, ჰირიც და ლხინიც... ერთი სიტყვით, ყველაფერი დიდიც და მცირეც, მსხვილიც და წვრილიც. ცალცალკე კი არა — ერთად, ერთნაირად, ერთმანეთის გვერდით... და შენახვა, გაფრთხილება და მოვლა-პატრონობაც თანაბარი უნდა, იმიტომ, რომ მცირეც ისეთივე აუცილებელია, როგორც დიდი, და ზოგჯერ უმდირალ, უმნიშვნელო საგანშიც დიდი ამბავი დევს... აგე, გახედეთ, — ყველანი ფეხზე ააყენა და ხელმარცხნივ, მთის თხემზე ობლად შერჩენილი წოწოლა ბუჩქი დაანახვა, — ხედავთ? დიდი რავე კი არ არის, —

ერთი გაქუცული ღვიის ბოჭოლა, მაგრამ ერთხელ იქ, იმის ძირას სამშორით დაბრუნებულმა თადიანმა დაიკვირვებულქსიცი არის: „სად იყავ, თადიანო, ნამი ნაბაღზე გდებია? მთას ვიყავ, შური ვიძებნე, დამაშვრალს ჩამძინებია“. ფშაველი იყო თადიანო, გვირი იყო.

— რა გვირობა ჩაიღინა, მევენახე იყო, თუ ჩაის მკრეფავი? — იხუმრა ხატისკურტაკიანმა.

ღანიშაურმა ყური არ ათხოვა ღლაბუცს, — თემ-სოფლის სინდისს იცავდა — მოუჭრა მოკლედ და ახლა ხელმარჯვნივ, დათვისჭვრის ფერდობზე, მზით გაბრწყინებული ბროლისაკენ გაახედა. — მამუკა ბუჩუკურელს ერთ ზამთარს მზირი დაეცა — პრიშტავი და ორმოცამდე სტრაცნიკი. ბუჩუკურელმა მარტომ გადმოტეხა მთა, ამ ბროლის ლოდთან დაუხვდა და პრიშტავი და მთელი იმოდენა ჯარი თხის არევისათვის დაირეკა.

— ბუჩუკურელი ვილა იყო? — ახლა მწითურსახიანმა ჰკითხა.

— ხევსური იყო, ძველ მთავრობას ებრძოდა... ვაჟი იყო, დედის გაზრდილი... ჰოდა, ეს ამბავი აიმ ბროლის ქვასთან მოხდა... შარშან ვილაც უგუნურს გადმოეგდო და ხრამში ჩაეგორებინა, ხარ-მარხილით ავიტანეთ და ისევ თავის ადგილზე დაედევით, იმიტომ, რომ ხსოვნას ინახავს, სახელიანი კაცის ხსოვნას! უიმისოდ ხსოვნა განახევრდება, სახელი დამკლავდება და თანდათანობით ამბავიც დაიკარგება... შეიძლება ეს ამბავი თავისთავად დიდი არაფერი იყოს, მაგრამ ერთი სახსენებელი კია, რომელსაც ვერც რამით შევცვლით და ვერც შევავესებთ... აი, რა ამბები ხდება ქვეყნად, რას აკეთებს ხალხი?.. და მამულის, სამშობლოს სადღეგრძელოც ეს არის — რა შეეძინოთ, რა შეემატოთ, რა შეეუნახოთ! თორემ ყანწი რა... ყანწის უკან ყველა კაცია, მაგრამ სამშობლოს სადღეგრძელო ყველას არ ეთქმის... ჰო, აი ასეა და იცოდეთ... ამას მე გუბუნებით, მე — თოყო ღანიშაური. ხევსური ამბობს ღანიშა, — კაცი ვერა მჯობ ბა-

რისა. მოვიდათ ქორი! — ყანწი ორივე ხელით მოიყუდა, ხარბად დაეწაფა, დიდი, გაგრძელებული ყლუბებით სულ-მოუთქმელად გამოცალა და ხელუკულმა მდინარეში გადაისროლა.

— ეგ რა ჰქენი, კაცო?! — იყვირა ოთხივემ ერთად, კისრები წაიგრძელეს და ლანიშაურს რისხვითა და აღშფოთებით მიაშტერდნენ.

ლანიშაურმა მათი ფაფხური ბუზის გაფრენდაც არ მიიჩნია. — ეგრე მინდოდა! — მიუგო ტლანჭად, აგდებულად და აუჩქარებლად. — აქ გაჩენილა და აქვე დარჩეს. — და ცოტა ხნის შემდეგ დაუმატა, — ცოდო იყო!

— რა იყო, კაცო, ცოდო, რატომ?

— იყო! იმავე ტლანჭი, აუჩქარები ხმით ვაფიქორა ლანიშაურმა და ტუჩებზე დამკინავი ღიმი გაუკრთა. — ცხენს რახტი შეშვენის, ვირს — კურტანი!

ცხენის ხსენებაზე თავისი თეთრონი მოაგონდა, განზე ვადგა, პირი სერისკენ ებრუნა და მთელი ხმით გასძახა. — თეთრონო! — მაგრამ ცხენი წელანდელივით აღარ გამოეხმაურა, ცოტა კიდევ გაიარა, ხელმეორედ დაუძახა და უფრო ხანგრძლივადაც მიაყურადა, მაგრამ სპასუსხო ჰიზენი არც ამჯერად მოერსმა. — მალე მოვალ! — ვადმოსძახა მხარზემოდან ღვიის ძირას სახტად დარჩენილ ოთხეულს, მარცხენა ხელით დაშნის ქარქაში ჩაბლუჯა, რომ აქეთიქით არ ექანავა, და კუზივით ახნექილი სერი დათვური ძუნძულით გადაიარბინა.

ლანიშაურმა ცხენი მართლაც მალე იპოვა, — სერის ბოლოს, ბუჩქნარიან ტაფობში ჩასულიყო და წყაროს პირას ნორჩ ბალახს ძოვდა — და უკანაც მალევე დაბრუნდა, მაგრამ იდგილზე კაციშვილი აღარ დახვდა — აღარც სუფრა იყო, აღარც მესუფრენი, ღვიის ძირას მარტო ნამუსრევიდა ეყარა — ძეხვის ნაფცქვენი, პურის ნატეხები, ნახევრად გამოწიწნილი ქათმის ძელები, დამკუნარი მწვანილი და გაზეთის ნახე-

ვები, ხოლო ავტომობილი ღრუბარსკარის აღმართებში გარბოდა.

— დამიბალითეს... ვაკურგმა მარმინდომეს. — წყენით ჩაილაპარაკა ლანიშაურმა და თვალბმომოკუტულმა მტვერში გახვეულ ავტომობილს გახედა. შორიდან აწეული ჩარდახი შეინშნა და გულში ჩაიციხა. — ჩარდახის გადაღარებაც მოუსწრიათ... იმაღებთან... ვის ემაღებთან? ვნახოთ. — თქვა ქადილით და ცხენს კისერზე ხელი მოუთათუნა, — აბა, თეთრონ, ქერი და ვერცხლის უნაგირი თუ გინდა, .. უნდა დამწიო.

გრძნეული პირუტყვი თითქოს მიხვდა პატრონის გულისწადილს, ადგილიდანვე ისეკუბა, მიხვეულ-მოხვეულ, ვიწრო ბილიკს მოკლე, ჩქარი ნახტომებით გაეკიდა და მხედარიცა და თავისთავიც მტვერისა და ნალექი ქვიშის კორიანტელში გახვია.

მანძილი კარგა შორი ჰქონდა და გზაც სახეფათო ედო — აღმართ-დაღმართიანი, კლაკნილი, ფრიალო და ფხაწალი. ბევრჯერ ფეხქვეშ ქვამ უმტყუნა და წაიბორძიკა, ბევრჯერ სიპზე ნალი დაუცურდა, აგორებულ ქვას რამდენჯერმე კინლამ თვითონაც თან გადაჰყავა, და იქანცა კიდევ, მკერდსა და ბარკლებში თეთრი ქაფი მოადგა და გავა და თავ-კისერიც ოფლში გაელვარა, მაგრამ პატრონს გულის წადილი კი აუსრულა. კლდოვან, დაკიდულ აღმართზე რბენა ერთი წამითაც არ შეუნელებია. შეუფერებლად აათავა და სწორედ იმ დროს აეარდა დათვისჯვრის ყელში, როცა მანქანა უკანასკნელ ქვეულს ამთავრებდა და ის-ის იყო მთა უნდა გადაეგლო.

ლანიშაური ცხენიდან ჩამოხტა, ერთველ პირუტყვს ოფლიან თვალეზზე რამდენჯერმე გრძობით აკოცა და აღვირი წამოჰყარა, რომ ნარბენალსა და აქოშინებულს ცოტა გაეგლო და მუხლში ქარი ამოედო. თვითონ მანქანის მოახლოებას დაელოდა, — დოინჯი შემოიყარა, მსხვილი ფეხები განზე ვადგა და შუა გზაში მუხის ორტოტი ბოძივით დაერკო.

მანქანაში იმავე თანმიმდევრობით ისხდნენ: წინ, შოფრის გვერდით, კურტაკიანი, უკან — მწითური, შავგვრემანი და სვავის კისერით სახედაკორტნილი, მაგრამ დილანდელი ფახი და უზრუნველი თვითკმაყოფილება აღარცერთს აღარ ემჩნეოდა. ახლა უკვე დამდრთხალად გამოიყურებოდნენ და თვალებს ხაფანგში გაბმული მეღიებევიტ აფგრენდნენ. ეს ფარული შიში და შემფოთება ღანიშაურმა შეხედვისთანავე შეატყო და ნიშნის მოგებით ჩაიკინა. წყენაც იმავ წამს გაუქრა, მაგრამ არ დაიმჩნია და განგებ ისევ გაჭაერებით შეუტია:

— დამალატეთ, განა? გამაცურეთ!

მანქანაში მსხდომები უმწეოდ შეიშმულენ და ენის ბორძიკით დაღირთნეს:

— არა...

— რათა...

— რატომ...

— რა შეუაშია...

— მამ ეს რა არის? — უფრო აუწია ხმას ღანიშაურმა და შუბლიც უფრო შეიკრა, — ხომ გითხარით, მოვალ-მეთქი? გავცილებთ-მეთქი?

— რაღა საჭირო იყო.

— შეწყუხებად არ ღირდა.

— ჰო...

— მოგვერიდა...

— როგორ, საჭირო არ იყო! — არ ცხრებოდა ღანიშაური, — მამ წესი რაღაა? სტუმარს გაცილება არ უნდა? გზის დალოცვა არ უნდა? უნდა, მამ, უნდა! აბა, მაიღით ღვინო, სადა გაქვთ?

— აქ არის, ბატონო, აქ, — მწითურმა კურტაკიანის თქმასაც აღარ დაუცადა, საზურგის უკან შემოდებული ქანგბადის ბალიში გადმოათრია და ღანიშაურს მოაწოდა, — წაიღე. ბალიშიც შენი იყო.

— ჩემი რად უნდა იყოს? — ახლა კი მართლა გაწყრა ღანიშაური და მწითურს ბღვერით შეხედა, — მე წაღება კი არ მინდა, წესი მინდა! — ბალიში სრულიად უბოდიშოდ ჩაუღო კალ-

თაში ხაყისკურტაკიანს. — დამკირე, — უთხრა ტუქსად, პირი შეუხსნა და რეზინის მილს დაამლულ ხმოსავით დაეზაგრა. დაღლილს და გახურებულს ცივი, სურნელოვანი ღვინო უზომოდ ეამა და სულმოუთქმელად ერთ ჩარეჭამდე დალია. მერე მილიც კურტაკიანს მიაჩეჩა და ღრმად ამოიხვნეშა:

— თქვენი გამარჯვებისა იყოს!

— ესე იგი, აღარ დალევი? — ჰკითხა კურტაკიანმა.

— ესე იგი, აღარ, — გამოაჯაერა ისევ კურტაკიანს და წელში აიშარტა, — მეყოფის!

— მამ, გაგვატარე, წავალთ.

— გაგატარებთ... მაგრამ წესზე იღინეთ. გზაზე აღარაფერი გაბედოთ, თორემ... ხახმატში ბაჩიქოური დაგხვდებათ, ბისოში — ღორაული. ჭორმეშავს ვაფია თაობს, ჰიეს — ჭრაქი, გულანს — გაღუა. ბარისახოში ბაბა ბუბუნებს, კორშაში — ტანტრე და ვუკუშაური. გველეთი, დათვისი და მოწმით აღდიას უჭირავს, ხოლო ორწყალს ღადრი და ჭაბანიშვილები პატრონობენ. ქვევით კიდევ სხვა ხალხი დაგხვდებათ... მე კი თოყო ღანიშაურს მემძახიან.

მანქანა გაატარა და თეთრონს მოუხმო. ცხენს ლაგამი ამოსდო, მაგრამ სანამ შექდებოდა, გულმა არ მოუთმინა და უღელტეხილისაკენ მიმავალ ავტომობილს ერთხელ კიდევ გახედა. შიგ მსხდომთა წყენა და გაწბილება თითქოს მანქანასაც გადასდებოდა. უასფალტო ღორღიან აღმართზე რაღაც უცნაურად მიდიოდა, ჩვეულებრივ კი არ მიგორავდა — უფრო წაღმა-უეულმა ხტოდა, ხმაც განსხვავებული ჰქონდა, — თითქოს რაღაცაზე ჭაერობდა და გამწარებული გაბმით ღმუოდა. ღანიშაურმა ეს შეამჩნია და ხმამაღლა ჩაიხითხითა. მანქანას ზურგი შეაქცია, თეთრონს მოახტა და თავქვე ნელი რწევით წაიყვანა. კმაყოფილი უღვაშებში იღიმებოდა, ცალ თვალს ქუტავდა და გულში უხმოდ ღიღინებდა:

— პატრონ ვართ ადგილისანი...



უკანასკნელი გაღასარბანი

აბგაპი

თავი პირველი

თვე იწურებოდა, რაც ხაშურის დეპოს მემანქანის — ტატე ხმალიძის შვილიშვილი მირიანი დამეს შინ აღარ ათევედა. როგორც კი რეისიდან დაბრუნდებოდა და ელმავალს მიმღებ ბრიგადას გადააბარებდა, მაშინვე საღდაც უგზოუკვლოდ გადაიკარგებოდა.

უზომოდ იყო შეწუხებული ტატე, მაგრამ დარდს გულში იკლავდა. ელოს კი — მის მეუღლეს რა გზა დარჩენოდა, იჭდა და ტიროდა.

ბევრი ითმინა ტატემ წუხელ კი, „იუბილეს“ შემდეგაც მირიანი შინ რომ არ მოვიდა, გადაწყვიტა ბერიკაცმა, გათენდებოდა თუ არა, შვილიშვილის კვალს დასდგომოდა.

— რა თავს იკლავ, ქალო! — დაუბღვირა ტატემ ელოს. — დავყვები ხაშურიდან და ზესტაფონამდე ფეხით ჩავალ. იმ გოგოსთან იქნება, სხვაგან სად წავიდოდა? დამელოდე და დღესვე შეკოქილს ჩავაბარებ...

— მოუკვდეს იმას ბებია, რომ შენი შიშით თჯახში ვეღარ შემოუხედა! — წამოიტირა ელომ.

— გამოკერე ახლა შენებურად! მე ვარ ყველაფერში დამნაშავე...

— შენი ჭიუტი ხასიათი დასწყევლოს ღმერთმა... — ქვითინებდა ელო.

— კაი, გეყოფა ახლა! ცრემლს ნუ გამოშლი გზაზე დამდგარ კაცს, — შემოსძახა ტატემ ელოს და კარები გაიხურა.

ახალი გათენებული იყო. ზესტაფონისაკენ მუშაბატარებელი უნდა გასულიყო. ტატემ არჩია მას გაყოლოდა, რადგან ბატარებელი ყველა ბაქანზე ჩერდებოდა და შეეძლო შვილიშვილის ასავეალ-დასავეალი ეკითხათუ კარგი ამინდი გამოვიდოდა, ჩხერიმელას სოფელ-სოფელ დაედევნებოდა ზესტაფონამდე, ოღონდ წიფის გვირაბი გაეელო ბატარებლით.

მიდიოდა აფორიაქებული ტატე ბატარებლისაკენ და აგონდებოდა რამდენჯერ გაეელო ამ ლიანდაგებს შორის მშიერს, დაჩაგრულსა და მიუსაფარს...

მაშინ ხაშურს მიხალოვო ერქვა. სადგურის ხელმარცხნივ, ორსართულიან, ლურჯად შეღებილ სახლის პატარა ოთახში ცხოვრობდა მარტოხელა მემანქანის თანაშემწე გოგია ხმალიძე, რომელიც თავის ობოლ ძმისწულს ტატეს ზრდიდა.

სახლის გადაღმა საორთქლმავლო დეპო იყო. ოთახის ფანჯარასთან კედელს აკრთა ტოტემშემოძარცული, შებოლილი ხე, რომელიც წვიმის დროს შავად იცრემლებოდა. ამ ხეზე ათი წლის ტატეს წნელით მოწნული ჩამოსაქდომი ჰქონდა გაკეთებული და წავიდოდა თუ არა ბიძა სამუშაოდ, ბიჭი ხეზე აცოცდებოდა და მამობილის კვალს იქიდან გაყურებდა.

მიხაილოვოდან გასვლის წინ ქშინავდნენ და ფუხფუხებდნენ „დუბლექსები“ — საკვამლე მილი ვეება თაბახებს რომ მიუგავდათ. კუტუტებდნენ პატარა „ფელეები“. ქვევრივით საქვაბეველარ ამოვესოთ ზორზოხა „გერმანკებს“. ტატე შესცქეროდა ამ ორთქლმავლებს, მათ უკან ჩამწკრივებულ მოცუცქნულ, მწვანე ვაგონებს და ხედავდა, მგზავრები როგორი ფაციფუკით აღიოდნენ მატარებელში, ერთმანეთს ეჯაჯგურებოდნენ, ხელს კრავდნენ, თავზე ახტებოდნენ. ზოგი თავის ბარგს ღია ფანჯრიდან ძირს ექაჩებოდა, ზოგი პირიქით — ზემოთ აწვდიდა ნაცნობსა თუ მეზობელს.

ხეზე შემოსკუპებული ტატე თვალბდაყვებილი დაყურებდა სადგურში ატეხილ ამ ორომტრიალს, ეძახოდა მგზავრებს — ნუ ჩქარობთ, ჯერ ბაქანზე „კრიკუნი“ არ გამოსულაო, მაგრამ ტატეს სიტყვას არაფრად აგდებდნენ, ბავშვია და რა იცისო.

ყველაფერი იცოდა ტატემ, რადგან თავისი დღე და მოსწრება სულ ამ ხეზე იჭდა და სადგურს უყურებდა იცოდა, როგორს უნდა გამოჩენილიყო კრიკუნი და მატარებლის გასვლა გამოეცხადებინა.

დებოდან გამოკრეფილი ორთქლმავლები რომ მილაგ-მოლაგდებოდნენ და ყველა თავის მატარებელს მოსძებნიდა, პირველ ღიანდაგზეც ვაგონებს ჩააწიკწიკებდნენ, ტატემ იცოდა, საცაა კრიკუნი გამოვიდოდა პირველ ვაგონს კი თაბახიან დუბლექსს ან ვეება გერმანკას რომ ვადაბამდნენ (ფელეს რამდენიმე ვაგონი მიყავდა ხოლმე და დიდ

მატარებელს არ ანდობდნენ), ტატე უკვე წამიდან წამზე ელოდა ბაქანზე კრიკუნის გამოსვლას.

და აი, ისიც გამოჩნდებოდა. მალალი, ხმელ-ხმელი კაცი ეფიმ პოპრიადუხინი, ქალარა, ბლანყე წვერით. თავზე წითელი ქუდი ეხურა, ხელში მოკლე ჯოხი ეჭირა ძალიან მკაცრი და პირქუში იერი ჰქონდა. სანამ ხმას ამოიღებდა, ბაქანზე გამოფენილ მგზავრებს ერთი მფარველურად თვალს გადაავლებდა და მერე ორთქლმავლისაკენ გაიხედავდა. დარწმუნდებოდა, რომ მემანქანე დთანაშემწე ადგილებზე იხსდნენ. ამასობაში ბაქანზე ატეხილი გნიასი ჩაწყყნარდებოდა და გაისმოდა პოპრიადუხინის ბოხი ხმა:

„მოქალაქე მგზავრებო! მატარებელი ნომერი სამოცდაორი მიხაილოვო — ზესტაფონი ორი წუთის შემდეგ გავა პირველი ღიანდაგიდან“.

პოპრიადუხინის ხმა არათუ ბაქანზე, არამედ სადგურის შემოვარენში, ოსიაურშიც აღიოდა. ცხრაამუხელები ამბობდნენ, როცა ქარი ჩვენკენაა, კრიკუნის ხმა გვესმისო.

ამ ხმით შეშინებულ-დამფრთხალი მგზავრები ვაგონში ლანდივით აიპარებოდნენ, ხოლო ვინც ბაქანზე ჩამოსვლასა და გამცილებლებთან გამოთხოვებას აპირებდა, ჩამოვიდოდა კი არა, ვაგონის ბნელ კუნჭულში მიიმალეობოდა.

მგზავრები უფრო მეტად შეშინდებოდნენ თუ პოპრიადუხინის გვერდით „დაიჩიროს“ მოკრავდნენ თვალს. ეს სქელი, არყით ცხვირგაწითლებული თანდარმი დღედაღამ სადგურზე იყო და ქართულა საუბარი ესმოდა, მაგრამ საყველბურო ქართულიც ვერ ესწავლავრთი სიტყვა ჰქონდა აკვირებული — „დაგიჭირო“ — და ყველას წარამარა დასძახოდა. მაგრამ თანდარმი „კ“-ს „ჩ“-დ გამოთქვამდა და ამიტომ „დაიჩირო“ ეკერა პირზე. მალე მისი ნამდვილი სახელი ყველამ დაიფიქრა და დაიჩიროდ მონათლეს მგზავრებმა.

სადგურის კედელზე ჩამოკიდებული

დიდი სპილენძის ზარი კი ისეთ ექოს გამოსცემდა, რომ ეფიმი პოპრიადუხინი უკვე დიდი ხნის წასული იყო ხოლმე, ზარი კი ბეჯითად იმეორებდა — მოოქაა-ლაქეე-მგზავრეებოთო...

მერე გამოვიდა სადგურის მორიგე და ზარს შემოკრავდა. კრიკუნის დანატოვარ ექოს ზარის ქრიალ-გუგუნე შეუერთდებოდა და სადგურზე ისეთი რეკვა-მოძახილი დადგებოდა, რომ წამსვლელსაც და გამცილებელსაც სხეულში გაბურქმავდა.

როგორც კი სადგურის მორიგე მემანქანეს კვერთხს მიაწვდიდა, ღუპლექსი ერთი გაბმულად დაიყვირებდა და ადგილიდან წმენით დაიძვრებოდა.

მიხაილოვში არავინ არ იცოდა თავისი ბოხი და ძლიერი ხმის გამო კრიკუნად რამდენი ხანია მუშაობდა ეფიმი პოპრიადუხინი. ის კი ყველამ იცოდა, რომ კრიკუნის დაძახებამდე, სადგურიდან ვერც ერთი მატარებელი ვერ წავიდოდა.

მგზავრებმა ეს იცოდნენ და სხვებსაც ასწავლიდნენ, როცა შინ იყვნენ ან აცილებდნენ, მაგრამ როცა თვითონ მიემგზავრებოდნენ, ჩოჩქოლითა და ჭაპან-წყვეტით ვაგონებში მთელი საათით ადრე აღიოდნენ და კარგ ადგილებს იკავებდნენ.

ტატე კი ხეზე იჯდა და ღღეში ათქვრ ესმოდა კრიკუნის ხმა და პატარა, ობოლი ბიჭიც, ყველა მგზავრს, ვინც კი მიხაილოვოზე გაივლიდა, ეგებებოდა და ეთხოვებოდა.

მაისის ნარნარა ღამის მყუდროებასა თუ ნოემბრის ქარაშოტში, მძლავრად, მთელი ხმით რომ დაიბუბუნებდა ორთქლმავალი, ზუჭუჭა ბოლს მხარზე ყაბალახივით გადაიგდებდა, ძალიან უჭირდა ამ დროს ტატეს გულისთქმისათვის გაეძლო, ზიდან არ ჩამომხტარიყო და გიჟივით არ გაკიდებოდა იმ შავად გარუჯულ ღუბლექსსა თუ გერმანკას და წვიმით ფერშეცვლილ ვაგონებს.

ღებოს გადაღმა კი მუდამ ისეთი საამური ღუმილი იყო, ისეთი უძირო სიმწვიდე, მხარგანიერ გორაკებზე ისე-

თი წყნარი და კამკამა საღამოები იცოდა, რომ თითქოს აუცილებელიც იყო ამ გარინდებულ შემოგარენში. ჩვეთითა და გრილით შეჭრილიყო მატარებელი, რკინის ფილტვებით დაეღრიალა, დგანდგარით ვაერბინა ლიანდაგზე და მერე იმ დალოცვილს დიდხანს დაეტოვებინა ძარღვებში დამშლელი მოძახილი:

ტა-ღუგატა-ღუგ!

ტუ-ტუ-ტუ-ტუ-ტუ-ტუ-ტუ!

ღეპოდან კი გამოდიოდნენ გამურული ორთქლმავლები, მიყავდათ ზესტაფონში მატარებლები და უკან საღამოს, გვიან ღამეს ან მეორე ღღეს ბრუნდებოდნენ.

დაჭროლებდა თავის პატარა ფელეს ცქვიტი, ვერცხლის წყალივით მოუსვენარი ბერგი. გერმანკაზე სერებრიაკოვი მუშაობდა. გოგია ხმაღამის მემანქანე კი კრიკუტი კაკალივით გაუტეხელი გლებ დიაჩკოვი იყო. იმპერატორი „განაპირა“ გუბერნიებში „ტუხემცებს“ არ ენდობოდა და მემანქანეებად მეტწილად გერმანელები, პოლონელები და რუსები მუშაობდნენ.. მემანქანეები მომცრო რკინის ჩემოდნებით დადიოდნენ, სიტყვაძინწნი და დაღერმილნი, საქმისაგან მოუტყელნი და საყბედოდ მოუხელთებლნი.

ტატე მათთან იზრდებოდა. პატარა, გამურულ ბიჭს ყველა იცნობდა. არა იმიტომ, გოგია ხმაღამის შეილობილი რომ იყო, არამედ ღღენიდაგ ორთქლმავლების ირგვლივ რომ დაფუსფუსებდა.

იმ პატარა ოთახში, სადაც ტატეს მხოლოდ ეძინა, ნაადრევად გამოსული, პოპრიადუხინის ხმით დამფრთხალი მგზავრები — დარსა და უავდრობას თავს აფარებდნენ. გოგია ხმაღამის ოთახის კარები მათთვის ყოველთვის ღია იყო. ცხრაამუხელები, ოსიაურენი უსათუოდ მოინახულებდნენ ტატეს, სასუსნავს მოუტანდნენ, ობოლ ბიჭს მიეფერებოდნენ.



ელექტრომატარებელი ლიხში გაჩერდა, რკინიგზელები ვაგონში უხმაუროდ ამოდიოდნენ და ადგილებს იკავებდნენ. სამუშაო იარაღს იატაკზე ისე ფრთხილად და ჩქამგაულეზლად აწყობდნენ, როგორც ეს მხოლოდ მუშაკაცს შეეძლო.

ტენერში გზის ოსტატი ამოვიდა ბრიგადით და ახლა ლიხიდან ქვემოთ დაყვებოდა უბანს. ლიხში სხვა ოსტატები ამოვიდნენ — წიფაში, მოლითში, მარელისში, ხარაგაულში და შორაპანში რომ მიდიოდნენ. იქიდან შემოყვებოდნენ თავთავიანთ უბნებს და სანამ ელექტრომატარებელი საღამოხანს შესტაფონიდან შემობრუნდებოდა, ათჯერ მაინც გაიდიოდნენ.

ვაგონში თამბაქოს ბოლი და უხმოზე დაღეული არყის სუნი იდგა. ერთი მუშა, რომელსაც მეტი გადაეხუხა, მკერდზე ხელს იბაგუნებდა და ამბობდა:

— ხომ იცი, ყოველდღე თუ არ შეამოწმე ლიანდაგი, მატარებელი ჩაეარდება...

— რას მიხსნი მაგას, არ ვიცი თუ? — ქუდი მოიხადა და მუხლზე დაიბერტყა გზის ოსტატმა კოტე ყანჩაველმა.

— იმიტომ გიხსნი, რომ კრებაზე ხმა ამოიღო! ერთი მილიმეტრი ღუპავს მატარებელს!... როგორი თვალის სიმარჯვე გეინდა, რომ ის დაწყევლილი ერთი მილიმეტრი არ გამოგვეპაროს! ჩემ სიფხიზლეს, მადლობა არ ეკუთვნის?..

მატარებელი დაიძრა. ტატე ფანჯარასთან მივიდა და დაბლობში გადაიხედდა. ყოფილ აეროდრომზე მეურნეობის ვენახები გაშლილიყო. გორულ მწვანეს ძველშავი ეტოლებოდა.

ტაშისკარიდან გადმოქანებულ მდლობზე შეფენილ ქვიშხეთს თხელი ნისლი წაფენოდა. ვენახებში კი ცხრათვალა მზე ტრიალებდა.

ელექტრომატარებელმა სიჩქარე უცებ აიღო და მარჯვნივ მკვდლიშვილების უბანიც გამოჩნდა. ტატემ მიმოიხედა

და როგორც კი გზის ოსტატის მხედრი ლიშვილი დაინახა, მივიდა და გვერდით მიუჯდა. არ უნდოდა პირდაპირ ეკითხა პირიანის ამბავი, გადაწყვიტა შორიდან მოველო, რადგან შესაძლებელია, მირიანს სწორედ მასთან ჰქონდა განდობილი თავისი საიდუმლო. ჭიქურ მისვლა საქმეში არ ვარგოდა, ეს მტკიცე წესად ჰქონდა გამოცდილ და ჭირნაქამ ტატეს.

მალე გზაზე გვირაბის თალი გადმოეყუდა. შუაზე ვეება ციფრები ეწერა: 1886—90. წინიდან დაგუდული ხმა მოვიდა, ვაგონები, რომლებიც უკვე გვირაბში იყვნენ, ჭარის მოძახილს ახშობდნენ. მზით განათებული სარკმლები ნელ-ნელა ბნელდებოდა და გვირაბის ორივე კედელზე მბეჭტავი ნათურები დროდადრო ანათებდნენ.

გაღებულ სარკმლიდან ნოტიო ნიავე სცემდა, თუმცა გვირაბის კედლები თავიდან ბოლომდე მშრალი იყო.

ვინ იცის რამდენჯერ გაველო ტატეს ეს გვირაბი. როცა ქარი იყო, ორთქლმავლის ბოლი მიჰქონდა და მემანქანეს მხოლოდ სახე გაემურებოდა ხოლმე. მაგრამ როცა გვირაბის თავსა და ბოლოში მშვიდი ღარი იდგა, ტატე ბოლისაგან ლამის გაგუდულიყო. წინასწარ მომარაგებული ჰქონდა პირსახოცები, რომლებსაც ჯერ კიდევ ლიხის სადგურში წყლით გალუმბავდა. გვირაბში თაბახიანი ღუპლექსი ცხვირს რომ შეყოფდა, ტატე და მისი თანამგმწე მაშინვე სახეზე სველ პირსახოცებს აიფარებდნენ. მხოლოდ თვალებილა უჩანდათ, მაგრამ ბოლი თვალებსაც უწყვდალთ და ხან ერთს ჩახუტავდნენ, ხან მეორეს. დღეში აქ ვინ იცის რამდენი ორთქლმავალი გაივიდა, გვირაბი ბოლითა და მკვარტლით ღრუბელივით იყო გაელენთილი.

ახლა ვაგონების ყველა სარკმელი ღია იყო და სუფთა, მაცოცხლებელი ჰაერი შემოდოდა. ელექტრომატარებელი ღინჯად მისრიალებდა ორგან

მატარებელმა სვლა შეანელა და შეჩერდა. ტატემ გადაიხედა. მუშები გვირაბში მეორე ლიანდაგისათვის ბეტონის შპალეებს აგებდნენ...

„მალე ზუსტი განრიგით ივლიან მატარებლები... დაგვიანება უცხო ხილი გახდება, — გაიფიქრა ტატემ. — იქამდე კი ეს ფანჯრები უნდა მოვითმინოთ!.. მაინც ვინ დაარქვა, სალიანდაგო სამუშაოების გამო ხაზზე დროებით მოძრაობის შეწყვეტას „ფანჯარა“? — შეეკითხა თავის თავს ტატემ. — ეპ, რამდენი ფიქრი მოცოცავენ ერთად ამ ბებერ თავში! — ამოიხენწეა ტატემ. — უნდა ვკითხო ტარასი მჭედლიშვილს მირიანის ამბავი, თორემ საცაა გვირაბი გათავდება და მუშები წითფაში ჩავლენ“.

შელიანდაგები ისევ ცხარედ კამათობდნენ.

— არ ვესმის ბიჭო, არა! — იმეორებდა ტარასი მჭედლიშვილი. გაივლის დრო და ცხოვრება თვითონ დაგარწმუნებს...

ტატემ შეერთა ამ სიტყვებზე. გული შეუქანდა.

„რატომ არის, რომ აგეკვიატება სიტყვა და ტვინის გაბურღვას დაგიწყებს, — გაიფიქრა ტატემ. — რატომ არის, განცდილი და თითქოს დავიწყებულციტ შეორდება... რასაც ახლა ტარასი მჭედლიშვილი იმ ყმაწვილს ეუბნება, მეც ხომ მიიბრუნე!.. განა გუშინ არ იყო? ორმოცდაათი წელი გავიდა? მერე რა არის კაცის ცხოვრებაში ორმოცდაათი წელი? ერთი თვალის დახამხამება...“

დებოში ოსტატი და ხელოსანი, შეჯირდი და საამქროს უფროსი ყველა წიაღზე იღგა. მემანქანეებს რუსეთიდან ცხელ-ცხელი ამბები მოჰქონდათ. მუშებში დაეხერხათ. ხალხი შფოთავდა. სამტრედიასში, ზესტაფონში წასულ ორთქლმავლებს პროკლამაციებს აწებებდნენ, ზესტაფონიდან მემანქანეებისა და რკინიგზელების ქირ-ვარამს ფოთში აგებიანდნენ, იქიდან კი ნოვოროსისკში და ოდესაში. ასე, თანდათან და მტკიცედ იზმებოდა ძმობის ძაფები დი-

დი რუსეთისა და პატარა საქართველოს ერთი ფიქრით აწრიალებულ ადამიანებს შორის...

მეზღვირეუნი

მუშები თათბირობდნენ, აღმინისტრაციას ედავებოდნენ, ლამლაობით ოსიაურში კრებებს მართავდნენ. ტატემ შორს იღგა, ამხანაგებს ენაპირებოდა. სამუშაოს დაკარგვა მისთვის სიკვდილი იყო და წელეებზე ფეხს იღგამდა, ოღონდ იგი „არაკეთილსამედოდ“ არ მოენათლათ. თავგამეტებით მუშაობდა, ამხანაგების საყვედურებს არაფრად აგებდა.

დღითიღვე იჭუშებოდა, კობებგამოკუთხული დადიოდა. თუნდაც დაქცეულიყო ქვეყანა, ოღონდ ელო ყოლოდა ბედნიერი...

— ბიჭო, ტატემ, მხარში ამოგვიდექ!

— ნუ ხარ მარტო...

ტატემ მუშებს არ ეძრახებოდა, ისინიც თანდათან შორდებოდნენ. ერთ დღეს მთელი საამქრო გაიფიცა. სხვა საამქროებმაც მხარი აუბეს. მემანქანეებიც ხაზზე არ გავიდნენ.

ტატემ დებოს უფროსმა დაიბარა და დაავალა დახმარებოდა ზეინკალთა ბრიგადას დუბლექსის ქვაბის შეკეთებაში. ამ ორთქლმავალს ორი დღის მერე თბილისიდან მოსული სამხედრო ეშელონი უნდა ჩაეყვანა ზესტაფონში. ზეინკლებს დებოს უფროსი ორმაგ ხელფასს დაპირდა.

მუშებმა ტატემ გააფრთხილეს, სამხედრო ეშელონი ქუთაისში გაფიცული მუშებისა და გიმნაზიელების დასარბევად იგზავნებოდა. ტატემ ყური არ უგდო და მეორე დღეს ზეინკლებმა დაამთავრეს ორთქლმავლის ქვაბის შეკეთება.

ორთქლმავლის საცეცხლურში ალი აბრიალდა, ქვაბი ორთქლით აივსო და ლოკომოტივი მძიმედ დაიძრა დებოდან. მაგრამ იგი ხაზზე გასულიც არ იყო, რომ გამაყრუებელი გრიალის ხმა გაისმა და აღუღებელი წყალი და ლითონის ნამსხვრევები სეტყვასავით დაეფინა საამქროს.

ტატემ იცოდა ხელობა. რასაც აკეთე-

ბდა, იმის იმედიც ჰქონდა. „მაშ, გაფოცულმა მუშებმა ჩადეს ნაღმი ორთქლ-მაველში? — გაუელვა ტატეს. — გამწირეს... ყელი გამომჭირეს...“ — აცახცახებული ტატე ჩაქდა და თავზე მანუთიანი ხელები შემოიწყო „ბიჭო, ტატე, მხარში ამოგვიდექ, ნუ ხარ მართო...“ — მოაგონდა მუშების გაფრთხილება. „მე ვენაპირებოდი და იმათაც არ დამინდეს... — ცხელი შანთი უბურღავდა ტვინს. — რატომ? რისთვის? ქუთაისში ეშელონი მიდის, მე რატომ უნდა ვიხეტო ამაზე თავი?...“

იქაურობა დაბნელდა. ბოლმა, ორთქლმა, ხმაურმა აავსო ყველაფერი.

ტატე მიიმედ წამოდგა. დაღწილ საამქროში ძნელი გასაგნები იყო გზა. რის ვაივგლახით გავიდა საამქროდან. დებოს უფროსი, ინჟინერი და ეანდარ-მები უკვე მოსულიყვნენ.

„მე ვიცი ნაღმს ვინ ჩადებდა... ვინ არიან მოთავენი... ფიქრობდა ტატე, — ვეტყვი და გადავჩები! აბა, რატომ გამწირეს? ოჯახი რატომ ამიწიოკეს?...“

ეანდარმებს „დაიჩირო“ მეთაურობდა. მან ბრძანება გასცა ზეინკალთა მთელი ბრიგადა დაეპატიმრებინათ და ზედ მიეყოლებინათ ის „არაკეთილსაიმედონი“, რომლებიც აღრევე ჰყავდათ შენიშნული.

ერთი კვირის მერე, როცა მეტეზის ციხიდან ციმბირში გასაგზავნი პატიმრების ჯგუფში ტატემ ერთი მოთავეთაგანი პეტრე ლომოვიც დაინახა, ვეღარ მოითმინა, მივიდა და ბოღმიანად უთხრა:

— შენც ხომ ჩაგაყუდეს, პა? მე რას მერჩოდი, ოჯახი რაზე გამიუბედურე?..

— წინ გრძელი გზა გვიძევს, ტატე, — ამოიყენეს ლომოვმა და მერე იმდენი ახველა, სანამ თვალები არ დაუსისხლიანდა. სული რომ მოითქვა, ტატეს შეხედა და გაღიმება სცადა.

— რას იღრიკები, რა ვახარებს შე უბედურო? — მიამახა ტატემ.

— მიხარია, რომ ერთად ვართ. ვაივლის დრო და ცხოვრება თვითონ დაგარწმუნებს... —

გაციმბირებული ტატე ბოღმიანად, ოქროს საბადოებში მუშაობდა. იგი ცხოვრობდა გრძელსა და ბნელ ბარაკში, რომელსაც ფანჯრების მაგვირად კედლები ალაგალაგ დახვრეტილი ჰქონდა და იქიდან შემოდიოდა ჰაერი. სიცივეში ნახვრეტებს ჩვრებით გამოტენილდნენ ხოლმე. ოთხსართულად შეკოკოლაკებული, გაუჩორკნავი, ნელლი ფიცრებისაგან შეკრული მერხები ყოველ შეტოკებაზე გულისწამლებად ჭრილებდა.

ლომოვმა ტატეს გვერდით გამართო საწოლი. ქლექისაგან ფილტვებგაოქმული იმედს მაინც არ კარგავდა, ამხანაგებს ამხნეევდა:

— რა სახე ჩამოგტირით, ბიჭებო! დარდი ვის არა აქვს, მაგრამ ბიჭობა ის არის, დარდს მოერიო!.. — დაიკივლებდა ომბახიანად. — აღდექით, მუხლი გამართეთ, გარეთ გადიოთ და ფერზე მოხვალთ.

— ასეთ ყინვაში სული ამოგძვრება, — იტყოდა ერთი.

— შენისთანა წრუწუნას არც ლუმელზე, დედაკაცის თბილ მკერდთან დაეყრებოდა ხერიო! — დასჭექავდა პეტრე და მერე გარეთ ყინვაში ახველებდა, რომ მისი ავადმყოფობა არავის შეემჩნია.

პატიმარს, რომელსაც პეტრემ „წრუწუნა“ დაარქვა, მართლაც ცუდი ხასიოთი ჰქონდა. ყველას ებუზღუნებოდა, კრიკაში ედგა, უმიზეზოდ ედავებოდა მეზობელ ბარაკში, სადაც ქალი პატიმრები იყვნენ, შეიპარებოდა ხოლმე და ჩრდილივით ვინმეს მიუწევებოდა. ქალებმა ბევრჯერ დაიილლიავეს და გამოაგდეს შერცხვენილი, მაგრამ წრუწუნა მაინც თავისას არ იშლიდა. ლომოვისა ეშინოდა და ვერაფერს უბედავდა, მაგრამ როცა დათვრებოდა, მაშინ ჭრისტე ღმერთიც რომ მოსულიყო, იმასაც შეუბღვერდა და სჯახებრად გამოიწვევდა.

ტატე ბევრს ფიქრობდა და ვერ გაეგო საიდან შოულობდა წრუწუნა არაყს-როგორც კი შებინდლებოდა, წრუწუნა

თავის ამფსონებთან ერთად ჯერ ჭუცი-
ვით გამოთვრებოდა, მერე კუთხეში მი-
ჯდებოდა და კამათელს გაახურებდა.
წრუწუნა თუ წააგებდა, ისეთ ყვირილს
ატეხდა, რომ მთელი დღის მუშაობით
დაღლილ პატიმრებს ძილსა და მოსვენ-
ებას დაუკარგავდა. ამ დროს ლომოვს
ყოველთვის გადანახული ჰქონდა კათ-
ხით წყალი. სტაცებდა წრუწუნას საყე-
ლოში ხელს და კათხას თავზე ჩამოაც-
მევდა. ტყუილსავე ცივი წყალი ერთბა-
შად ჩააჩუმებდა წრუწუნას, ჩაჯდებოდა
იგი იატაკზე და დედაკაცივით აქვითინ-
დებოდა.

დეკემბრის ერთ ყინვიან დღეს პა-
ტიმრები მალაროში იყვნენ და მაგარი
ქანის აფეთქებას აპირებდნენ, რადგან
წერაქვით ვერაფერი დააკლეს. ნაღმი
ძლიერი გამოდგა. აფეთქების ტალღამ
მთა ჩამოაქცია და სამი პატიმარი ცოც-
ხლად ჩაიშარხა. როცა ბოლი და მტვე-
რი დაჯდა, პატიმრებმა ჩამარხული ამ-
ხანაგების გამოყვანა სცადეს. ტატე მუ-
შაობის დროს გაყინულ მიწაში უცებ
აღამიანის გვამს წააწყდა, რომელიც
მუშისასავით შენახულიყო.

— ოქროსმადიებლის გვამი შეიძლება
იყოს, — წასჩურჩულა ტატეს ლომოვმა,
ამ ადგილებში მესამედ რომ იხდიდა სა-
სჯელს და გამოცდილებით ახსოვდა. —
ჯიბეები გაუსინჯე, ოღონდ ფრთხილად.
წრუწუნა და გრძელი ვანკა გითვალთვა-
ლებენ!..

ტატემ მოუხერხებლად დაუწყო ოქ-
როსმადიებელს ჯიბეებში ფათური და
უცებ იჭიდან ვეება ქისა ამოათრია.

— ოქროა... — წაიჩურჩულა პეტრემ,
როგორც კი ქისას თითი მოახვედრა,
მერე უცებ ტატეს ხელი სტაცა და გან-
ზე გადააგდო.

იქ, სადაც ტატე იდგა, გრძელი, მძიმე
წერაქვი ღრმად წაეფლო მიწაში.

პირქვედამხობილმა ტატემ წამოიხე-
და, ჯერ კიდევ ვერ გარკვეულიყო რა
მოხდა და პეტრემ რატომ გადმოაგდო.

— დააგდე ქისა, ბიჭო! — ქართულად
დაუძახა პეტრემ.

გრძელი ვანკა, ძველი ქურდი და კა-

ცის კვლავ ნაკატორღალი, როგორც
ჩანს უთვალთვალეზდა და დაინახა. ტა-
ტემ ქისა რომ იპოვა.

იმავე წუთს ვანკას გვერდით წრუწუ-
ნა გაჩნდა. მათ წიხლი წაქრეს წაქვეულ
ტატეს და ქისისაკენ ერთად დაიხარნენ.
თან ერთმანეთს სისხლით დაბერილ
თვალეებს უბრიალებდნენ. ქისა მათგან
ერთი მკლავის ვაშლაზე იყო და რომე-
ლი მოასწრებდა აღებას. ვანკამ დაასწ-
რო. ჭუჭყიანი ფრჩხილებით ქისა აიტა-
ცა. წრუწუნა სახტად დარჩა, ვაოცები-
საგან ხმა ველარ ამოიღო. ამფსონს
შხამპორეული თვალეებით გადახედა და
ხელი წერაქვისაკენ გააპარა. ვანკამ იხ-
ვლთა და გაიქცა...

წრუწუნა მიწაზე გაგორდა და ბავშ-
ვივით ღრიალი დაიწყო.

ლომოვმა წამით მოიცალა და წრუ-
წუნას ბარისხელა მტკაველი თავში ისე
ჩასცხო, რომ ჩექმის ყელივით ჩაეცა.

— დაკვარგე... ოქრო დაკვარგე... —
ღრიალებდა წრუწუნა.

— ყეყეჩო! — დაუძახა პეტრემ, — ამ
შუა ზამთარში ბოდაიბოზე გავა თუ
ოლეკმაზე შენი ძმაკაცი? ნუ ბლავიხარ,
საღამოს ისევ თავს დაკვიკრავს...

ლომოვი მართალი გამოდგა. როგორც
კი შებინდდა, ბარაკში ტანსაცმელშე-
მოფლეთილი, გათოშილი გრძელი ვანკა
შემოეყუდა.

— ხომ გითხარი! ჯოჯოხეთს ერთი
მუგუზალი აკლდაო... — თქვა პეტრემ
და მერხზე წამოჯდა, — ო, თქვენი სინ-
სილა გაწყდა, არამზადებო...

წრუწუნას იმედი ვადაეწყვიტა, და-
რწმუნებული იყო ვანკას დათვი შეჭამ-
და ან ტაიგა ჩაყლაპავდა. ახლა გახარე-
ბული კუდს აქიციანებდა. გაყინულ ვან-
კას არაყი დააღვეინა და პურის ქერჭი
მისცა. როცა ვანკა მოსულიერდა, წრუ-
წუნამ კამათელი გააგორა.

ტატე უყურებდა ორ მშვიერ მგელს,
რომლებიც არყით გაწითლებული თვა-
ლებით ერთმანეთს უცინოდნენ და თან
ერთიმეორის შესაქმელად ეშხადებოდ-
ნენ. წრუწუნა უხალისოდ თამაშობდა.
კამათელს ნისიაზე აგორებდა, მოგებით

კი ვანკა იგებდა. წრუწუნამ წააგო ერთი ხელი, ორი... წააგო იმდენი ოქრო, თავისი სიცოცხლე ბოღანიბოზე რომ გდებულყო და კვირაში ერთხელ სავსე ქისა ოქრო ებოვა — მინც ვერ გადაიხდიდა. წრუწუნას სახეზე სიმწრის ოფლი გადასდიოდა. უცებ იგი წამოხტი, ბარაკის კედელში ჩამალული ნაჭახი გამოიღო და ვანკას წინ დაუგდო.

— ნაჭახზე ვითამაშოთ! — ჩუმად თქვა წრუწუნამ.

— მილიონის ოქრო წააგე და ამ უანგიაში რკინით იხდი? — გაიღრიჭა გრძელი ვანკა.

— ნაჭახით არ ვიხდი, — გაფითრებულმა თქვა წრუწუნამ, — სისხლით ვიხდი. ვინც ბოლო ხელს მოიგებს, ნაჭახი მისია და... ბარემ გათავდება ყველაფერი.

— ეი, ნუ ააფრინეთ! — დაიყვირა ლომოვმა. — გარეთ გადით და ცოფიანი ძაღლებივით ერთმანეთი შეჭამეთ. ჩვენ შარში ნუ გაგვხვევთ.

მთელი ბარაკი აიშალა. ვინც იწვა, მერხებზე წამოჯდა, ვინც დაბლა იყო, მოთამაშეებს რკალად შემოეწყყო. ჩამოვარდა საშინელი სიჩუმე. ნავთის ფარანის წრიბინი მოისმა. ტაიგიდან ქარიშხალმა დაიღრინა და ბარაკის კარები გააქრატუნა.

— კარები დაეკეტეთ! — დაიხავლა გაფითრებულმა გრძელმა ვანკამ, მერე ნაჭახი ხელში აიღო და ცერით ფხა მოუსინჯა. — არ არის გალესილი, — თქვა და ძირს დააგდო.

— ნუ დარღობ, შენ გამხმარ კისერს მოერევა! — დაიყუთა წრუწუნამ.

— შეგჭამ... დაგფშვნი... წაისისინა გრძელმა ვანკამ.

— გააგორე! — ცალ მუხლზე დაიჩოქა წრუწუნამ.

— უხ, შენი დედა... — წამყრალა გრძელმა ვანკამ, მუხლზე მოწყვეტით დაეშვა და კამათელი გააგორა. — იცოდე, ერთი გაგორებაა! — მიაძახა წრუწუნას და ამ დროს დაინახა, რომ დუბაქი დაჭდა.

— ერთი გაგორებაა... ჩაიციანა წრუ-

წუნამ, კამათლები წამოკრიფა, მუკში გაათამაშა, მერე წაყარა და ვაშლილი მტკაველი ბარძაყზე მიიტყუპუნა.

ყველას თვალები გაუფართოვდა და უცებ, მთელმა ბარაკმა ამოიგმინა.

სველ, თავებებისაგან დახრულ იატაკზე დუშაში იჭდა.

ტაიგიდან მოსული ქარიშხალი კარებთან ასორსლილიყო და ღრინავდა. ბარაკში ნავთის, ოფლისა და სისხლის სუნი დადგა.

გრძელმა ვანკამ უბიდან სავსე ქისა ამოიღო და წრუწუნას გადაუგდო.

წრუწუნა გაუმტრევლად იჭდა. ქისისათვის არც კი დაუხედა.

— აიღე და გაათავე, — დაუძახეს აქეთ-იქიდან პატიმრებმა და თავ-თავის მერხებზე აძვრნენ.

— წაგებული სისხლით იხდის... — ხმადაბლა თქვა წრუწუნამ.

— მორჩი ერთი, სანამ ცოცხალი ხარ, არყის ფულად გეყოფა, მეტი რა ფეხები გინდა! — ნაძალადევად გაიციანა გრძელმა ვანკამ.

— სისხლით იხდის... — წაიჩურჩულა წრუწუნამ, დაავლო ნაჭახს ხელი და სანამ ვინმე გონს მოსვლას მოასწრებდა, ვანკას ნიკაბქვემოთ, ყანყრატოსთან მთელი ძალით დაჭკრა.

ტატეს რაღაც მძიმედ მოხვდა ზურგში, მოიხედა და შეშინებულმა დაიღრინა. მერხის გაუჩორკნავ ბოძთან გრძელი ვანკას თავი ირწეოდა, რომელსაც კვლავ რაღაცის თქმა სურდა.

წრუწუნამ კარგად იცოდა კატორღის კანონები. ახლა გრძელი ვანკა წაგებულს ველარასოდეს დაიბრუნებდა.

გრძელი ვანკას სიკვდილი ძვირად დაუჭდათ პატიმრებს. აღმინისტრაცია მიუზეს ექებდა ბოლშევიკებთან ანგარიშის გასასწორებლად და კატორღელის მკვლელობა „ფარულ ორგანიზაციას“ გადააბრალეს. ზედ ამას პატიმრების მიერ გამოცხადებული „შიშშილობაც“ დაერთო და „მოთავენი“ როტმისტრ ტრემშჩენკოვს მიუყვანეს ბორკილდადებული.

ტატე ხატზე და ჭვარზე იფიცავდა,

მოთავე არ ეყოფილვარო, მაგრამ ტატეს ყური არაფერს უგდო.

პატიმრები გაამწკრივეს და მალე მათ მიუახლოვდა არაერთი სახედაწითლებული ტრეშენკოვი.

— ირმის ზორცს ხომ არ მიირთმევთ, ბატონებო?!.. — სისინებდა როტმისტრი. — ამბობენ, საიჭიოში სულ პირველი კლასის რესტორნებიაო... ჰმ, ჩვენ მაინც მოწყალენი ვართ... ჰუმანურნი... ბაღლინჯობივით თქვენი გასრესა სულ იოლია, მაგრამ გადაეწყვიტეთ სიცოცხლე გაჩუქოთ, რათა ერთხელ და სამუდამოდ ჰქუა ისწავლოთ...

პატიმრების მწკრივი სასომხიდილი მისჩერებოდა როტმისტრს და ელოდა განაჩენს. მათ კარგად იცოდნენ, აქ არაფერი არ იცავდა. მხოლოდ შეწყალენის იმედი უნდა ჰქონოდათ...

— დიახ, ჰუმანურნი ვართ... — ბლუქუნებდა ტრეშენკოვი, — და ყველას კი არ ჩამოვანჯირობთ, არამედ მარცხნიდან მარჯვნივ ყოველ კენტს... აბა, დავითვალოთ! — და ტრეშენკოვი ერთი წუთით შებრუნდა, რომ ჯარისკაცებისათვის მოეხმო.

ტატეს ვიღაცამ ძლიერ ჩასკიდა ხელი და თავის ადგილზე გადააყენა.

როტმისტრი შემოტრიალდა.

— აბა, დავითვალოთ, ბატონებო! ერთი წინ, ორი — უკან, სამი წინ, ოთხი — უკან, ხუთი წინ, ექვსი — უკან... ტატე უკან დარჩა, ხოლო მისი კენტი ადგილი წინ დაიკავა ლომოვმა.

— რატომ, პეტრე? — წასჩურჩულა გაფითრებულმა ტატემ.

ლომოვმა ოდნავ მოიღრიალა თავი და უთხრა:

— მე მაინც ავად ვარ, ღებოში დაბრუნება აღარ მიწერია.

— პირველი მწკრივო, ნაბიჯით იარ! — დაიღრიალა ტრეშენკოვმა.

ნახევარი საათის შემდეგ ყველაფერი მზად იყო, ახალთახალ, მაღალ ფიჭვის სახრჩობელებზე რვა პატიმარი დარჩენილ შვიდს უნდა ჩამოეხრჩო.

— თქვენს მეგობრებს ნუ დასწყვეტთ გულს და საიჭიოს ჰალსტუხი შესკვენით ყელზე, — იღრიალებოდა ტრეშენკოვი.

— გამხნედი, ტატე! — ვალურჯებული ტუჩებით სცადა გაღიმება ლომოვმა. — შე ხელები შეკრული მაქვს, თორემ ყულფს თვითონ ჩამოვიცვამდი... ნუ გეშინია... ასეთი სიკვდილი საშიში არ არის...

— პეტრე, ძმაო... — დაიკვნესა ტატემ და ცრემლები ლაპალუპით ჩამოსცვივდა.

— გაჩუმიდი ცრემლი მოიწმინდე!... ჩქარა, არ დაგინახონ, თორემ შენც ჩამოგიდებენ... აბა, დროზე ყულფი!..

ტატემ აცახცახებული ხელებით ძლიერ ჩამოაცურა გასანთლული ყულფი ლომოვის გაბანჯგვლულ თავზე.

— ყოჩაღ, ტატე! ახლა ნულარ გეშინია. იმ სკამს, რომელზეც ვდგავარ, წიხლი ჰკარი და ყველაფერი ერთ წამში დამთავრდება...

ძლიერი შიშისაგან ტატეს ცრემლი შეაშრა.

— საიდუმლოს თქმის დროც დადგა, ამხანაგო ტატე! — შვებით ამოისუნთქა პეტრემ და გამშრალ ტუჩებზე ენა მოისვა. — ნაღმი ორთქმავალში მე არ ჩამიდვია... ვინც ნაღმი ჩადო, ის იქ, ღებოში გელოდება... მშვიდობით!

დაიქუხა ტრეშენკოვის მაუხერმა. ეს იყო ნიშანი...

მჭედლიშვილის ბრიგადა წიფაში უნდა ჩასულიყო. იქიდან შემოყვებოდნენ ისინი თავის უბანს.

მატარებელი საცაა გავიდოდა გვირაბიდან. უზმობზე დაღუული არყის სუნი თანდათან ქრებოდა და შემოჭრილი მზის სხივები სარკმლებში ლიცლიცებდნენ.

დრო იყო, ტატეს ეკითხა შვილიშვილის ასავალ-დასავალი.



წიფაში სადგურის უკან კარგი წყაროს წყალი იყო. სადგურის გაგრძელებაზე კი პირველი დამკვერი ჩიხი. ადრე ყველა მატარებელი, როგორც კი გვირაბის შუა წელს გადმოსცდებოდა, თავს აიწყვეტდა და დამკვერ ჩიხში შლივინით შევარდებოდა. ისარი გვირაბიდან გამოსული მატარებლისათვის ყოველთვის ჩიხზე იდგა. მხოლოდ მერე, როცა მატარებელი ნამდვილად გაჩერდებოდა, სადგურის მორიგე ჯერ ისარს გადაიყვანდა და მერე მოლითისაკენ გზას მისცემდა.

ნასაუზმევი ტატე ბაქანზე იდგა და დამკვერ ჩიხს მოკუტული თვლებით გასცქეროდა. „კარგი ბიჭი ხარ და მემანქანემ ახლა შეყოს იმ ჩიხში ცხვირი. მაშინვე დოსში* უნდა აგოს პასუხი! შართალიც არის, — ფიქრობდა ტატე. — იქნებ მუხრუჭები არ უვარგოდა მატარებელს და ლიხიდან წამოსვლის წინ მემანქანემ არ შეამოწმა, იქნებ საკისრები არ იყო დახეთილი.. ან არადა, სისწრაფე მეტი აიღო და გვირაბიდან რომ გამოვარდა, მატარებელი ველარ დაიჭირა“, — იგონებდა ხმალაძე ყველა იმ ცოდვეს, რასაც მემანქანეს დოსში გადმოალაგებინებდნენ. თვითონაც, ტატე, როცა მემანქანე-ინსტრუქტორად ნუშაობდა, სულ ამას ეჩიჩინებოდა ბიჭებს, მატარებელი ისე ეტარებინათ, რომ დამკვერ ჩიხს ასცდენოდნენ. ვაი მისი ბრალი, ვინც ტატეს დარიგებას და გაფრთხილებას არ გაიგებდა. ასეთ შეუსმენელს, მემანქანე იქნებოდა თუ თანამეშვე, სანამ დოსში წავიდოდა, ჯერ ხმალაძისათვის უნდა გაეცა პასუხი...

ელექტრომატარებელი თვალს მიეფარა და წიფის სადგურის მორიგემ ლიხიდან გამოსული საბარგოს მისაღებად, ყოველი შემთხვევისათვის, ისარი ისევ დამკვერ ჩიხზე გადაიყვანა. ტატე ფიქრობდა ხელმარჯვნივ, გორაკზე, გოლათუბანში ასულიყო და მირიანი მოეკითხა, წასვლას აღარაფერი უშლი-

და, მაგრამ გული არ ემორჩილებოდა, სანამ გვირაბიდან გამოსულ საბარგოს მოლითისაკენ მშვიდობიანად არ გააცილებდა.

ჯერ ყრუ გუგუნი მოისმა, მერე მატარებელიც გამოჩნდა. ტატემ გახედა ელმავალს, მოეწონა, მატარებელი დაშვებული სისწრაფით შემოდინდა. ტატემ ცალი თვალთ ვაგონები გადათვალა, ცალი კი გოგორწყვილებისათვის არ მოუცილებია. უცებ შენიშნა, რომ მეთორმეტე ვაგონი დამუხრუჭებული მისთრევდა მატარებელს.

ტატემ ელმავალს სარკმელში გადმოუდებულ მემანქანეს ხელით ანიშნა — თანამეშვე გამოგზავნეო და როცა დამკვერი ჩიხიდან ოციოდ მეტრზე შეჩერდა ელმავალი, ტატე მეთორმეტე ვაგონისაკენ გაემართა...

ტატეს თვალს დამუხრუჭებული ვაგონი რას გამოეპარებოდა, ეგ კი არა, ხაშურიდან ზესტაფონამდე სად რამდენი კენჭი ეგდო, ზეპირად იცოდა. ბებერ ლუპლექსს ტეზერთან რომ აახროტინებდა, მერე თვალდახუჭულს შეეძლო მატარებელი ეტარებინა.

სოფელ-სოფელ, უბან-უბან გაიცნო ჯერ ჩხერიმელასა და მერე ყვირილას ფლატეებზე ცალ-ცალკე ბუდეებივით შეხიზნული ხალხი, გაიცნო, შეიყვარა და დაუმეგობრდა.

ელომ თვალდათვალ იცოდა მატარებლის გასვლის დრო. გამოვიდოდა ბაქანზე და სანამ ორთქლმავლის ვეება მუცელი წყლით ივსებოდა, კალათით გამოუტანდა ჯერ საუზმეს და მერე ხადილს. ღამის გათევა თუ ზესტაფონში არ მოუწევდა, ვახშაშს ტატე უკვე შინ შეექცეოდა ხოლმე.

მუხრუჭები ნიადაგ მისი გულისხეთქვა იყო... გულისტკივილით შეყურებდა, მატარებელს ათიოდე ვაგონი ხანლების ქვით დატვირთული რომ მიყვებოდა. მაგრამ ეს ქვა სახლებს კი არ აშენებდა, არამედ მატარებელს სიმძიმედ — მუხრუჭად მისდევდა, რათა იგი

მოლით-მარელისის დაღმართზე არ დაგორებულყო...

ტატეს თვალს დამუხრუჭებული ვაგონი რას გამოეპარებოდა, როცა ხელისგულზე დაწერილ საიდუმლოსავით იცოდა ხაშური-ზესტაფონის გადასარბენზე, მატარებელს საღ როგორი ორთქლი და როგორი მუხრუჭი ესაჭიროებოდა...

ლამეც კი, მრუმე სიბნელეში, ცივი ქარი ყურს რომ უხვრეტდა, სარკმელში თავი ჰქონდა გადაყოფილი და გზას გასცქეროდა.

მერე რა, გზის დარაჯმა ფარანზე რომ მწვანე აჩვენა ტატეს თვალს სიმშვიდე მანც არ ეკარებოდა. „ხომ შეიძლება მთიდან დაკარგული ძროხა მოაბოტებდეს... ხომ შეიძლება დაღლილ ლინდავის მუშას ჩაეძინა...“ ამიტომ ტატე გზაში არასოდეს არ იტყოდა „კარგად მივდივართ“, — ეგონა მატარებელს გასთვალავდა. როცა მატარებელს სადგურში მიიყვანდა და ორთქლმავლის შვეულ კიბიდან მიწაზე ჩააბოტებდა, თავისთვის წაიდუღუნებდა: „მაღლობა ღმერთს, კარგად ვიარეთ!“

ტატეს თვალს დამუხრუჭებული ვაგონი რას გამოეპარებოდა, შინ რომ იყო, მაშინაც ვერ ისვენებდა. წამდაუწუმ ცას შეყურებდა. ნაგვალეზე თუ უცებ წვიმა დასახამდა, შუალამისას წამოდგებოდა, სწრაფად ჩაიცვამდა და ღებოსკენ გასწევდა.

— საღ მიღიხარ? რა მოგჩვენა? — დაადევნებდა ელო.

— გარეთ გაიხედე, წვიმს.

— მერედა იწვიმოს, ბოსტანს მოუხდება. შენ საღ მიღიხარ?

— ახალ ნაწვიმარზე, მატარებელმა ცურვა იცის. ბიჭებს მივეხმარები! — დამნაშავესავით გაიღიმებდა ტატე.

— შენ ხომ არა ხარ ღებოს უფროსი, — ცხარობდა ელო, ვერც დღე და ვერც ღამე ქმარი შინ რომ ვერ მოეხელთებინა, — ყველას ძიძა შენ როგორ უნდა იყო?

— გაჩუმდი, შენც გესმის რაღა! —

დაიყვირებდა ტატე. — ზოგი ბევრ სილას დაყრის და ტალახზე უფრო ჩვეულებებს...

— რა სილა? რის ტალახი? — ნამძინარევი ელო საბოლოოდ გაფხიზლდებოდა, კაბას გადიცვამდა და ქმარს გაყვებოდა.

— შენ საღდა მომდე? ბაღს მიხედე, არ შეშინდეს...

— გოგიას არავინ შეაშინებს, არხინად იყავი! — ელო თმაზე ხელს გადაისვამდა, — ეშმაკი არ ვეგონო ვისმეს... — დუღუნებდა თავისთვის. — საღ წავიდეთ ახლა?

— ელო, შინ დაბრუნდი, ბიჭებს მე მოვევლი... ნელა აიღე ვასო, ნელა! — დაუძახებდა ტატე ორთქლმავლის სარკმელში თავგამოყოფილ მემანქანეს და უკანმოუხედავად მისკენ გაიქცეოდა, რათა ეჩვენებინა, ახალ ნაწვიმარზე, როგორ უნდა დაეძრა ორთქლმავალი.

ამიტომ ტატეს თვალს დამუხრუჭებული ვაგონი გამოეპარებოდა?.. მან შორიდანვე იცნო მემანქანის თანაშემწე, ცხრამუხელი ქერქაძე.

— რა მოხდა? გამარჯობა, ტატე ძია! — მოიჭრა აქოშინებული ქერქაძე.

— ამ ვაგონს ასხენი მუხრუჭი, თორემ გოგორწყვილებს დასწვავს.

— შენ აქ რა გინდა? — გაკვრეებული იყო ქერქაძე. — როგორ დაინახე?

— პენსიაზე რომ ვარ, თვალეზდახუჭული კი არ დაედივარ!..

— საწყენად როდი გითხარ, ტატე ძია, — შეწუხდა ქერქაძე. — ლიხში ვერ დაინახეს, რომ არაფერი გვითხარეს?

— ლიხში იქნებ ეძინათ? წითეშიც დავიძინოთ?

— შეიძლება გვეძახეს, მაგრამ რაცია არ მუშაობს, ერთთავად ხრიალებს, — თავი იმართლა ქერქაძემ.

— მერე, მე ხომ არ ვაგვიკეთებ რაციას? რატომ ღებოში არ უთხარით?

— ხომ იცი, რა ფაცაფუცივით ვიბარებთ ელმავალს, ტატე ძია, — საღ არის მაგის დრო, ყველაფერი გასინჯო და შეამოწმო.

— სად არის? არის, თუ თვალებს კარგად ვაახელ და თავსაც ძალას დაატან! — გაცხარდა ტატე — აბა, დისპეტერს რომ თქვენი ვაჩერება უნდოდეს, როგორ ვაგაგებინოს, რაცია თუ არ მუშაობს?

— დისპეტერმა კი არ უნდა ვაგვაჩეროს, მწვანე უნდა ვაგვიხსნას, — გაიცინა ქერქაძემ.

— რა იცი, უბანზე რა ხდება! — მკაცრად თქვა ტატემ. — შენ იქნებ მუხრუჭებიც არ შეგიშოწმებია? საკისრებში ზეთი ნახე? მოლითამდე ჩაგიყვანს? თანაშემწე მორჩილად იღიმებოდა.

— რას გაშტერებულხარ? — დაუძახა ტატემ. — ახსენი ვაგონს მუხრუჭი? — აეხსენი.

— ახლა გამომყევი და ყველა საკისარი მაჩვენე.

— ტატე ძია, — შეწუხდა თანაშემ-

წე, — განრიგიდან ამოვეარდებით, — ნანახი მაქვს.

— მუხრუჭები თუ კარგად არა გაქვს შემოწმებული, განრიგიდან კი არა, ამ ქვეყნიდან ამოვეარდები! — გაჭავრდა ტატე. მომყევი, რომ გეუბნები!

ქერქაძეს ხმა აღარ ამოუღია და მატარებელს ტატესთან ერთად გაუარა. ხმა-ლადეს მოეწონა მუხრუჭები, მაგრამ ორგან საკისარში ზეთი მაინც დაამატებინა.

როცა საბარგო წიფიდან ვავიდა, ტატემ მორიგეს სთხოვა მოლითის სადგურისათვის დაერეკა და გაეფრთხილებინა, მატარებლის მეთორმეტე ვაგონისათვის თვალი მიედევნებინათ.

სადგურის სამორიგეოდან გამოსულმა ტატემ გორაკზე მომალეებულ მწესს გახედა და გოლათუზნის აღმართს შეუყვია.

თავი მორთხ

ტატემ გოლათუზნის აღმართი აათავა, ეზო-ეზო იკითხა მირიანის ადგილსამყოფელი და ვერაფერს რომ ვერ მიაგნო, აბუღუნებული სულ ხუსხუსით ჩამოქანდა გვირაბამდე. ბილიკით გორაკი გადასჭრა და ბებრის ცხვირივით ჩამოშვებულ კლდეს მიადგა.

ქვემოთ ჩხერიმელა მიიქისისებდა.

ტატე ბონდის ხიდთან მივიდა, მაგრამ ასვლა შეეზარა და ხიდგაღმა მდგარ ყმაწვილს, თებებს რომ მწყემსავდა, დაუძახა:

— ბიძიო! ბი-ძიო... მოდი აქ! — თან ხელი დაუჭინა.

— რა გნებდააავთ... — მოისმა გაღმიდან.

ტატე მიხვდა, გაძახება-გამოძახებით ვერც ყმაწვილს ვააგონებდა და სიმაართლესაც ვერ მიაკვლევდა, ამიტომ აქანავებულ ხიდზე ფეხი შესდგა.

ყმაწვილმა რომ დაინახა, მოხუცი მგზავრი მისკენ აბირებდა წასვლას, თხები მიატოვა და ხიდზე გადმოენთო.

ტატე მაშინვე უკან გადმოვიდა, რადგან ხიდმა გემივით დაიწყო რწყევა.

ყმაწვილმა მოირბინა.

— გამარჯობათ, ბიძია! რა გნებავდათ? — ჰკითხა ტატეს.

— ღონდაძის ნოდარი არა ხარ? — კითხვითვე მიუგო ტატემ.

— არა ბატონო, გოგია კაპანაძე ვარ, — სხარტად მიუგო ყმაწვილმა.

ამ სახელის გაგონებაზე ტატეს უცებ ყელი ამოუშრა. მისი გოგიაც სწორედ ამხელა ბიჭი იყო, პირველად რომ ღებოში წაიყვანა.

...გოგიას კბილა ბიჭები თუ წლობით იზრდებოდნენ, გოგია ყოველდღე თითო მტკაველს მატულობდა. ბიჭი აღარც თავის ხალათში და აღარც მამის შარვა-ლში აღარ ეტეოდა; აყლაყუდასა და ნაზადივით ბექგანიერს მაღაზიაში თავისი ზომის ხალათი ვეღარ ეყიდა.

— ჩემი სიცოცხლე ერთ დაბამებულ ჯუბაში ვაგატარე, — ამბობდა ტატე შვილის წინაშე თავის გასამართლებლად.

— სიცოცხეს აღარ დავეძებ, მეზობლებისა მცხენია. — ჩიოდა ელო. — ერთი შვილი ჰყავთ და შიშველი დაყავითო...

— იქნება დეპოში წამეყვანა? საცაა სკოლას დამთავრებს. ჭერ ზეინკლად რეშაოს, მერე კი... დეპოში უფასო ტანსაცმელსაც მისცემენ!

როცა მშობლებმა გოგიას ეს ამბავი გაანდეს, ბიჭმა არ იუარა, მაგრამ ზეინკლობას ელექტრომონტიორობა არჩია.

— მემანქანის შვილი და მონტიორი?

— ხაშურიდან ზესტაფონამდე რომ კოშკებს სდგამენ, თუ იცი, რისთვის არის მამაჩემო? — ჰკითხა გოგიამ.

— რისთვის არის და რკინიგზას სჭირდება, — მშვიდად მიუგო ტატემ შვილს.

— არა, მაინც რისთვის არი? — არ ეცხნებოდა გოგია.

— ჩამოკიდება იცი, მოასვენე ბიჭო, დადლილი კაცი, — დაუცაცხანა შვილს ელომ.

— მითხრას რისთვისა სდგამენ იმ კოშკებს? — იღიმებოდა გოგია.

— ამას დამიხედეთ! — ხელები გაშალა ელომ.

— ელექტროხაზი უნდა გაიყვანონ, — მშვიდად თქვა ტატემ.

— ელექტროხაზი კი არა, მამა, საკონტაქტო ხაზი, — შეუსწორა გოგიამ.

— როცა კოშკებს დასდგამენ, მერე საკონტაქტო ხაზს გასკვიმვენ ხაშურიდან ზესტაფონამდე... დაემშვიდობე შენს ბებრუხანა დუბლექსს, ელმავალზე სხენაირი მართვა არის...

— მერედა ვისწავლი! — დაიყვირა ტატემ, — ვერ ვისწავლი? გამოიჭირდება?

— ტატე, რა დაგემართა, — მივიდა ელო და ქმარს მკლავზე მოეკიდა. — ბიჭო, შენ რა დაუფიქრებელი ლაპარაკი იცი, — გაუწყრა შვილს.

— ელმავალი რთული სამართავი ყოფილა, ასე აგვიხსნა თიზიკის მასწავლებელმა.

— მასწავლებელს რომ არ აეხსნა, მამაშენს ვეღარ ჰკითხე? — წამოიყვირა

ტატემ. — თუ შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო?

— რატომ გწყინს, მამაჩემო, შენ ხომ ჭერ ელმავალზე არ გიმუშავია?..

არ გასულა დიდი ხანი მამა-შვილის ამ საუბრიდან, რომ კომპანია „ჭენერალ ელექტრიკის“ წარმომადგენელი მისტერ ბელოუსი პირველივე ამერიკულ ელმავალს ჩამოყვა. ხაშურში იგი ერთ-ერთ ყველაზე კარგ სახლში დააბინავეს, ვისკით, სენდვიჩებით მოამარაგეს და ერთი თარჯიმანიც მიუჩინეს.

ამერიკელს არაფერი არ აინტერესებდა — არც დეპო, არც ეს პატარა ქართული ქალაქი და არც რკინიგზელები. მისტერ ბელოუსი დილიდან საღამომდე იჯდა და რაღაც ანგარიშებს წერდა. ორჯერ დაშიფრული დეპეშაც გაგზავნა მოსკოვს, ამერიკის საელჩოში. ბელოუსი მხოლოდ მაშინ დამშვიდდა, როცა დეპოში შვიდი ამერიკული ელმავალი კიდევ ჩამოაყენეს.

რკინიგზელები შორიდან უვლიდნენ ამ კრიალა „უწყლო“ და „უნახშირო“ ლოკომოტივებს, ტატე ხმალაძე კი მგლოვიარესავით დადიოდა.

გზის დარაგმა ვარლამ მალაღურიაშვილს მოითმინა და ჰკითხა:

— რა დაგემართა ტატე, რა თავპირი ჩამოგტირის?

— იცი, მაგ აყლაყუდა ამერიკელის კომპანიას რამდენს ვაძლევთ? — დაღონებულმა თქვა ტატემ.

— რას ვაძლევთ? — ვერ გაიგო ვარლამმა.

— რასა და ოქროს! აბა, ჩვენი ღვინო არ უნდა მაგას და ჩვენი ზორცი.

— ძვირი ღირს ალბათ ეს ლაპლაპა ელმავლები, — თვალი გააყოლა ვარლამმა დეპოდან გამოსულ მბზინავ ლოკომოტივს.

— ჩვენ მთავრობას, თურმე, ამ ელმავალში, გლეხურად რომ ვთქვათ, კილოში ათი შატრი ოქროთი მიუცია... მაგაზე ვარ გაეცეხლებული.

— ეგ ელმავლები თითო ორმოცდაათი ტონა იქნება...

— ცოლო არ არის ჩვენი ქვეყანა? —

ჭიუტად გაიმეორა ტატემ, — ეგ უღმერთო ამერიკელები ჯერ გვეომებოდნენ, მერე დიდხანს ხალხად არა გვცნობდნენ, ახლა კი გვეტყვიან... როდემდე და სადამდე, ბიჭო? — ტატემ სული მოითქვა და შეთქმულივით გაანდო ვარლამს: — გავიგე, მოსკოვის ქარხანაში უკვე მუშაობენო ელმავლის ვასაკეთებლად... ცოტაც დაიცადე და იქნებ საკუთარიც გვქონდეს!

სწორედ ამ დროს მისტერ ბელოუსი ელმავლიდან ჩამოვიდა.

— ეგ რა არის? — გაუკვირდა ვარლამს. — ამერიკელმა ჩურჩხელის ჭამაც ისწავლა?

— ჩურჩხელა კი არა, სიგარასა სწევს, კაცო, ბოლს ვერა ხედავ?

— სიგარა რაღა ოხრობაა?

— თამბაქოს ფოთლებია დახვეული.

— მაგარი იქნება!

— რა ვიცი, მე არ მომიწევია.

— არ ევარგება, — დაასვენა ვარლამმა, — ლავოდების ან სოხუმის თამბაქოს რა დაედრება...

— არც ეგრება, ვარლამ, — ჩაეცინა ტატეს, — ამ ამერიკელმა ელმავლის წონა ოქრო წაიღო და უხეირო თამბაქოს მოსწევს?

— უხ, მაგისი... — ერთი გემრიელად ჩაახაპა ვარლამმა და დეპოსაკენ გასწია.

მალე ხაშურში შეიდი იტალიური ელმავალიც მიიღეს, რომლებსაც დაბალი, მსუქანი იტალიელი სინიორ სპინოჩიო ჩამოყვა. იტალიელს მემანქანები-სათვის ელმავლის მართვა უნდა ესწავლებინა და ხაშური-ზესტაფონის გადასარბენზე ელექტროწვევის ძრავებისათვის კონტროლი გაეწია.

ამერიკელისაგან განსხვავებით სინიორ სპინოჩიო ხალისიანი მოსაუბრე გამოდგა. სპინოჩიოს ღვინოც უყვარდა, საქმელსაც აზიზად არ არჩევდა და მალე მწარე კუბატებსა და ცხელ ზაქაპურებს ისე მიეჩვია, თითქოს დაბადებიდან მილანში ამის მეტი არაფერი ეჭამა.

საქმეში კი იტალიელი მაინც ცხვირ-აბზეკილი იყო. სპინოჩიო კავკასიაში

ჩამოსვლით გამდიდრებას ჰპირებოდა, აგრამ ამჩნევდა, ეს შეველგაშუქტოლიც-ტალიკა ბიჭები მალე აფუკრავდნენ კავკასიიდან გულა-ნაბადს.

მართლაც, ერთი წლის მერე, გოგია ხმალაძემ მოსკოვი-მიტიშჩის გადასარბენზე საელმავლო პრაქტიკა დაამთავრა და ხაშურის დეპოში ჩამოიყვანა პირველი საბჭოური ელმავალი. **БЛ 19-01.**

ახლა ხაშური-ზესტაფონის გადასარბენზე ყველაფერი სამამულო იყო. **БЛ 19-01-ს** დეპოში შეიარაღებული ყარაულები იცავდნენ. ამ ლოკომოტივს ხველამ „გოგიას ელმავალი“ დაარქვა. ხმალაძემ ბევრი იუარა, მაგრამ არ გაუვიდა. ერთ კვირა დღეს პირისგემოს მოყვარულმა მემანქანეებმა იმდენი აქეს და უფერეს გოგიას, რომ იძულებული გახდა ძმაკაცები ზესტაფონში, ირინეს ბაღში დაეპატივა.

სტუმრებში თბილისელებიც ბლომად იყვნენ, ხაშურის დეპოში დაბუმბულენი. გოგიამ სადღეგრძელოში ისინი ზერიკაცივით დალოცა:

— ბიჭებო, გული არ დაგეჩაგროთ. ჯერ თუ ხაშურიდან ზესტაფონისაკენ გავეშვით ელმავალი, მალე გორამდე დავამთავრებთ საკონტაქტო ხაზს და... მერე თბილისშიც ჩამოვალთ.

— შენ პირს შაქარი, შენ პირს შაქარი! — დაუძახეს აქეთ-იქიდან.

— ელმავლები არ გვეყოფა, — ვიდაცამ უხალისოდ ჩაიბურტყუნა სუფრაზე.

— გული გულობდეს თორემა... აქ არა ვართ! პაი, დედას!

ირინეს ბაღში დაუგუნებულმა სიმღერამ შორაპნამდე უწია, ახლომხლო სოფლებიდან ხალხი ჩამორეკა. იყო ერთი უსამველო ლოცვა-კურთხევა „გოგიას ელმავლისა“ და „მთელ ჩვენ ქვეყანაში პირველი ელზახისა...“

გახარებული ტატე ჭიქას ჭიქაზე სცილიდა და ფიქრობდა, დრო იყო, გოგია ოჯახსაც მოკიდებოდა.

— ბიძიკო, თქვენ სოფელში ახალ-

გაზრდა ცოლ-ქმარი ხომ არ დასახლებულა? სადგურიდან გამომგზავნეს, ჩემოდანი დაკარგვით და მორიგესთან არის შენახული... უთხრა ტატემ ყმაწვილს.

— რომელი სადგურიდან, ბატონო?

— აგერ, წიფის სადგურიდან.

— ჰოო... — გააგრძელა ბიჭმა, თითქოს ყველზე საინტერესო რამ გაიგო.

— დიდი ჩემოდანია, ბატონო?

— კაი გვარიანი იქნება.

— რა აქვთ ნეტავი შიგ?

— მაგი საიდან მეცოდინება, ბიძიკო! — არ მოეწონა ბიჭის ცნობისმოყვარეობა ტატეს, — მე ლიანდაგის მუშების ბრიგადირი ვარ, ხაზს ვამოწმებ და მთხოვეს აქაურებისათვის მეთქვა...

— ხაზს ამოწმებ, ბიძია? — სახე გაეზადრა ყმაწვილს. — რას ამბობენ, მეორე ლიანდაგი როდის იქნებაო?

მეორე ლიანდაგზე გოგიაც ოცნებობდა. ცოლი რომ შეირთო და მირიანი შეეძინა, დღედღეზე ელოდა მშენებლობის დაწყებას. მაგრამ კაცი ბჭობდა და დღმერთი იცინოდაო...

ორმოცდაერთი წლის ივნისში გერმანიამ მოულოდნელად საზღვარი გადმოარღვია და ომი დაიწყო...

ხაშურის დეპო ორ დღეში დაცარიელდა.

ტალიკ-ტალიკა ბიჭები ფრონტზე გაიწვიეს.

იმ დღეს ხაშურის სადგური უცნაურად იყო გამოცოცხლებული. ეს არ იყო ჩვეულებრივი გამგზავრება, როცა წამსვლელ-დამრჩომი ერთმანეთს ნამდვილი თუ მოჩვენებითი სიყვარულის კორიანტელში ხვევს. ეს არც ცრემლით შეზავებული გამომშვიდობება იყო. ჯანმავარი, კისერმოღერებელი ბიჭები თამამად აღიოდნენ ვაკონებში და თან თავისიანებს ეძახოდნენ:

— ნუ გეშინია, ორ კვირაში ჩამოვალ, დედა!

— ცილა, უჩემოდ არ იქორწინო, მალე დაებრუნდები...

— გოგიტა, ბიჭო! აბა შენ იცი, ტექნიკუმში!

ამ კისერმოღერებულ ბიჭებს ჯერ/არ ეყნოსათ ომი და ჩვეულებრივი საბანაკო გაწევა ეგონათ.

— „ვია, დღეიწემის ღმერთსა!“ ბურტყუნებდნენ ჰარმავი მამაკაცები, ვისაც ახალგაზრდობისას ღენთის სუნი დასდებოდათ — სად მიდიხართ, შვილებო!

— რას ვიფიქრებდით... რას ვიფიქრებდით, — დაბნეული იმეორებდა ამ ორ სიტყვას ტატე, თითქოს სხვა ყველა სიტყვა დავიწყებოდა.

ხალხი სადგურში იყო გამომლილი, მატარებელი კი ზემოთ, ღეპოსთან გაეჩერებინათ. ვინც იცოდა, პირდაპირ ღეპოსკენ მიდიოდა, ვინც არა — სადგურზე შეგროვილი გამცილებლები ერთხმად გასძახოდნენ:

— ჩქარა შეილო, გაიქეცი! აგერ, სადა დგას მატარებელი!

გამცილებლებს იმედი ჰქონდათ, რომ მატარებელი სადგურში შემოვიდოდა, ცოტახანს გაჩერდებოდა და მერე განაგრძობდა გზას. ტატესაც ასე უთხრა გოგიამ, ელმაველს ზესტაფონამდე ჩაიცივან და უკან რომ დაებრუნდები, ჩემს ეშელონს მერე გაეყვებიო. თუმცა, ისიც უთხრა გოგიამ, შეიძლება ზესტაფონში ჩასვლისთანავე ეშელონს გაეზაყოლონო. მაშინ ხეირიან გამომშვიდობებასაც ვერ მოასწრებდნენ მშობლები...

— გითხარი, ხაჭაპურები დააცხემეთქი, — ედუღუნებოდა ცოლს ტატე, — გოგისაც რომ თავი უკრან, მერე რალას იტყვი?

— ღმერთო, შენ გვიშველე! — ცრემლი მოიწმინდა ელომ. — ჩემი ხაჭაპური რას უშველის, ბიჭი ტყვისთან საჩიდაოდ მიდის...

— შენც ერთი, მოყვეი შენებურად! — ხელი ჩაიქნია ტატემ. — უშველის თუ არ უშველის, წესია, უცებ კი არ აკმევენ ჯარისკაცებს... ჯერ აბანოში წაიყვანენ, მერე ტანსაცმელს მისცემენ..

— აბანო რათ უნდა, კაცო, — შეაწყვეტინა ელომ, — გუშინ იბანავა ბიჭმა!

— მაგას ვინ უყურებს! სამხედროში ყველაფერს თავისი კანონები აქვს.

— ახლა რადს მოვასწრებთ, — გულდათუთქულმა ჩაილაპარაკა ელომ.

— იქნებ ბუფეტში მინც რამე გეყიდა...

— ბუფეტში... — ჩაიზმუყუნა ტატემ. — მე შენ გეტყვი სულ დატბაკებული წიწილები დფგვხვდება... სირცხვილით ვერც გამოაჩენ.

— იმედი რატომ გადავიწყვიტეთ, ტატე, — წამოიძახა ელომ, — და ერთი წუთით სახეზე ნათელმა გადაურბინა. — გოგიამ ზომ გვითხრა, ზესტაფონიდან ამოვბრუნდები და მერე გავყვები ეშელონსო.

— ჰო, გვითხრა, გვითხრა... — სიჩქარისა და დაბნეულობისგან ტატეს ჩიბუხი ვერა და ვერ გავესო თამბაქოთი. — ისიც ზომ გვითხრა...

— დაცა, გულს ნუ იხეთქავ! — მიუფერა ელომ, — გაჩერდება მატარებელი და ყველაფერს გავიგებთ.

სადგურის ბაქანზე სახელდახელო ტრიბუნა გაეკეთებინათ. იქ, ჯერ ძველი ბოლშევიკები ავიდნენ და წყევლა-კრულვა შეუთვალეს პიტლერს. მერე რაიონის კოლმეურნეთა სახელით, ცხრაამუხელმა პრიგარდმა ისიდორე ნოზაძემ პირობა მისცა წამსვლელთ — ფაშისტების გულის ვასახეთქად ხეხილის უზე მოსავალს მოიწევდა. ბოლოს პიონერები აცუნცულდნენ, მაიაკოვსკის ლექსები წაიკითხეს, მერე რაზმეულის დროშა ტრიბუნის ერთ კუთხეში დაამაგრეს და თვითონ საპატიო ყარაულში დადგნენ.

შემთვრალ ხელოსნებს იქვე, ცეროდენა სუფრაზე პურ-მარილი გაეშალათ: შემწვარი ქათმები, ყვითელი ატამი, არაყი... ეტყობა, ხელოსნები ეშელონს პირველად არ აცილებდნენ, რადგან წინასწარ ოცი თუ ოცდაათი ჰქონდა უკვე არყით იყო საყვი...

— სადა სცალიათ! რაზ, დეა და ვზი-ალი! — ...ეუბნებოდნენ ხელოსნები გავლელ-გამომვლელთ, როცა ისინი გოცებული ეკითხებოდნენ ამდენი ჰქონდა არყით რატომ გავივსიათო.

ყველა თავისებურად ელოდა ეშელონის შემოსვლას სადგურში.

ტატე ლელავდა. შეთეთრებულ თმზე მალიმალ ხელს გადაიხვედა და ლამის ყბები დაეგლიჯა, ისე კისრუტავდა ჩიბუხს... თამბაქოს არა და არ ეკიდებოდა.

ელო ტუჩებმოკუშული იდგა და გზას გამტკნარებული გასცქეროდა.

დაიძრა მატარებელიც. შვის სხივებზე ლურჯად მშხინავსა და ალაპლაპებულ ელმავალს ვაგონების გრძელი კუდი მოსთრევდა.

— შინ აღარავინ დარჩენილა... აღარავინ... — დაიგმინეს აქა-იქ, როცა ბოლო ვაგონამდე თვალი ვერ გაუწვდი-ნეს.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, შვილებო!..

— ამ პატარა სასამისით და დიდი გრძნობით...—ენამ უკიდებდნენ ნალღინევი ხელოსნები.

მატარებლის დანახვაზე პიონერებმა ველარ მოითმინეს, ტრიბუნიდან რაზმეულის დროშა ჩამოარბენინეს და ლიანდაგზე ავიდნენ. მოზრდილები ქეჩოში სწვდნენ ბავშვებს და ბაქანზე დააბრუნეს.

ელმავალმა სისწრაფე აიკრიფა. ტატემ ეს მაშინვე შენიშნა. ასეთი სისწრაფით არ უყვარდა ტატეს სადგურში შესვლა. მერე მუხრუჭებს დიდი ძალა ადგებოდათ. „ჯერ კიდევ ახალგაზრდაა; სულსწრაფია, — უსაყველურა გულში შვილს, — რათ უნდა ასეთი სიჩქარე, როცა ნახევარი კილომეტრის მერე ისევ უნდა გააჩეროს...“

წაფერდებული საორთქლმავლე პიდროკოლონკა მესამე ლიანდაგს იქით კარგად ახსოვდა ტატეს. იქ ხმალიძე ყოველთვის დამუხრუჭებას იწყებდა. ვერ იქნა და ის წაფერდებული პიდროკოლონკა ვერ გაასწორეს, თუმცა ტატეს ეს კიდევ ახარებდა. ზოგჯერ სადგურამდე მანძილს ვერ გამოზომავდა ხოლმე და ის სანიშნობელი რომ არ ყოფილიყო, ალბათ მატარებელს რიგიანად ვერ მიაყენებდა. მგზავრებს ლიანდაგზე უნდა ერბინათ და ისე აბობლებულიყვნენ ვაგონებში. როგორც კი ტატე ჩაუქროლებდა იმ წაფერდებულ პიდ-

როკოლონკას, მაშინვე დამუხრუჭებას იწყებდა და მატარებელი ნელა, ზოზინით შეყავდა სადგურში...

არასოდეს უთქვამს, მაგრამ ბერეკაცმა იცოდა, რომ გოგიაც იმ ადგილიდან იწყებდა დამუხრუჭებას, სხვანაირად მატარებლის გასაჩერებლად მანძილი არ ეყოფოდა. ახლა დაინახა, რომ ელმაველი იმ სანიშნობელს გამოსცდა და სისწრაფე არ დაკლებია. დრო იყო. რაღას უეცდიდა?

ხალხი ბაქანზე მიდი-მოდიოდა მატარებლის მოლოდინში და წინასწარ ვაგონებს ირჩევდნენ, ვინ სად უფრო მოხერხებულად იქნებოდა. ტატემ ჩიბუხი ჭიბეში ჩაიღო და ელოს გადახედა.

ელოს სახე გაფითრებოდა. მას ტატესათვის არასოდეს გაუშვებია, რომ იცოდა წაფერდებული სანიშნობელი, მაგრამ ელო მემანქანის ცოლი და დედა იყო... მან ველარ მოითმინა და ტატეს წასაჩერებელი:

— ღმერთო მომკალი! ხაქაპურები მაინც დამეცხო...

ტატეს კი ისევ იმედი ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ გამოცდილი თვალისათვის ცხადი იყო, მატარებელი არ გაჩერდებოდა, ტატე მაინც ელმაველის ძლიერ მუხრუჭებას და გოგიას თავაწყვეტილ ხასიათზე ფიქრობდა... აი დაუკლო სიჩქარეს, — ჩასძახოდა ყურში ვილაც.

მატარებელი საცაა შემოვიდოდა სადგურში.

ვაგონების სიჩქარით ავარდნილმა ქარმა ხალხი რამდენიმე ნაბიჯით უკან დასწია. ლურჯმა ელმაველმა ჩაიქროლა და მას მიყვა მწვანე ვაგონების რიგი. ერთი ორი, ათი, თხუთმეტი, ოცდასამი...

როცა ელმაველმა ჩაიქროლა, სადგურის მხარეს მისი მარცხენა სარკმელი იყო. მემანქანის თანაშემწემ გადმოიხედა და გოგიას მაგიერ, ტატესა და ელოს ხელი დაუქნია...

კოლქმარმა ერთმანეთს ხელი სტაცეს, თვალბში ერთბაშად წამოებერათ ცრემლები და მატარებლი-

საგან ავარდნილ ქარში გაშვდნენ.

— გოგია წავიდა, კაცო, წამოვიტირა ელომ.

— ღმერთო, გამარჯვებული ატარე ჩემი შვილი, — უნდოდა ეთქვა ტატეს, მაგრამ ხმა აღარ ეყო, დაახველა და მალულად, მწარე ცრემლი გადაყლაპა.

ტეზერის აღმართზე შეყუდებული ელმაველი აღარ ჩანდა. ბოლო ვაგონის კელგამცილებელი ჭიკაბუღაძეც კი უკან იდგა და პატარა, ყვითელი დროშა წინ თოფივით გაეშვირა.

ბორბლები დგანდგარებდნენ. ღიანდაგი რეკდა და ზუზუნებდა.

მერე ხმა თანდათან მისუსტდა. ელმაველმა უკანასკნელად დაიბუბუნა, მინდვრებისა და მთების მოქახილი ნელ-ნელა ჩაიწვა, ჩაიფერფლა და გაუჩინარდა.

ტატეს ლამის ყბები გადმოსცვენოდა, ესე ისრუტავდა ჭიბიდან ფაციფუციტ ამოღებულ ჩამქრალ ჩიბუხს და ელოს ცრემლით დასვლებული მარცხენა ბეჭი სჩხელუტდა.

— მაგი უფროსების საქმეა, ბიძიკო, შენ ეს მითხარი, ახალგაზრდა კოლქმარი ხომ არ დასახლებულა თქვენთან, — ჰკითხა გოგიას ტატემ.

— რაეა გეტყვი, ბატონო.

— რატომ? დაფიცებული ხარ?

— არა, ბატონო. მაგი მე არ ვიცი სკოლიდან მოვალ და საღამომდე თხებს ვწყემსავ, მენახირემ აღარ წვიყვანა, იეფს იძლევითო...

— კარგად იყავი, ბიძიკო, — გამოვთხოვა ტატე.

— რა გეჩქარება, ბატონო, დაგესვენა, — დადევნა ყმაწვილი, რომელიც მარტოობას შეეწუხებინა და გასართობს ეძებდა.

ტატემ ხელი დაუქნია და გორაკზე შეფენილ ბეჭათუბანს მიაშურა. გადაწყვიტა იქ უბრალოდ არავის გამოლაპარაკებოდა, იმ ყმაწვილივით დრო რომ არ წაერთმია და პირველსავე მოსახლეს თავი დაკარგული შვილიშვილის ბაბუად წარუდგინა.

ბეჭათუბანში ხმალადეს სანუგეშო ვერაფერი უთხრეს. ტატემ სწრაფად გაიარა ორი ვიადუკი, რათა მატარებელს არ მოესწრო. ხევაგალმა, ნებოძირიდან მომავალ ფოსტალიონს გაესაუბრა. მერე სოფელი ჩრდილი მოინახულა, კანტიკუნტად გაბნეული სახლები ვეება ხეთა ჩრდილში რომ იყო შეფარებული.

ჩრდილში ტატემ წყალი დალია, მუხლში ქარი ამოიღო. ამ დროს საიდანღაც იასონ ტყეშელაშვილი გამოჩნდა, ხაშურის დეპოს მემანქანე. იასონმა ტატეს დანახვაზე სიხარულით ორივე ხელი გაშალა და შეყვირა:

— რომ დამეპატიე, არ მოხვიდოდი, შეგეზარებოდა! ახლა სად წამიხვალ?

ტატემ იუარა, ცოლ-შვილი დაიფიცა, ცოცხალ-მკვდარი გაიწყვიტა, ტყეშელაშვილს ნათელ-შირონი დაანამუსა, მაგრამ მასპინძელი რის მასპინძელი იქნებოდა და თანაც იმერული ყაისნალით ამოყვანილი, რომ ასე იოლად დახსნოდა სტუმარს. მათ პატიესა და უარზე მთელი სოფელი გამოიშალა. ახლა ხმალადე უკვე სოფლის სტუმარი იყო და უარზე აღარც უფიქრია, რადგან სოფლის გაწვილებას სულთმობრძავეც რომ ყოფილიყო, აზრად არ გაივლებდა.

სახელდახელოდ გაიშალა სუფრა. ცხელ-ცხელი ხაქაპურები, დატბაკებული წიწილები და ხელადით ცივი ღვინო.

იასონი ქებული თამადა ოყო და ყველა სადღეგრძელოს თავისი მალამო გამოუძებნა, ომში დაღუპული ვაჟყაცების სადღეგრძელო. კი თითქმის უსიტყვოდ შესევა, მხოლოდ მერე დიდხანს იწმენდა ცრემლებს.

ტატე ვერაფერს ხედავდა, სუფრაზე მღეროდნენ, აქებდნენ ნომარ ვაჟყაცებს, ამშვიდებდნენ დაღუპულთა ფუძეებს — ტატეს აღარაფერი ესმოდა. ის ფიქრებით გოგაისთან იყო...

ომმა ერთბაშად ყველაფერს თავისი კვალი დაატყო. საკონტაქტო ხაზში დაბვა ორი ათას ვოლტამდე ეცემოდა და შეწუხებული მემანქანეები უმოძრაოდ რდგნენ. ვერც ენერგოდისპეტრეტთან

ჩივილი და ვერც გზის უფროსთან წარამარა სირბილი საქმეს ვერ შევლდა. ელექტროენერგია სამხედრო ქარხნებს ხმარდებოდა და საკონტაქტო ხაზში დაბვა მხოლოდ საღამოხანს ან ღამე იმატებდა, როცა ქარხნებში სამაქროების ტექნიკურ შეკეთებას იწყებდნენ. როგორც კი ელმავალზე ვოლტმეტრი სამი ათასს უჩვენებდა, მთელი დეპო განგაშით გაღვიანებულ სამხედრო ბანაკს დაემსგავსებოდა. მატარებლები თითქმის ერთდროულად გადიოდნენ შემხვედრი სადგურებიდან და მართლაც დიდი გამჭრიახობა და სიმარჯვე სჭირდებოდა სადგურის მორიგეებს, რათა მატარებლები არ გადაეჭირათ, დროზე მიეღოთ და გაემგზავრებინათ ეშელონები.

ცისტერნების შავად გახუნხლულ მწკრივებს კი ბოლო არ უჩანდა. ბაქოს ნავთი და ბენზინი დღე და ღამე უწყვეტ ნაკადად მიდიოდა ბათუმისაკენ, ფოთისაკენ, სოხუმისაკენ. „საწვეავი არ გაჩეროთ“, — ყველას ეს ეკერა პირზე და თავს არ იზოგავდნენ, ღამის ორმოცდაათთონიანი ცისტერნები ზურგიტ გადაეგორებინათ, როცა საკონტაქტო ხაზში კვლავ დაეცემოდა დაბვა.

ხაშურის დეპოს მალალ ფანჯრებზე ლურჯი ფარდები იყო ჩამოფარებული, მინებზე ჭვარდიანად ბლონდი დაწეპებინათ და სუსტ სინათლეზე, შორიდან, კედლები ცისფერი ჩანდა, თითქოს რუხი შენობა თხელი ღრუბლის ქულაში გახვეულაო.

გზაზე ყველა ნიშანსა და ფარანს ლურჯი პირბადე ჰქონდა აფარებული, ამიტომ წითელი შინდისფრად მოჩანდა, ყვითელი შავად, ხოლო მწვანე მუქლურჯად. მემანქანეები ალლოთი და გამოციდილებით ხვდებოდნენ რა ფერი აცილებდათ, თორემ ფარნის დანახვა და გარჩევა თითქმის შეუძლებელი იყო.

ახლა არ ეპაროდა მემანქანე-ინსტრუქტორად მუშაობა და ახალბედების გაწერონა. ტატე კვლავ ავიდა ელმავალზე. ხაშური-ხესტაფონის გადარბენას სამი საათი მაინც უნდოდა. ტატე ხმალადე დღელამეში სამაქრო ჩადი-

ოდა ზესტაფონში და უკან ბრუნდებოდა. დაღლილი, მისაგათებული იქვე დეპოში ოთხ-ხუთ საათს წაიძინებდა და ისევ ელმავალზე იყო.

ელოც დეპოში გადმოსახლდა. ქალებმა მორიგეობით დეპოსათვის სადილის მომზადება გაიწაწილეს და ელოც ამ მორიგეობას სულ თავში ედგა. შინ რა გააჩერებდა. როცა ტატე ხაზზე იყო, სხვა მემანქანეებს აპურებდა და პატრონობდა, როცა ტატე დასასვენებლად დაბრუნდებოდა ელოს ცხელი საჭმელი და თბილი ლოგინი უნდა დაეხვედრებინა. მაგრამ დეპოში არავინ არ იცოდა სამუშაო დღის ბოლო. ყველანი ჩაბმას-შემართული თოფებივით იყვნენ და წამიდან წამზე ელოდნენ გასროლას...

ტატემ ელმავალზე პროექტორსაც ლურჯი ბლონი ჩამოაფარა. უკუნეთ დამეში თვალი არ უნდა მოეშორებინა გზისათვის, რადგან პროექტორის სხივი ლიანდაგს მხოლოდ ფერს უცვლიდა და არ ანათებდა. ლურჯ სინათლეზე ლიანდაგი მწვანედ ბზინავდა, ტატეს სარკმელში თავი ჰქონდა გადაყოფილი და ქარსა თუ ავღარში, თვალმოუშორებლევ გზას გასცქეროდა.

მაღე ტატეს ყურები ასტიკვდა, შუბლიც გაუცივდა და შეუშუბდა. ორ კვირაში ერთხელ დეპოში მემანქანეებს საეჭიბო კომისიაზე უნდა გაეველოთ. ტატე ხმალაძე გააფრთხილეს თავისათვის მიეხედა, თორემ ელმავალზე მუშაობას აუქრძალავდნენ.

— კაცო, თავსაც ნუ მოიკლავ, — ეტყოდა ხოლმე ელო, როცა ქმარს მართო მოიხელთებდა.

— შემეშვი, ქალო, — წაიდუღუნებდა ტატე, — გოგიას მზე ილოცე, მე ბებერი ძაღლი ვარ, არაფერი დამემართება.

— ასე გგონია? — მიახლიდა ელო. — კირილეც ასე ამბობდა და... ელო სათითაოდ ჩამოუთვლიდა ვის რა ავადმყოფობა ჰქონდა, სად და როგორ დაემართა, ახლა როგორ ნანობენ, მაგრამ გვიან არის ყველაფერი.

— ქალო, ღვდელაძის ცოლი რომ

მუცელს გადაყვა, ისიც ელმავალზე დაორსულდა? მე რა გულზე მყარია და იყვირებდა მოთმინებად აკარგული ტატე.

— სიტყვამ მოიტანა, კაცო... სიტყვამ... ისე, თავის გაფრთხილება რომ არ გიყვარს, ქვეყანა ამას ამბობს. შენ რაც გვეალება, ორჯერ მეტს აკეთებ და თავს კი ნუ ანაცვალებ.

— მე რა მვეალება, იცი? — წამოხტა ლოგინზე ტატე. — მე ახლა გოგიას გვერდით უნდა ვიდგე... ვაჟკაცი იქ უნდა იყოს! ეხ, რა ვუთხარ ჩემს ჯანს... რამდენს არ ვეხვეწები კომისარს, მაგრამ ის უღმერთო ყურსაც არ იბერტყავს... აქაც ფრონტიო, მეუბნება. როგორ არის აქ ფრონტი, როცა შენ ყოველ წუთს თავს ეშმაკივით მადგახარ და ძილის ანგელოზებს მიფრთხობ?... —

— დაწეჭი და დაიძინე, — განაწყენებულმა მიუგო ელოც, — შენთან მშვიდობიანი, დალაგებული სიტყვის თქმა არ შეიძლება... აყვირდი ახლა შენებურად!

— ჰოდა წადი, ბიჭებს მიხედე, რეისში უნდა გავიდნენ! რას ქაჯანებ აქ?..

— შენს ჯიშს რა ეუთხარ, შენს ჯიშს...

— წაიბურტყუნებდა ელო და უკმაყოფილოდ წავიდოდა დეპოს სასადილოსაკენ, რათა „ბიჭებისათვის მიეხედა“. რამდენჯერაც არ სცადა ელოც ქმარის „მორჯულება“, არაფერი გამოუვიდა. ტატე კვლავ პირველი იყო ყველაფერში — საქმეში, ვაჟკაცობაში და ბოლოს... ავადმყოფობაშიც.

დეპოს უწინდებურად ვეღარ ამარაგებდნენ სათადარიგო ნაწილებით. მემანქანეებს, მათ თანაშემწეებსა და ზეინკლებს თვითონ უნდა დაემზადებინათ და შეეკეთებინათ ელმავლის გატეხილი თუ გაცვეთილი დეტალები. ამას ცოდნა, ოსტატობა და დიდი მოთმინება უნდოდა, ტატეს, როგორც ძველ ზეინკალს ელექტროკონტაქტორები მუშისათვის გასაგები თვალსაჩინოებით უნდა გამოეხატა. მეტი გზა არ იყო, ყველა ინჟინერი ფრონტზე იყო წასული... ტატე კი ხან უბანზე ელმავალს ამოწმებდა,

ხან დეპოში ათასნაირი თათბირებისა და ოპერატიული გამოძახებების ვალს იხდიდა, და როცა დღელამეში რამდენიმე საათი დასასვენებლად დარჩებოდა, აი სწორედ მაშინ ჩაუჯდებოდა გასაჩარხი თუ შესადუღებელი დეტალების ნახაზებს. ტატეს დალილობისაგან თვალუბი ეხუჭებოდა, ტყვიასავით დამძიმებული თავი ლამის კედელზე მიეხეთქებინა, მინც იჭდა და სასკოლო რვეულის ყვითელ ფურცლებზე ზეინკლებისათვის სამუშაო ნახაზებს აკეთებდა.

ერთი შეილის — გოგიას მზეს ფიცულობდა. „მე ვინა ვარ, ქვეყნის გლაზო, — იტყოდა თავისთავზე, გოგია არის ნამდვილი ვაჟკაციო...“

გოგია მოსკოვის მისადგომებთან იბრძოდა და კარგახანია მისგან არავითარი ცნობა არ იყო... ტატეს ძილისა და დალილობისათვის რომ უჯობნა, კედელზე, სამუშაო მაგიდასთან შეილის უქანასკნელი წერილი ჩამოკიდა. გოგია იწერებოდა, რომ მტერი გამშაგებული მოიწევდა, რომ ძალიან ციოდა, მკლავში დაეკრათ, მაგრამ ფრონტის ხაზს არა სტოვებდა, მის უქან მოსკოვი იყო....

როცა ტატე შეილის ამ უქანასკნელ წერილს შეხედავდა, საკუთარი დაღლა და უძილობა არათუ ავიწყლებოდა, მისი ხსენებისაც სცხვენოდა...

ტატემ დაიკვნესა და იასონის მიერ მოწოდებული ალავერდი ომში დაღუპულთა მოსაგონებლად უსიტყვოდ დასცალა.

მწარე იყო ხაშურელი შურა გელაშვილის წერილი. ის წერილი ტატეს დღესაც ზეპირად ახსოვდა...

„ტატე ძია, გამარჯობა, მაგრამ რალა გამარჯვება გისურვო, ცუდი ამბის მაცნეს...“

ჩვენებურები ვნაზე და იმათ მიამბეს: შეტევის დროს, გოგიას ტანკში ჰურეები გამოლულა. გერმანელებს ალყა დაურტყიათ ტანკისათვის. გოგიას კომკურის ხუფი აუხდია და ავტომატი ხელში პირველი ამოჭრილა ზევით.

გერმანელებს სდომებიათ ტანკისტები ცოცხლად შეეპყროთ.

— ბიჭებო, დედა ვუტირით! გერმანელებს! — დაუყვებია გოგიას და პირველს გაუხსნია ცეცხლი.

გერმანელები ჩასაფრებულან და ტანკისაწინააღმდეგო ქვემეხები მოუტანიათ...

ბრძოლის მერე, ტანკის ნამსხვრევებში უნახიათ მოკლული გოგია სანზატის გოგოებს.

გამხნედი, ტატე ძიავ! გოგიას სისხლს ერთიათად ავიღებთ. შურა გელაშვილი“.

ნაღვინევა და დასასვენებლად ტატეზე მიწოლილმა ტატემ ნაბადი გადაიძრო და ამოიხვნეშა.

ღიასახლისს მოერიდა ოთახში შებოსვლა, სადაც სტუმარს ეძინა და ბავშვი შემოგზავნა:

— შედი გოგო, რამე ხომ არ უნდა იმ პატროსან კაცს.

ბავშვმა მალე მოიბრინა და თვალუბის, კუსვით ჩამომარცვლა:

— წითელი სახე აქვს და ნაბადი ძირს აგდია.

— ცხელა მაგ ოთახში უსაშველოდ, — წაილაპარაკა ღიასახლისმა, — შედი ჩუმად, არ გააღვიძო და ფანჯარა გამოაღე.

— ნაბადს რა ვუყო, ბიცოლა?

— დაათარე, თორემ ღია ფანჯარაში დაგრილავს.

— კაი, ასე ვიზამ.

გოგონა ფეხაკრფით შეეცუნულდა ოთახში და ტატეს დააკერდა. ბერიკაცის დახუჭული თვალებიდან მძიმედ მოგორავდა ცრემლი...

მირიანი ოთხი თვისა იყო, გოგიას დაღუპვის წერილი რომ მიიღო ტატემ. რძალმა — ასმათმა ერთი კვირა იტირა, მერე უცებ გამოაცხადა დარდისაგან რძე გამიშრაო.

— ბიჭი თუ დედის რძით არ გაიზარდა, ჯანი უღალატებს, — დამწუხრებული ეუბნებოდა რძალს ტატე. — ხე-

ლოცურად შედედებული მაწვნით რა ვაქცაი გამოვა?..

— ახლა ძუძუს წოვება მოდაშიც აღარ არის, მამა! მედიცინაც ამას ამბობს...

— მირიანი ჯანმრთელი უნდა გაიზარდოს, — ჩაფიქრებულმა თქვა ტატემ.

— ნუ გეშინია, ხელოვნური საკვები სულ ვიტამინებზეა დაზნადებული, — ანუგეშა ასმათმა და სარკეს მიუჭდა.

მალე ასმათმა სასადილოს ოფიციატ ედისონ სარიშვილთან დაიწყო კურკური. ჯერ სარიშვილი თითქოს ბავშვისათვის ხელოვნური საკვების შოვნაში ეხმარებოდა, მერე თანდათან დაუახლოვდა და ბოლოს მთელი ხაშურის საქორაოდ იქცა ხმალაძის რძლის ამბავი.

როცა ტატე რეისში იყო, ასმათი სადღაც იკარგებოდა და შინმობრუნებულ ქმრისათვის პირგამეხებულ და ნამტირალე ელოს ვერაფერი ეთქვა.

მირიანი კი იზრდებოდა უდედოდ, ურძეოდ, ბებიის ხელითა და პაპის აღურსით. ბიჭი ორი წლისა გახდა და ოჯახიდან გარეგარე მოსიარულე ასმათს მისთვის ერთხელაც არ მოუცლია, ხელში არ აუყვანია, არ მიფერებია.

ტატემ რამდენიმეჯერ სცადა რძალთან ვულახდილი საუბარი, მარამ ასმათი ყოველთვის ამშვიდებდა, არ უნდოდა ტატეს სათქმელი ბოლომდე ჩაეთავებინა, ოჯახში ჩამოწოლილი ზეავის შეკაეებას მსუბუქი ღიმილით ცდილობდა.

ერთ დღეს, როცა ტატე რეისიდან ნაშუალამევს დაბრუნდა და ოთახში შევიდა, მაგიდაზე ნაჩქარევი ხელით დაწერილი ბარათი დახვდა. ტატემ იგრძნო, რაც იქნებოდა, ხელის კანკალით აიღო და გაფითრებულმა წაიკითხა: „მე თქვენებურად ცხოვრება არ შემიძლია, ყველამ საკუთარი გზა უნდა მონახოს. მშვიდობით“.

მეორედ მაშინ დამარბა ტატემ შვილი, როცა ეს წერილი წაიკითხა.

სადგურიდან ჩქარი მატარებლის დგრიალი მოისმა. „ეს წავიდა 34-ე, —

გაიფიქრა ტატემ, — ერუენი-როსტომი. ნაშ, 23 საათი და 34 წუთია მოსკოვის დროით... აი, როდის შევხვდეთ ჩემი ოჯახის თავის მოკრა...“

„რა იყო ასმათის საქციელში მოულოდნელი? — ფიქრობდა ტატე. — ასმათი ხშირად შესჩიოდა, რომ კარგი ჩაცმა უყვარდა, რომ მას, ლამაზ ქალს, ყოველთვის მოდიდან გამოსული და იაფი ტანსაცმელი ეცვა...“

ბავშვის ტირილის ხმა გაიგონა. ელო ხმადაბლა ნანას უმღეროდა, სათამაშოებს აჩხრიალებდა. იგი ფრთხილად მოძრაობდა მეორე ოთახში, მირიანს ეფერებოდა, ელიცლიცებოდა.

ტატემ ფანჯრიდან განათებული ვაგონები დინახა.

მაშ, თბილის-სოხუმიც წავიდა. უკვე შუალამე იყო.

ასმათი ჩიოდა ხოლმე, რომ მას მამაკაცი აკლდა, თბილისში ცხოვრებას ნატრობდა. „აჰ, ამ ერთი ბეწო ხაშურში სად წავიდე ან რა გვაკეთო?..“

ტატემ ურჩია სამსახურის დაწყება, მაგრამ ასმათმა, მიუხედავად იმისა, რომ საშუალო სკოლა ვაივაგლახით დაემთავრებინა, არც ერთი თანამდებობა არ იკადრა, რაც ტატემ დიდი ხვეწნითა და ენუღარით ნაცნობ-მეგობრებს რძლისათვის „გამოსთხოვა“. ასმათს მხოლოდ რაიკომში ან აღმასკომში პირად მდივნად მოწყობა უნდოდა, რადგან საიდანაც გაეგო, თანამდებობის პირთა პირადი მდივნები ყველა დეფიციტურ საქონელს უწევდნენ მალისა თუ სასურსათო მალაზიების საწყობიდან შოულობენო...

„ეს 2040-ია, საწვავის საბარგო... — თვალი გააყოლა ტატემ ცისტერნების კედლს, — მაშ უკვე 0.23 წუთია. როგორ მიფრინავს დრო!..“

რა იყო მოულოდნელი ასმათის საქციელში? განა ტატემ არ იცოდა, რომ ასმათი დღეს თუ არა ხვალ უსათუოდ წავიდოდა? იცოდა ეს ტატემ, ამას თითქმის სხუელის თვითუული კუნთით გრძნობდა, მაგრამ ეგონა გადაქარბებული ეჭვისა და უნდობლობის პრალი

იყო და ასმათი ქმრის ხსოვნას არ უღალატებდა...

„რატომ გეგონა ასე?“ — ჰკითხა ტატემ საკუთარ თავს.

სადგურიდან დაგუდული საყვირის ხმა მოვიდა.

„ეს რა, თბილისი-ბათუმია თუ თბილისი-ფოთი? — ჩაეკითხა თავს ტატე, — ნახევარი საათი გავიდა თუ საათზე მეტი?“

ტატეს საათი ხელზე ეკეთა, მაგრამ ეზარებოდა დაეხედა, იგი დროს შინაგანი შეგრძნებით გებულობდა, და სცნობდა მატარებლებს... ვანა ერთხელ და ორჯერ მოუსმენია ამ მატარებლების გასვლის საყვირი? მაგრამ მაშინ ტატე მათ ყურადღებას არ აქცევდა, მისთვის სულერთი იყო რომელი მატარებელი როდის გადიოდა... თავისდაუნებურად კი, საათებსა და წუთებს იმახსოვრებდა, მერე შეუეღობლად შეეძლო აღუდგინა მემსიერებაში...

„საით წავიდოდა ასმათი? — გაიფიქრა ტატემ. — ბორჯომში? ღამის ბორჯომი დიდხნის გავლილია. იქნებ ფოთში? 250-ემ ხომ ამ წუთას ჩაიარა... ფოთი-თბილისი მალე შემოვა, 2 საათსა და 26 წუთზე. იქნებ თბილისში წავიდა? ხომ შესაძლოა, რუსეთისაკენ მოისურვა... 34-ე ერევანი-მოსკოვი გავლილია... 33-ე კი, მოსკოვი-ერევანი 2 საათსა და 48 წუთზე გავა...“

ტატემ ამოიხვნეშა, გრაფინიდან ქიწამი წყალი გადმოასხა და დალია. წყალი თბილი იყო. ასეთი უგემური წყალი ტატემ წყალტუბოში დალია. იმის გემო დღემდე არ ავიწყდება.

„ქუთაისი-თბილისი, 243-ე, 3 საათსა და 36 წუთზე გავა, — ფიქრობდა ტატე. — იქნებ ასმათი სადგურში ზის და ამ მატარებელს ელოდება? შეიძლება ბორჯომში უკვე იყო, ამობრუნდა და მხარაძე-თბილისის ამოუსწროს? 253-ე 4 საათსა და 11 წუთზე გავა... იქნებ გუშინ დილითვე წავიდა და ზღვა მოინახულა? — გაუეღვა ტატეს. — ბათუმი-თბილისი 5 საათსა და 25 წუთზე შემოვა. იქამდე მთელი ღამეა...“

„მშრალმა“ საბარგომ გაიარა, ცარიელი ნახევარვაგონების ჩახატუნებდა და ჯაყჯაყით.

ნიკოლოზი

„ეს 2034-ე იქნება, — თქვა ტატემ. — მაშახლა ღამის სამი საათია...“

მირიანმა ისევ დაიწყო ტირილი. ელოს ღიღინი მოისმა. ოთახში დადიოდა. უცებ კარებმა გაიჭრიალა და ელომ შემოიხედა.

— ჯერ კიდევ არ გძინავს, კაცო? — ჰკითხა ტატეს. — არ იფანქმებ?

— არა, ნაქამი ვარ.

— წყალი ხომ არ გაგიცხლო, დაიბან?

— არა, დაღლილი ვარ. დაეწევი.

— კარგი, დაწევი, — ელოს ხმაში ცრემლი გაერია და ოთახიდან სწრაფად გავიდა.

„საწყალი ელო, — გაიფიქრა ტატემ, — მეგონა შვილის სიკვდილს რძლის პატიოსნება გადაატანინებდა... ახლა მირიანიც მაგის გასაზრდელია!..“

რა ეთქვა დეპოში? გავაგდე? სიმართლეს მაინც გაიგებენ... ზოგს გაუხარდება, ზოგს შევებრალები. ერთიც და მეორეც გაულისამრევია. ეხ, ნეტავ მეც ფრონტზე დავლუბულიყავი...“

გაიარა კიდევ ერთმა საბარგომ. ხუთი წუთის შემდეგ მეორე მიყვა.

„მალე ხუთი საათი იქნება, — იანგარიშა გონებაში ტატემ. — ნახევარ საათში ბათუმი-თბილისი გავა... მერე 2312-ე მიყვება, ცისტერნები. მერე 3464-ე, ჩვეულებრივ ღია ბაქნები არის ზოლმე... მაგრამ ჩვენ ცხოვრებას რა ეშველება? რა გზას დავადგე?“

არ ვიცი. არა. გათენდება და ენა-ხოთ.

მოიცა, ხმალაქე! — გაუჭაერდა თავს. მოიცა. ნუ აჩქარდები. ძალით წაღს ოჯახში ვერ გააჩერებ და არც არის საჭირო. ახლა ძველი დრო ხომ არ არის? ცოლიც და ქმარიც თავისუფალია, ვერ უბრძანებ, ვერ დაატყვევებ. მაგრამ სინდის-ნამუსი ხომ ისევ არის? პატიოსნება ხომ ისევ არის?..

რაო, რასა გვეწერს? — ჩაიცინა ტატემ. — თქვენებურად ცხოვრება არ შე-

მიძლიაო... ხედავ, ხმალაძე, შენებურად არ უნდათ იცხოვროს... რა მიხდა მაინც?

განა ჩემთან შიოდა ასმათს? ან არ ეცვა და შიშველი დადიოდა? გაიგე ხმალაძე, ეს შენა გგონია, რომ მას არ შიოდა და კარგად ეცვა... შენ, იმიტომ რომ ყველაფერს ხელფასით ყიდულობ და ტკბილი გეჩვენება... რასაც ხელფასით ვერ შეწვდები, იმას არც ყიდულობ და არც გული გწყდება... აბა, იმათ ჰკითხე! რაც შენ თვეში გაქვს ჯამაგირი, ისინი ზოგჯერ დღეში შოულობენ. გესმის, ხმალაძე?...

ნურას უკაცრავად! — თითები დამუშტა ტატემ. — მე პატიოსანი კაცი ვარ და ვამაყობ ამით... ქუჩაში რომ გავივლი, ვიცი ჩემზე იტყვიან. პატიოსანმა მემანქანემ გაიარაო! იცი, ეს რამხელა სიმდიდრეა? —

გრძელი, გაბმული საყვირით დაემშვიდობა ხაშურს 251-ე ბათუმი-თბილისი. ტატემ ფანჯარას გახედა.

გადარბოდნენ ლიანდაგიდან ლიანდაგზე საბარგო მატარებლის გოგორწყვილები, ბუბუნებდნენ მთელი ღამე ელმავლები... სადგურს არ ეძინა.

არ ეძინა ტატესაც. მან უძილო თვლებით გააცილა ჯერ სოხუმი-თბილისი 6 საათსა და 50 წუთზე, მერე საბარგო 2058-ე და ბოლოს 446-ე, ელექტრომატარებელი ხაშური-ზესტაფონი.

დილის 7 საათი და 36 წუთი იყო.

ტატემ ღრმად ამოიხვნეშა და თვლები გაახილა. თეთრი ჰერი დაინახა, რომელსაც კუთხეები ლურჯად ჰქონდა და მოხატული. მძიმე, შავ ნაბადს ფეხით კალთები აუკეცა და ტახტზე წამოჯდა. ღვინოსა და სიცხეს ბერეკაცი გაებრუნებინა, აქეთ-იქით დაბნეული იყურებოდა.

მალე გაახსენდა სადაც იყო და რატომღაც მაშინვე ელო დაეხატა თვალწინ. ცოლი სულ იმას ედავებოდა, რამდენიმე ჰქიას დალევ თუ არა, თვალეზს სულელივით ჭაჩავ და ენაც გებორკეობო, ტატეს ღვინო არ უყვარდა და სმა-

საც ერიდებოდა, რადგან ნაღვნივეს ბევრი ისეთი რამ ჩაედინა, გამოფხიზლებულს კინჰარივით რომ დასუსტავდა ხოლმე. ახლაც ელო იმიტომ მოაგონდა, რომ ცოლის თვალით შეეფასებინა თავისი ნამოქმედარი.

არა, დღეს ტატეს შეუფერებელი და უკადრისი არაფერი ჩაუდენია. ჩრდილში ამოვიდა და მირიანის კვალს აჟაც რომ ვერ მიაგნო, გზის გაგრძელებას აპირებდა. მერე ეს დალოცვილი იასონ ტყეშელაშვილი შეხვდა. მერე ტატემ ისაძილა და ცოტა დალია. მერე ერთი გემოზე წაუძინა.

ტატე დარწმუნებული იყო ძალიან შევაწუხებ მასპინძლებიო და უხმაუროდ უნდოდა წასვლა. მაგრამ როგორც კი ფეხი იატაკზე დადგა, ოთახში გოგონა შემოფრინდა და ჰკითხა:

— ბაბუ, ხელ-პირს არ დაიბანო?

— კი, შვილო, დავიბანე. მაჩვენე სად არის პირსაბანი, — ტატე უკვე საესე-ბით გამოფხიზლებული წამოდგა და ბავშვს გაყვავა.

— აი, აქ არის, ბაბუ, — უთხრა გოგონამ. — წყალი ზომ არის შიგ?

ტატემ პირსაბანს თავი მოხადა.

— იმდენი ყოფილა, ბიძიკო, რომ შენც იბანავებ.

— მე დღეს დილით მობანავა ბიციოლამ, — მორცხვად თქვა გოგონამ.

— სად არიან მასპინძლები, მათაც სძინავთ? — ხმას დაუწია ტატემ.

— ბიციოლა ვახშმისთვის წიწილებს წვავს, იასონ ბაბუა კი წაივია...

— სად წაივია? — გაუკვირდა ტატეს.

— მეზობლების მოსაპატიებლად.

— ვინმეს ელით ვახშმად, ბიძიკო? — ტატემ სახე შეიმშრალა და გულისჯიბიდან სავარცხელი ამოიღო.

— თქვენზე უკეთეს სტუმარს ვის უნდა ველოდეთ, ბაბუ!

— ვინ თქვა მაგი? — გაეცინა ტატეს.

— თქვენ ზომ პირველი მემანქანე ხართ... განა არ ვიცი!

— კაი ახლა, გუყოფა, — მიეფერა

ტატე. — დიდი მადლობელი ვარ პატივცემისათვის-თქვა, გადაეცი მას-პინძლებს და ერთი სათხოვარიც უნდა შეიმსრულო.

— მიბრძანეთ, ბატონო.

— შენ თუ კარგი გოგო ხარ, როგორმე უნდა გამაპარო.

— მაგი რა ბრძანეთ, ბატონო! — შეცხადა ბავშვმა. — თქვენისთანა სტუმარი ამოვიდა სოფელში...

— გამაპარე და ელმავალზე დაგსვამ! — თავისი ჰკუთით, ყველაზე დიდ საჩუქარს დაპირდა ტატე.

— მე სხალ „ვოლგაზე“ მიჩვენია, ბაბუ!

— „ვოლგა“ იყოს! თანაც ახალი! ოღონდ ახლა გამაპარე...

— აგერ, ბიცოლა მოდის და იმას უთხარით, — მიადახა უცებ ბავშვმა და გაიქცა.

— კარგად მოისვენეთ, ბატონო? — ღიმილით ჰკითხა დიასახლისმა, შებლზე წაკრული ხილბანდი გადაიძრო და კაბის კალთაც ჩაიბერტყა. — ამ სიციხეში რა დაგაძინებდათ.

— მადლობელი ვარ, ქალბატონო, — თავი დაუკრა ტატემ. — დაღლილი ვიყავი და უცებ ჩამეძინა.

— ჰერის გამოცვლამ იცის, ბატონო! — შეაშველა დიასახლისმა. მზე გადავიდა და აგრილდა კიდეც. საღამოს ამ სოფელზე უკეთესს ვერაფერს ინატრებთ.

— ახლა ჩემი წასვლის დროა, — ტატემ საათზე დაიხედა, — ისედაც ბევრი შეგაწუხებთ.

— უი, ღმერთო მომკალი! — წამოიძახა დიასახლისმა. — უვახშმოდ რავე გაგიშვებთ...

— დაგვიანდება, ქალბატონო, დიდი მადლობელი ვარ, — ტატე ნაბიჯ-ნაბიჯ კიბისაკენ მიდიოდა.

— თავი არ მომიკვდება, აქედან უვახშმოდ არ გაგიშვებ, — წინ გადაუდგა დიასახლისი. — იასონ ბიძიას რა პირით შევხედო?..

— ბოდინი მომხადეთ, ქალბატონო, იასონთან. სჯობია, ახლავე ბავშვი გა-

ავზავნოთ და შინ დააბრუნოთ, — მორიდება და წუხილი არ შორდებოდა ტატეს სახეს, — ისედაც ზომიბზე შეტად შეგაწუხებ...

— რა შეწუხებაა, ბატონო, თქვენისთანა სტუმარი! — ყოყმანობდა დიასახლისი, ამჩნევდა, ტატე თავპატივს არ იღებდა, მართლაც რაღაც საჩქარო და გადაუდებელი საქმე ჰქონდა. მაგრამ იმერულ ქალს, ასე უცებ სტუმრის გაშვება ესირცხვილებოდა. — ღომი უკვე ჩადგმული მაქვს, ბატონო, — უქანასკნელ ფანდებს იშველიებდა გულუხვი დიასახლისი, — ქაღს დაეცხოზბდი და საცაა წიწილებიც შეიწვებოდა კეცში...

— ყველაფერზე დიდი მადლობელი ვარ, ქალბატონო, — ტატე უკვე ჰიშკართან იდგა, — ცოდვა გამქლავნებული სჯობია და შეილიშვილს ვეძებ, ერთი თვეა გავვიორგულდა და შინ აღარ მოდის...

— ღმერთო მომკალი! — შეკვილა დიასახლისმა. — ასეთი რა დაუშავეთ პატროსანმა ხალხმა?

— აგი თქვი ბატონო! — ხელები გაშალა ტატემ. — ახლა, დილიდან, უთენია, ციხაძის მოზვერივით დავადევნი ხაშურიდან თავი და სოფელ-სოფელ ვეძებ...

— როგორ გეკადრებათ, ბატონო!..

ტატე ვერ მიხვდა, დიასახლისს რა არ მოეწონა და ხმალაძეს რა „არ ეკადრებოდა“, მაგრამ როცა მეორედ ახსენა „ციხაძის მოზვერი“ და დიასახლისი კვლავ შეიკუმუნხა, ტატე მიხვდა რა „არ ეკადრებოდა“.

— მაშინ, ბატონო, აგერ მანქანით წაბრძანდით, რახან არ იშლით, — უთხრა დიასახლისმა. — სულიკო! — დაუძახა დანგრეულ ფერდებშელუწილ „ოკელთან“ მოფუსფუსე ღიბიან კაცს, — მოლითში მიხვალ?

— გეხლები, აგრაფინე! — სულიკომ ცხვირსაზოციტ შუბლიდან ოფლი მოიწმინდა.

— მაშინ აი ჩვენი პატროსანი სტუმარი შენი მგზავრი იქნება, აღარ მეიცავდა, როგორ არ ვებვეწე და...

— რა სათქმელია! — ტატემ ხელი ჩაბოართვა დიასახლისის და მანქანის კარები გამოაღო. ატყობდა, ძალიან დაიგვიანა.

სულიკომ მანქანის ღია სარკმელში თავი შემოყო და ტატეს უთხრა:

— ბატონო, აი რვეალი რეინა რომაა გამოშვერილი, თუ არ შეწუხდებით, ფეხი დააჭირეთ.

— დროსელს? — ჰკითხა ტატემ.

— აუ, მანქანა ჩემზე უკეთ გცოდნება! — წამოიძახა სულიკომ. — აკუმ-ლატორი დაჭდა და სტრატეჯი ვერ იღებს. ახლაც სახელურს ამოვკრავ და სულ ჩიტვივით გავფრინდებით...

სულიკომ სახელური ერთხელ კი არა, ათჯერ „ამოკრა“, მაგრამ ჭიუტად პირ-

გამეხებულ მანქანას ხმა ვერ ამოხდებოდა.

— უნდა დაეგოროთ, ბატონო, მგელი გზა არ არის, — დაასვენა ბოლოს სულიკომ და სერზე გაჩერებულ ბიჭებს ხელი დაუქნია. — მოდი თქვენი, რომ დაგიფრინათ პირი!

ჩრდილულმა ბიჭებმა ხალისით მოირბინეს, ყოველი მხრიდან ხელი სტაცეს მანქანას.

— უკან, უკან გადადიო! — დაუყვირა მათ სულიკომ. — მოაწევიო!

მანქანა გაგორდა და მართლაც, რამდენიმე მოსახვევის მერე ძრავი ამოშავდა. ტატემ ღრმად ამოისუნთქა და საათს დახედა. უნდა ეჩქარათ, თუ სურდათ მოლითში დროზე ჩასულიყვნენ.

თავი მესამე

ვაკეზე რომ გავიდნენ, უცებ წინა საბურავმა ერთი ამოქშუტუნა და გაფიცებულ მიწაზე დაღლილი გლეხაკივით მიწვა. სულიკომ შეიგინა და „ოპელიდან“ ჯერ ღიბი გადაიტანა, მერე თვითონ გადაძვრა.

— სულ ახალი კამერა ჩავეყენე გუშინ, — უთხრა ტატეს, — საბურავიც ვულკანიზაციაში მჭონდა და თხუთმეტი მანეთი, სალათას რომ ობრაბუსს წააჭრი, ზედ ისე წაეყარე! შენც არ მომიკვდე! ქვეყანა ხალტურაზეა გადასული, უფულოდ ვინ რას გაგაკეთებს...

ტატეს უნდოდა შეეხსენებინა, ახლა არ თქვი „თხუთმეტი მანეთიო...“, მაგრამ დრო აღარ ითმენდა და სულიკოს თვალით ანიშნა, მოგვხმარები საბურავის გამოცვლაში.

— საბურავი ვინ მომაშავებავა, რომ გამოვეუცვლო, — დაასლოკინა სულიკომ. — ამაში ახალი კამერა ჩავდოთ და ეგ იქნება.

სულიკომ სკამქვემოდან იარაღები გამოაწყო, დომკრატის ზრახნი დაუშვა და დაიხარა, რომ მანქანის ძარისათვის ამო-

ღიბმა არ გაუშვა. რამდენჯერაც არ

მოიხარა, იმდენჯერ დომკრატის ნაცვლად მიწას ღიბი დაახალა და გაოფლილი შუბლი მანქანის კარებზე შეიმშრალა.

— ამ მანქანის კონსტრუქტორს ახლა კვთა აქვს? — გაჯავრებულმა ჩაიბურტყუნა. — ალბათ ამის ვაკეთებაში მილიონები ჩაიჯიბა. მე კი დომკრატი ვერ ამომიღვია, ისეთი დაბალი ძარა აქვს. ფუ, გაგიწყდეს გამქვილი! — მოიქნია და დომკრატი ძირს დაახეთქა.

მერე ისევ მივიდა და აიღო. სული შეუბერა. მაგრამ მიწაზე დაცემისას ზრახნი კენჭი გაქვდილიყო და დომკრატის სახელური აღარ მოძრაობდა.

— ამოიღე ეს კენჭი თუ კაცი ხარ, — უთხრა სულიკომ ტატეს.

ტატემ ჭაყვა გადახსნა და წვერით ფრთხილად გამოიღო კენჭი.

— ყოჩაღ! — გაუხარდა სულიკოს. — ახლა თუ არ გეზარება, ქვემოდან ამოსდე მანქანას, იქამდე. მე გამოსაცვლელ კამერას მოვქებნი.

ტატემ დაუყენა დომკრატი და მანქანის წინა ხიდი ასწია. საბურავი მიწას მთლად არ ააცილა, რადგან კანჭიკების მოხსნისას დაბზრიალდებოდა.

სულიკოს მანქანაში თავი წაეყო და რაღაცას ეძებდა. ღია კარებთან დაკიდებული ღიბი მიწას მეორე დომკრატინით დაბჯნოდა და მანქანა ცოტათი აეხრავებინა.

როგორც იქნა, სულიკომ კამერა იპოვა და ხვნეშით მივიდა დაშვებულ საბურავთან.

— ჯერ კიდევ არ მოგიხსნია? — ჰკითხა ტატეს.

ტატემ გაკვირვებულმა შეხედა.

— ასეა ბერეკაცო, — ჩაიცინა სულიკომ. — ტექნიკა უნდა უყვარდეს კაცს ზავშეობიდანვე... შენ ალბათ, მთელი სიცოცხლე „ჩოთის“ მერტი არაფერი გპერია. ბუღალტერი ხარ, ხომ?

ტატეს გაეცინა. „ბუღალტერს მაინც რა მიგავსო“, — გაიფიქრა გულში.

— აი საბურავიც მოვხსენით! — ჩაცუქდა სულიკო, — ბორბალს ხუფი ნოაძრო და მერე ქანჭიკები მოუშვა, — ხედავ, ბორბალიც გადმოვარდა!

საბურავის ყელი ლითონის ფერსოზე სიციხისაგან ისე შედუღებულიყო, რომ სულიკომ კარგახნის ჩაჭგურის მერე ტატეს დაავალა:

— ჩადი ბიძაჩემო, ჩხერიმელაზე და ცოტა წყალი ამოიტანე. წყალი თუ არ დავასხით, ისე ამ დაწებებულ საბურავს ვერაფრით ვერ მოვადრებთ.

— რით ამოვიტანო წყალი? — ჰკითხა ტატემ.

სულიკომ მიიხედ-მოიხედა, მანქანაშიაც შეიჭყიტა და ვერაფერი რომ ვერ ნახა, ტატეს დაუძახა.

— ა, შლაპა რო გხურავს თავზე, ნამჯისა?

ტატემ თავი დაუქნია.

— გადმოაბრუნე და ჩაასხი შიგ წყალი. ისე ცხელა, რომ საღამომდე ქე გაგიშრება...

დაფრდებულ ხრამზე ტატე ძლივს ჩავიდა, მაგრამ ჩხერიმელას წყლით თავისი ახალთახალი ნაცრისფერი შლაპა რომ გაავსო, ამოსვლა ვეღარ შესძლო. რამდენს არ ეწვალა, ბილიკზე ფეხი ვეღარ მოიკიდა. ხან წაიფორხილა და წყალი დაეღვარა, ხან ფეხი დაუტურდა

და კინალამ ჩხერიმელაში ჩაჯარდა. ბოლოს, ისევ საქონლის ფეხში დაგვერდულ ბილიკს მიყვა და მართალია, შორიდან მოუარა, მაგრამ გზაზე მაინც მშვიდობიანად ამოვიდა და შლაპით წყალიც ამოიტანა.

— დაგავიანდა ბიძაჩემო! — შორიდანვე დაუძახა სულიკომ, მოკრა თუ არა ტატეს თვალი. — საბურავი ჩაეხსენი და ახლა კამერას ვიღებ.

— წყალს რა ვუყო? — ნირწამხდარმა ჰკითხა ტატემ.

— გადაღვარე. მოიცა, მოიცა, ერთ ყლუბს დავლევ, თორემ ხახა ამომიშრია! — სულიკომ შლაპა გამოართვა და ჩაყურყუმალავდა. — კარგი წყალია ეს დალოცვილი! — სველი ტუჩები, ცხვირი და ლოყები სახელოთი შეიმშრალა, — მერე როგორი თევზი იცის ჩხერიმელაში!.. — შეხედა ტატეს და თვალი ჩაუკრა. — შენ დროს ბლომად იქნებოდა?

— ჩემ დროს? — ჰკითხა ტატემ.

— ჰო, შენ ახალგაზრდობაში. ახლა თევზს კი არა, პროტეზი გაქვს ხომ, მაჩვენე კბილები?!

— თევზი ახლაც ბლომად არის, — ხმადაბლა თქვა ტატემ და ისე გაიცინა, რომ სულიკოს კარგად დაენახა მისი ჯანბრთელი თეთრი კბილები.

— ესეც კამერაა! — ამოიხვნეშა სულიკომ. — შეხე, როგორ დაფლეთილა... სულ ახალი იყო! — და მიწაზე შეიდგან დაკერებული კამერა დააგდო.

— ვიჩქაროთ, ბატონო, თორემ დაგვიღამდება, — შეახსენა ტატემ.

— მაშინ შენ ამით დაბერე, — სულიკომ სახელური მიაჩეჩა, — მე კი ქანჭიკებს მოვუშვარ.

ტატემ სახელურს ორივე ხელი მოკიდა და საბურავის დაბერვას შეუდგა. ჩაცუქებულ სულიკოს ქანჭიკები რამდენჯერმე ძირს ჩამოუვარდა და რომ არ დაკარგოდა, ღიბზე დაილაგა.

საბურავს ბერავდა ტატე და აგონდებოდა, მგზავრობისას, რაღა არ შემთხვეოდა ამ გრძელი წელიწადების მანძილზე...

— ყვითელი მოციმციმე, — თქვა თანაშემწემ.

— არის ყვითელი მოციმციმე! — გაიმეორა ტატემ, სადგურში შესავალი ღია იყო და გასავალი დაკეტილი, ამიტომ ხმალიძემ სიჩქარეს მოუკლო, რათა მატარებელი გაეჩერებინა.

— ყვითელი მოციმციმე — ყვითელი! — წამოიძახა უცებ თანაშემწემ. სადგურის მორიგე მატარებელს მართალია გვერდით ლიანდაგში ღებულობდა, მაგრამ შეუჩერებელი შეეძლო გზა გაწეგრობა.

— თეთრია! — თქვა თანაშემწემ.

ტატე ფიქრებიდან გამოერკვა, სიჩქარეს დაუკლო, თეთრზე განსაკუთრებული სიფხიზლე იყო საჭირო, სანამ შექნიშნამდე არ მივიდოდნენ, იქამდე ვერ გაიგებდა, წინ როგორი გზა იყო. ტატემ საყვარი მისცა, რათა სადგურის მორიგესათვის ეცნობებინა, რომ ფხიზლად იყო.

აინთო ყვითელი.

— სამარშრუტოს გვიხსნის, მაგრამ გასავალი დაკეტილია, — უკმაყოფილოდ წაიდუღუნა თანაშემწემ.

ტატემ თანაშემწეს ღიმილით გადახედა. სრულიად ახალგაზრდა, ჯერ კიდევ ჰაბუკი იყო. თამაზი ერქვა. ეს უკვე მეორედ უწევდა მასთან მუშაობა და რაც უფრო აკვირდებოდა, ჰაბუკი უფრო მეტად მოსწონდა. საკუთარი თავი აგონდებოდა. მასაც ასე მოუთმენლად უბაგუნებდა გული სიჰაბუკეში, როცა ხაზზე ყვითელს დაინახავდა. ერთი სული ჰქონდა მალე წასულიყო.

— მთავარ ლიანდაგზე გაგვაჩერებს, — თქვა ტატემ და მუხრუჭი მოზიდა.

— გააღო, ტატე ძია! — წამოიძახა თამაზმა.

ხმალიძემ გახედა გასასვლელის თავზე აბრღვევილებულ მწვანეს და დასძრა ელმავალი. მატარებელი შექნიშანს რომ გასცილდა, სისწრაფე აიკრიფა და...

მოსახვევში ტატემ საკმელი გამოხსნა და მატარებელს უკან გახედა. დაკვირვებული თვალით აკვირდებოდა გო-

გორწყვილებს, ხომ არ ბოლავენ, ზეთი ხომ არ შემოაყლდათო, ვერსად საგანგაშო ვერაფერი დაინახა, საკმელი დახურა და სალოკომოტივო სიგნალიზაციას შეხედა. შეამოწმა, კოლირებული ლიანდაგი შექნიშნებს ეთანხმებოდა თუ არა. ყველაფერი რიგზე იყო. ხაზზე გამოჩნდებოდა მწვანე, სალოკომოტივო სიგნალიზაციაზე მწვანე ენთო და ასე მიყოლებით...

თამაზს ორი თვის აღებული ჰქონდა ელმავლის მართვის უფლება და ტატე ამჩნევდა, ჰაბუკს მოუთმენლობისაგან სული ეპარებოდა, მეშინჯანე როდის დასვამდა თავის ადგილზე.

ხმალიძემ გზის პროფილს გახედა. სწორი, მშრალი ლიანდაგი იყო. ათი კილომეტრის მერე დაღმართი დაიწყებოდა. იქამდე შეეძლო თანაშემწე თავის ადგილზე დაესვა.

— თამაზ, გადმოდი ბიჭო! — დაუძახა ტატემ.

ჰაბუკი წამოხტა და ერთ წამში დაიკავა მეშინჯანის ადგილი.

— ნუ ჩქარობ, მშვიდად... — უთხრა ტატემ. — ცოტა მოუკელი სიჩქარეს...

თამაზი მართავდა ელმავალს, თვალუბრაჰყვითელი გაყურებდა გზას და სინარულით ალბათ მეშვიდე ცაზე იყო.

— წითელი — ყვითელი! — უცებ წამოიძახა თამაზმა.

— შენ ადგილზე გადაჯექი, — თქვა ტატემ, კონტროლიორის სახელური პოზიციებზე გადაატარა და მუხრუჭიც მოზიდა. ცოტა კიდევ რომ გაველოთ, წითელი აინთებოდა, „არ უნდა დამესვა ეს ბიჭი, — უჯავრდებოდა თავს, — აბა, როდისმე ხომ უნდა ისწავლოს მართვა? ვილაცამ ხომ უნდა ასწავლოს? ეშმაკმა წაიღოს ეს წითელ-ყვითელი... მადლობა ღმერთს, დროზე შევჩერდი, თორემ დოსი არ ამცდებოდა... უმტყიცე, რომ თანაშემწე იქდა და შენ არ გაიარე წითელზე...“ — ფიქრობდა ტატე და შუბლიდან ცივ ოფლს იწმენდა.

ტატემ დაბერა საბურავი, სულიკომ დაუყენა მანქანას და წაივინა, მაგ-

რამ „ოპელმა“ სულ ორასიოდე მეტრი გაიარა და უცებ მშრალ, ნაგვალევი მიწაზე დაეკურდა.

სულიყო ციგისოდენა ფეხსაცმლით, მთელი ძალით აწევებოდა დროსელს, მაგრამ მანქანა სისწრაფეს ვეღარ იღებდა, უხმოდ მისრიალებდა.

— გაწყდა ამის პატრონი, ტრამლიორმა მილალატა აღბათ! — დაიყვირა სულიყომ და მანქანა გააჩერა.

„ოპელმა“ ამოიქშინა და ძრავიდან ბოლი აუშვა.

სულიყომ კაპოტი ახადა, დგუშებს ჩახედა და სანთლები შეამოწმა, ხომ არ ამოვარდნილანო. მერე ტრამლიორს მოხადა სარტყელი და დააკეჭრა.

— ვეღარ წავალთ, ძმობილო? — ჰკითხა ტატემ, რომელიც თავებდს იწვევლიდა ფეხით რომ არ წავიდა და ასეთ მძღოლს გადაეყარა.

— ახლავე, მოხუციო! — წაიდუღუნა სულიყომ. — მახრჩობელა პანტასავით რა ყელში მწვდები ხოლმე?..

ტატემ გაჩუმება არჩია.

სულიყო მანქანას როგორც მიცვალელებულს ისე დასცქეროდა. თითქოს შავად გაზუნზულულ, კუჭყიანი ძრავის ზედაპირზე უნდოდა ამოეკითხა მისი „ანდერძი“.

— ძრავი უნდა გავავარილო, — თქვა სულიყომ. — დღეს უსაშველოდ ცხელოდა და ამდენი ვეღარ ზიდა. პატარა მანქანისათვის მცირე ტვირთი არაა ორი კაციო...

— მე ისედაც ფეხით მერჩივნა, — ტატემ თავის დასველებულ და დაკმუჭუნულ ნამჭის შლაპას ხელი წამოაყვლო.

— აუ, მაგი არ გამაგონო! — სულიყო მიხედა, რომ წინდაუხედავი სიტყვა თქვა და ცდილობდა გამოეწროვინა, — ავრაფინას სიტყვა მივეცი და ცოცხალს ან მკვდარს მოლითში ჩაგიყვან... —

— აღარ დარჩა დიდი მანძილი, ფეხით წავალ. — გაიწია ტატემ.

— რატომ ფეხით? სულიყო გაჩეჩილად მანქანით წავიდეს და თქვენ ფე-

ხით გატაროს? არა, არ მოკვდეს ჩემი თავი! მაშინ ჩემ გვამს გადაუტრეფდა ისე წადი...
განზღობილია

ტატე შევიდა მანქანაში, სულიყო ზღაყუნით მიუჭდა საკვებს და ძრავი აანთო.

„ოპელი“ მსუბუქად გასრიალდა გზაზე.

— ხომ ვითხარი! — იყვირა გახარებულმა სულიყომ, — დასვენება კაცსაც უნდა და ეს ხომ უსულო საგანია...

— აგაშენოს ღმერთმა! — მიუღო ტატემ, — ოღონდ ვიჩქაროთ, სანამ არ დაღამებულა.

— მოგიკვდეს სულიყო გაჩეჩილადე თუ მაგაზე გაწყენინო! — გულზე მარტხენა ხელი იტაკა სულიყომ. — სწორედ ამ დროს „ოპელმა“ ერთი ამოინხრატინა, ინერციით ჩაირბინა დაღმართი და როგორც კი ვაკეზე გავიდა, გაჩერდა.

„ოპელი“ სწორ გზაზე იდგა, წასვლით ვერ მიდიოდა, მაგრამ გაჩერების თავიც აღარა ჰქონდა. ნელ-ნელა მიგორავდა.

ტატემ უკანა თელგებს ლოდები შეუწყო, სულიყომ მანქანას კაპოტი ახადა და თავში ხელი შემოიკრა. სამუხრუჭე სითხის გამტარი მილი გახეტქილიყო, ბორბლებს რაღა დაიჭერდა.

— ზოგი ჭირი მარგებელიაო, — დაამშვიდა სულიყომ ტატე. — მაინც უჭირდა აღმართში, ახლა უფრო თავისუფლად იმოძრავებს.

— უმუხრუჭოდ აღვილიდან დაძვრაც არ შეიძლება, — მკაცრად უთხრა ტატემ. — მანქანა თუ არ გეცოდება, შენი ოჯახი მაინც შეიბრალებ!

— რა ჩვილი გული გქონია!.. — გაიცინა სულიყომ. — შე კაი კაციო, მანქანა ზოგს სულ არა აქვს, მაგრამ ფეხით დადის, რა ყურები ჩამოყარე!

ტატე რაც პენსიაზე გავიდა, ყურები ჩამოყარა.

მერე მთელი დღეები პენსიონერი ტატე ხმალივ იჯდა და ფიქრობდა.

მორიდებასა და ჰატივისცემას თავისი საზღვარი ჰქონდა.

ხაშურის სადგურის ჩიხი სამანვერო სამუშაოებისათვის დასჭირდათ და ხე-ლაძისეული „ჩამოწერილი“ - დუპლექსი რუსთავის მეტალურგიული ქარხნის „ჭართად გაათორქეს“.

დღეღღეზე ჩაუბამდნენ რომელიმე საბარგოს და რუსთავეში ჩაიყვანდნენ. მერე ჭართად გადაადნობდნენ და ამით დამათვრდებოდა ყველაფერი.

გულადრიალებული ტატე დეპოს უფროსის ზურაბ კობიძის კაბინეტში შევარდა.

— შე კაი კაცო, — უთხრა ტატემ დეპოს უფროსს, — რას მიაჩნდით იმ დაფაცხატებულ ორთქლმავალს? სამუზეუმოდ მინც არ გამოგადგებოდათ?

— ჩიხი გვეჭირდება, ტატე ძია, — გაიღიმა ზურაბმა. — ჩვენზე კარგად ხედავ, კვანძი აღარა გეყოფნის, გვიზარდეთ... ვავმდიდრდით...

— ეგ მართალია, ზურაბ, მაგრამ რა ლითონი უნდა მისცეს იმ ჩემმა „ბებერმა“, — ხმა გაეზარა ტატეს.

— რა ვიცი, მაგას მეტალურგები იანგარიშებენ. რატომ მეკითხები?

— რატომ და მე ჩემი ანგარიში მაქვს!

— ჯერ ერთი, ტატე ძია, რომ სიტყვა მივეციტ ქარხანას, მეორეც, რად გინდა ეს დაძველებული რკინარკუნა, შინ ხომ არ წაიღებ? — ზურაბი ახარხარდა.

— ნუ იცინი, ზურაბ, — ჩუმად თქვა ტატემ. — ხომ ამბობ, ჩიხში ადგილი აღარა მაქვსო, შენ რა გინდა, სად წაიყვან...

— მინც სად წაიყვან, სად? — სიცოცხლს ძლივს იკავებდა კობიძე.

— ორთქლმავალს ჭართად არ დავაგებებ! — დაიყვირა ტატემ. — ეს უკვე გადაწყვეტილია!..

— ვინ გადაწყვიტა? — სერიოზულად ჰკითხა ზურაბმა.

— გამოგცადე, ზურაბ... ვიცოდი, უარს მცვილებდი, აი. წაიკითხე ეს ბრძანება! ყველა ბეჭედი ახის, რაც კი რკინიგზაზე მოიპოვება... — ტატემ კობიძეს რაღაც ქაღალდი მიაწოდა.

ზურაბმა გამოართვა და წაიკითხა. გზის უფროსის ბრძანებით, ჭართად

ჩამოწერილი ორთქლმავალი უსასყიდლოდ უნდა გადასცემოდა ხაშურის რაიონის სოფელ ახალუბნის საშუალო სკოლას.

— რა ეშმაკად უნდა სკოლას ორთქლმავალი? — სკამიდან გაოცებული წამოვარდა კობიძე.

...მეორე დღეს მთელი ხაშური გამოეფინა სადგურში. უზარმაზარ, ოცდაორღერძიან ავტობაქანზე შეაგორეს ორთქლმავალი და ნელი სვლით ახალუბნისაკენ გაემართნენ.

ტატე ავტობაქანაზე იღვა და ამაყად გადასცქეროდა მოციფცივე ხალხს.

„ხომ გითხარი, რაღაცას მოვიფიქრებ-მეთქი, სასიკვდილოდ არ გაგიმეტებ-მეთქი!.. — ჩურჩულებდა და სიყვარულით შესცქეროდა დუპლექსს, რომელიც გამგზავრების წინ საგანგებოდ გაერეცხათ და შეელებათ.

გასუფთავებული და შედებილი ორთქლმავალი ისეთი ძველი აღარ ჩანდა, როგორც სინამდვილეში იყო. ბავშვები ყივილ-ხივილით მისდევდნენ ამ უცნაურ სანახაობას.

სალამობანს ავტობაქანი ახალუბანში ავიდა. იქ ორთქლმავალი ფრთხილად გადმოაგორეს და სკოლის შენობის გვერდით დააყენეს.

ტატე ერთი კვირა დარჩა სოფელში. მან თავისი თვლით ნახა, დეპოს ახალგაზრდა ზეინკლებმა როგორ შეიყვანეს სკოლაში ცენტრალური გათბობის მილები. მერე დუპლექსის შეკეთებული ქვაბი გაახურეს და ორთქლი დასწეულებული დგუშების ნაცვლად სკოლის საკლასო ოთახებში შეუშვეს...

დაირეკა ზარი.

აქამდე პალტოებში შეფუთულმა ბავშვებმა შევებით ამოისუნთქეს. გალულუნებულ ოთახებში სითბო დატრიალდა.

— ახლა საყუთარი თბოსადგური გაქვთ... — ღიმილით ემშვიდობებოდა ტატე სკოლის დირექტორს, სოფლის აღმასკომის თავმჯდომარეს, ბავშვებს. — ახლა აღარ შეგცოვათ... გათბით და დაიზარდეთ...

ტატე უქანასკნელად ავიდა ორთქლ-

მეაღზე და ხელის კანკალით ჩამოხსნა ელოს ძველი, გაყვითლებული და ნაპირებზემოხებული სურათი.

თუქვსმეტი წლის ათქვირებული გოგო და ცხოვრების ჭაფით წელში გატეხილი ბერიაკი შინისაკენ ერთად წავიდოდნენ...

— აი რას გირჩევ, სულიკო! — უთხრა ტატემ. — ეს მანქანა აქ დაეტოვოთ, ჩვენ ფეხით წავიდეთ და მერე საბარგოს გამოვუბამთ...

— ბიძაჩემო, შენ თუ გეჩქარება, არავინ გიპერს, — ეწყინა სულიკოს, — ამ ტყე-ღრეში მანქანას როგორ დაეტოვებ? ხვალე კიდევ კი არ ვიყიდი! უერა ხედავ, თავისი წონა ფული ღირს... იქნება არ იცი, ფრონტზე ამ მანქანით ვინ დადიოდა?

— ვინ? — უხალისოდ ჰკითხა ტატემ.

— ობერშტურმანფიურერი! მერე ფელდმარშალი... აბა!

— უყურე შენ! — წამოიძახა ტატემ, კი გაიფიქრა: „ამისთანა მანქანას თუ ფეხით სიარული არ სჯობდესო“. მერე შლაპა აიღო და წასასვლელად გაეშვალა.

— ბტოვებ? — იყვირა სულიკომ.

— მეტი აღარ შემიძლია მოცდა, ისედაც ძალიან დაეგვიანე.

— მეტი აღარ შემიძლია მოცდა, ისედაც ძალიან დაეგვიანე, — უთხრა თბილისში გამგზავრების წინ მირიანმა ტატეს. ორი კვირის მერე კი პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რკინიგზის ტრანსპორტის ფაკულტეტზე მისაღებ გამოცდებში ჩაქრილმა, ბაბუას სიარულით თვალი ველარ გაუშართა.

— ბიჭო, ასე ცინცხალ რომ გაიქეცი, ახლა?

— შენგან გამიგია ბაბუ, ცლა ბედის მონახვერეაო.

— ცლა — საქმეა, შეილო.. — უთხრა ტატემ. — შენ რომ დეპოში ერთი წელი მაინც გემუშავა, რაღაც შენი ხელით გაგეკეთებინა და საქუთარი თვა-

ლით გენახა, ასე არ გამოგაპანდურებდნენ ინსტიტუტიდან... *მარკინეშვილი*

— იცი, რა კონკურსი იქნება?

— თავი დამანებე, კონკურსი უქნარა ხალხის მოგონილია, — ხელი ჩაიჭნია ტატემ. — როცა იქ მიხვალ, მაშინ კი არ უნდა ეთამაშო ბედს!

— შენ ხომ მოთხარი, მოსამზადებელი ფული არა მაქვსო, — წაიბურტყუნა მირიანმა.

— ყველა ფულს გაიძახით! — დაიყვირა ტატემ. — ხან კლუბში მოლარედ მუშაობდი, ხან ფეხბურთელი იყავი... ვერ იქნა და ჰქუა ვერ მოიკრიფე, რომ რივიან გზას დაადგე!

— უმაღლესში ძნელი გამოცდებია, ბაბუ!...

— არაფერი არ არის ძნელი! შენა და შენი ამხანაგები ჯერ აღმა-დაღმა დადიხართ, მერე კი უცებ თავპირისმტერვეით თბილისში გარბიხართ, თითქოს აქ დარჩენა სამარცხვინო იყოს! — ჭარიც ხომ მოიარე, პატარა ბაღლი აღარა ხარ, მირიან!

— რომ იცოდე, ბაბუ, — უცებ გაეღიმა მირიანს, — ჩემთან ერთი მემანქანე აბარებდა, თბილისის დეპოდან.

— მერე?

— მოხვდა.

— ხედავ? — ხელები გაშალა ტატემ. — რატომ არა ჰკითხე, სად მოემზადეთქო?

— რა ვიცი.

— იქნებ იმსაყ იტყვი, რომ კერძოდ მოემზადებოდა?

— შეიძლება...

— მართლა აღრეა შენთვის უმაღლესში შესვლა, — თქვა ტატემ. — ზიკო, რატომ ვერ მიმხედარხარ, მემანქანე კაცს რკინიგზის ტრანსპორტის ფაკულტეტზე ვინ ეტყოდა უარს?

— რას ამბობ?.. — სახე გაუნათლა მირიანს.

— მოემზადაო! — დააჯავრა ტატემ შეილიშვილს. — ის კაცი ცხოვრებამ მოამზადა, მირიან!

— მე რაღა გავაკეთო? — თვალბში შეაჩერდა პაპას მირიანი. — ის კა-

ცი მემანქანე იყო... მე როდის რას მოვესწრები?..

— სული თვალებში ნუ გეპარება, ბიჭო! — მხარზე ხელი დაკრა ტატემ. — ჩვენ ყველამ ასე დავიწყეთ.

— მაშინ სხვა დრო იყო.

— მართლაც სხვა დრო იყო!... ჩაფიქრებულმა წაიდუღუნა ტატემ — მერე დანგრეულ ქვეყანას ვაშენებდით...

— რა უნდა გავაკეთო, ბაბუ, დეპოში?

— როგორც ყველა ახალბედა შენც ზეინკლობით დაიწყებ, — უთხრა ტატემ. — მერე ვნახოთ. ნურავის ნუ დაეღრჩები. დრო მოვა და გასწავლიან ლოკომოტივის.

ის დღე იყო და მირიანმა დეპოში დაიწყო მუშაობა.

საქმე არ ეშარებოდა, ნესტორა ლონდაძეს — მირიანის მემანქანეს ზშირად უამბნია ტატესათვის.. მირიანი თურნე ელმავლის საკისრებს გულდაგულ გასინჯავდა, მემანქანეს შენიშვნა რომ არ მიეცა. განსაკუთრებულ სიფიზღეს ყინვის დროს იჩენდა, რადგან მაგისტრალი თუ გაეყინებოდა მატარებლის ყველა მუხრუჭი გამოვიდოდა მწყობრიდან. მირიანი თვალებგაფართოებული დასცქეროდა ნახაზებს, ყოველ პანჯიკს იმახსოვრებდა...

ლოკომოტივის მიღების დროს მემანქანესა და მის თანშემწეს სულ ათი-ხუთმეტი წუთი ეძლეოდათ, დრო, რასაც ზოგიერთი პორტფელის ჩასალაგებლადაც ვერ იკმარებს. ნესტორა ლონდაძე კი უამბობდა, რა სწრაფად და უშეცდომოდ ამოწმებდა მირიანი ორსექციიან, ასოთხმოცტონიან ელექტრომანქანას, სადაც ერთ გადამწვარ მცველსაც შეეძლო ლოკომოტივის გაჩერება...

ზშირად ეტყოდა ტატე შინმობრუნებულ, დაღლილ მირიანს:

„შვილო, თუ საკუთარი თავის მართვა-გამძღოლა არ შეგიძლია, ვერასოდეს ვერ წაიყვან ლოკომოტივს“.

საკუთარ თავს კი მართავდა მირიანი?

აბა რა იყო, განათხოვი, ნაუშვიანი ქალი შეიყვარა და სირცხვილეთ დატანჯული ლამეს შინ აღარ ათევდა. რა ვუყუეს, თუ არა საკუთარი თავის ცუდი მართვა?

„ალბათ ის ქალი ძალიან არ გიყვარს, მირიან! — ეუბნებოდა გუნებაში ტატე, — ძალიან რომ გიყვარდეს — ქვეყანას გადაანგრევდი. შენ კი? გაიქეცი და ხმას არ იღებ! რა ეშმაკად გინდა დეპოში მუშაობა, ოცნება უმადლესზე, თუ ვინც გიყვარს მისი დაცვა და გაფრთხილება არ შეგიძლია? თუ ვაჯაცი არა ხარ, რა ეშმაკად გინდა მთელი ქვეყნის ავლა-დიდება? თქვი, მირიან, ხმალიაქე!“

„საკუთარ თავს მართავდა მირიანი?“

როგორ არ გრცხვინია, ბიჭო, — ეუბნებოდა გუნებაში ტატე, — ერთხელაც არ იკითხე ჩვენი ამბავი. იქნებ უარს არ გეუბნებით, შე დალოცვილო! იქნებ ღამეებს შენზე ფიქრში ვათენებთ?.. ადამიანის გული გადაშლილი წიგნი როდია, ერთი ჩახედო და ყველაფერი ამოიკითხო. კაცის გული ცხრა-გლიტულით არის დაკეტილი და როცა სიტყვით უარს გეუბნება, შეიძლება ყველაზე მეტად მაშინ გიფრთხილდებოდა.. ამას უნდა მიხვდე მირიან, ბავშვი აღარა ხარ...“

შენს ხაზზე, მირიან წითელი ანთია, გასაეალი დაკეტილი გაქვს. უყურებ წითელ შუქნიშანს და იცი, უბედურებამდე ერთი ნაბიჯია შეგიძლია თუ არა გადასდგა ეს ერთადერთი ნაბიჯი?

ზომ გახსოვს ჩემი დარიგება:

ცუდ ამინდში იშვიათად ხდება მარცხი, კაცი ამ დროს ფიზილადაა. კარგ ამინდში კი, როცა ყველაფერი გარკვევით მოჩანს, წუთიერად მოგიდუნდება, დაგელდება თვალი და...

ყველაფერი კარგად მოჩანს, მირიან, შენს ცხოვრებაში? იქნებ სიფიზღე მოადუნე, ცხოვრებას ერთი წუთით წაუძინე და წუთისოფლის ბორბალმაც ქვეშ მოგიყოლია...

რა უფრო ძნელია, წუთისოფელი რომ მოგიგდებს ქვეშ და მოგთელავს თუ...

არა მემანქანის შეცდომა არ შეიძლება, — იმეორებდა ტატე, — ფხიზლად, მირიან! არეულ გუნებაზე ხარ, რისში რა გინდა, შინ დაისვენე, ნერვები დაიწყნარე და მერე გამოდი სამუშაოდ...

ხომ გახსოვს ჩემი დარიგება: ძირულადან როცა წყვილით გავდივართ, მწვანე ყოველთვის ჩეენია. ამას ეჩვევა მემანქანის თვალი. არ უნდა მიეჩვიოს! ათასმეურთედ, მწვანე შენი არ იქნება და კენტს, ქვემოდან მომავალს შეასკდებო... დაიხსომე ეს, მირიან! როგორია შენი სიყვარულის გზა, ნირიან? მწვანეზე მიდიხარ თუ წითელზე?..

ისიც ხომ ვითხარი, ერთხელ, მემანქანე სადგურიდან მაშინ გავიდა, როცა ყველა გამსვლელ ხაზზე წითელი ენთომეტი... თვალმა მოატყუა-მეთქი...

შენც ხომ არ გატყუებხს თვალი, მირიან? იქნებ შენი ცხოვრების ყველა გზა-ბილიკზე წითელი ანთია? არც უმაღლესი... არც სიყვარული... საით მიდის შენი მატარებელი?..

ესეც ხომ მითქვამს შენთვის, დაგვიანებულ მატარებელს დისპეტჩერი ყველანაირად ხელს უწყობდა, სადგურებში გაუჩერებლივ ატარებდა. მემანქანე მიეჩვია და ერთ სადგურში, რაღაც მიზეზით, გამსვლელზე რომ წითელი აუნთო.. ველარ დაინახა! რადგან აქამდე, დისპეტჩერი ეხმარებოდა...

„აქამდე ჩემ ფრთებქვეშ იყავი, მირიან, მე ვერკეებოდი შენს მატარებელს. ხომ არ მიეჩვიე და კვლავ ლოლიავი ხომ არ გინდა? აი უცებ, აგინოეს წითელი... შენ კი, მირიან, გეგონა, სულ მწვანით ივლიდი ცხოვრებაში და ამ ერთმა წითელმა ისე შეგაშინა, ისე დაგაბნია, რომ გონს ველარ მოსულხარ...“

ხომ გახსოვს, რა ვითხარი: ყოველ წუთს, როცა ლოკომოტივი მიგყავს, როგორი ამინდიც არ უნდა იყოს და დაღლილობისაგან ძილი გერეოდეს, უნდა დაინახო შენი შუქნიშანი. შენი... რომელიც შენს გამსვლელ ხაზზე ანთია... შენ კი, მირიან, დაინახე ცხოვრებაში

შენი შუქნიშანი? იქნებ მზია ერთადერთი, შენთვის განკუთვნილი შუქნიშანია?.. შენ კი, შინ მოსვლამან! დასწყება ლაფრის გულწრფელად თქმისა გრცხენია...

თუ ელმავალზე, ღმერთი ვაგვიწყრად და ძილი მოგვრია, — ესეც ხომ ვითხარი!.. — წამოდექი და ზეზეურად მართე ელმავალი. სველი ტილოთი სახე დაიზილე, რადიო ჩართე... მემანქანეს ხმაძალდა უპასუხე შუქნიშანზე, რომ შენმადე ხმამ გაგაფხიზლოს... ჯანდაბას, დისპეტჩერს დაულაპარაკე და რაივე შეეკობზე, იქნებ მისი მაინც მოგერიდოს და...

ასეთი ახალგაზრდა ხარ, მირიან და უკვე ძილი მოგვრია! აბა, ქალი თუ მართლა გიყვარს, შინ ველარ მოგიყვანია? გეშინია? გერიდება? თუ თავმოყვარეობას უფრთხილდები? აი ეგ არის, ადამიანს რომ ღუპავს, როცა თავმოყვარეობასა და სიყვარულს ერთ სასწორზე ასწონი. სიყვარული ის არის, სხვა რომ გიყვარს და საკუთარ თავზე არ ფიქრობ. ეს დაიხსომე, მირიან...

ჩემი სიცოცხლე ხაშური-ზესტაფონის გადასარბენზე დავდივარ. ვითხარი ერთხელ, მირიან, — და ერთი დღე მერაგს არა ჰგავს. ყველაფერი ნაცნობია ამ გზაზე, მაგრამ ყოველი რერისი მაინც თავისებურია და უჩვეულო. ასეთი უნდა იყოს კაციც, თავისებური და უჩვეულო...

შენ კი, ჩვეულებრივი ხარ, მირიან! ჩვეულებრივი თავკერძა ბიჭი, რომელსაც გეწყინა ჩემი სიტყვა, ეჭვი არ გამოიფანტე. შენს სიყვარულში არ დამარწმუნე, თვითონ დახატე ჭოჭოხეთი და ახლა იმ დახატული ჭოჭოხეთისა გეშინია... ასე არ ვარგა, მირიან! თუ ვაყვაცი ხარ, ნამდვილი ჭოჭოხეთისაც არ უნდა შეგეშინდეს, თორემ დახატული რა სათქმელია...

რა ვუთხარი ისეთი, რომ ეწყინა, — ფიქრობდა ტატე. — მან დედიხანია იცოდა, მირიანი რომ ნალეულად მზიას ხვდებოდა, იცოდა ქალი მარელისში მუშაობდა, მაგრამ არ იცოდა სად ცხოვ-

რობდა.. ისიც არ იცოდა რა გაეკეთებინა. იმუქრებოდა, როგორც კი ნირიანს მოიხელთებდა, სულ „ლუკმა-ლუკმა“ დაჰკრიდა, მაგრამ რეისიდან დაბრუნებული მირიანი დაღლილი სადილს რომ მიუჯდებოდა, ტატეს მრისხანება სადღაც ქრებოდა. იგი სიყვარულით შესცქეროდა თავისი ცხოვრების ერთადერთ სიხარულს, თავის შვილსაც და შვილიშვილსაც, რომელიც დამშეულიყო და თავაუღებლივ ილუკებოდა. ზვევრჯერ დააპირა ტატემ ეთქვა, რაც აფორიაქებდა და ისედაც ძილგამკრთალს ახალ სატანჯველს უმატებდა, მაგრამ ვერ იქნა და ვერ შესძლო გულახდილი, „მამაკაცური“ საუბრის დაწყება.

ერთხელ ტატე შინ ნასვამი დაბრუნდა, დაინახა ტახტზე წამოწოლილი მირიანი და მძიმედ დაეშვა მის გვერდით. მირიანმა შეხედა პაპას. მიხვდა, რაც აწუხებდა და რის თქმასაც აპირებდა. ტატე იტანჯებოდა, საუბრის წამოწყება უქირდა.

— ბაბუ, რაღაც უნდა გკითხო. — გაუღვივა საუბრის დაწყება მირიანმა და წამოჯდა. ახლა ბაბუა და შვილიშვილი ტოლსწორი ჩანდა, შვევრჯემანები, შუბლზე ჩამოშლილი ქორჩით, ოღონდ ტატე მხრებში მოტეხილიყო და თვალები ჩასცვენოდა.

— რა მოხდა ბიჭო?

— ბაბუ, დედამ რატომ თან არ წამიყვანა? — ჰკითხა მირიანმა.

ტატეს თითქოს თავში კეტი დაკრესო, უცებ გამოფხიზლდა.

— ეგ რა სათქმელია, ბიჭო! დედაშენმა მიგატოვა და შენი ხსენების ღირსიც აღარ არის...

— მე ხომ ბავშვი აღარა ვარ, ბაბუ, — განაგრძო მირიანმა. — ვიცი, დედამ მიმატოვა, შენ და ბებიამ გამზარდეთ... მაგრამ დედამ როგორ დამთმო? მზიამ ბავშვი რომ მიატოვოს, განა ისევე შეყვარება?

ტატემ თვალები დააჰყიტა. აი თურმე რატომ ვკითხებოდა..

— არა, მირიან! — წამოდგა ტატე.

— სხვისი ნაცოლარი ჩემ ოჯახს რომღად არ გამოადგება. დაიხსოვებოდა წაღლი გულიდან ამოიღე. *გნუზლინი თქვა*

— მიყვარს... — წყნარად თქვა გაწითლებულმა მირიანმა და ტატეს სახე აარიდა.

— ბიჭო, — გამწარდა ტატე, — ხმალიძეს რა გაგიკირდა, სხვისი ცოლ-შვილიშინ არ მოიყვანო?

— ბაბუ! — დაიყვირა მირიანმა, აცახტავებული შემობრუნდა და თვალებში ნიაჩქარა. მირიანს სახე, ხელები, ტუჩები უთრთოდა. — მეორედ აღარ თქვა ეგ... გვევდრები, ბაბუ... მირიანს თვალებში ცრემლი წამოებურა და ხმაჩახლეჩილმა დაუმატა. — მიყვარს მზია... თუ გამოგებ, შენი ქირიმე, ბაბუ...

ტატე ვერ მიმხვდარა რის გაგზავსა სთხოვდნენ. მან დამციხავად გადახედა შვილიშვილს და დააპირა რაღაც საძაგლის თქმა, მაგრამ მირიანის თვალებში ისეთი სიწმინდე და მუდარა დაინახა, რომ სიტყვა ყელში გაეჩხირა და ეზომი ღარეტიანებულოვით გავარდა.

აუზთან მილასლასდა, ონკანი გახსნა და გახურებული თავი წყალს შეუშვირა. კისერი, სახე, მხრები დაუსველდა. „ღმერთო, რა დავაშავე ამისთანა...“ ფიქრობდა ტატე. — შვილის ცოლი არ შემარჩინე და შვილიშვილის ცოლითაც გული უნდა მომიკლა?...“ ისხამდა წყალს და ცივ, მოჩხრიალევ შეხვეებში მაინც გრძნობდა ქუთუთოებიდან დაძრულ თბილ ცრემლებს...

— ძმა ძმისთვის — შავი დღისთვისო!.. რას დაფიქრდი, ძიაკაცო, — ხელი მოკიდა სულიკომ. — ორი კილომეტრი ამერიკის პრეზიდენტისთვის გამოგატარე და ახლა პაწია წამორძიკებისათვის, შუა ტყეში მტოვებ?

— მოთხარი, რა გავაკეთო? — გულწრფელად შეწუხდა ტატე.

— მოვიფიქროთ რამე... ვიღაცა ან ცხენით გაივლის, ან მანქანით. საბარგოში ტროსი მაქვს. გამოვუბამთ და სულ რიხინრიხინით ჩავალთ მოლითამდე... ამ ღამეში სად მიდიხარ? ჩხერიმელაში

რომ ტყაბანი მოიღო, საიდან გზლო? ფიქრობ, რას შერები?..

ტატე უაერხულ მდგომარეობაში ჩავიდა. მარტო, ახლად დაღამებულზე, ფეხით წასვლა უმძიმდა, არადა სულიკოს გადავიდე, ფიქრობდა უარესს ხიფათს გადაეყრებოდა. ორ ცეცხლში იყო. არ იცოდა რა გაეკეთებინა.

თანი მისივე

უნაგირის კებს ტროსის ყულფი ჩამოაცვეს და „გაქნაქულმა ფაშატმა“ სწორ გზაზე იოლად წაიყვანა „ოპელი“.

ოფლში გახვითქული სულიკო წამდაუქმე სპეეს ატრიალებდა, რადგან უცნაური ტვირთით შეწრიალებული ცხენი განდაგან მიდიოდა. ამიტომ „ოპელი“ გზის ხან ერთ ნაპირს გაეხახუნებოდა და ხან მეორე ნაპირზე ჩამოსხეპავდა ტოტებს.

ტატე გამტენარებელი იქდა. იცოდა ელექტრომატარებელი ზესტაფონიდან უკვე გამოსული იყო და მოლითში თუ ვერ ჩაუსწრებდა, მაშინ შუალამემდე საბარგოსათვის უნდა ეცადა. მთელი დღის დაღლილობა ვი უკვე ემჩნეოდა, რამდენიმეჯერ ჩასთვლიმა და მხოლოდ მანქანის ჯაყაყაჟა და აქეთ-იქით ხეთქებამ გამოათბიზლა.

— უყურე ერთი ამ დავარდნილ ჯაგლაგას! — იცინოდა სულიკო. — მაგის პატრონიც იტყვის ცხენი მყავსო... ამ, რას არ გადაეყრება კაცი!

კარგად ჩამობნელდა. სულიკომ მანქანის ფარები აანთო. სინათლემ უფრო ააწრიალა ცხენი, ჯერ ირბინა, მერე გაჩერდა და გაკვირებულმა შემოხედა მანქანას.

— დაიღალა ცხენი, ბატონო! — უკმაყოფილოდ თქვა გლეხმა. — ფეხით უნდა წამობრძანდეთ, იყო, რაც ამხელა მანქანა წიკა...

— რა დაგემართა, შე კაცი! — ღიპი გადმოატანა სულიკომ მანქანიდან. — პატრონიცემას არ დაგიფიქვებო...

— მაგი შორი ამბავია, ბატონო, —

— აგერ, ცხენოსანიც გამოჩნდა — წამოიძახა უცებ გახარებულმა სულიკომ. — მეგობარო, მეგობარო! — მისი ხმა მგზავრს. — მოაყენე მაგი ბედაური აქეთ, ნაჲ, რა დღე გავითენდა?!.. აამოკდარვა ცხენი და ერთი ფელმარშალი უნდა გამოიბას ზურგზე მაგ შენმა გაქნაქულმა ფაშატმა...

ლექუოდ მოსკოა გლეხმა. — დღეს ჩემ ცხენს ისეთი ჯაფა დაადგა, ერთ კვირას თუ არ დავაბი და კარგად არ ვაქამე, იქნება ფეხებიც გაფშვიკოს.

— მერე დააბი შენი ბედაური, ვინ ვიშლის! — ხელუბი გაშალა სულიკომ.

— დაიცნვას კაცი არ მოუკლავს, ბატონო, — ეწყინა გლეხს. — ბედაურია თუ რაშია, ჩემ ოჯახს ქე ყოფნის. წინასწარ ფასსზე არ გავრიგდით, შინათურები ხართ-თქვა და ახლა...

— ორ მანეთს მოგცემ, — მიახალა სულიკომ და ჯიბეში ხელი ჩაიყო.

— არ არის, ბატონო, საჭირო, — ცივად მიტრიალდა გლეხი. — თუ ასეთი გაკვირებულუბები ხართ, მეუქთად წავიყვანთ. ვითომ მიჩუქნია...

— კაცო, აბა ჩემ მანქანას ხომ არ გიფეშქაშებ რალაც სამ კილომეტრზე რომ ჩამიყვანო? — იყვირა სულიკომ.

— მაგისთანა მანქანას, ბატონო, ჩემი ცხენი მირჩენია! — გაბრაზებულმა მიუღო გლეხმა და თავის ბედაურს შეაჭდა. — არუ, აჩუ! — ტროსი დაიჭიმა და მანქანა კულის ქიციწით წაქუსკუსდა თავდაღმართზე.

ცხენი ძლოვს იჭერდა თავდაღმართზე დაგორებულ მანქანას და წათვლემილ ტატეს ეჩვენებოდა, მეორედ უნდა გაეჩერებინა მოლითიდან დაგორებული მატარებელი...

ღამის თორმეტი საათი იქნებოდა, როცა ტატე ზესტაფონში, ელმავალზე ავიდა.

ეს იყო ჩვეულებრივი, თბილისის ელ-
მაველმშენებელი ქარხნის პირშმო, რვა-
წლიანი BJI 8-1568 რომელზეც ტა-
ტე მრავალჯერ მჭადრიყო.

ავიდა თუ არა ელმავლის კაბინაში.
ტატემ ჯერ მთავარი რეზერვუარის მა-
ნომეტრს დახედა. მანომეტრი 4.5 ატ-
მოსფეროს აჩვენებდა. ჰაერი საქმარისი
იყო ელმავალზე.

წინა დენმიმღები მიბჯენოდა საკონ-
ტაქტო ხაზს, მაგრამ ხმალაძე გააფრ-
თხილეს, რომ მაღალი ძაბვის კამერა
შეემოწმებინა. ტატემ დაუშვა დენმიმ-
ღები, ჩართო ავტომატი, სელექციური
სახელური პირველ პოზიციაზე დააყენა.
მერე ვაიდა კაბინიდან, გაიარა ვიწრო
ტალანი, გაალო მაღალი ძაბვის კამერა
და ყოველი კბილისათვის გათვალისწი-
ნებული კონტაქტორების ჩართვა-გა-
მორთვა გულდასმით შეამოწმა. დაბ-
რუნდა კაბინაში და როცა კვლავ ასწია
დენმიმღები, ამ დროს მაღალი ძაბვის
საკანის კარები ავტომატურად ჩაირაზა.

— კაკო — გადასძაზა ელმავლის გო-
გორწყვილებთან მოფუსფუსე თანა-
შემწვეს, — საკისრები კარგად გასინჯე
და მერე ვაგონებსაც გაუარე.

დენმიმღების აწვევისას ვოლტმეტრმა
3000 ვოლტი აჩვენა, ეს საქმარისი იყო
სრული სიჩქარისათვის. ტატემ სწრაფ-
მოქმედი კონტაქტორის დილაკი ჩართო
და ძაბვის ქვეშ დააყენა დანარჩენი დი-
ლაკები.

მერე აღმდგენი და ავტომატის დილა-
კები ჩართო, გაალო მთავარი მაგისტრა-
ლისა და რეზერვუარის ონკანები და
მანომეტრს დააცქერდა. მთავარი რე-
ზერვუარიდან მაგისტრალში გადავიდა
ჰაერი, მას მატარებლის მუხრუჭები სა-
იმედო იყო, მანომეტრის ისარი 5.5 მი-
უახლოვდა.

ტატემ გაიარა ტალანი და მეორე სექ-
ციაში სამუხრუჭო ონკანები გადაკეტა.

მატარებლის გასვლის დროც მოახ-
ლოვდა. ტატე ამპერმეტრებს დააცქერ-
და. ერთი სინჯავდა ლუზაში გამავალ
დენს, მეორე კი ძრავის პოლუსებს. ამ-
პერმეტრები ნორმას აჩვენებდნენ და

სწორ ადგილზე აძვრისას ელმავალს სი-
ლის მიშველება არ დასჭირდებოდა.

„მშრალი“ საბარგო შესტაფონის აა-
დგურიდან ოთხასიოდე მეტრზე იდგა.
თანაშემწემ მოათავა მუხრუჭების შემო-
წმება, ელმავალზე ამოვიდა და მთავარი
პროექტორის ნათურა გასინჯა.

ტატე უკვე თავის ადგილზე იჯდა და
ხაზს გასცქეროდა. სადაცაა მწვანე უნდა
ანთებულიყო.

— გაამწვანა, — თქვა უცებ კაკომ.

ტატემ მისცა საყვირი, რევერსის გა-
დართვის სახელური ნოლიდან წინა
მდგომარეობაში გადაიყვანა, სელექცი-
ური სახელური კი ჯერ პირველ, მერე
მომდევნო პოზიციებზე. სამიათასტონი-
ანი მატარებელი მსუბუქად და უხმაუ-
როდ დაიძრა.

ხმალაძემ სიჩქარისშზომს შეხედა, რო-
მელმაც ელმავლის დაძვრისთანავე დაი-
წყო მუშაობა. ახლა ეს ავტომატი ზუს-
ტად ჩაწერდა მემანქანემ რა სიჩქარით
იარა, რომელ სადგურებში გაჩერდა,
როგორი იყო მუხრუჭების მოქმედება,
სად რამდენი ხანი იდგა. მერე სიჩქარის-
შზომის ფირს დეპოში გასინჯავდნენ,
იანგარიშებდნენ — გადასარბენიდან გა-
დასარბენამდე გათვალისწინებული დრო
ეყო თუ არა მემანქანეს. ტატეს უყვარ-
და ეს ხელსაწყო. რომელიც გაჭირვე-
ბის დროს პირუთენელი და ზუსტი მო-
წმე იყო მემანქანის ყოველი ამოსუნთ-
ქვისა.

— შიძმეა დღევანდელი მატარებელი,
— თქვა კაკომ.

ტატე თვალს არ ამორებდა ხელსაწ-
ყოებს, ძაბვას ელმავალზე, რათა წვეის
ძრავებს ნორმალურ რეჟიმში ემუშა-
ვით. გამოცდილი ჰქონდა, თუ დენის რე-
გულირება მიავიწყდებოდა, მასინ კო-
ლექტორსა და ჯაგრისს შორის კომუტა-
ცია წარმოიქმნებოდა და დროზე რომ
არ ეშველა, ძრავი დაიწვებოდა. მართა-
ლია, სწრაფმოქმედი ავტომატი თვითონ
გამორთავდა დენს ელმავალზე და მატა-
რებელს გააჩერებდა, მაგრამ ნაგვიანევი
იქნებოდა ყველაფერი, ასეთ მემანქანეს
დობი არ ასცდებოდა.

ხმალაძემ მარცხენა ხელით აიღო ელ-
მავლის ტექნიკური მდგომარეობის ყუ-
რნალი და თვალი გადაავლო. წინა ბრი-
გადას ეურნალში საგანგებო არაფერი
ჩაეწერა. მას დაშვებებით შეიძლება-
და სვლა.

— მწვანეა, — თქვა თანაშემწემ.

— არის მწვანე! — გაიმეორა ტატემ.

ჩარდახიანი სადგური უკან დარჩა,
ყვირილას ორივე ნაპირზე გაშენებული
ზესტაფონიც თვალს მიეფარა. ტატემ
მარცხნივ ჰიათურისაკენ მიმავალ შტოს
გააყოლა თვალი. ჯერ იქიდან მატარე-
ბელი არ ჩანდა.

— მწვანე-ყვითელი! — თქვა კაკომ.

— შორაპანს რაღა დაემართა, რომ
გვლებულობს და გასაველს გვიკეტავს?
— გაჭაერებულმა წაილაპარაკა ტატემ
და რაკის მილი აიღო. — მორიგე! შო-
რაპანის მორიგე... — ჩასძახა ხმამაღლა.

— გისმენს შორაპანი, — მოისმა პა-
სუხად, მერე რაღაც ახრიალდა და ტა-
ტემ ბერკეტი ხელით შეასწორა.

— 2337-ის მემანქანე ხმალაძე ვარ.
რატომ არის გასაველი დაკეტილი?

— სახალხოს ველოდები.

— ხომ არ იგვიანებს?

— ცოტას.

ხაზზე უცებ ყვითელი აინთო და ტა-
ტემ სადგურის მორიგეს აღარაფერი
პკითხა. შორაპანი „მშრალ“ საბარგოს
მთავარ ლიანდაგზე ლებულობდა, მატა-
რებელი იქ უნდა დალოდებოდა სახალ-
ხოს შემოსვლას.

— აქ დაველოდოთ, მერე კი დისპეტ-
ჩერს ვეტყვი, — თქვა ტატემ.

— კარგი იქნება. თორემ თუ ასე გვა-
ტარეს, განრიგიდან ამოვეარდებით!... —
დაეთანხმა თანაშემწემ.

შორაპანში როგორც კი სახალხო მა-
ტარებელი შემოვიდა, სადგურის მორი-
გემ მაშინვე გაუხსნა გზა 2337 „მშრალ“
საბარგოს. ტატემ შვებით ამოისუნთქა.

— კიდეც კარგი, თორემ დისპეტჩერი-
სათვის უნდა მეთქვა.

— ტარასი მაჩაიძე კარგი კაცი, —
დაუმატა კაკომ. — იმიტომ დააწინაუ-
რეს შორაპანის სადგურის მორიგედი..

— საწყალს თვალთ დააკლდა და მე-
მანქანედ უჭირდა მუშაობა. *კუენსული*

— იცის ჩვენი სატექნიკური მდგომარეობა
რამდენჯერ მდგარა ხაზზე მწვანის მო-
ლოდინში..

— მაშინ მოძრაობის დისპეტჩერი არ
იყო, — თანაშემწეს გადახედა ტატემ და
სელექციური სახელური ბოლო პოზი-
ციაზე გადაიყვანა. — კვერთხით აცი-
ლებდნენ სადგურები. ახლა იოლია მუ-
შაობა, დისპეტჩერს წინ უდევს ნახაზი
და გადასარბენის ყველა სადგურსა და
მატარებელს თავისი ხუთი თითივითა
ხედავს.

— სამტრედიის უბანზე ცენტრალური
პულტიდან მართავენ მატარებლებს, აი
ეს ბიჭობა! — წამოიძახა თანაშემწემ.
მწვანეა, — დაამატა.

— არის მწვანე! — გაიმეორა ტატემ.
წარმოიდგინე კაკო, დისპეტჩერი თავის
კაბინეტში გადასწევს სახელურს და რო-
მელ სადგურში ან გადასარბენშიც უნ-
და ისარს გადაიყვანს, გზას გაუხსნის ან
დაუკეტავს მატარებელს.

— სადგურის მორიგე რაღას ავე-
თებს?

— არაფერს. სამტრედიის უბანზე სა-
დგურის მორიგეები აღარც არიან. ყვე-
ლაფერი ერთმა დისპეტჩერმა იყისრა.
მესმის, ტექნიკა!

— მაშ, ტარასი მაჩაიძეს მალე გამო-
უყვანენ წირვას?

— როცა ჩვენი გადასარბენიც ცენტ-
რალურ პულტზე გადავა..

— ზღაპარივითაა, ტატემ ძია! მწვანეა!

— არის მწვანე.

— ზღაპარივითაა... კაცი ას კილო-
მეტრს იქით ზიხარ და მატარებელი
თვალდახუჭულს მიგყავს.

— კაი თვალის დახუჭვაა, ბიჭო! —
გაიციან ტატემ. — ავტობლოკირება და
ცენტრალური სადისპეტჩერო მათემა-
ტიკური სიზუსტით მუშაობს.

— ეჰ, ხანდახან მათემატიკოსებიც
სცდებიან..

— შეცდომას მალე ვიგებთ. ხომ გას-
სოვს, რამდენჯერაც ლიანდაგი დაზიან-
და, იმდენჯერ ავტობლოკირებამ თეი-

თონ ანთო წითელი! დაგვიძახა, აქ ვწევარ ავადმყოფი, მოდი და მომხედო... მეტი რაღა გინდა ტექნიკისაგან?

— მწვანეა!

— არის მწვანე!

— ტატე ძოა, ჩვენთან რკინიგზაზე კარგია ტექნიკა. მაგრამ მიწისძვრებს წინაშე რატომ ვერ იგებენ? მასხოვს, სკოლაში გასწავლეს, სეისმოგრაფი უპყირეს შერხვევას გრძნობს მიწის გულში ასე კლომეტრის სიღრმეზეო...

— ეპვი გეპარება, რომ გრძნობს? — ჰკითხა ტატემ, საღოკომოტივო სიგნალიზაციას შესხედა, მერე „სიფხიზლის მაცნეს“ ხელი დაკრა, წუთში რამდენაჩეჯერ რომ გაკიოდა და „ჩათელემილ“ მემანქანეს „აღვიძებდა“. „კარგი ბიჭი ხარ და არ გამოართო მაშინვე ავტომატური მუხრუშები. — ტაშკენტი რომ დაინვრა, მერე თქვეს მიწა იძრაო. ესეც შენი სეისმოგრაფებია!..

თავდაღმართი იყო. ტატემ სელექციური სახელური რეკომპრაკიაზე გადაიყვანა. ელმავალმა ინერციით განაგრძო გზა. ახლა ლოკომოტივის ძრავები თვითონ იტყვენ გენერატორებად და ელექტროენერგიას უკან უბრუნებდნენ საკონტაქტო ხაზს. ტატემ დახედა „გაფრთხილების“ ქალაღს. სადაც აღნიშნული იყო, რომელ გადასარბენზე როგორი სიჩქარით უნდა გაველო სარემონტო სამუშაოებისა და ლიანდაგის სიძველის გამო და ვაიფიქრა: „სიჩქარეს რომ მოვუტკლებთ და მატარებელს ვამუხრუშებთ, ამ დროს ყველა ელმავალი ერთად იმდენ ენერგიას ხარჯავს, რომ გადასარბენის არათუ შეკეთება, ოქროს ლიანდაგის დაგებაც შეიძლებოდა... რატომ არ ზრუნავენ ამანე?..“

— ტაშკენტში მართლაც დიდი უბედურება მოხდა, — თქვა ტატემ. — რამოდენა სამშენებლო მასალა მიღის ჩვენგანაც... დიდი ქალაქი ყოფილა!

— მილიონზე მეტ კაცს უცხოერია! — წამოიძახა კაკომ. — მწვანეა!

— არის მწვანე! — რამდენი სახლი

უნდა ამენდეს! ეხუმრები დაწვეული ქალაქის ამენებას?..

— ჩემმა ბინამ ალბათ შენსავე უნდა...

— ჰო, ცოტა დააგვიანდება. — დაფიქრებულმა მიუგო ტატემ, — რა ვუყოთ, შენ ნაქირავებში ცხოვრობ, მაგრამ თავზე ვერო მიინცა გაქვს! ტაშკენტში ცის ქვეშ არიან...

— ვინ რას ამბობს, ნეტავი მალე ამშენონ!

რაცით იძახებდნენ. ტატემ მილი აიღო.

— ძირულა! ძირულა... წყვილი საბარგო! — იძახდა დისპეტჩერი. — გამაგონე, წყვილი საბარგო!..

— რატომ არ პასუხობს? — ვადაულაპარაკა ტატემ კაკოს.

— შეიძლება რაცია გაუფუქდათ.

— ძირულა... წყვილი საბარგო... — მოისმა ისევ.

— სადგურის მორიგე! — გადასცა რაცით ტატემ. — ძირულა! სადგურის მორიგე!

— გისმენს მორიგე.

— კენტის მემანქანე ხმალაძე ვარ. შემოვდივარ ძირულაში. რატომ არ პასუხობს წყვილი დისპეტჩერს?

— წყვილი არ არის ძირულაში... — მოისმა სადგურის მორიგის ყლრიალა ხმა.

— მაჩერებ? — იყვირა ტატემ. — სად არის წყვილი? რატომ არ პასუხობს დისპეტჩერს?

— ძირულა... ძირულა... — ისმოდა თბილისიდან დისპეტჩერის ხმა.

— შემოვიდა წყვილი! შემოვიდა... — მოისმა სადგურის მორიგის გახარებული ხმა.

— მადლობა ღმერთს! — წაილაპარაკა ტატემ და სანამ მიღს დადებდა, გაიგონა წყვილის მემანქანემ დისპეტჩერის დაყინებულ გამოძახებას, როგორც იყო უპასუხა.

— ყვითელი მოციმციმე — ყვითელი, — თქვა კაკომ.

— გაგვატარა! გვერდით ლიანდაგზე, მაგრამ მიინცა გაგვატარა, — ნასიამოვნებმა თქვა ტატემ და სელექციური სა-



ხელური კვლავ წინ გადასწია, აქედან უკვე აღმართი იწყებოდა. ელმაველმა მალე აიკრიფა სისწრაფე, 60 კილომეტრით გაიარა სადგური ძირულა და განაგრძო გზა.

კაკომ სარკმელი გააღო. მარცხნივ ვაჩერებულ „წყვილს“ საბარგოს თვალი შეაფლო.

— რაო, რა გაფუქებიათ? — ჰკითხა ტატემ.

— ვარეთ არავინ არ იყურებოდა, — წაიდუღუნა კაკომ. — მწვანეა!

— არის მწვანე, — გაიმეორა ტატემ.

ელმაველის ვაღებულ სარკმელში წყლის ჩხრიალი მოისმა. ტატემ პროექტორის შუჭზე გახედა და დაინახა მრავალჯერ ნაშხერი, რიკოთის უღელტეხილიდან ჩამოგლეჯილი ძირულის წყალი, რომელიც ჩხერიმელას ერთვოდა. ხელმარცხნივ სოფელი წვეა იყო. ვაღმა რესტორანი, რომელსაც აგრეთვე „წვეა“ ერქვა.

ამ რესტორანზე მდებროდნენ ხოლმე ბიჭები: „მოინახულე წვეა და მოგიმატებს წნევა“. ტატეს ჯერ არც ეს რესტორანი ენახა და წნევაც არ აწუხებდა.

— მწვანეა, — თქვა კაკომ.

— არის მწვანე! — გაიმეორა ტატემ.

ბაჭანი ლაშე გაიარეს. სოფელიც გამოჩნდა. პროექტორის შუჭზე ხიდი გამოიკვეთა. ზემოთ, გორაკებზე ღამით არ ჩანდა, მაგრამ ტატეს ათასჯერ ჰქონდა ნანახი ციხე-კოშკებისა და საყარაულო-სათვალთვალო გონდოლების ნანგრევები.

აქეთ საბაშო იყო. მერე ისევ ხიდი. მატარებელმა ხანდების გვირაბი გაიარა. გვირაბს იქით სოფელი თეთრაწყარო.

— აქედან არიან შალვა და ილიკო ვეფხვაძეები, — თვალთ ანიშნა ტატემ კაკოს.

— კარგი მემანქანეები არიან, — თქვა კაკომ. — მწვანეა.

— არის მწვანე!

სოფელი ბაზალეთი აისვეტა. გზა თანდათან პირშელმა მიიწვია. ჩხერიმელა

კარგი გუშაგივით მთელი გზა მისდევდა მატარებელს.

— ყვითელი, — თქვა გვერდით მჯდომი.

— ხარაგაული გვაჩერებს, — უკმაყოფილოდ გაეპასუხა ტატე და სადგურში შესვლის წინ სისწრაფეს დაუკლო.

... ხარაგაულიდან რომ გავიდნენ, პატარა ხიდის მერე სოფელი საღანძილევ გამოჩნდა.

— მწვანეა, — თქვა კაკომ.

— არის მწვანე, — გაიმეორა ტატემ.

სოფელი ზარანი გაიარეს. ცოტახნის მერე მარელისის ავეჯის ქარხანა.

— მარელისში გავაჩერებენ? — იკითხა კაკომ.

— უსათუოდ! — მიუგო ტატემ. — მუხრატებს ხომ უნდა შემოწმება! ჰო, მართლა, მარელისში ჩადი და მაგისტრალი გასინჯე. რაღაც არ მომწონს მატარებლის მუხრატები.

— ყვითელია, — თქვა კაკომ.

— არის ყვითელი.

„მშრალი“ საბარგო 2337 მარელისში შედიოდა.

...კაკო ჩავიდა მარელისში, ელმაველს მაგისტრალი გადახსნა და შეამოწმა.

— პატარა დაზიანებაა, ახლავე შევაკეთებ! — ამოსძახა ქვემოდან ტატეს.

ტატემ, რომელიც სარკმელში იხედებოდა თავი დაუქნია და მერე გზას გახედა. შემხვედრი მატარებელი არ იყო და უკვირდა სადგურის მორიგე რატომ აჩერებდა. თუმცა, ცოტახნით ვაჩერება აწყობდა კიდევ, იქამდე კაკო მაგისტრალის ყელს შეაეეთებდა.

ამ დროს დაინახა, რომ სადგურის მორიგის კაბინეტიდან ვიღაცა გამოვარდა, მას სხვებიც გამოყენენ. ტატემ აიღო რაციის მილი რათა გაეგო, რა მოხდა.

— მარელისის სადგურის მორიგე! სადგურის მორიგე... — მოისმა ამ დროს რაციით ვიღაცის შეშინებული ხმა. — უბედურებაა, ბიჭო, გამშინჯველებმა ბუნიკები არ შეუწყვეს და ვაგონები დაგორდა... გადააყენეთ მატარებლები ხაზიდან... გაათავისუფლეთ დამქერი ჩიხი!..

ტატეს ციემა ოფლმა დაასხა. ხელე-

ბი გაუშეშდა. მხოლოდ მემანქანეს შეეძლო გაეგო, მოლითიდან დაგორებულ ვაგონებს თან რა უბედურება მოჰქონდათ...

— კაკო! — გადასძახა თანაშემწეს. — ჩახსენი მაგისტრალი და ელმავალი!

— ელმავალი რატომ ჩავსსნა? — ჰკითხა გოცებულმა კაკომ.

— ჩახსენა რომ გეუბნები! — მკაცრად გაუშეშა ტატემ, — და მანდ იდუქო.

„ნეტავი ცოტა ვაგონები მაინც იყოს, — ფიქრობდა ტატე. — როგორ გააჩერებს დაგორებულ მატარებელს სადგურის მორიგე? როგორ?“

და უცებ ელვასავით გაუნათა რაღაცამ გონება.

„მე უნდა წავიდე! წავიდე და შევხვდე მატარებელს... იქნებ შევაჩერო!“

ჩახსნილი ელმავალი მოსცილდა მატარებელს და ტატემ უცებ აიღო სინქარე.

— ტატე ძია! ტატე ძია! — მოესმა კაკოს შეშინებული ყვირილი.

„ველარ დაეწევა ელმავალს, — სარკმლიდან გახედა ტატემ თანაშემწეს. — ასე სჯობია... ეგ ჯერ ახალგაზრდაა.“

ტატემ დაინახა, რომ სადგურის მორიგის ოთახიდანაც გამოცვივდნენ რკინიგზელები და ელმავალს დაედევნენ. მაგრამ ტატემ გაიარა წითელზე და მშინვე აიღო რაციის მილი.

— დისპეტჩერო! — გადასცა რაციით. — კენტი მატარებლის მემანქანე ხმალაძე ვარ. წითელზე გამოვედი მარგლისიდან...

— გაგიყდი, ხმალაძე? — მოესმა თბილისელი დისპეტჩერის გოცებული ხმა.

— მოლითიდან ვაგონები დაცურდა. — ცდილობდა დინჯად და აუღელვებლად ეთქვა ტატეს. — არ ვიცი რამდენი ვაგონია... მივდივარ, რომ შევხვდე... იქნებ როგორმე შევაჩერო...

— ხმალაძე, დაბრუნდი ახლავე უკან! — მოისმა მკაცრი გაფრთხილება. — დამპერი ჩიხი გაათვისუფლეთ და იქ შეუშვით დაგორებული ვაგონები...

— გვიან არის, დისპეტჩერო! — ხმა-

დაბლა თქვა ხმალაძემ. ვაგონებს უკვე ვხედავ...

— ხმალაძე... ხმალაძე... ხმალაძე... ნების თვალთ ხედავდა რა განგაში ატყდა 150 კილომეტრს იქით, თბილისის სადისპეტჩეროში. მაგრამ ტატეს ამისათვის აღარ ეცალა.

მალე დაინახა, ის მატარებელი იყო. რომელსაც მოლითში უნდა შეხვედროდა. „ცოტა ადრე ვხვდებით...“ — ცივმა ყრუანტელმა აუგრიხა ტუჩი.

ოციოდ ვაგონი იქნებოდა. ის თანდათან იღებდა სისწრაფეს. ტატემ გახედა და 60-ით მოდისო, — თქვა გულში.

ახლა ამ მატერებლის შეჩერება მხოლოდ მას შეეძლო. ზაზზე სხვა არავინ იყო. ერთ მხარეს დიდი ხომალდი და მეორე მხარეს ხმალაძის ელმავალი.

შოში გამქრალდა იყო. იყო მხოლოდ მთრთოლვარე მოლოდინი.

ვაგონები ჩუმი სრიალით ახლოვდებოდა. ტატე ხედავდა სამშენებლო მასალით მძიმედ დატვირთულ ბაჭნებს.

დატვირთული ოცი ვაგონი 1000 ტონაზე ნაკლები არ იქნებოდა. მატარებელი 60 კილომეტრის სისწრაფით მოდიოდა. მამასადამე, თავის წონასთან შედარებით ერთიორად მეტი დარტყმით ძალა ჰქონდა.

მარგლისიდან აღმართს შექვიდებულ ელმავალი კი სულ 180 ტონას იწონიდა.

„ერთი ათზე?“ — გაუელვა ტატეს.

მიხვდა, ეს დალუპვა იყო. მაგრამ ახლა უკან დასახვევი გზა აღარა ჰქონდა. უკან, სადგურში იყო მისი საკუთარი „მშრალი“ საბარგო 2337, უკან იყო სადგური მარგლისი, აღამიანები.

ტატემ უკანასკნელ წუთებში გადაწყვიტა, რომ შეჩახება უარობა იყო. ამიტომ დაუახლოვდა თუ არა ოცდაათ მეტრზე მატარებელს, რევერსის სახელური ნოლზე დააყენა.

ელმავალმა ინერციით სულ ცოტა გაიარა, ერთ წამს შეჩერდა და მერე უკან. მარგლისისაკენ დაეშვა.

ტატემ კაბინაში სამუხრუტე ონკანები გადაკეტა, გაირბინა პირველი სექციის ტალანი, გადავიდა მეორე სექციაში,

ისიც სულმოუთქმელად აათავა და იმ კაბინაში მიუჭდა რევერსის სახელურს, რომელსაც პირი მარელისისაკენ ჰქონდა.

სარკმელი გამოაღო და მოახლოებულ მატარებელს გახედა. მატარებელს 70 კილომეტრი სისწრაფე ექნებოდა. ტატემ 60-მდე აიყვანა ელმავლის სიჩქარე და უცებ, მთელი სხეულით იგრძნო როგორ „შემოაჭდა“ მატარებელი ელმავალს და წინ გააცურა.

იმ რამდენიმე წაშში, სანამ მატარებლის დარტყმითი ძალა ელმავალს წინ გაისროდა, ტატემ მოასწრო ავტომატური შეერთება პირველ ვაგონთან. მოისმა უახანი, მაგრამ ავტოგადაბმა არ ვამოთიშულა. ახლა ტატეს ელმავალს აღვირბი ჰქონდა გამოდებული მატარებლისათვის.

ეს პირველი გამარჯვება იყო.

ტატემ სიჩქარე შეამცირა, მერე პირდაპირი მოქმედების ონკანი მოზიდა და ელმავალი დაამუხრუჭა. ელმავალი მაინც მიდიოდა.

ხმალაქემ იცოდა, მის ელმავალს B1 8-1568 ჩინებული მუხრუჭი ჰქონდა, მაგრამ ზურგზე მოწოლილი გოლიათი ელმავალს ბავშვის ციგასავით მიასრიალებდა ლიანდაგზე.

„რამენაირად უკანა სექციაში რომ გადავიდე, — ფიქრობდა ტატე, — ხიდურს გადავეკიდო და მაგისტრალის შეერთება ვცადო, მაშინ ხომ გავაჩერებ მატარებელს! ახლა მხოლოდ ელმავლის მუხრუჭი იჭერს, ვაგონები კი თავისუფლად მიგორავენ, რადგან მაგისტრალის მილი არ არის შეერთებული...“

„რას ამბობ, ხმალაქე? მაგისტრალის მილს როგორ შეაერთებ, მიწაზე თუ არ ჩახვედი? სასწაულიც რომ მოხდეს და შეაერთო, ეს ჯერ კიდევ არაფერია. ელმავლის კომპრესორებმა ჰაერით უნდა შეავსონ ვაგონების სათადარიგო რეზერვუარები — ამას, სულ ცოტა, ხუთი წუთი უნდა. მხოლოდ მერე შეიძლება მთელი მატარებლის დამუხრუჭება...“

მატარებელი უკვე მიდის 80 კილომეტრი სისწრაფით. ხუთ წუთში ის გაი-

ვლის 6 კილომეტრს. გესმის, ხმალაქე? დამპერ ჩინამდე კი სულ 3 კილომეტრი დარჩა. მაშ, მაგისტრალის გადამბეჭდვადევაც რომ შესძლო, ახრი არა აქვს!

დამუხრუჭებული ელმავალი ღრჯალით მისრიალებდა ლიანდაგზე. დამწვარ საკისრებს ბოლი ასდიოდა. ლიანდაგზე ცისფერი ალი ციმციმებდა. გახეხილი, ცხელი ფოლადის სუნი ტრიალებდა.

„რა ვიცი, მატარებელი რომ დამპერ ჩინში შევა, ისარს არ გაჯრის და ქვემოთ, ხარავაულისაკენ არ დაეშვება? — ფიქრობდა ტატე. — მატარებელი გადავიარდება ხეობაში და დაიშხურევა. მოძრაობა, ვინ იცის რამდენი ხნით შეჩერდება საქართველოს ამ მთავარ გზაზე...“

ტატემ მთლიანად დაკეტა ელმავლის მუხრუჭი და რევერსის სახელურიც უკანა სვლაზე გადაიყვანა. მაგრამ მთავრით მოწოლილი მატარებელი თავქვე, ყოველ წამს კვლავ სისწრაფეს იკრებდა.

ელმავლის გოგორწყვილები ღიღიანია აღარ ბრუნავდნენ.

ახლა ტატეს მხოლოდ ერთი რამ ახსოვდა: მატარებელი როგორმე დამპერ ჩინში შეეყვანა.

სასილვ ღილაქს თითს არ აშორებდა, სილა ცვიოდა ლიანდაგზე, დამუხრუჭებას შველოდა...

სიჩქარისმზომს შეხედა. ისარი 70-ს უჩვენებდა. გაუხარდა.

„რომ არ შევხვედროდი, ახლა აქ, მატარებელს 140 კილომეტრი სისწრაფე ექნებოდა. მაშინ დამპერი ჩინი კი არა, რიკოთის უღელტეხილიც ვერ შეაჩერებდა...“

ტატეს ჩინში შესვლის მერე ხანძრის გაჩენისა ეშინოდა. შეეძლო ელმავალი რეკომპრესორებზე გადაეყვანა, ღენი ელმაველიდან უკან დაუბრუნდებოდა საკონტაქტო ხაზს, ლოკომოტივზე მხოლოდ დაბალი ძაბვა დარჩებოდა და ხანძარსაც თავიდან აიცილებდა. მაგრამ ელმავალი რომ რეკომპრესორებზე გადაეყვანა, მაშინ მუხრუჭს ვეღარ იხმარდა. ამეამად ხსნა კი მხოლოდ მუხრუჭი იყო.

მარკელისის სადგურიც გამოჩნდა. ტატემ დაინახა ლიანდაგებზე შეგროვილი ხალხი, სულ წინ კაკო იდგა და სადგურის მორიგე, ისინი ხელებს იქნევდნენ და რალაცას იძახოდნენ...

მერე განზე გადაგნენ და მატარებელმაც გაიქროლა.

დაშქერ ჩიხში შესვლის წინ, ტატეს ონწიმილების დაშვება უნდოდა, მაგრამ გაახსენდა, ჩიხში, საკონტაქტო ხაზზე, ჩვეულებრივ ძაბვა არ იყო და დენმიმღების დილაკს ხელი შეუშვა. უნებრივ მოზიდა შემანქანის ონკანი, გაისმა მაგისტრალის უსარგებლო ქშუტუნნი... მატარებელი 60 კილომეტრის სისწრაფით შეეარდა დაშქერ ჩიხში.

მოისმა ვაგონების ჭახანი. დაჯახების ექო თანდათან ჩაცხრა. მატარებელი გაჩერდა.

ტატე წამოხტა, ელმავლის შვეულ კიბეზე გადაეკიდა და ვაგონებს გახედა.

ყველა ვაგონი ლიანდაგზე იდგა, ელმავლისაყენ სახეგანათებული რკინიგზელები მორბოდნენ.

ტატე შებრუნდა ელმავალში და რაცით მოძრაობის დისპეტჩერს სთხოვა, მარკელის-მოლითის გადასარბენზე, ათწუთიანი „ფანჯარა“ მიეცა, სანამ ხმალაძე ელმავალს ისევ თავის „შშრალ“ საბარგოს 2337-ს ჩაუყენებდა.

სიხარულისაგან გაოგნებულმა დისპეტჩერმა თბილისში რალაც დაიყვირა და ტატემ მხოლოდ ახლა იგრძნო მთელი დღის მგზავრობით როგორ დაღლილიყო. თვალები გაახილა და მალე სინათლეებიც დაინახა. ახლა ფეხითაც შეიძლებოდა წასვლა.

სადგური მოლითი მარცხნივ იყო, თვით სოფელი კი პირდაპირ, გორაკს შეფენოდა.

ტატემ გაიარა ბაქანზე, შლაპა მოიხადა და მერე ლიანდაგზე ჩამოყენებული „შშრალი“ საბარგო შეათვალიერა. გამსინჯველები გულდასმით ამოწმებდნენ მუხრუჭებს, რადგან წიფიდან წამოსული მატარებელი მოლითამდე თით-

ქმის დაბორკილი მოდიოდა. კვლავ დაღმართი ჰქონდა გასაუღეღე მჭრეულისკენ და ერთხელ კიდევ იშვებოდა აწყენდა.

სადგურში არავინ იყო. ელექტრომატარებელი ოც წუთში ამოივლიდა. იმას გაყვებოდა შინისაყენ ტატე და ხვალ დილით კვლავ მოლითში დაბრუნდებოდა, აქედან განაგრძობდა შვილიშვილის ადგილსამყოფელის ძებნას. აქ ღამის გათევას კი აზრი არა ჰქონდა.

მთელი დღის სიარულითა და განსაკუთრებით სულციოს „ოპელით“ გატანჯული ტატე ახლა სიამოვნებით სუნთქავდა გრილ ჰაერს და ბაქანზე მიმოდიოდა.

უცებ სამანქანო გზიდან ხმაური შემოესმა. ტატე გზაზე გავიდა და დაინახა, საბარგო მანქანის კაბინასთან ვილაც ტანაშოლტილმა ყმაწვილკაცმა მიიბრინა.

ტატე დააქჷქრა. მართალია ბნელოდა და ყმაწვილკაცი მანქანის ფარების უკან იდგა, მაგრამ მკრთალად მაინც განათებოდა სახე. ეს საკმარისი იყო, რომ ტატეს ეცნო შვილიშვილი.

— ბიჭო, მირიანი! — დაუძახა ხმამალა.

ყმაწვილკაცმა ძარაზე აბოტებული ფეხი უკანვე გადმოდგა და მოიხედა.

— ბაბუ, — წაიბუტბუტა დარცხვენილმა.

— აი, შე ყაჩაღო შენა! — მიუბლოვდა ტატე, ჯერ ლოყაზე რბილად შემოკრა ხელი, მერე გულში ჩაიკრა და სახე დაუკოცნა. — რა დაგიშავეთ, ბიჭო, შინ რომ აღარ მოდიხარ...

— როგორ მომენატრეთ, ბაბუ, — თქვა მირიანმა და ჩამოშლილ ქოჩორზე ხელი გადაისვა.

— შე ყაჩაღო, ფეხით მოვდევ დილიდან გამოსული გზას... — კიდევ მიეფერა ტატე.

— ფეხით? საიდან? რატომ?

— ტეზერს აქეთ ბაქანი და სოფელი არ დამიტოვებია! — ღრმად ამოისუნთქა ტატემ. — ეჰ, დიდი ამბავია, მერე ვიამბობ... იცი, ბიჭო, ბებიას პირობა მა-

ვეცი საღაშოს გაკოქილს მოგიყვან-მეთქი! რა ვქნა ახლა? შეგკოჭო თუ შენი ფეხით წამოხვალ?

— მოვალ ბაბუ, მოვალ... — თავი ჩაღუნა მირიანმა. მერე საათს დახედა. — ახლა მაგვიანდება... მძლოლიც არ იცდის, 23 საათზე ზესტაფონში უნდა ვიყო.

— ამლამ მუშაობ?

— ჰო, გამოთენიაზე ვიქნები ზამურში.

— აბა, მინ უნდა მოხვიდე! — ხელი ვაუწოდა ტატემ. — ზომ იცი, ვაჟაკის სიტყვა...

— მოვალ, ბაბუ, მოვალ.

— გზა მშვიდობისა, შვილო!..

მირიანი საბარგოს ძარაზე ავიდა და კაბინის სახურავს ზელით მოეჭიდა. მან-

ქანა დაიძრა და სულ მალე ჩაჩვენდა მისი შექიცი ჩაიკაივა. *მინჯლიჩიშქა*

ტატე ერთხანს გაშტერებული იდგა. მერე დაფიქრებული წამოვიდა ბაქანი-საკენ. ელექტრომატარებელს ამოეთავე-ბინა მარჯლისის აღმართი და შემოასვლელ შექნიშანთან გაჩერებული „მწვანეს“ უცდიდა.

ტატე ერთ ადგილზე ველარ ისვენებდა. დაბირების შესრულება უყვარდა და წინასწარ სიამოვნებდა, ორი საათის მერე, შინმიბრუნებული, ელოს რომ ეტყოდა:

„ყაჩალი გავკოჭე და ალიონზე შენს წინ იდგებავი“.

მოლითში ბნელი ღამე იწვა. ძლიერი ქარი უბერავდა.



უპრინსპალობა

რომანი

ნაწილი მცირე

გოლიათ მთებს თავაზიანად უკან დაუხვევიათ და ზღვისთვის აღდგოლი დაუთმიათ. თეთრად მოჭათჭათე ქალაქს ზღვრავი მთებისათვის მიუბჯენია, პირი კი ზღვისკენ უჭენია. სანაპირო გაჭედლილი უთვალავი ხალხით, ლურჯ ეთერში დაეცრავენ ნავები. ირგვლივ ისეთი სიმშვიდეა, გვეგონება ცა და მიწა რაღაც დიადის მოლოდინში გატვრენილათ! მხოლოდ ზღვა, დაუღალავი ზღვა სისხლმოჭარბებული ქაბუციებით მოუსვენრობს, შხუის, ლეღვიებს, პატარა ტალღებს ნაპირისაკენ მიაგორებს.

გასევეროს ირმა ამ წარბაეც სანახაობას და ველი სიხარულით ეესება. მზად არის იმღეროს, ტყეში გაისეირნოს, ზღვის ტალღებში შეეცროს, შედნიერება განიცადოს. მზად არის მხარში ამოუდგეს ყოველ შემგებდერს, გვერდით მიუჭდეს უცნობ ადამიანებს, გული მოიხოსო. იმისი მტკიცებით, რომ ღირს სიცოცხლე. ღირს სიყვარული!

თი თურმე რატომ მოისწრაფიან ადამიანები ზღვისაკენ, რატომ უხარიათ გაგრაში დასვენება. ირმასაც როგორ ენატრებოდა გაგრის ნახვა. ახლა თუგინდ ზამთარ-ზაფხულ აქ იქნება. ლაღი სანებლომე ხომ სანატორიუმ „უშმასო“ მთავარ ექიმად დანიშნეს!

სამოთხიან ლექსში ცხოვრობენ, ფერადი ტყეცივროი უდგათ. ფართო აივანი ზღვას გადააყურებს. შეშა-მოსამსახტრეები ეფერებიან. პატავს სცემენ, თვალებში შესციციენებენ. ან სხეინიარად როგორ შეიძლება: ის ხომ მთავარი ექიმის ცოლია! ვერც დამსვენებლებზე იტყვის აუგს. დღე არ გაეცა, ის და ლაღი ვინმემ არ დაპატავოს. ვის გაცილებას უწყობენ, ვის შეგებდრას, ვინ დაბადების დღეს იხდის, ვინ ცოლის დღეობას. რა ეუყოთ, რომ აქაც გამო-

ზნდნენ მომერნე ქალები. არც უკვირს, ქალი ხომ ყველაზე მეტად ქალის სილამაზეს ვერ იტანს. ის კი ყველაზე ლამაზია, ყველაზე წარბაეცია. სადაც არ უნდა გამოჩნდეს, მაშაყაეცია თვალს აყოლებენ, ვერ ფარავენ აღფრთოვანებას! მეზობელ სანატორიუმებიდანაც კი მოდიან მის სანახავად! რას გამოაპარებენ! ყველაფერს ზედება, ვინ მოთვლის რამდენი თავიანისმცემელი ჰყავს?!

ვერც ლაღის დაემდერება: ხან სიხუმში დაჰყავს სასეირნოდ, ხან რიწაზე, ალბათ, დამსვენებელ ქალებს იმაზეც ეფრებოთ თვალები, რომ ყველაზე ძვირფასად იცვამს. რანაირი ყაბა არ უყოლა ლაღიმ მოსკოვში, ყველა სურვილს უსრულებს, გულს არაფერზე სწყვეტს. ამდენი ყაბა და ფეხსაცმელი, ალბათ, ქვეყნად თითზე ჩამოსათოყულ ქალებს აქვთ. ყველაფრით ცმაყოფილია, მხოლოდ იმითაა გულწყაღული, რომ ვია მასთან არაა. რახანია არ უნახავს ნეტავ როგორ არის მისი ცუვრუმეღა ბიჭი?! ისიც რომ ვვერდით ჰყავდეს, თავს უბედნიერეს ქალად ჩათვლის. რაღას ელოდება ლაღი, რატომ აღარაფერს ამბობს ვიას ჩამოყვანაზე?!

— ჰო, ახლა კი დროა, გეანცავლე, ვიხვეც ვიფიქსოთ! — მიუგო სანებლომემ, რაცა ირმამ ეს ამბავი შეახსენა.

— ელოზბარმა რომ ბავშვი არ დაგვანებოს?! — ღარღი ნუ გაქვთ, სასამართლოს წესით წავართმევეთ, ოღონდ...

— ლაღის უნდოდა ეთქვა, ოღონდ შენს ერთგულებაში ღრმად ვიყო დარწმუნებული და შეუძლებელს გავაყოფოთ, მაგრამ სიტყვა ყელში გაეხიარა, ვაითუ გამინაწყენდესო.

ქალი მიუხვდა და შეახებდ ქეთხა:

- რა ოღონდ?!
- მიჭირს შენი მარტო დატოვება.
- ვთბომ რატომ?
- არ გაგვიგონია, ლამაზი ცოლის პატრონ-საო...

მამ, ქარადშეტად გიყვინვარ! — გაიღიმა ირმა, მაგრამ მის ხმაში წყენა გაისმა. ეს შეუძნარველი არ დარჩა ლადის და თავის გამართლებას შეეცადა.

— აჟი ფიცი დავდეთ, არცერთი ღამე უერთმანეთოდ არ გავათიოთ?!

— რას იზამ, რაჟი საქმემ მოითხოვა, ფიცის შეცვლაც შეიძლება!

ლადის გულში მოხვდა ეს სიტყვები. იქნებ ადრე უფრადღებაც არ მიეჭვია, მაგრამ ისლა ათასი სულღღური აზრი უტრიალებდა თავში და ქალის ყოველ სიტყვას სხვა შინაარსს აძლევდა.

ვინ იღის, რა არ თქმულა, რაღა არ დაწერილა გვეხვება, სიყვარულით აღზნებული გულის ამ ყველაზე დამამბობებელ და მტანჯველ ხელზე, აღმაძს რომ ამბობს, ანაღურებს, ახელებს, მხელებს აქვეც. კაცის გონებას რას არ სძლია, რაღა არ დამორჩილა, მაგრამ გვეს ქვრჭვრობით უვრადფერი მოუხერხა. აღმათ, ასე იქნება, ხანამ სიღვარული იარსებებს.

ვანა არ იღის, რომ იკვირო ქალს შურაყვოფიას აყენებს! ამიტომ ცდილობს როგორმე დათრგუნოს. თავიდან მოცილოს ეს გრძობა, მაგრამ, რა ჰქნას, როცა ძალა არ შესწევს. თითქოს ერთთავად ვიღაცა ემტრისლულება: ფრთხილად! ასი თვალი გამოიხსი, ასი უფრი იქონიე, თორემ იმასვე გიმზადებენ, რაც შენ ელიზბარს გავცეთო.

გულს ეტუნება, გემანით ხელება, რომ შეტოქებები გაუჩნდნენ. სხვას კიდევ ჰო, მაგრამ ლალი სანებლობის ვინ რას გამოაპარებს, ვინ რას მოატყუებს?!

თუთონ ირმაც რომ აცქმეტებულა, ჩაცმადახერჯის შეტი არადფერი ახსოვს! ვანა შეიძლება ერწმინოს მის ნათქვამს, ქალების ჭიბრზე ვიცვამ, თორემ ვისთან რა მაქვს საყველუცოო. საოცარი! ყოველივე ის, რაც ამ ქალში ადრე მოსწონდა, ახლა თვალში ეჩხირება, გულს უყვავს, ზოდობა აესებს!

არაერთხელ გააფრთხილა. მამაკაცებთან თავდაპირალობა. მოკრძალება გმართებსო, მაგრამ ირმა თითქოს განვებ უარესს სხადის: უბრალო რამ ბავშვივით აღაფრთოვანებს. ტამის-ჯრით გამოსატავს აღტაცება! და თუ რამეზე განაწყენდა, ვნას მოიჩიქვს, თვალებს აიკრემლებს. აქვითანდება.

სტკბათ, ექთან ცოვით ყველაფერა გიბა-ქარბებულად ეჩვენება, უმინო: ლო წერაღმა-წებს ახვილებს, მაგრამ ირმა რატომ აძლევს ამის საბაბს, რატომ იქცევა ასე წინადაზნებლად. განესწვლად? უვადფერზე ხელს ჩაიჭრეს! მნიშვნელობას არ მისცემს. მაგრამ

რა გამართლება მოუქმუნოს ირმას სექციელად მოსოვში?! გივი მზიარულიმესთან შინაურულად იქცემოდეს! ალბათ უშეტრებდა, აღტაცებულა! უმინო: ლო წერაღმა-წებს ხანდახან ეცებლოვანი მზერით და აღურსიანი ღიმილით ასანუტრებდა. იმ ღიმილით, რაც ყველაზე უფრო მოსწონდა ირმაში და რასაც მისთვის განუზომელი სიხარული მოჰქონდა.

ყოველივე ამან მზიარულიმე ისე გაათავებდა, რომ უსირცხვილოდ აშტრადებოდა ირმას, ზოლის შავ სათვალეებს თოხანოც აღარ იხსნიდა, რამ ქალისათვის უფრო მოურიდებლად ეჭირბო.

ამწახებელი ირმა ურცხვად, ვულაყრებულად იქცოდა, რაც უფრო მეტად ანერვიულებდა და გულს უკლავდა.

ერთხელ მზიარულიმეს დამლაგებელი ქალის მიერ დაუთოვებელი პერანგი დაუწუნა და თუთონ ხელმოირედ დაუთოვა. მერე შეამინა, რომ გივის პალტოზე ღილი სტრებოდა, მაშინვე ნემსს სტაცა ხელი და ღილი დაუკარა. ეს კიდევ არაფერი ყველაზე მტანჯველი ის იყო, მოსკოვიდან გამომგზავრების წინა დღეს ირმას ნომრის კარი ჩაეკრა და ტელეფონით ვიღაცას ელაპარაკებოდა. თემცა ლამდ თავის თვის უსაფუფერო, რა საყადრისა მალღულად ცოლის ყურის ვღებოთ, მაგრამ კარებთან გაიღურსა და სუნთქვაშეკრული უსმენდა.

ვერადფერი აფხნა, ამოღენა ქალაქში ირმა კაციშვილს არ სცნობს და ასე შინაურულად ეოსთან შესაიფრბსო. ზოლის ვიფუფო, მზიარულიმეს ხომ ამ ელაპარაკებოდა?! სამ-სამი საფუხერის გამოშვებით კიბე აირბინა და ორ წუთში მზიარულიმეს ნომერთან გაჩნდა. იმასაც კარი ჩაეკრა და ტელეფონით ვიღაცას ხმადაბლა ელაპარაკებოდა.

ღამბული უსმენდა. უცებ ვედრებით ნათქვამი სიტყვები შემოესმა. აგებწუქები, გემუღარები! დერეფანი შეტრიალდა, თვალთ დაუბნელდა და, აღმათ, წიაქცოდა, რომ კარებს არ მივრდნობოდა, კედელ-კედელ ბორბიკით მიიბიფებდა. მის უთან ნომრები იღებოდა, უმაყოფილო მიბინადრენი ვარეთ იხედუბოდნენ. ურთმა ხმაზილა მთაძახ: მობობლო, იმდენი უნდა დალოო, რომ გონება შემოინახო, რა შთერალი დამობრილობა და ზალს მოსვენებას არ აძლევო.

ირმას კარი უყვე ვადლო, დივანზე იქდა და მეოცნებე თვალბოთ ფანჩრიდან ვასცქეროდა მოღრბლდულ ცას! ფიქრებში წასტეიყო. ვარც კი ვაგოო ლადის შესვლა.

ხომ არავინ დარეკაო, კეითხა ქალს და, ვი-თომბო, ამას არავითარი მნიშვნელობას არ აძლევდა, პასუხის მიუღებლად აბახანაში შევიდა, კარებს ამოეფარა და მალღულად დაუწყო ქალს თვალთვალი.



— ვისგან ელოდი დარცეას? — თითქოს რაღაც ფარული დაცინვით შეეკითხა ირმა. გოცებელი იყო, ქალი ოდნავ არ შეავართო მისსაბუბროს.

— რა ვიცი, ღვრეთანში შენი ხმა შემომესმა, ვისთან ლაპარაკობდი?

— კი არ შემოეცნა, მოგგჩვენა! თვალყურის დევნების მანიითა ხარ დაკავებული!

გმა პირში წაეფარა, რაღა ეთქვა, როცა ირმა ასე უტოტრად იცრუა. ამის შემდეგ როგორ არ ეუქვინა? თუ შთა შორის საიდუმლო მათები არ იმშობიდა, რატომ ირმა გვლახდით? არ უთხრა, მზიარულიც კვლამარაკებოდიო?

იქნებ ირმა წინდაეხედაობით იქცევა ასე? არ უნდა, ქმარს გული ატკინოს, ეკვები აღუძრას! მართლაც, ისე აღელვებული და გაოცებულად უნდა ეტყობოდა, უბრალო მიზნით კი საყმარისა, მზიარულიც სახეში შეაფრთხობს. რა ვუყოთ, რომ მისი თავი სჭირდება. ყოველნაირ დამცირებას შეეგდება, ამას კი თვით მამაუციურსაც არ ამტკიცებს! იქნებ ეს უველაფერი ეწვევება? ეკვით შეზერობილ კაცს ხომ დიდი თვალები აქვს-

სამსახურით ემყოფილია. ამაზე უკეთეს ადვილს ვერც ინატრება. სად მთავარი ეჭიმობა და სად არდინატობა? იოლი საქმე რიოდი რვა საათი კაბინეტში ჯდომა, ერთიდაგივეს უთვალავერ გამორება, ანკეტების შეესება, რეკომენდების წერა. რანაირი ჯურის ხელხთან არ ჰქონდა ბოლმე საქმე! ავადმყოფები პრეტენზიებს უყენებდნენ, რაღას არ მოითხოვდნენ. თავს აბურებდნენ, ჯიბეში ხელის ჩაყოფაზე კი წელი წყურბოლად.

ეკ, უფროსობას არაფერი სჭონია! ხელქვეითები მებდ ვახრანს, ყურელი შენი სიტყვა კონონად მიანიათ, უყურამინოდ გემორჩილებიან.

საქმეც იმდენი არაფერი აქვს. დილით სანატორიუმს შეიპოვლოს, კორბეტებს დათვალურებს, სანიტარულ მუკომარობას შეამოწმებს, კაბინეტში ნახევარი საათით შევა, ფოსტას ვადათვალავრებს, ბრანებებს ხელს მოაწერს, შერე კი სადაც უნდა, იქ წავა, რაც უნდა იმას გააკეთებს.

მზიარულიც უნდა უმადლოდეს ყოველივე ამას. გჯიროვებისას ხელი გაუწიდა, მეგობრობა გაუწიდა, დამარება აღმოქრინა. რაგორც იტყვიან, ყოველი კი არა, ნახებთ აზიარს!



ელზაბარა და მარგალიტა გიას თავს ველუბოდნენ. ველო სტრკელს უსრულებდნენ. ერთ საღამოს ელზაბარმა ბავშვი მარტი წაიყვანა, კარტსულზე დასვა, შერე სამთელიანი ველოსიპედი დაეჭირა.

შოლო საათი დანებრობა გია ელზაბარს ველოსიპედზე ხელი ეყოდა. უკან მისდევ-მოსდევდა.

გია ეხვეწებოდა, მამიკო, ზელი გეშე, არ წაიციკვიო. ბავშვს კარგად დასევა და ველოსიპედი და ელზაბარმა ხელუკრებელი წაილაგებელი გია უედალს მარცხედ ატოვებუდა, თან მამას ამაყად გადახედვდა ბოლმე, თთქოს უნდოდა ეთქვა: აბა, დამინაუ, რა კარგად დავდივარო.

შენ რომ დაბრუნდნენ, ბავშვი შესტორა: — მამიკო, მიყიდე რა ველოსიპედი!

— გიყიდი, შვილო! მარტუდა, არ მიყიდე!

— ვიყიდი, აუცილებლად გიყიდი! შერე დღეს ელზაბარა დილადრიან წაიდა. ველოსიპედის საყიდად. გია ფანჯარას არ მოსცილებია, გულისფანქალით ელოდა მამის გამოჩენას.

ნაშუადღევს ელზაბარა ხელყარბილი დაბრუნდა.

გაწილებულ გიას კრემლები შორა და მარგალიტას შესწივლა, მამიკომ ველოსიპედი არ მომტანაო.

— რა გახდა, როგორ ვერ იყიდე? — ვაიოცა მარგალიტამ.

— მთელი თილისი შემოვიარე და ვერ ვიშოვე. გადამყიდველები ორმავს აფასებენ! — შიუგო ელზაბარმა.

გია ატირდა, დედკოსთან წამიყვანეთ, ველოსიპედს ის მიყიდიო. მარგალიტამ ბავშვი დაამშვიდა: ნუ ტრიო, ვინაცვალა, ორსამ დღეში პენსიას აიღებ და მე გიყიდიო.

გათენებისას მოხუცი ბავშვის ჩურჩულმა გამოიღო: გამოშვი, მამიკო, ზელი გამიშვი, ნუ მიჭერო.

ბავშვი ერთხაშად გახილა თვლი, მარგალიტას ერთი კი გაუღიმა, პერანგის ამარა ლოგინდან წამოხტა და ღვრეთანში გაგარდა. კუთხეში, პალტოების დასავლითან, ზელს ფათურით რაღაცას დაწყო ძებნა. შერე სმზარტელოში შეიჭრა, მადრის ქვეშ შეიჭრდა, კარბადე გამოაოო, ბნელ თახჩამიც შეიჭურა.

ბოლოს მარგალიტას, ვაოცებული რომ უზურდა ბავშვის და ვერაფრით აეხსნა მისი საქციელი, შესტორა:

— ბებიკო, ვინ წაიღო ველოსიპედი? მარგალიტამ გიას თავზე ხელი გადაესვა:

— რა ველოსიპედი, შვილო?

— შენ რომ მიყიდე! აი აქ გაჯანერე! — და ხელი ღვრეთანს კუთხისკენ ვიშვირა.

— ეტყობა, შვილო სიზმარში ნახე, წასიღშვის მარგალიტამ ელზაბარა ვაფრთხილა: ნაოთიებში მიდღვარ, ცოტა შემაგვიწინდება, ბავშვს თავი არ დაანებოო.

ნათესაებთან მარგალიტა მართლაც იყო, ოცი მანეთი ისტახა და ბავშვითა სმყაროსკენ გაეშურა.

სათამაშოების სექციის ჩოქარმა გულგრილად მოესმინა მოხტეს და უხასხა: დანადვილ-



ბილ ვერაფერს გეტყვი, ორი ღღის შემდეგ გა-
მოიარე. შეიძლება ველოსიპედები შევიღო.

მალაზის წინ ვაპრობა იყო გაჩაღებული. ვა-
დაშაფრდებელი არავის კრიტიკობდნენ, საქონე-
ლი გამოეშუქებინათ და შეტარან ხმაილადა
მოხსნიდნენ.

ვიღაც ვაბრემა მალაზიდან ქალაქში შე-
ფუთული ველოსიპედი გამოიტანა და აქოლ-
გის საბარგულში ჩალო.

— შენს გახარებას, ველოსიპედი საღ იყოღე
შვილი? — პეიოხა მარგალიტამ უყენობს.

— დეიდაჩემო, რა შეკითხვია, მთვარიდან
ბომ არ ჩამოეიტანდი, საწყობში გამოვართვი!

— მეც რომ შევიღე, მიმეცემენ?

— ვერ დირექტორს შეეხებოდა, უმიხოსდ
არაფერ არაფერს მოგყვამს.

მარგალიტამ კიბედა-კიბებით მიავლო დირექ-
ტორის კაბინეტს. რაღაც ქაღუბი და ბავშვები
თავისუფლად შედიოდნენ და გამოდიოდნენ
კაბინეტში, იმანაც დაეკითხავოდ შეიღო კარი.
მრგვალი მაგიდას ფეხსაცმელები, წინდები, ნა-
წესოვი მარტულები და სხვადასხვაგვარი რამ დაეპო-
რავებოდა. ქაღუბი და ბავშვები შემოხვეოდნენ.

ვეღა შეცბუნდა, თათქოს რაღაც დანაშა-
ულზე წააშრავდა. განცვიფრებული შესტყუ-
როდნენ შეა. თათქომ გაიხრებულ მარგალიტა-
ტას.

— ვინ გჩვენებ? — შეკითხა მოხუცს შეა.
ხანს მიტანებული ქალი, კობშია ქალიშვილი-
ვით რომ ჰქონდა თმა დაეარტხნილი და წარმ-
წაშქამი შეღებოლა.

— დირექტორი! — მიუგო მარგალიტამ.

— მე ვახლავარო! — და თათქოს თავისი ნა-
თქვამის დამტკიცება სწავლო, რბილ სუამზე
დაეჭო და დიდას თითო დააბიძა.

კაბინეტში ტანწერა-წერა ქალიშვილი შემოვი-
და მარგალიტა რომ დანახა, ისეთნაირად ვა-
დნობარული თვალები, თათქოს თავს იმართ-
ლებდა: ვერაფერი გამოვიდა, ეს აქ საიდან
განდლო. შერე დირექტორთან მოიბოდიშა: თა-
მარა დირექტორენა, მამაკეთი, ორი წუთით
მბებულთან ვაევილო, და ისევე თანება მოხუცს
დაეკურადა, ეტყობა საუვედტრანს თქმას აბი-
რებდა, მაგრამ დირექტორმა ხელი გააქნია, რაც
მარგალიტამ ასე ვივიო: არა უშვას რაო.

შედიანი რომ კაბინეტთან ვავიდა, დირექ-
ტორმა მარგალიტას პეიოხა:

— რა გნებავო, ქალბატონო?

— თქვენ თვითონ ქალბატონო, ბავშვის ვე-
ლოსიპედი მიინდა, დედაშვილობას, უარს ნუ
შეტყვი!

— ველოსიპედები მალაზიაში იყოღებდა და
არა დირექტორის კაბინეტში. რაც არა ვეაქვს,
რა მოგყვით?

— ეს-ეს არის საწყობიდან გამოიტანეს, შენი
ვახარებას, უარს ნუ შეტყვი!

— არც საწყობში ვეაქვს! არ გჯერა? დიდი
სამოყვებით, მივწერ, მაგრამ ტყუილდებო-

ლოდ ვაიბრებ. — და დირექტორმა, აქაქა-
დიდან ბატარა ფურცელი ამოღო.
ახალგაზრდა ქალმა, მარგალიტამ, ვერა-
რად, დირექტორს წითელი ფანჯარი შეაწოდა.
დირექტორმა უმეყოფილოდ შეხედა, მიწოდ-
ბული ფანჯარი გვერდზე ვადალო და შეა ფან-
ჯარი აიღო, გარკული ხელით ორი სიტყვა და-
წერა და მარგალიტას ვადალო.

საწყობი მალაზიის სარდალში იყო.

სარდალს მიავარა შეხვედრულ ვზოდან
ჰქონდა. ორი ვერძო კიბე მალაზიიდანაც ჩადი-
ოდა. დირექტორის მიწერილობის გარეშე საწყ-
ობში არავის უშვებდნენ, მაგრამ ამ საკმოდ
ბევრ ხელს მოეკება თავი და მალაზიაზე ნა-
ღები დაქონდა არ უყო გაჩაღებულა.

საწყობის გამგემ ბატარა ვაშალა, მაგრამ
არც წავიკითხა უნდა დამეშენა და საქალა-
ღში ისაროდა.

— წერაწერობით არ ვეაქვს, დედი, მარც ვა-
მოიარე! — მივიღეს უჭრა გამოლო და ქალა-
ღების ქვედა დაწყო.

მოხუცი აღვილოდან არ ძებროდა, ხან საწყ-
ობის კუთხეში ასობრებულ ველოსიპედებს
უშვებდა, ზოდ რომ საკანგოდ ტოლო ვადა-
ფარებინათ. ხან საწყობის გამგეს მელოტ თავ-
ზე დასტყუროდა, ამს თქმული მოახტობა:

— შენი პირიშე, შიშო, შეილი მამას შენტი-
რის, ველოსიპედი მოვიღეო, მამას კი იმდენი
სახსარი არ აქვს, რომ ვამაშვილებებს ზედ-
შეტი მისცეს. შენც ბომ მამა ხარ, რა იქნება.
ერთი ველოსიპედი მოგვეცე.

— რომ არ არი, რა მოგყე?! — მხრები აი-
წეხა საწყობის გამგე.

მარგალიტა ვაგეგმებული მისტერებოდა იმ
კუთხეს, სადაც ველოსიპედები ელაგა, რაც სა-
წყობის გამგეს შეუშინვეელი არ დარჩა.

— არაფერი შემიძლია! ეს ველოსიპედები
ფილიალიზეა გამოწერალო, სადაც არის წაიდ-
ებენ. — თავი იმართლა საწყობის გამგემ.

— ერთ ცალზე ვინ რას ვეტყვის, მითუმ-
ტეს დირექტორსაც მოგწერა!

— რომ არ მოწერა, ის სჯობდა! თვითონ
თავიდან ვაიკლებენ, ჩვენ კი უხერბულ მღკო-
მარეობაში ვეაყენებენ.

— სხვებს ხომ აძლიე დირექტორის მოწერი-
ლობით, მეც რომ მომეცე, რა მოხდება!

— ჩადი ახლა და უშტეკე ამას! — გულმო-
სულმა საწყობის გამგემ ბრახუნით უჭრა ვა-
მოლო, მთელი დასტა წითელი ფანჯრით დაწე-
რილი ბატარები ამოიღო და მივიდაზე დანარ-
ცხა. — ის კი ქალი, თუ მწერდა, აღამიანუ-
რად მოწერა. აი ასე!

მარგალიტა ახლა კი მიხვდა, დირექტორმა
რატომ წითელი ფანჯრით არ დაუწერა ბატარა.

— ხომ მიხვდი, დეიდაჩემო, რაშიცაა საქმე?
— შეკითხა საწყობის გამგე.

— მიხვდი, შეიღო! უგულო ყოფილა! ბე-
ზიად ვეკუთვნი, ტყუილად რაღას მგზავნიდა?

— რა ექნა, მეც აღამიანი ვარ, გული ამიჩუხდა! ველოსიპედს მოგცემ, ოღონდ, ეზოდან გაიტანე, ხალხმა არ დაგინახოს.

გია დღერეფანში შეეგება მარგალიტას, ველოსიპედით რომ დაინახა, ტაში შემოპყრა:

— ბებო, ჩემია ველოსიპედი?

— შენია, შეილო, მამ ესია? — მიუგო მარგალიტამ.

ბავშვი მოხტეს მკერდზე მიახტა, ლუჯუჯაკოცა, მერე ოთახში შეიჭრა, მამას ახარა, ბებოც ველოსიპედი მიუღიღო.

მარგალიტამ გიას ნამცხვარი გამოუცხო.

ბავშვმა პირი ჩაიჭმარია, მერე მაინც აბუზღუნდა, დედოქოსთან წაიხუყნეთო. ძილმორტყული ძლივს დალასლასებდა, თვალები ებლიტებოდა, მაგრამ მაინც არ წყებოდა.

ელზბარი შეიღს უყვავებდა, დაწყვიტო. გია მაინც ურჩობდა, არ აიხნებდა, როგორც იქნა დააწყინა, შუქი ჩააქრო და თვითონაც წამოიწვა.

ელზბარი ჩამობნელებულ სატყეულს მისიერბოდა, ცდილობდა არაფერზე ეფიქრა, იქნებ როგორმე ჩამძინოსო, მაგრამ თავიდან ვერ იცოლებდა ფიქრს, ირმას გაქცევის შემდეგ რომ მოსვენებას არ აძლევდა.

გულში ისევ და ისევ იმეორებდა, რომ იმედო ჯერ მთლად არ დაუჯარგავს, რომ ჯერ კიდევ ღონე ერისა, არ აპირებს ფარ-ხმალის დაქრას, ცხოვრებაზე ზელის ჩაქნევას.

კეთილი მაგრამ თბილისში რაღა საქმე აქვს, ელას ელოდება?! იქნებ ყობდეს, გუდა-ნაზადი აიკრას და სოფელში გადასახლდეს?! ავამდეც მოიტყუოდა ასე, მაგრამ გია სოფელს შეუბრუნებოდა და ვაით უღედობა იქ უფრო განიცა-

ნებოდა. ნეტავი საიდან გამოაქვს ასეთი დასკვნა?! საკეთარ თავთან მაინც იყოფს წრდელი! აქედან ფეხს იმბტომ არ იცვლის, რომ გულის სიღრმეში ირმას დაბრუნების იმედი აქვს. რატომღაც ჰგონია, რომ ირმა ასე უღვთოდ შეიღს არ მიატოვებს. უშვილოდ შეიძლება რამდენიმე დღე, რამდენიმე თვეც გაძლოს, მაგრამ ბოლოს მაინც დედამშვილობის გრძნობა ყველა სხვა გრძნობას დაძლევის. დღეს იქნება თუ ზვალ ირმა დაბრუნდება. მერე? რაო, მერე? ყველა ერთად იცხოვრებენ?! არა, ეს არ მოხდება ასე კი მსჯელობს, მაგრამ, ამასთანავე, იმის წარმოდგენაც კი სიამოვნებს, რომ მალე შესაძლებლობა მიეცემა ირმას ქარაფორტული საქციელი აპატის, ქალისათვის ყველაზე მძიმე ცოდვა მიუტყოს?! აი, ეს არის მიზეზი, რომ დღით დღე ქუჩაში დახეტიალობს. პარკში დასვირნობს, ერთხელ წყნეთშიც იყო. მართალია, თავს არწმუნებს, ყოველივე ამას ჩემი გართობის გულისათვის ვაკეთებ, მინდა დარდი ვავიქარო, ნერვები დავიმშვიდოო, სინამდვილე-

ში კი ირმას ეძებს, მისი კვალის მიგნება სწავლიდა.

ნეტაც რას ყოყმანობს, რას იტყობს, რას სოფს?! ისეთი კეთუმყოფელია, აღმატ, ირმის ირმას საქციელს გამართლებას მოუცებნის! ისე კი რატომ არ შეიძლება, რომ აპატის?! ეთქვას, ირმა ყოფილიყო მის ადგოლზე, ხომ შეიძირალებდა, ხომ შეურტიდებოდა?! ვინ იყის, ირმა ბევრსაც ნანობს?! ან იქნებ ელიზბარის დანახვაც აღარ უნდა, ალბათ, დღეს-ზვალ შეიღსაც წაართმევის და ერთმანეთთან საერთო აღარაფერი ექნებათ.

მართლაც ეს რა უბედურებაა მის თავს, ეს რა ღვთის რისხეა! ჰყავდა შეუღლე, კარვად იყო თუ ავად, ცხოვრობდა, სულდგმულობდა. ცოლ-შვილის სიყვარული ზალისა და ძალა-მატებდა, გაჭირვებას არაფრად ავებებდა, უცოლშვილოდ კი რაღა ფას აქვს მის სიცოცხლეს?!

ეს ახალი სახელმწიფოებრივი გაერთიანება შეიქმნა ლენინური ერთგული პოლიტიკის გატარების შედეგად, რომელიც ითვალისწინებდა დაგეგმვა ბოლშევიკური პარტიის საპროგრამო მოთხოვნა — ერთა თვითგამორკვევის უფლება თვითგამოყოფამდე და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნამდე.

ცენტრალიზებული მრავალეროვანი საკავშირო სახელმწიფოს — სრულფლებიან, სუვერენულ საბჭოთა სახელმწიფოთა ფედერაციის შექმნას მოითხოვდა საგარეო და საშინაო ვითარება; საბჭოთა რესპუბლიკების ხალხთა შორის მგებობრბობისა და ძმობის დამყარების ინტერესები, რაც შეუძლებელია ბერძენაზიის ბატონობის პირობებში. ვარდა ამისა, მისი შექმნა მთავარ მიზნად ისახავდა უკლასო კომუნისტური საზოგადოების აშენებას. სსრ კავშირი წარმოიშვა კომუნისტური პარტიის პრაქტიკული მოღვაწეობის განზოგადებისა და ე. ი. ლენინის თეორიული ძიების შედეგად.

მძლავრი, ცენტრალიზებული, თანასწორფლებიანი რესპუბლიკების კავშირის შექმნის იდეამ, რომელიც საბჭოთა რესპუბლიკებმა წამოაყენეს, ყველა რესპუბლიკის ხალხი აღფრთოვანა, რადგან ის თავიანთი მიზნებისა და მისწრაფების განხორციელების გარანტიად მიიჩნეოდა.

თავდაპირველად ცალკეული რესპუბლიკები სრული ნებაყოფლობის საფუძველზე ერთიანდებოდნენ საბჭოთა რუსეთის ირგვლივ. მალე შეიქმნა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკათა ფედერაცია (საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი), ხოლო 1922 წლის 30 დეკემბერს საბჭოების პირველმა ყრილობამ შექმნა სსრ კავშირი. მასში თავდაპირველად გაერთიანდნენ: რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა, უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, ბელორუსიის სსრ, ა/კავკასიის ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა. თანდათანობით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს შეემატნენ სხვა რესპუბლიკებიც და ახლა იგი 15 რესპუბლიკას აერთიანებს.

ამრავად, „სოციალიზმის გზაზე დამდგარ თანასწორფლებიან ხალხთა ამ მძლავრი კავშირის შექმნაში, განმტკიცებასა და განვითარებაში, თავისი როლი შეასრულა ქვეყნის ყველა ერებმა და ეროვნებამ, უწინარეს ყოვლისა კი დიდმა რუსმა ხალხმა“!

სსრ კავშირის ნახევარსაუკუნოვანი ისტორია საბჭოთა სოციალისტური ფედერაციის უპირატესობის, მისი სიმტკიცისა და ცხოველმყოფელობის ნათელი დადასტურებაა, ყოველგვარ სხვა სახელმწიფოებრივ კავშირთან შედარებით. მან ბრწყინვალედ ჩააბარა ისტორიული გამოცდა. სსრ კავშირის შექმნა და განმტკიცება კომუნისტური პარტიის ლენინური ერთგული პოლიტიკის ტრიუმფია.

1 ლ. ი. ბრეჟნევი სკვპ საანგარიშო მოხსენება XXIV ყრილობის, XXIV ყრილობის მასალები 1971. გვ. 96.

საბჭოთა ფედერაციის პირობებში სრულ გაფურცქნის მიადრწია მოამე ხალხების ფორმით ეროვნულმა და შინაარსით სოციალისტურმა კულტურამ.

ერთა შორის უნდობლობისა და უთანასწორობის ლიკვიდაციის, ერთა კავშირისა და მეგობრული ერთიანობის ვაჟეთარების ბაზაზე, კიდევ უფრო განმტკიცდა და შემდგომ განვითარდა ერებსა და ეროვნებებს შორის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა, ხალხთა ამობა.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მშერ ოქანში ვაერთიანებულ ხალხთა მეგობრობამ, რომელსაც საფუძვლად უდევს ერთიანი დიადი მიზნები — კომუნისმის მშენებლობა და მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია, ახალი ფორმა და შინაარსი მოიპოვა.

ქართულ და უკრაინულ ხალხთა მეგობრული ურთიერთობა და კავშირის ფესვები საუკუნეების სიღრმეში იღებს სათავეს.

ამ ხალხთა ისტორიულ ბედში ბევრი საერთოა, რასაც არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა მათს დაბლობებაზე.

ამ ისტორიული ბედის მსგავსებასა და ერთიანობაზე მიუთითებდა ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ა. გოგებაშვილი სტალინში, რომელიც უკრაინულ პოეტ ტ. შევჩენკოს მიუძღვნა 1911 წელს, სტალინს ასე იწერება: „რუსეთის იმპერიის საზღვრებში მოქცეულია სხვათა შორის, ერთი ხალხი, რომლის ბედი ძლიერ ემსგავსება საქართველოს ბედსა და რომლის შეილათა შორის კია ხანია დაიხადა და აღიზარდა თანაგრძობა და სიმამრთა საქართველოსადმი. ამ ქვეყანას ჰქვია უკრაინა!“

ისეთი ცნობილი ისტორიული ფაქტი, როგორცაა ვიწარღების მონაწილეობა სელაუტების წინააღმდეგ ქართველთა ბრძოლაში, მათი ვადმოსახლება საქართველოში XI საუკუნეში მოწმობს იმას, რომ ეს ხალხები უკვე მაშინ სცნობდნენ ერთმანეთს და ჰქონდათ ურთიერთ-შორის კავშირი. ვერ კიდევ მერვე საუკუნეში ეს კავშირი იმდენად ამკრთა იყო, რომ საერთო ყურადღებას იმყრობდა. იტალიელმა მწერალმა და მოგზაურმა პეტრო დელა ვალემ საუბროდ სენო შეეცდომინებინათ რომის პაპის ტრბან VIII-სათვის, ქართველები და უკრაინელი კახელები ურთიერთ ნათესაურ კავშირში იმყოფებიან და ქართველები დიდი სიყვარულით იღებენ თავის ქვეყანაში უკრაინულ კახელებს.¹

XII საუკუნეში უკრაინისა და საქართველოს ურთიერთობა ნათესაურ კავშირში გადადის. 1154 წელს კიევის თავადი ალექსანდრე მარტიანის მე ქარწინდება საქართველოს მეფის დემეტრე I ქალიშვილზე.

თქმა არ უნდა, რომ ისეთი მნიშვნელოვანი ამბავი, როგორც იყო კიევის თავადის იხიანლავ მარტიანის ძის საქართველოს მეფის დემეტრე I ქალიშვილზე, ხოლო თამარ მეფისა იერა ბოგოლოებსკიზე დაქორწინება არ შეიძლება შემოხვევით მოვლენად წარმოვიყვანოთ; იგი ნაყარანხევი იყო საქართველოსა და რუსეთის სახელმწიფო მოღვაწეების სურვილით — განმტკიცებინათ ორივე სახელმწიფოს პოლიტიკური კავშირი.

დოკუმენტებით დამტკიცებულია, რომ ქართველები ზაპოროჟეს ყარებში არიებოდნენ და XVII საუკუნეში მონაწილეობდნენ უკრაინელი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლებში.

დადასტურებულია აგრეთვე, რომ თურქების წინააღმდეგ ქართველი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლებში მონაწილეობდნენ უკრაინელი კახელები. შემდგომ კავშირი უკრაინულ და ქართველ ხალხებს შორის სულ უფრო ფართოვდებოდა.

ბევრმა ქართველმა თავის მეორე სამშობლოდ უკრაინა აირჩია. ისინი ცხოვრობდნენ და შრომობდნენ უკრაინის მიწა-წყალზე. რთავე თავისი წელიწადი შექმნიდათ ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრული კავშირის განმტკიცებასა და დაახლოებაში.

უკრაინა გახდა ქართველი პოეტის დავით გვრამაშვილის, ცნობილი ფოლკლორისტის ნ. წერეთლისა (რომელმაც ბევრი გააყვით უკრაინის ხალხური შემოქმედების ძეგლებს შეკრებისა და გამოცემის მზროდ) და სხვათა მეორე სამშობლო.

საქართველო კი გახდა მეორე სამშობლო უკრაინელი პოეტი ქალის ლესია უკრაინკასი, მეფის თეოდოსიურბელობისაგან დევნილი რევოლუციონერის ნ. გუდუციასა და სხვებისა.

1959 წლის მოსახლეობის აღწერით, საქართველოში 52 ათასი უკრაინელი ცხოვრობდა, ხოლო საქართველოს პარტიულ ორგანიზაციაში 1970 წლის 1 იანვრისათვის 2787 უკრაინელი ითვლებოდა.²

სამწუხაროდ, მეცნიერულად ვერ კიდევ არ არის დადგენილი, რა დროიდან სახლობენ უკრაინელები საქართველოს მიწა-წყალზე. საიდან და რა მიზეზით მოხდნენ ისინი აქ მარამ შეიძლება ვეაზარდოთ, რომ მათი ნაწილი დასავლეთ საქართველოში ცხოვრობს XVII საუკუნიდან მაინც, იმ დროიდან, როდესაც შე

¹ საქ. კომუნისტი პარტია ციფრებში. სტატისტიკის და მისაღების კრებული გვ. 268.

¹ იაკობ გოგებაშვილი, ოსბ., ტ. IV, გვ. 372.
² А. Шервашидзе, Великое сотрудничество украинского и грузинского народов, Батуми, 1954, стр. 7.

ზღვაზე გააქტიურდნენ დეპარტამენტული კაზაკები, რომლებიც ეომებოდნენ თურქებს.

დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, გურიისა და სამეგრელოს შთაგები — გურიელი და დადიანი, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ თურქეთის დასუსტებით, მოლაპარაკებებს მართავდნენ უკრაინულ კაზაკებთან, უთმობდნენ მათ ნავსადგურებს, საცხოვრებელ ადგილებს, ყოველგვარ დახმარებას უწყევდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

„სიტყვული საქართველოში თურქებისადმი მიმდინარე ძლიერი იყო, რომ ქართველ მოღვაწეებს არ შეიძლება ხელიდან გაეშვათ შესაძლებლობა დაემყარებინათ მეგობრული, პოლიტიკური ურთიერთობა უკრაინულ კაზაკებთან. მათ დაახლოებას ხელს უწყობდა აგრეთვე ქართველთა და უკრაინელთა საერთო სარწმუნოება, მეორე მხრე, თავდასხმებისათვის განოსტულ უკრაინულ კაზაკებს უნდა ეცხენათ შავიზღვის სანაპიროზე მეგობრები, რომელთაც შეეძლოთ მიეცათ მათთვის თავშესაფარი.“¹

ამჟამად საქართველოში უკრაინელი გვიარის მკინე ბევრი ოჯახი (ბობლენკო, შვარცნო, კარპენკო, რომანენკო, ხვლენკო და სხვ.) ისინი ცხოვრობენ, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში, მათ პაპისპაპებსაც არ ახსოვთ, როგორ ან როდის გადმოსახლდნენ ისინი საქართველოში. ისინი მუიდრო, ნათესაური ურთიერთობით არიან დაეკვირვებულ ქართველებთან.

XVIII და XIX საუკუნეებში უკრაინასთან საქართველოს ურთიერთობა სულ უფრო ფართოვდებოდა და ვითარდებოდა, ხოლო ქართველი პროვინციული მოღვაწეებს სულ უფრო მეტი პატივისცემითა და სპეციალური მოხდნე უკრაინელი ხალხისა და მისი კულტურის მიმართ.

ქართველი საზოგადოებრიობა, მისი მოწინავე ინტელიგენცია ყოველთვის პატივისცემით ეპყრობოდა სხვა ერების წარმომადგენლებს. ერთდროულ-განსათავისუფლებელი მოძრაობის ეროვნობით მესავე, ქართული ლიტერატურის კლასიკოსი აკაკი წერეთელი წერდა: „ჩვენი... დიდიად ვაფასებთ ძმობას, ერთიანობას და მეგობრობას რუსეთის ერებთან... არის.. ახალ-გაზრდას რუსეთი, რომელთაც ზეენა გვესტრის ხალხობიანადებულ სიარულთ არა მარტო ერთდენდ, არამედ საკაცობრიო აფალებას განსაზოცილებლად, იმ იდელების, რომელსაც უწოდება ძმობა, ერთობა, თანასწორობა.“²

ქართველი ხალხის ღრმა პატივისცემა და სიყვარული უკრაინელი ხალხისადმი ბევრჯერ გამოვლენილა, მაგრამ განსაკუთრებით გვიინდა

აღნიშნოთ ტარას შევჩენკოს დაბადების მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი ჭეჭებულყო სიღამო, რომელიც თბილისში, სახელმწიფო სკოლაში 1914 წლის 15 აპრილს მოეწყო. ეს საღამო ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობის ზეინად იქცა, თუმცა იტბილე ცარიზმის პოლიტიკური დევნის პირობებში გაიმართა. საიტბილეო საღამოში აკაკი წერეთელიც მონაწილეობდა.

ეს საღამო ავეიწერა ი. ციხაშვილმა, ლევან ასათიანს მოჰყავს ი. გრიშაშვილის სიტყვები და წერს:

— „გამოვიდა ჩვენი აკაკი სეენაზე, მაგრამ რა გამოვიდა: ოციციებს საზღვარი არ ჰქონდა, რაცა ტაშის ტურციული მისწულა. აკაკი და იწყო: «Да! Я не пошел никак Тараса Григорьевича Шевченко».

... ამ სიტყვის ოქმა იყო და ახალი ტაშის ჰეკაქებელი ატელა ხალი წამობლდა და ვიდრე აკაკი თავის მოგონებას დაამთავრებდა, არ დამწყდარა. ჩვენი პოეტის დიდებული სიტყვა აუდტორიამ ფეხზე ადგომით მოიხმინა. უკრაინელები დარბაზში მყოფ ქართველებს ეხვეოდნენ და ჰკიცნდნენ. ჰეკამარტად ეს იყო პროტესტი ცარიზმის პოლიტიკისადმი, რომელიც კრძალავდა შევჩენკოს სახელის ხსენებასაც კი. ეს იყო ორი ერის ერთნაირი გრძნობით გამსჭვალეა, თავისუფალი ამოაბილი და სამშობლოს დროშის ჰეკეშ გმარული დარბაზეა, სიყვარულით გაერთიანება...“

აკაკი თავისი სიტყვა ისე დაამთავრა: „აკაკი ვიდრე თქვენი სამშობლო და დედა-ენა, ისე როგორც ვანხევენებულ შევჩენკოს უყვარდა, რადგან მისი მსოციენსათვის ეს საუყუთესო ჩილდო და ზელთქმნელი ძეგლი იქნება.“ ეს სიტყვები მთელი ქართველი ხალხის გულიდან ამონათქვამი პასუხი იყო...“

სიტყვის წარმოთქმის შემდეგ აკაკი მივიდა შევჩენკოს ბიუსტთან, მუღის მოიდრეკა და, პატივისცემის ნიშნად, თავისი ჰეღარა თავი დახარა მის წინაშე.

ამ სურათმა საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე უკრაინულ და ქართველ საზოგადოებებზე, რომელშიც ხანგრძლივი და მკუთხარე ტაშით დააქიდლევა დიდი მოხუცი.“¹

ამ საღამოს და იქ წარმოთქმულ მეგობრულ სიტყვებს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ეს იყო პროვინციული იდეების გამარჯვება რეაქციულ იდეებზე.

ტ. შევჩენკოს და აკ. წერეთელს სყროდათ, რომ რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ მათი ბრძოლა ამაოდ არ ჩაიქლიდა, რომ ახლო იყო მრავალტანეული ხალხების განთავისუფლების დღე.

¹ Ш. А. Месхия и Я. З. Цинцадзе. — Из истории русско-грузинских взаимоотношений. стр. 95. Тб., 1958.

² ტფრ. „კულე“, № 6, 1913.

¹ ლევან ასათიანი. „ცხოვრება აკაკი წერეთელისა“, გვ. 481-482, თბილისი. 1940 წ.

მათს ოცნებას ზორცი შეასხა დიდმა ოქტობრის სოციალისტურმა რევოლუციამ.

სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ერთიან ბრძოლაში მტკიცებოდა და დღეობდა ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობა.

ვაფიცივეში მონაწილეობისათვის 1894-1895 სასწავლო წელს თბილისის სასულიერო სემინარიიდან გარიცხულმა ლადო კეცხოველმა კიევის სასულიერო სემინარიაში სწავლის ნებართვა მიიღო.

აქ შევიდა იგი სოციალ-დემოკრატიულ წრეებში და გააჩნდა რევოლუციური მუშაობა, გაფრთხილება არალეგალური რევოლუციური ლიტერატურა. კიევში უოცნის დროს იგი საბოლოოდ ჩამოყალიბდა პროფესიულ რევოლუციონერად.

1896 წლის აპრილში კიევის სემინარიის ინსპექციამ ვახზრია ლადო კეცხოველის ბინა, მას ბლომად აღმოაჩნდა ზენაწერა და ნაბეჭდი არალეგალური ლიტერატურა. კეცხოველი დაამტკიცებს, „სამი თვის პატიმრობაში უოცნის შემდეგ ლადო სამშობლოში გადასახლეს და პოლიციის შეთვალუერობა დაუწყეს. მაგრამ ამ შეთვალუერობას ის დაეშალა და თბილისში არალეგალურად ცხოვრობდა.“¹

იმვე პერიოდში უკრაინელი ნ. კოზერენკო საქართველოში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი ცხოვრობდა ქუთაისში, ხშირად ჩდიოდა ბათუმსა და სხვა ქალაქებში, ვამოდიოდა ნ. გორბანიას და სხვა ოპორტუნისტების წინააღმდეგ, იცავდა მტკიცე რევოლუციურ ხაზს. კოზერენკო აქტიურად მონაწილეობდა მეცნიერული სოციალიზმის საპროგრამო დოკუმენტის ე. მარქსის და ფ. ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ ქართულ ენაზე თარგმნის ორგანიზაციაში.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია ლ. კეცხოველისა და ნ. კოზერენკოს საშუალებით დაკავშირებული იყო კიევის ორგანიზაციასთან.

„პირველი რევოლუციის პერიოდში რუსეთის ამპერიის ყველა ხალხის ერთიან ბრძოლა, რომელსაც სათავეში ედგა პროლეტარიატი, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით ამგვობრებდა ამ ხალხებს, განამტკიცებდა პროლეტარულ სოლიდარობას და ურთიერთშარდაცერას სიერთო მტრის — თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

1905-1907 წლებს რევოლუციაში დიდი როლი ითავსებდა იგი „შეი ზღვის მეზღვაურთა აჯანყება“ ქავშნოსან „პოტიომკინზე“ იგი მოასწავებდა ცარიზმის საყრდენს — ქარსსა და ფლოტის

აჯანყებულ ხალხს მხარეზე გადასვლის/დაწყებას.

ქავშნოსან „პოტიომკინზე“ აჯანყებამ შეშინა საყოველთაო გაფიცვა რდენსაში დაწყო, მაგრამ მენშევიკების და ესერების გამცემლობის შედეგად ოდესის პროლეტარიატის ეს გმირული ბრძოლა მოკლებული იყო ერთიან და შეთანხმებულ მოქმედებას. მათ ვერ შეესძლეს დაკავშირებოდნენ მეზღვაურთა აჯანყებას, რასაც შეიძლება შეი ზღვის ფლოტის აჯანყებულთა მხარეზე მთლიანად გადასვლა მოყოლოდა და ცარიზმისათვის საბედისწერო გამხდარიყო.

ქავშნოსანი „პოტიომკინის“ მეზღვაურთა გმირული ბრძოლის ამბები კარგად იცოდნენ საქართველოს მშრომელებმა, რომლებიც აგრეთვე მასობრივ ბრძოლებს აიალებდნენ ცარიზმის წინააღმდეგ.

სათბობისა და პროლეტების უკონლობის გამო ოდესის მისადგომებთან რამდენიმე დღის რეიდის შემდეგ აჯანყებული „პოტიომკინი“ იძულებული გახდა რუმინეთის სანაპიროებისაკენ წასულიყო. რუმინეთის ხელისუფლებამ უარი უთხრა აჯანყებულ პოტიომკინელებს პროლეტსა და სათბობზე.

პოტიომკინელებმა მოწოდებით მიმართეს „ცივილიზებულ სამყაროს“, მხარს დავეციერეთ სამართლიან ბრძოლაში.

თბილისის ბოლშევიკურმა კომიტეტმა ეს მოწოდება ქართულად თარგმნა და გამოაქვეყნა. თბილისის კომიტეტმა ამვე დროს მოეწოდა მშრომელებს მხარს დაეციერათ პოტიომკინელებისათვის, რამაც დიდი როლი შეასრულა ცარიზმის წინააღმდეგ საქართველოს მუშათა და გლეხთა რევოლუციურ ბრძოლაში.

ქავშნოსან „პოტიომკინზე“ კარგად იცოდნენ მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ამიერკავკასიის მუშებისა და გლეხების ბრძოლის ამბები და განიზახებს შეერთებულდნენ მათ.

ქავშნოსან „პოტიომკინზე“ აჯანყების მონაწილე ე. ფელდმანი იგონებს: „...კონსტანტინოპოლისამდე პროლეტარიატი ჩვენ გადაეწყვიტეთ წავსულიყავით კავკასიისაკენ, სიდაც იმ დროს აჯანყების ცეცხლი ვიზეზებდა.“² შემდეგ ე. ფელდმანი წერდა: „ჩვენ გადაეწყვიტეთ ბათუმისაკენ წავსულიყავით, თუმცა ის ქლიერია სამშენობო-საშუკო სმიავრ იყო ... ჩვენ იმედო ვეკონდა ბათუმის გმირი პროლეტარების მხარდაცერისა და, ბოლოს, ჩვენ ვიცოდით, რომ კავკასიაში ვიპოვიდით ზელასს, რომელიც სათავეში ჩადგებოდა ჩვენს შობაობას.“³ მაგრამ, სამწუხაროდ, პოტიომკინელებმა ვერ შეძლეს ამ განიზახების განხორციელება. მეფის

1 К. Фельдман. — Восстание на «Потемкине» в 1905 г., стр. 64. М., 1935.

2 ფელდმანი, „ქავშნოსანი პოტიომკინი“, მოგონებანი, 1938, გვ. 74-75.

1 С. Алялуев. Прошлый путь, стр. 86, М., 1946.

მოაგრობამ კი ყველაფერი შეიტყო და ზომები იხმარა შავი ზღვის სანაპიროების გასამაგრებლად, ბათუმში, ფოთში, ნოვოროსისისკი გარეშით გაეხსო, რომ საშუალება არ მიეცათ „პოტიომკინისათვის“ განეხორციელებინა თავისი განზრახვა — შეერთებოდა საქართველოს და კავკასიის აჯანყებულ მშრომლებს... კარგად ესმოდათ, რომ საქართველოსა და კავკასიის გვირგვინულ ბრძოლასთან აჯანყებულ პოტიომკინელთა შეერთებას შეიძლება გადაწყვეტი რილი შეესრულებინა მშრომელთა რევოლუციური ბრძოლებში.

საზღვაო სამინისტრო საიდუმლოდ აფრთხილებდა სანაპირო დაცვას: „პოტიომკინი“ მიემართება კავკასიის სანაპიროებისაკენ და იყავით მზად.“

რსდმპ ბათუმის კომიტეტმა გამოუშვა მოწოდება, რომელშიც ეკითხებოდათ: „ქარისკაცებო! ხელისუფლება ელოდება აჯანყებულთა „თავად პოტიომკინის, „ბათუმის კედლებთან გამოჩენას და ვიბრძანებთ თქვენ ქვეშევრდებიდან ესრაელით მას, როგორც კი გამოჩნდება. მიმართეთ ეს ქვეშევრდები თქვენი მეთაურების წინააღმდეგ, თქვენ არ უნდა სცემოთ აჯანყებულ თქვენს ამხანაგებს — გმირებს, არა თქვენი ხელით უნდა მოკლდეს რევოლუციონერები და მათ მიერ დაღუპული მეთაურობა. თქვენ ხალხის შვილები ხართ, აჯანყდით მათთან ერთად, დღე კარს მომხდარამა რეოლუციამ მოგისწროთ თქვენ ხალხთან ერთად თქვენს ამებთან. შეუერთდით თქვენს თბილისელ ამხანაგებს და წინ საერთო რუსეთის რევოლუციისაკენ“¹ (მოწოდების სტილი დაიდვია).

ცარიზმის წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლებში ეს ფაქტი რევოლუციური სოლიდარობისა და მძებრი მხარდაჭერის ნათელი მაგალითია.

რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ უკრაინელი ხალხის რევოლუციური ბრძოლაში ბევრი ქართველი მონაწილეობდა. ისინი უკრაინის ქაღალქების უმადლეს სასწავლებლებში სწავლობდნენ. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ დიპლომატი ქართველთა შორის, აბრტე ვვირიცაძე, თენგიზ ძვინტი, ლუკიანე თაბუკაშვილი და მრავალი სხვა.

ლუკიანე ქართველიშვილი 1912 წლიდან სწავლობდა კიევიში, აბრტე ვვირიცაძე იყო რევოლუციური ბრძოლისა, რისთვისაც გადასახლებს კიევიდან, სადაც მშობლივ თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა.

ლ. ქართველიშვილი თანამშრომლობდა ბოლშევიკურ გაზეთში «Голос социал-демократии»-ში შედიოდა კიევის კომიტეტის შემადგენლობაში და ხელმძღვანელ რილს ასრულებდა ახალგაზრდობის მოძრაობაში.

1917 წლის ოქტომბერში ის, სხვა კომუნისტებთან ერთად, დაამატირეს, გათავისუფლუ-

ბის შემდეგ, 1918 წლის მარტში, იგი უკრაინის კი უკ შემადგენლობაში აირჩენს, კიევიში.

1918 წლის ბოლოს ლ. ქართველიშვილს გზავნიან ოდესაში, სადაც არალეგალურ პარტიულ შემოაბას ეწევა. ოდესის გათავისუფლების შემდეგ იგი ვახ. „ოდესკი კომუნისტურადეპტორობის, 1918 წელს ლ. ქართველიშვილი, როგორც სამხედრო-რევოლუციური სამუშაოს წევრი, მონაწილეობს მე-12 წითელი არმიის 400 კილომეტრიან სამხრეთის ლაშქრობაში. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამ დიდი ოპერაციის წარმატებაში. 1920 წელს, როდესაც ოდესა განთავისუფლებულ იქნა დენიკინელებისაგან, ქართველიშვილს ოდესის კომიტეტის მდივნად ირჩევენ. ამავე დროს ის რადეპტორობს ვახუთ „კომუნისტს“.

1921 წელს ლ. ქართველიშვილი გადასვამს კიევიში, სადაც ირჩევენ პარტიის საელაქო კომიტეტის მდივნად, ხოლო ცოცხა ხნის შემდეგ მას უკრაინის კი უკ-ის მეორე მდივნად, ლ. ქართველიშვილმა დიდი ნდობა მოიპოვა უკრაინის კომუნისტებში და მთელ უკრაინელ ხალხში.

1911 წელს კიევიში ჩადის სერგო ორჯონიკიძე. იგი იქ გამოდის მოხსენებით საერთო პარტიული კონფერენციის მოწვევის შესახებ, უკრაინელ კომუნისტებთან ერთად დიდ მუშაობას აწარმოებს ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების აღდგენა-განმტკიცებისათვის. ორჯონიკიძემ უკრაინაში დიდი მუშაობა გასწია აგრეთვე პრალის VI პარტიული კონფერენციის გაღმწვეტილების რეალიზაციის საქმეში. ამ მიზნით მან შემოაარა კიევისა და ვიკარიზის-სლავის პარტიული ორგანიზაციები.

როდესაც უკრაინაში და მის პარტიულ ორგანიზაციაში მდგომარეობა გართულდა, ს. ორჯონიკიძე იქ გაგზავნეს სპეციალური დეაღუბით და განსაკუთრებული რწმუნებით — საგანგებო კომისრად.

„1917 წლის 19 დეკემბერს, — ეკითხულობთ უკრაინის კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევებში,“ — რსდსრ საბჭოთა მოაგრობამ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინადადებით ს. გ. ორჯონიკიძე დანიშნა უკრაინაში საგანგებო კომისრად, მას დაეცა დახმარებოდა უკრაინის საბჭოების ცაქსა და პარტიულ ორგანიზაციებს, უზრუნველყო საბჭოთა და პარტიული ორგანიზების სრული ერთიანობა მათი მუშაობის ყველა დარგში.“¹

რსდსრ მოაგრობის და ცენტრალური კომიტეტის საგანგებო კომისრის ამ პასუხსაგებ პოსტზე, განსაკუთრებით რთულ პირობებში ს. ორჯონიკიძე მტკიცედ ატარებდა პარტიული და საბჭოთა ორგანიზების ერთიანი მოწვევების ლენინურ ხალხს, უკრაინელ ხალხს და კომუნისტებს ეხმარებოდა ახალი საბჭოთა სახელმწიფო

¹ საქ. სსრ ცსა ფ. 7, საქმე 785, გვ. 1-2.

¹ Очерки истории Коммунистической партии Украины, стр. 215, Киев, 1964.

აპარატის შექმნაში, საბჭოების განმტკიცებაში, კონტრრევოლუციური ელემენტებისაგან საბჭოების დაცვლაში.

1918 წლის ნოემბრის ბოლოს პარტიის ცენტრალური კომიტეტის დაავლებით ი. სტალინი ქმნის უკრაინის ფრონტს, რომ დახმარებოდა გერმანულ დამპყრობთა და ბერძენიულ ნაციონალისტური ბანდების წინააღმდეგ აჯანყებულ უკრაინის მუშებსა და გლეხებს.

ი. სტალინი მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სამხრეთის ფრონტზე წითელი არმიის გადარჩევაში. შემდეგ, ვ. ი. ლენინის დაავლებით, იგი ეხმარებოდა უკრაინელ ამხანაგებს არმიის მიერ განადგურებული უკრაინის სახალხო მეურნეობის აღდგენის ხელშეწყობაში.

1920 წლის თებერვალს და მარტში ი. სტალინი ხელმძღვანელობდა უკრაინის შრომის არმიის საბჭოს, მოილიზაციის უწყებებსა და უკრაინის შრომელებს ქვანახშირის ამოღების გადღეობასა და ტრანსპორტის მუშაობის ნორმალიზაციაში.

გერმანიაში მომხდარ რევოლუციისთან დაკავშირებით უკრაინელმა კომუნისტებმა დაიწყეს აჯანყების მზადება ოკუპანტებისა და უკრაინაში მათი დამპყმის გენერალ სკოროპადს წინააღმდეგ.

ამ აჯანყების ორგანიზაციისა და ოდესელი კომუნისტებისათვის დახმარების გასაწევად 1920 წლის შემოდგომაზე, პარტიის დაავლებით, ლ. ქართველიშვილთან ერთად, პარტიულ სამუშაოზე იგზავნება პროფესიული რევოლუციონერი, გამოცდილი იტაქკაშეუთლი თენგიზ ევლერი, რომელიც გეოლოგად მიიღეს ოდესლეში. იგი აირჩიეს რევკომისა და ოპერატიული შტაბის წევრად, ხოლო ოდესაში საბჭოთა ბელისფლების აღდგენის შედეგად თ. ევლერი ინიშნება საგუბერნიო კომისარის მოადგილედ. მასთან ერთად მუშაობდა სტ. ლევიშვილი. მთელ თავიანთ ძალას და ენერჯიას ისინი ახმარდნენ ოდესაში საბჭოთა ბელისფლების განმტკიცებას.

აქტიურ არალეგალურ მუშაობას ხარკოვსა და მის მახლობელ რაიონებში აწარმოებდა ხარკოვის ენერჯისტების სტუდენტი არტემ კვირიკაძე, რომელიც ამისათვის დაამატებოდა. იგი გაათავისუფლა 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ. 1919 წელს, როდესაც ხარკოვი თვითგარდაიღებდა დაცვას, ა. კვირიკაძე უკრაინის პარტიულმა ცენტრმა ხარკოვენი დატოვა არალეგალური მუშაობისა და ლენინელთა ბანდების წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციისათვის. იგი უკრაინელ ამხანაგებთან ერთად ღიღ მუშაობას ეწეოდა ღენიკინელთა ზურგში. მათი განდგენის შემდეგ ა. კვირიკაძე განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრია და მუშაობს სხვადასხვა პარტიულ და საბჭოთა პარტისაგან თანამდებობებზე.

სამოქალაქო ომის მძიმე წლებში უკრაინელთა მხარდახმარ ბევრი ქართველი ებრაელი და უკრაინის მიწა-წყლის განმარტებისათვის.

ოკუპანტების წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლაში თავი ისახელა და უქკნობი შარავანდელი შემოსა ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობა სამოქალაქო ომის გმირმა ვასილ კივიციმის ყველაზე მძიმე დღეებში სარდლობდა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტს.

1918 წლის 5 მარტს, ვ. ი. ლენინის მითითებით, უკრაინის შეიარაღებულ ძალთა ხარდლად ანტონოვი-ოვსენკო ინიშნება. მან ვ. კივიციმ დანიშნა პოლკავის ფრონტის სარდლად. ცოტა გვიან იგი საბჭოთა ქარებიზე იყო არმიის სარდლობდა. შემდეგ ვ. კივიციმ იყო ლეგენდარული მე-16 არმიის სარდლი. წითელი არმიის შენაერთები ვ. კივიციმის სარდლობით გამოჩნდა იბრძოდნენ შინგანი და უკრაინის კონტრრევოლუციის გაერთიანებული შტაბი ბანდების წინააღმდეგ, ათავისუფლებდნენ უკრაინის მიწა-წყლის ოკუპანტებისაგან. საბჭოთა ქარები ვ. კივიციმის სარდლობით მიმავლად იბრძოდნენ ხარკოვის განთავისუფლებისათვის, განსაკუთრებული გმირობა, სიმამაცე და სიმტკიცე წითელი არმიის ნაწილებმა ვ. კივიციმის სარდლობით გამოიჩინეს კივიციმის მიმართულებით ბრძოლაში.

უკრაინის ფრონტის სარდლმა ანტონოვი-ოვსენკომ მოსკოვიდან გამოათხოვა ის რაზმი, რომელსაც პლატონ იაშვილი მეთაურობდა. პ. იაშვილის რაზმი თავდასწირულად ებრძოდა გერმანულ ოკუპანტებსა და ბერძენიულ-ნაციონალისტურ ბანდებს ბელგოროდის და ხარკოვის. ბელგოროდის განთავისუფლების შემდეგ გადაწედა იაშვილი დაინიშნათ ბელგოროდის კომუნდანტად, მაგრამ მან უარი თქვა ამ თანამდებობაზე და ასე განაცხადა: ... სანამ მშერი უკრაინისათვის ოკუპანტების უღლის ქვეშ, მე მშვიდობა არ მიწერილი.

პლატონ იაშვილი დაიღუპა ხარკოვის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. უკრაინის მიწა-წყლის, მშერი უკრაინელი ხალხის განთავისუფლების ბრძოლას შესწრაო სიკოცხლე კომისარმა ი. დგებუაძემ და ქართველი ხალხის მრავალმა სხვა სახელოვანმა შეიღო.

იმ ქართველებს შორის რომლებმაც ასახელეს საშობლო ინტერვენტებისა და შინაგანი კონტრრევოლუციისაგან უკრაინის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, არ შეიძლება არ მოიხსენიოთ სამოქალაქო ომის გმირი ლეიბანთაბეგაშვილი. 1910 წლიდან ის მსახურობდა რკინიგზის ბატალიონში ქ. კივიში, 1916 წლიდან მუშაობდა კორესტენის რკინიგზის სადგურში. ლ. თაბეგაშვილი აქტიურად მონაწილეობდა არალეგალური ბოლშევიკური ორგანიზაციების შექმნაში (კივიში, ეტორმირსა და ხარკოვენი). ის იყო რკინიგზის მუშათა გაფიც-

ვების ორგანიზატორი კორესპენდენტი, კივსა და სხვა ქალაქებში, მონაწილეობდა კივის უწყინათესი უფლებებისთვის ბრძოლებში, ხელს უწყობდა უკრაინელთა და ქართველთა საბრძოლო მემგობრობას. კივის განთავისუფლებაში მონაწილეობდა აგრეთვე პოლკის მეთაური ლ. ვრამე. რომელიც გვირუკღად დაიღუპა უკრაინის მიწა-წყალზე.

უკრაინის მიწა-წყლის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში დაეცნენ ცხენოსანთა ნაჯრები კორპუსის სამხედრო კომისარი ვ. მიქელაძე, მ. ამაშუკელი, კ. აკობიძე, ტ. გაბუნია, ნ. იოსელიანი, მ. ლოლაძე, დ. შახარაძე, ა. საჭავია, ნ. სიხარულიძე, ვ. ჩაქვაძე, პ. შიგუა, ე. ცუბოტნიშვილი, ა. ხუბუტია, ბ. ხუბუტიაშვილი და ბევრი სხვა. ქართველებმა მძვრ უკრაინელ ზალხთან ერთად იბრძოდნენ. იცადნენ კივის, ხარკოვისა და უკრაინის სხვა ქალაქებსა და სოფლებს.

თავის მხრივ უკრაინელი ზალხის ბევრი სასახლო შეიღო დაეხმარა აქაზებულ ქართველ ზალხს საბჭოთა ზელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლაში. 1921 წელს აქ დაიდება წითელი არმიის მე-18 დივიზიის მეთაური პ. კუჩინსკი.

ველა ეს ფაქტი მემგობრობისა და ძმობის ნათელი დადასტურებაა. ეს ძმობა და მემგობრობა უკრაინელი და ქართველი ზალხების ერთგული და სოციალური განთავისუფლებისათვის ერთობლივად დაღვრილი სისხლით არის შედუღებული.

საერთოდ, სსრკ ზალხთა, კერძოდ, ქართველი და უკრაინელი ზალხების მემგობრობა საბჭოთა ზელისუფლების გამარჯვების შემდგომ პერიოდში სულ უფრო მტკიცდება და სხვადასხვა ფორმას იღებს (სოციალისტური მშენებლობის პროცესში ერთიერთდახმარებისა, საწარმოო თანამშრომლობისა, სოციალისტური შეჯიბრებისა და სხვ.). ქართველი და უკრაინელი ზალხების ისტორიულად ჩამოყალიბებული მეგობრობა სოციალისტური მშენებლობის პროცესში ფართოვდება და ღრმავდება.

ჯერ კიდევ 1929 წლის აპრილში როსტოვის ვ. ა. ლენინის კოლეჯობის ეგორშემეგოეზელი სახელისწილს ახლებტემა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია თბილისის ეგორშემეგოეზელი ქარხნის მუშები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები. იმავე წლის მაისში საღებველი ჩაყარა უიათორის და ნიკოპოლის მარგანეცის საბადოთა მემუთა სოციალისტურ შეჯიბრებას, რომელიც დღემდე გრძელდება. ერთმანეთს ეჯიბრებიან დონბასის და ტუბინოლის მაღაროელები, დონეცკისა და რუსთავის მეტალურგები, ხარკოვისა და თბილისის დაზგათმშენებლები, ზაპოროჯიისა და ზესტაფონის ფეროშენობლები და სხვ.

უკრაინისა და საქართველოს სამრწველო საწარმოების მემუთა სოციალისტური შეჯიბრება

სულ უფრო და უფრო ფართოვდება, სსრკ-ში მეტროპოლისა და კულტურის, მეცნიერების ახალ-ახალ დარგებს მოიცავს. 1929 წელს:

უკეთესი საწარმოო მაჩვენებლებსა მემგობრებისათვის შეჯიბრებამ საქართველოს მაღაროელებს, რკინიგზელებს, მეტალურგებს შესძლებლობა შეუქმნა აუთვისებინათ მემუთის ის ახალი მეთოდები და ფორმები, რომლებიც დაენარკეს უკრაინელმა ძმებმა. იმ დროს, როდესაც სოციალისტურმა პარტიამ წინა პლანზე წამოაყენა ახალი ტენეციის ათვისების ამოცანა, საქართველოს მემუთა კლასმა, რომელიც ახორციელებდა ლიზენეს „ადრები წვევტენ ვეღლიფტერს“ ბეერი რამ გადმოიღო და გამოიყენა თავისი უკრაინელი მეგობრებისაგან. თავის მხრივ ვალზე არ დატყენილან ქართველი მაღაროელები.

მომე ზალხებს შორის სოციალისტური შეჯიბრების გაშლამი წელიწადი შეიბინეს ამიერ-კავკასიისა და უკრაინის რკინიგზის შრომელებში. კივის ორტქმლაგ-სარემონტო ქარხნის შრომელებმა მიიღეს ქართველ თანამოსქმეუთა გამოწვევა. თბილისის ორტქმლაგ-სარემონტო ქარხნის მუშები დაქმუნებულნი იყუნენ, რომ ეს შეჯიბრება კიდევ უფრო განამტკიცებდა ზალხთა შორის მემგობრობას, სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერებას.

სამრწველო კოლეჯიების და დარგების სოციალისტურ შეჯიბრებაში ფართოდ ჩაბმის შედეგად უკრაინელმა და ქართველმა ზალხებმა დიდ წარმატებებს შიღწეს სოციალისტურ მშენებლობაში, რაც წარმოებაში ახალი მეთოდების, საწარმოო პროცესების ტექნოლოგიის, მექანიზაციის დანერგვის, სამეურნეო-ტექნიკური პროგრესის დაქარების, რაციონალური წინადადებების დანერგვის, წარმოების პროცესის სტულოფის შედეგია.

რუსთავის მეტალურგიული კომბინატის მშენებლობაში და განსაკუთრებით მეტალურგიული წარმოებისათვის სოციალისტების შომზადებაში ქართველ ზალხს მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიეს უკრაინელმა მეგობრებმა.

ამ მძერი თანამშრომლობის ორგანიზატორი და სულსამაღვმელი იყო და რჩება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია.

უკრაინელი და ქართველი ზალხების სოციალისტურმა შეჯიბრებამ მოიკცა არა მარტო სამრწველო კოლეჯიები, არამედ აგრეთვე სოფლის მეურნეობა და კულტურა. უკრაინელ და ქართველ კოლმეურნეობებს შორის თანამშრომლობა და მეგობრობა ჯერ კიდევ 1938 წლის გაზაფხულზე, რესპუბლიკის უმაღლესი ორგანოების არჩევნებისათვის მზადების პერიოდში ჩაისახა, როდესაც მხარაძის რაიონის სოფელ შრომის ორგანიზაციის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა გადაწყვიტეს წერადი მოეწიათ უკრაინელი კოლმეურნეებისათვის, რომელშიაც ისინი აცნობდნენ თავის გვე-

შეხვედრებს და წარმატებებს, სურვილს გამოთქვამდნენ უფრო მეტი გვიღებდა ვიცოდეთ, როგორ ცხოვრობენ და შრომობენ უკრაინელი მეგობრები.

ამ წერილში, რომელიც გამოაქვეყნა უკრაინის გაზეთმა „კომუნისტმა“, დიდი გამოძახილი ჰყოფს. უკრაინელი კოლმეურნეები არა მარტო ატყობინებდნენ მშრომელებს თავიანთ შრომითს საქმეებს, არამედ წინადადებას იძლეოდნენ, გაეშალათ სოციალისტური შეჯიბრება, დაეყვარებინათ უფრო ახლო მჭიდრო ერთიერთსავე შორი.

ასე ჩაეყარა საფუძველი სოციალისტურ შეჯიბრებას ზერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონის ი. ბ. სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეებსა და მახარაძის რაიონის სოფ. შრომის ორგანიზაციის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს შორის.

მაღე სოციალისტური შეჯიბრება ვაიშალა გენიჩესკის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელის „ჩერვონი ნონგარის“ წევრებს და სოფ. მახარაძის რაიონის შემოქმედის კოლმეურნეობის წევრებს შორის.

უკრაინელ კოლმეურნეებთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ აგრეთვე ქობულეთის, სიღნაღის, გუდაუთის, მახარაძის, ზუგდიდის რაიონების კოლმეურნეები.

სოციალისტური შეჯიბრება ხელს უწყობს ურთიერთ დახმობას, მეგობრობას, ურთიერთდახმობას სოციალისტური შეჯიბრებას შედეგად მიღწეულია დიდი წარმატებები სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, საკოლმეურნეო წყობილების განვითარებაში.

უკრაინისა და საქართველოს ძმობა და მეგობრობა განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა დიდი სამშაველო ომის მიმეტი განსაკუთრების წლებში.

სამშაველო ომში შეუძლებელი გახდა სოციალისტური შეჯიბრების გაგრძელება, მაგრამ მეგობრობა კიდევ უფრო გაძლიერდა. იგი განმტკიცდა ბრძოლის ველზე ერთად დაღვრილი სისხლით. გენიჩესკის რაიონის ბევრი მცხოვრები ევაკუირებულ იქნა სოფ. შრომაში, სადაც მძურად მიიღეს, დააბინავეს და სამუშაოც მისცეს. იქვე ატარებდა თავის შეკრებულბას ფორანზე დაპრილი გენიჩესკელი ზოგი მეომარი. გენიჩესკის რაიონის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში მონაწილეობდნენ და სიცოცხლეს არ ზოგადენენ შრომელი კოლმეურნეები შოთა და გრიგოლ ბოლქვაძეები. 1943 წლის ოქტომბრის ბოლოს, ვერმანელი ფაშისტებისაგან გენიჩესკის რაიონის განთავისუფლების შემდეგ შრომელმა კოლმეურნეებმა აღმოაჩინეს თანამომეებებს დახმარება სახალხო მეურნეობის აღდგენაში და პირნათლად შეასრულეს დახმარება. პირველ დღეებში იქ გაგზავნეს 4 ევაკონა მარცვლული, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, საოჯახო მოწყობი-

ლობა, ჭიშინი პირუტყვი. ეს ჭეშმარიტად ძმური დახმარება და ხელის შეწყობა იქნა ომის შემდეგ სოციალისტური საქმეებზე დახალი ძალით გახალდა.

რუსეთთან უკრაინის შეერთების მე-300 წლისთავის ზეიმს უკრაინელ ძმებთან, მთელი ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა ხალხებთან ერთად სიხარულით შეხვდა ქართველი ხალხი.

უკრაინელ და ქართველ ხალხებს შორის სოციალისტური შეჯიბრება განუხრებლად იგრძელება და სულ უფრო მრავალნაირი ხდება.

მაგალითად, ბევრი რამ გაავითეს გენიჩესკელბმა მახარაძის რაიონში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის.

მახარაძელები დაეხმარნენ გენიჩესკელ კოლმეურნეებს მეზაღუობის, მევენახეობის განვითარებაში, ტერიტორიის გამწვანებაში.

ცხადია, ამ ორ ხალხს შორის შეჯიბრებას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. იგი ხელს უწყობს მშრომელთა ინტერნაციონალიზმის, ხალხთა ძმობისა და მეგობრობის სულისკვეთებით აღზრდას.

ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ გმირულად იბრძოდნენ, ათავისუფლებდნენ უკრაინის ქალაქებსა და სოფლებს ქართველი მებრძოლენი. მაგალითად, გმირი ქალაქის, ოდესის დაიკისათვის ბრძოლაში თავი გამოიჩინა მფრინავმა გ. ჯაბადარმა. მიიორ გ. გამილადანაშვილს ნაწილმა გმირული ბრძოლის ნიმუში გვიჩვენა ყირიზისათვის ბრძოლაში და სვესტოპოლის დაიკავაში. ათასობით პიტლურელი განაღდგურა სვესტოპოლში პოლკოვნიკ ა. გუგუშვიდის ბატალიონში.

ზუგდიდის რაიონის ერთ-ერთი კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე, მებრძოლი გ. სხეულბია გერმანელებმა ყირიზში ბრძოლის ველზე გონებადაკარგული იპოვეს. ვერ შეძლეს მისთვის რაიმე სამედიცინო ცნობების მიღება და მხეცურად აწამეს, კოცონზე დაწვეს. საბჭოთა მთავრობამ მას სიყვდილის შემდეგ მიაჩნა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

გმირი ქალაქის სვესტოპოლისათვის, ყირიზისათვის გმირულად იბრძოდნენ კონტრა-დმირიანი მ. ჩინჩაძე, ს. კახანაძე. საბჭოთა კავშირის გმირი ვ. ეხებუა, ა. კანანაძე, ვ. კ. კარევიკი, ზ. ზიტალიშვილი, დ. ჯაფარიძე, მ. წიქურიძე, ვ. პაპიძე და სხვ.

30-ზე მეტ ქართველს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მტრის სიმამრების განაღდგურებისა და დნებრის გადალახვისათვის. ბევრი მათგანი დაიღუპა უკრაინის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. აი ზოგიერთი მათგანის უცვდავი სახელი: ა. ტერეღაძე, ვ. ჩხაიძე, ვ. სიორაძე, ლ. ჩუბინიძე, ვ. ბერიშვილი. უკრაინის მიწა-წყალზე მისი განთავისუფლებისათვის ბრძოლაში გმირულად დაეცნენ აგრეთვე საბჭოთა კავშირის გმირი, გენერალ-პოლკოვნიკი ჯ. ლესელაძე, საბჭოთა კავშირის გმი-

რი ი. ჯინჯარაძე, ვ. ჩიქოვანი, ვ. ლუკაძე და სხვები.

გერმანულ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ უკრაინის განთავისუფლებისათვის იბრძოდნენ შესანგრებები: ი. ციციშვილი და გ. გოცირიძე, მაიორები გ. შენგელია და გ. ბილანიშვილი. ასობით თვითმფრინავი ჩამოვადეს დნებრზე, კიევთან და უკრაინის სხვა ადგილებში საბჭოთა კავშირის გმირის გენერალ-ლეიტენანტის ვ. ნანეიშვილის, გენერლების ვ. ტატანაშვილის და შ. კანკეეტაძის, საბჭოთა კავშირის გმირის პოლკოვნიკ ო. ჩეჩელაშვილის, პოლკოვნიკ ბ. ზემბელისის, გ. კილასონის და სხვათა შენაერთებმა და ესკადრილიამ.¹

ბრძოლებით ვაიარეს მთელი უკრაინა ჯარის ნაწილებმა გენერლების პ. ჩანჩიბაძის, ვ. ჯანჭღაძის, ნ. თაყაიშვილის, კ. ჯახუას, მ. მიქელაძის, ი. რაზმაძისა და სხვათა სარდლობით.

გმირულად იბრძოდნენ ქართველები უკრაინის სახალხო შურისმაძიებელთა — პარტიზანთა რიგებში. უკრაინელებს კარგად ახსოვთ უშიშარი პარტიზანული მეთაურის, საბჭოთა კავშირის გმირის დაეთ ბაქრაძის საგმირო საქმეები.

ს. კოვბაკის დივიზიაში თავდადებულად იბრძოდნენ აგრეთვე იასონ ჟორჯოლიანი, ივანე რეხვიანიშვილი და გ. ტალახაძე. ა. ფეოდოროვისა და ვ. დრუცინინის პარტიზანულ შენაერთებში ვაკაცურად იბრძოდნენ ნოდარ აბაშიძე და ბეერი სხვა.

ა. ოლუხის შენაერთებში იბრძოდა 74 ქართველი, მათ შორის — ექიმი ვ. ბერიძე, გ. ნასყიდაშვილი, მ. მესხი, ზომასუბიძე, სამხედრო ფერშალი ვ. ნინიკლაშვილი და სხვ.

გერმანელებს მიერ ოკუპირებულ უკრაინის ტერიტორიაზე ქართველი ხალხის ბევრი შვილი იყო ორგანიზატორი და ზედმძღვანელი პარტიზანული რაზმებისა, იატაკვეშელი ანტიფაშისტური ორგანიზაციებისა და ჩგუფებისა. გავიხსენოთ, თუ გნებავთ, ზოია რუხაძის გმირობა.

უკრაინის მიწა-წყლის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში გმირულად დაეცნენ ქართველი პარტიზანები: მე-20 პარტიზანული რაზმის კომისარი ა. თვარაძე, მე-10 რაზმის პოლიტბელი ა. ხუნჯუა, მე-18-ისა — ფოფხაძე, სამხედრო ექიმი ვ. ქანელიძე, განყოფილების მეთაური ნ. ონიანი, ლეიტენანტი ლ. გვორჯელაშვილი, მებრძოლები ვ. ბუჭუერი, დ. მუმლაძე, ხ. ჩაჩანიძე, მ. მელია, გ. იაშვილი, დ. ქავახიშვი-

ლი, პოლიტბელი ვ. მელქაძე, გ. ნატროშვილი და მრავალი სხვა.²

უკრაინის კვ. ც. კ. პირველ მსოფლიო ომში ც. პოლიტიზატორის წევრი პ. მელუსტი, თბილისში საქართველოს სსრ და საქართველოს კომპარტიის 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სტუმარულ 1971 წ. 14 მაისს მიღწერების გარძნობით აღნიშნავდა:

„უკრაინაში გერმანულ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში გამოჩენილი შამა-ცობისა და გმირობისათვის საბჭოთა კავშირისა გმირის საპატიო წოდება მიენიჭა 47 მეომარისა და პარტიზანს — ქართველი ხალხის სახელოვან შვილებს. საბჭოთა ხალხის განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღვრილმა სისხლმა საშარადისოდ შეადუღა ჩვენი შეგობრობა.“³ ევრაზე მტრის წინააღმდეგ ერთიან ბრძოლაში სისხლით შედღაბებული მეგობრობა შარად იცოცხლებს. ის ნიშნით ვახდენა მომავალი თაობისათვის, თავისუფალი, თანასწორუფლებიანი, საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა მშენებელთა კავშირში გაერთიანებული ხალხების ნამდვილი მშენებელი ერთიანობისა.

ორმოცდაათი წელია, რაც საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა ოჯახში ცხოვრობს საბჭოთა საქართველო. იგი მედგამს, გამარჯვებული და წარმატებული მიდის დიდი ოქტომბრის ნაწვევები გზით. უდიდესია ამ გზაზე ეკონომიკის, მეცნიერების და კულტურის განვითარების დარგში მოპოვებული სიკეთე.

უკრაინულ და ქართველ ხალხთა შორის მეგობრობის და ძმობის განვითარებაში დიდი როლი შეასრულეს ორივე რესპუბლიკის მეცნიერებმა და კულტურის მუშაკებმა. თავის გამოსვლაში საბჭოთა საქართველოს სსრ და საქართველოს კომპარტიის 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სტუმარულ 1971 წ. 14 მაისს სკკ ც. კ. ვერხალურმა მდივანმა აშ. ლ. ი. ბრევენამ თქვა: „საქართველოს თანამედროვე სახე იმ ურღვევი სამეურთველო-ტექნიკური კულტურული ურთიერთობის შედეგია, რომელიც საქართველოს ორგანულად აკავშირებს ჩვენი სამშობლოს სხვა მოძვე რესპუბლიკებთან და ხალხებთან.“³

¹ М. И. Кочияшвили и И. И. Слишко боевое содружество украинского и грузинского народов в подпольной борьбе против немецко-фашистских оккупантов на Украине. В книге «Из истории украинско-грузинских связей», стр. 148—163. Тб., 1968.

² ვახ. „კომუნისტი“, 15 მაისი, 1971 წ.

³ იქვე.

ბიოგრაფიული

ბონების ორგანიზაციის უსასრულოების პრობლემა

თავდაპირველად უნდა ვაყარავით, თუ რა არის ან როგორ უნდა გვესმოდეს საერთოდ უსასრულობის პრობლემა?

შეუძლებელია ნახოთ ფილოსოფოსი, ასტრონომები, მათემატიკოსები და პოეტები თავი რომ დაეანებოთ, რომელიც უსასრულობის პრობლემას არ შეხებოდეს, თავისი აზრი არ გამოეთქვას ან ვარკვეული თეორია არ წამოუყენებინოს. ახალ ფილოსოფიაში ეს პრობლემა ყველაზე უფრო ვრცლად განიხილეს კანტმა და ჰეგელმა. ჩვენ აქ არ შეგვიძლია ვაყავით არც მათი თეორიების, არც საერთოდ ხსენებული პრობლემების ისტორიული მიმოხილვა. ეს ცალკე შესწავლისა და ცალკე მონოგრაფიული გამოკვლევების საგანია, ვარდა ამისა, გნ-ველსმა „ანტი-დიორინგსა“ და „ბუნების დიალექტიკაში“ როგორც კანტის, ისე ჰეგელის მოძღვრებანია უსასრულობის პრობლემის შესახებ ვრცლად დაახასიათა. ჩვენს ამოცანას მხოლოდ ის შეადგენს, რომ წარმოვადგინოთ უსასრულობის გაცემა დიალექტიკური მატერიალიზმის მიერ, ენგელსის შრომების საფუძველზე, და ხსენებული პრობლემის შესწავლა-გადაწყვეტის თვალსაზრისით კომუნისკის როლი ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაში.

როცა უსასრულობის პრობლემას ვეხებით, შეუძლებელია არ ვავითვალისწინოთ, რომ ბუნებაში არის ისეთი რამ, არამარტო თვალთ, თანამედროვე ყველაზე სრულყოფილი მატერიალურიც ვერ დაინახებო, როგორც ატომს, მოლეკულას, მიკროდიალექტონს, და პირაქით, ვერასოდეს ვერ შევხვდეთ უსასრულობას, რაკი მას დასასრული არ გააჩნია. მაგრამ ასეთი

და მათი მსგავსი მოვლენების მეცნიერული შემეცნებისათვის, პირველყოელისა, აზროვნება საჭირო, როგორც ენგელსი ამბობს „ნატურდიალექტიკაში“, თმცა არა ყოველგვარი, ვთქვათ, სქოლასტიკური, დოგმატიკური ან მეტაფიზიკური, არამედ, მხოლოდ დიალექტიკური აზროვნება, ცხადია, ლაბარაკია მატერიალისტურ დიალექტიკაზე.

სწორედ დიალექტიკურ ლოგიკას შეუძლია ფილოსოფიურად აგვიხსნას და განვიმარტოს უსასრულობის პრობლემა, წინააღმდეგ მეტაფიზიკურ-აგნოსტიკური თვალსაზრისისა, რომელსაც ამ საკითხში ავითარებდა ღარკინის მოძღვრების ცნობილი შეუთიგებელი მოწინააღმდეგე, გერმანელი ბოტანიკოსი კარლ ნეგელი (1817-1891). 1877 წელს ნეგელმა მიუხედავად წაყიობა თავისი ვაჰმეურებელი მოხსენება — „ბუნების მეცნიერული შემეცნების საზღვრები“, სადაც ჩამოაყალიბა დებულება, რომ „ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ სასრულოვანის შემეცნებაო“. ხსენებული მოხსენებაც და დებულებაც ენგელსმა მკაცრად გააკრიტიკა „ნატურდიალექტიკაში“. მიუთითა რა იმის შესახებ, რომ ნეგელს უნარი არა აქვს, არ შეუძლია მეცნიერულად ახსნას უსასრულოს პრობლემა. სთქვა, რომ „მხოლოდ სასრულოვანის შემეცნება შესაძლებელი იმდენად არის საყესებით მართალი, — წარს ენგელსი, — რამდენადაც ჩვენ შემეცნების სფეროში მხოლოდ სასრულოვანი საგნები ხვდებიან. მაგრამ ეს დებულება ამასთანავე დამატებას საჭიროებს: „ასრულობით ჩვენ მხოლოდ უსასრულოს შემეცნება შეგვიძლია“. ფაქტურად ყოველგვარი ნაშედილი, ამომწურავი შემეცნება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ აზრებში ერთეულადს ერთეულობიდან კერძობამდე, ხოლო ამ უკანასკნელიდან ზოგადობამდე ავამილდებთ; იმაში მდგო-

გიორგი ვიბლაძემ დამთავრა მონოგრაფია — „კომუნისკის ფილოსოფია“, რომლის ერთ თავსაც ვთავაზობთ მკითხველს.

მარეობს, რომ უსასრულოს სასრულოვანში, ხოლო სამარადისოს წარმავალში აღმოვჩნებით და დავადისტრუბობთ.¹ ეს დიალექტიკური მიდგომა პრობლემისადმი იმასაც ნათლად გვიჩვენებს, რომ „ზოგადობის ფორმა შინაგანი დასრულებულობის და, მაშასადამე, უსასრულობის ფორმა; იგი არის მრავალი სასრულოვანის უსასრულობად გაერთიანება.“² საბოლოოდ „ბუნების ყოველგვარი ჰემეზარიტი შემეცნება მარადისის, უსასრულოს შემეცნება და ამიტომ იგი არსებითად ანსოლუტურია.“³

საემპირისია თუ არა ყოველივე ეს უსასრულოს გავებისათვის?

არა, ენგელსი ნათლად გვიჩვენებს, რომ მსგავსად შეესაბამებელი მასალის უსასრულობისა, რომელიც „მხოლოდ სასრულოვანებათაგან“ შედგება, „აბსოლუტურად შემეცნებელი აზროვნების უსასრულობაც შედგება სასრულოვან ადამიანთან თავების უსასრულო რიცხვისაგან, რომლებიც ამ უსასრულო შემეცნებაზე მუშაობენ ერთმანეთის გვერდით და ერთმანეთის შემეცნულ შემდგომ თაობათა მანძილზე, პრაქტიკულ და თეორიულ შედეგებს უშვებენ, მჭრელ, ცალმხრივი და ყალბი წინამძღვრებიდან გაშიშვლიან, შედარ, მიხვეულ-მოხვეულ, არასაიმედო გზებს მისდევენ და ხშირად სწორ გადაწყვეტას ვერ პოულობენ მაშინაც კი, როდესაც შუბლს ზედ შეახლიან (პრისტლი). ამიტომ უსასრულოს შემეცნებას ორგვარი სინეულ ახლავს და თავისი ბუნების თანახმად მხოლოდ ერთგვარი უსასრულო ასიმპტოტიკური პროგრესის სახით შეიძლება მოხდეს. და ეს სრულიად საემპირისია ჩვენთვის, რომ შეგვეძლოს თქვა: უსასრულო ისევე შემეცნებადი, როგორც აზა-შემეცნებადი, ეს კი ყველაფერია, რაც ჩვენ გვინდა.“⁴

მაგრამ ენგელსი აქ არ შეჩერებულა; უსასრულოს პრობლემა მისთვის ერთგვარი ძირითადი საკვლევაა იმეო სფერო იყო, ვინაიდან მასში ან მის ირგვლივ აშკარად გამოიღონენ იდეალისტურ-შეტყუიზოკური თეორიებით. ენგელი ერთი იმათაგანი იყო და საცხებით ვასაგები ხდება ენგელსის ასე პირდაპირი, მოურიდებელი კამათი გერმანულ ბუნებისმეტყველოან. საემპირისია დავასახელოთ უსასრულო პროგრესის ანუ ცუდი უსასრულობის საკითხი, რომლის ანალიზიც მოცემულია როგორც მათემატიკის (ლაიბნიცის შიერ ფუნქციური უსასრულოს მათემატიკის), ისე ბუნებისა და ისტორიის მრავალ-

ფეროვნების მაგალითზე. თავდაპირველად ენგელსი მიუთითებს, რომ ჯერ კიდევ ჰეგელმა ჰემეზარიტი უსასრულობა სწორად მოათავსა „სავსე სიერესა და დროში, ბუნების პროცესსა და ისტორიაში“. სწორედ აქ ენგელსი აკეთებს უაღრესად მნიშვნელოვან შენიშვნას, რომ „ახლა (მაშასადამე, ჰეგელის შემდეგ — გ.წ.) მთელი ბუნებაც აგრეთვე ისტორიში გაითქვიფა და ისტორია ბუნების ისტორიისაგან მხოლოდ იმით განიჩქევა, რომ იგი თვითნებურ ორგანიზმთა განვითარების პროცესია.“⁵ ეს არის საზოგადოების ისტორია და ბუნების ისტორია, ორივე რომ ხასიათდება უსასრულო მრავალფეროვნებით, ხოლო ეს უთანასწოელი „სიერესა და დროის უსასრულობას — ცუდ უსასრულობას — შეიცავს, მხოლოდ როგორც მოხსნილს, თუმცა არსებითს, მაგრამ მაინც როგორც არაუპირატეს მომენტს.“⁶ ენგელსი იმ დისკუსიამდე მიდის, რომ ბუნების შემეცნებისათვის „ჩვენ არ გვიჩვენება ის უსასრულოდ მრავალი სამყაროები, რომლებიც ჩვენი სამყაროს მიღმა იმყოფებიან. უფრო მეტს ვიტყვით, მილიონი მზეებიდან მხოლოდ ერთი მზე და მისი სისტემა წარმოადგენს ჩვენი ასტრონომიული ცილვის არსებით ნიადაგს. დედამიწის შექმნისათვის, ფიზიკისა და ქიმიისათვის მეტნაკლებად, ხოლო ორგანული მეცნიერებისათვის მთლიანად, ჩვენ გვიხდება ჩვენი პატარა დედამიწით შემოფარგვა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს მაინც არსებით ზიანს ვერ აყენებს მოვლენათა პრაქტიკულად უსასრულო მრავალფეროვნებას და ბუნების შემეცნებას, სწორედ ისევე, როგორც ისტორიის არაერთი ზიანს არ აყენებს შედარებით მოკლე დროის პერიოდით და დედამიწის პატარა ნაწილით ანალოგიური, მაგრამ კიდევ უფრო დიდი შეზღუდულობა.“⁷ ერთი სიტყვით, ჩვენი მზისა და მისი სისტემის ახსნა ისეთივე ახსნა იქნება მილიონი მზისა და მათი სისტემებისა, როგორც ზორბლის გროვამი ერთი მარცხლის ანალიზმა მილიონობით მარცხლის შესახებ უტყუარი ცოდნა მოვეცეს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ენგელსი საცხებით სამართლიანად არ ეთანხმება ჰეგელს, რომელსაც მიანიჩა, რომ უსასრულო პროგრესი თითქოს „მოსაწყენი სიყაროეა“, ვინაიდან იგი „მხოლოდ ერთი და იმავეს მარადიული განმეორება: 1 + 1 + 1 და ა. შ.“⁸ ენგელსი, პირიქით, აპტიკებს, რომ უსასრულო პროგრესი სინამ-

¹ ფრიდრიხ ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, 1954 წ., გვ. 243-244.
² იქვე, გვ. 244.
³ იქვე, გვ. 244.
⁴ იქვე, გვ. 244-245.

¹ ფრიდრიხ ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, 1954 წ., გვ. 247.
² იქვე.
³ იქვე.
⁴ იქვე, გვ. 247-248.
⁵ იქვე, გვ. 248.

დღეღამეში „სულაც არაა განმეორება, არამედ განეითარება, წინსვლა ან უკუსვლა, და ამით ის მოძრაობის აუცილებელ ფორმად იქცევა.“¹ რა არის, მაგალითად, რიცხვი? „წმინდა რაოდენობრივი განსაზღვრა“ მაგრამ იმავდროულად რიცხვი „სავსებით შეიცავს თავისებრივ განსხვავებებს.“² ენგელსს მოჰყავს კონკრეტული მაგალითები არითმეტიკიდან, არ ეთანხმება რა ჰეგელს, რომ არითმეტიკა თითქოს აბრძობრივი სილატატივი ხასიათდებოდეს, მისთვის „16 არის არა მარტო თექვსმეტი ერთეულის შეყამება, არამედ იგი არის აგრეთვე 4-ის კვადრატი და 2-ის ბიკვადრატი“.³

ანალოგიური ფაქტების მოტანა დაუსრულებლად შეიძლება არითმეტიკიდან, რაც ქვე კიდევ პითაგორემ და მისმა ერთგულმა მოწაფეებმა შესანიშნავად იცოდნენ, როცა ეტესტა და ლუს რიცხვებზე მაგიერ ძალას აწერდნენ. ენგელსი სამართლიანად ამბობს, რომ „მარტივი რიცხვები მათგან სხვა რიცხვებზე გამრავლების გზით მიღებულ რიცხვებს შიანდებენ ხოლმე ახალ, სრულიად გაკვეთულ თვისებებს.“⁴ თუ იმასაც ვაითვალისწინებთ, რომ, მაგალითად, წმინდა მათემატიკას საქმე აქვს აბსტრაქციზმთან, მაგრამ სინამდვილეს მაინც არ არის მოწვეტილი, პირიქით, როგორც ენგელსი ამბობს, „მათემატიკური უსასრულო გადაღებულა სინამდვილიდან“, ანალოგიით შეიძლება უსასრულობის პრობლემას შიას სისტემისა და შის მიღმა არსებულ უთვალავ შიას სისტემათა ურთიერთობაში მივუდგეთ, როგორც უსასრულოდ მცირისა და უსასრულოდ დიდის ურთიერთდამოკიდებულებას მათემატიკაში.

აქ ჩვენს წინაშე დგება ერთი დიდი პრობლემა, რასაც აქვს უაღრესად არსებითი მნიშვნელობა უსასრულობის შემცენებისათვის. ვგულისხმობთ კანტის ცნობილი ანტინომიების — საწყაროს დასაბამი აქვს დროში, ხოლო სივრცის მიხედვით საზღვრებშია მოქცეული და საწყაროს დასაბამი არა აქვს დროში, ხოლო სივრცეში დასასრული — განხილვის შემდეგ ენგელსის მიერ გაკეთებულ დასკვნას. ეს დასკვნა ჩამოყალიბებულია შემდეგი სახით: „მარადილობა დროში, დაუსრულებლობა სივრცეში... იმაში მდგომარეობს, რომ მათ არა აქვთ დასასრული არავითარი მიმართულებით, არც წინ, არც უკან, არც ზევით, არც ქვევით, არც მარჯვნივ, არც მარცხნივ. ეს უსასრულობა სულ სხვანაირია, ვიდრე უსასრულო მწკრივისა, იმიტომ რომ ეს უაქნასკნელი ყოველთვის პირდაპირ ერთით,

პირველი წევრით იწყება. ამ მწკრივის წარმოადგენის გამოუსადეგობა ჩვენს საკვანძე მანერე ნათელი გახდება, როგორც კი შიას სივრცეს მიუვრუნებთ. უსასრულო მწკრივი, სივრცეზე გადატანილი, წარმოადგენს განსაზღვრული წერტილიდან განსაზღვრული მიმართულებით უსასრულობაში გაყვანილ ხაზს. განა ამით თუნდაც ოდნავ შიანც გამოიხატება სივრცის უსასრულობა? პირიქით, საჭიროა ამ ერთი წერტილიდან არანაკლებ ექვსი ხაზის გატარება სამავად საწინააღმდეგო მიმართულებით, რათა სივრცის განზომილებები ვავიყოთ; ამ შემთხვევაში ექვს ასეთ განზომილებას მივიღებდით. კანტი ამის რსე კარგად ხედავდა, რომ შიან თავისი რიცხვების მწკრივი არაპირდაპირ, მოხვეული გზით საწყაროს სივრცობრიობაზე ვალიტანა.“¹

მთელი ეს ბრწყინვალე მსჯელობა, დიურიზის კრიტიკასთან ერთად, ბოლოს შეყამებულია სავსებით დიალექტიკური აბრკონებლიდან გამოტანილი დასკვნით, რომ „უსასრულობა“ რომელიც დასასრული აქვს, მაგრამ დასაწყისი კი არა, არა მტრად და არა ნაკლებად დაუსრულებელია, ვიდრე უსასრულობა, რომელსაც დასაწყისი აქვს, მაგრამ დასასრული კი არა“². მეცნეირულად სავსებით დედამტრებელია, რომ უსასრულობა წინააღმდეგობის შემდეგია, როგორც თვით ბუნება წარმოადგენს წინააღმდეგობის განსახიერებას. „წინააღმდეგობაა უკვიის, — როგორც ენგელსი ამბობს, — რომ უსასრულობა მარტო დასრულებული სიდიდეებისაგან უნდა შედგებოდეს, ეს კი სწორედ ასეი. მატერიალური საწყაროს შეზღუდულობა არა ნაკლებ წინააღმდეგობათ იწყებს, ვიდრე შიის განუსაზღვრელობა, და ყოველი ცდა იმ წინააღმდეგობათა ვადალახვისა, როგორც დავინახეთ, ახალ და უარეს წინააღმდეგობებს იწყებს. სწორედ იმიტომ, რომ უსასრულობა წინააღმდეგობაა, იგი დუსრულებელ, დროსა და სივრცეში დაუსრულებელ ვაშლილ პროცესს წარმოადგენს. წინააღმდეგობის მოსპობა უსასრულობის ბოლო იქნებოდა. ეს უკვე ჰეგელმა ვიყო სრულიად სწორად და ამიტომ იგი დასახიერებული ზიზლით ეპყრობოდა იმ ვადატონებს, რომელნიც ამ წინააღმდეგობაზე იტყდნენ თავს.“³ მეორეს მხრივ, როგორც ზევით აღვნიშნეთ, უსასრულობის პრობლემა გვერდს ვერ აუვლის იმ ელემენტარულ ფაქტს, რომელიც საყოველთაოს მოიკავს თავისი განუზომლობით, მაგრამ რელატიურობას გამოხატავს წრეშეწერელ სამყაროში. დედამიწის მისა, როგორც ენგელსი

¹ იქვე.

² იქვე, გვ. 271.

³ იქვე, გვ. 272.

⁴ იქვე, გვ. 272.

¹ ფრიდრიხ ენგელსი, „ანტი-დიურიზიკი“ 1952 წ., გვ. 60.

² იქვე, გვ. 61.

³ იქვე, გვ. 62.

ამბობს, დედამიწის მექანიკისთვის უსასრულოდ დიდია, მაგრამ მზის სისტემაში უსასრულოდ მცირეა, მაშინ, როცა თვით მზის სისტემა, ვარსკვლავთა სისტემაში, რომლებიც სინათლის წლებით გაიზომება, უსასრულოდ მცირეს წარმოადგენს. ამგვარივე შეფარდებაა თვით მატერიის აღნაგობაში. მატერია „დანაწევრებულია მთელ რიგ დიდ, კარგად შემოსაზღვრულ, მასათა შეფარდებით სხვადასხვა ზომის ქვე-ჯგუფებად, ისე რომ თვითველი ცალკე ჯგუფის წევრები თავიანთი მასის მზარე ერთმანეთთან ვარსკვლავურ, სასრულოვან მიმართებაში იმყოფებიან, ხოლო მათი მახლობელი ჯგუფების წევრებს ისე შეეფარდებიან, როგორც უსასრულოდ დიდ ან უსასრულოდ მცირე სიდიდეებს მათემატიკის აზრით. ჩვენს მიერ ხილვად ვარსკვლავთა სისტემა, მზის სისტემა, მიწის მასები, მოლეკულები და ატომები, და ჰოლოს, ეთერის ნაწილაკები თვითველი ამგვარ ჯგუფს ქმნიან“¹.

ასე განიხილავდა ენგელსი უსასრულობის პრობლემას, რაც ჩვენ მოკლედ, ძირითად ხაზებში გადმოვიყვით.

რაბული კრიტიკოსი, აქ ნამდვილ აბრებლას ვეთავაზობს და ის კი აღარ იცის, რომ ზაქარია ფლანდელის „დაილის“ დადგამდე (1923 წ.), სადაც „თავი ჩემო“ ოქერის ეტრით მთავარი გმირის მალჯახის დიდებული ლირიული არიაა, აკაცის ამავე სახელწოდების ლექსზე შექმნილი, ძველიადაც, ოქტომბრის რევოლუციამდე ბევრად აღრე, არსებობდა „თავი ჩემოს“ ხალხური არა ერთი, არამედ სამი ვარიანტი, რომლებიც დიდებულმა კომპოზიტორმა საუფუღლად დაუღო თავის შესანიშნავ არიას. ხალხური „თავი ჩემოს“ პირველი ვარიანტი ჩაწერილია კომპოზიტორ დიმიტრი არაყიშვილის მიერ, ხოლო მეორე — კომპოზიტორ ალ-ლაიო-ივანოვის მიერ¹. მესამე ვარიანტი (სამა

¹ „მნათობი“, 1927 წ. № 11-12, გვ. 267, ხელს აწერს ს. ა. -მე; ვერჯერობით ვერ დავადვინეთ. თუ ვინ იყო ამ ფსევდონიმს ამოფარებელი.

² «Грузинские городские народные песни». Москва, 1961 г. კრებულის შემდგენელი ა. შველიძე შენიშვნებში აღნიშნავს, რომ «До революции обе песни («Голова моя бесталанная» и «Судьба моя»), были широко популярны в Грузии и часто исполнялись на концертной эстраде», стр. 228.

ხმისათვის) ჩაწერილია დიმიტრი არაფიშვილის მიერ და გამოქვეყნებული ჯერ კიდევ 1916 წელს.

ასეთივე უსუსურია რეცენზენტის „მტკიცება,“ თითქოს ამერიკაში გადახვეწილი ქართულის მიერ მოწერილი ბარათი ვეტუინარებს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა დროს გადახვეწილ ქართულ ზენზეეკს. მაგამ რაპულ რეცენზენტს ავიწყდება, რომ, ჯერ ერთი, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას ქართველ მენშევიკები ევროპაში, უმთავრესად საფრანგეთში გადაიხვეწნენ და, მეორეც ის, რომ ქართველები დიდი ხნით აღერ, მეტყბა-შებ, საუფროსი მეორე ნახევარში და შეიკვეთენის დამდგეს ამერიკაში მილიონდენა ზოგი სწავლისათვის, ზოგიც სამშრომელ, ვინ ბრუნდებოდა და ვინ რჩებოდა კიდევ, საქმარისა გავისხენით, რომ 90-იან და 900-იან წლებში ამერიკაში მილიონდენ ქართველი მოქირითები, უმთავრესად გერმანები, ცნობილი „უაილდ ვესტის“ (ვედური აღმოსავლეთის) მხედრები.

როგორც ვხედავთ, ს. რემონიძისათვის ძალით მიყვრებული იყო მრავალი უსაფუძვლო ჭრადება, მაგრამ ვინა გაემტყუებნებოდა რაპულ „კრიტიკისებს“, რომლებიც არ სცნობდნენ რუსთაველს, ბარათაშვილს, ილიასა და აკაკის, რომ რემონიძე არაფრად შეეჩინათ და აბუნად აუგდოთ?

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ს. რემონიძეს კრიტიკა გვერდს უვლიდა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ მცირე მოცულობის წერილებს, რომლებიც წინასიტყვაობის სახით დართული აქვს ს. რემონიძის მოთხრობების კრებულებს, მის შემოქმედებაზე თითქმის არაფერი დაწერილია იგი მოყრადღებულ პირთაგანა იყო, მემუა-ფტქარიეთთ მხოლოდ შრომობდა და თავის გამოჩენისათვის არ უტრუნია. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უკვე შუა ხანს მიღწეულმა შერალმა მძიმე ოქახური დრამა განიცადა, რამაც დიდი გავლენა იქონია მის სულიერ ცხოვრებაზე და, რა თქმა უნდა, შემოქმედების მემოიბაზეც.

ს. რემონიძის აღრინდელ შემოქმედებაზე

¹ დ. არაფიშვილი, «Грузинское народное музыкальное творчество», Москва, 1916 г., стр. 232.

² სწორედ ამაზე შექმნა ცნობილი ქართულმა შერალმა ნინო ნაკაშიძემ თავისი დიდებული დრამა „ვინ არის დამნაშავე?“ რომელიც პირველად დაიბედა 1903 წელს.

ქართველების ამერიკაში რეკოლტუციამდე ყოფნის შესახებ იხილეთ პ. მ. საყვარელიძის „მისტიკ სმიტის გაცეთილება“, თბილისი, 1900 წ. გვ. 162-175.

დადებითი აზრი აქვს გამოთქმულა კოლა ლომთაიძეს. ის ერთ-ერთ პირად წეროლიში სწავს სკლიზისტროს: „...შენი მისტიკისა წიკეთიანე, რა თქმა უნდა, მსაგავლოდ მსაგავლო დიდი ღირსება გავს, რამდენადაც მახსოვს, წინანდელ შენს მოკლე ნაწერებში — ეს ის არის, რააც რუსები «Выдумка-ს, завязка-ს ეძახიან, მაგრამ შენ ჰქარობ ძლიერ, ტემას არ ამუშავებ და ამას შეუძლია შთაბეჭდილება გაანახვეროს... ამის მეტეს არს ნეტავი იმიტომ, რომ ძველი შენი ნაწერების მხოლოდ შთაბეჭდილება თუ დარჩენილა ჩემს გონებაში. ხოლო ეს ერთი უკანასკნელი არა კმარა სამსჯელოდ, შენი დიდხვედვებული წიგნაკი რომ ჩამვეარდნოდა ხელში, უფრო ვრცელად მოგელაპარაკებოდი.“³

თუმცა ეს მეგობრობისადმი გავზავნილი პირადი წერილია, სადაც შეიძლება მოერიდოს კიდევ კაცი კაცს, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, კოლა ასეთ შემთხვევაშიც კი მოუბრუნებელი და პირდაპირი იყო, მით უფრო აქ გამოთქმულ მის აზრს გარკვეული მნიშვნელობა აქვს. ს. რემონიძის შემოქმედების დადებითად შეფასებისათვის, სადაც იგი ნაყოფანების აღნიშვნასაც არ ერიდება

ს. რემონიძე ეწეოდა მთარგმნელობით მემოიბასაც. მან პირველმა თარგმნა ანტონ ჩეხოვის სამი მოთხრობა: „ქალები“ (დაიბედა უფრო „კვალში“ 1903 წ. № 10), „შურისმაძიებელი“ და „ოჯახის შამა,“ აგრეთვე მ. მელიკოვის „სკამს ქვეშ“.⁴ ეს თარგმანები მან შეიტანა თავისი მოთხრობების პირველ წიგნში (1917 წ.) ცალკე განყოფილებად.

აღსანიშნავია, რომ თხოვე მოთხრობა საელებით ეხმარება მამინდელი ცხოვრების საერთო ეთარებას, ისინი მილიანად შეეატუევიებთან ს. რემონიძის შემოქმედების იდეურ მხარეს და ამიტომ სრულიად გასაკებია, რა

¹ ეს მოთხრობა იწებოდა „იგი ოშია“ ანუ „შეშლილი დედა“, როგორც შემდეგ დაარქვა ავტორმა. კოლა იმავე წეროლიში წერს: „შენი გამოგზავნილი „თეატრი და ცხოვრება“ მივიღეო. ეს წერილი დაწერილია 1915 წლის 29 აგვისტოს. ცხადია, სკლიზისტრო გუგზავნიდა ეტრნალის იენის-იელისის ნომრებს. ეს მოთხრობაც, „თეატრი და ცხოვრება“ 1915 წლის 7 ივნისის ნომრშია დაბედალი.

² იველისებება ს. რემონიძის „სილუატიები“, 1912 წელს დაბედალი, რომელიც აქრძალეს.

³ სპ. სპ. ლიტ. მუზეუმი, კოლა ლომთაიძის პირადი წერილი, № 15596.

⁴ ჯერკერობით ვერ დავადგინე მ. მელიკოვის ენისობა, ვერც მოთხრობას მივაგენით, რომ თარგმანთან შეგვედარებინა.

ტომ იბრია მწერალმა ისინი სათარგმნელად. ანტონ ჩეხოვის აღნიშნულ მოთხრობებში ჩეხოვისებური თუმორით გამათრახებელია ბურჟუაზიული საზოგადოების გადაჯაგრებული ტიპები უტიფარი ქალების, ლაჩარ ქმრისა და თავხედი მამის სახით. ხოლო მ. მელიკოვის „სკამს ქვეშ“ ასახავს გვირგვინული აღამიანის ხეცდრს, რომლის სილატაქე, უშეშეერობა, შიმშილი და უფულობა თავის თანამოქმეთა დაცინვისა და მისხრად აგდების საგანი ხდება. მატარებლიდან და შემდეგ რკინიგზის სადგურადან ვართვამ გამოგდგმულ უხელოურ აღამიანს, უკუბრუნდა და ციფ ლამეში მწიარ ფიქრები იპურბის: „... სილაჩიბგ ხელშეუხებელია, აღამიანი მკაცრი და უღმობელია, მან სიბრალული არ იცის, თანაგრძნობა არა აქვს. მან იცის მხოლოდ სუსტის დამონება, დამორჩილება... როგორ გვანან ეს ფიქრები რემონიძის გმირთა ფიქრებს, რომლებიც სილატაქისა და გავიკრებებისაგან უღარეს სულიერ ტანჯვის ვანიციდნან. აქაც გასაგებაა, თუ რად აურჩევია მწერალს სათარგმნელად ეს მოთხრობა.

ჩეხოვის ზემოაღნიშნული სამი მოთხრობა არც მანამდე და არც შემდეგ სტყვა არავის უთარგმნია ქართულად. ისინი ჩეხოვის ნაწარმოებთა ქართულ სამტომეულში, რომელიც 1962-64 წლებში გამოსცა „საბჭოთა საგარეო-ლომ“, არ შესულა აღბათ, იმიტომ, რომ ეს თარგმანი არავისათვის არ იყო ცნობილი.

ს. რემონიძემ 1927 წელს რუსულად თარგმნა და ცალკე წიგნად გამოსცა დიდი ინდოელი მწერლის რაბინდრანათ თაგორის მოთხრობა „შეშევიდრების დარაჯი“, რომელშიც კლასიკური ოსტატობითაა გადმოცემული ძუნწი აღამიანის გარღვეული ტრაგედია... მთარგმნელმა ამ მოთხრობას თან დაერთო წერილი თაგორის ცხოვრებისა და შემოქმედების დიდ მნიშვნელობის შესახებ. ეს იყო პირველი ქართული თარგმანი თაგორის ნაწარმოებისა და პირველი წერილი თაგორის შესახებ ქართულ ენაზე.

ს. რემონიძემ აგრეთვე კოლა ლომთათიძის შესახებაც გამოაქვეყნა მოგონება, როგორც მისმა თანასკოლელმა და ახლო მეგობარმა, იგი კოლას ცხოვრების ბევრ საინტერესო მომენტს შეიცავს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ს. რემონიძის პედაგოგიური ხასიათის წერილი „მასწავლებლები“, რომელიც კურნალ „განათლებაში“ დაიბეჭდა 1911 წელს (№ 3). ეს წერილი, როგორც ავტორი აღნიშნავს, პირადი შთაბეჭდილებებია და წარმოადგენს გურიის სკოლებში იმდროინდელი პედაგოგიური მეთოდის მიმოხილვას. აღნიშნულ წერილში წამოყენებულია მრავალი საინტერესო საკითხი, რომლებიც მ-

ზინდელ პირობებში აუცილებელ გააწყვეტას მოითხოვდა. მაგალითად, საკითხი „მასწავლებლის ღირსებისა და მოვალეობის შესახებ“, დედანის პირველ რიგში სწავლებას აუცილებლად იყენებს, რუსული ენის სწავლისა და რუსული სახელმძღვანელოს შედგენის, მასწავლებელთა აქტიური ბძობის შესახებ სწავლა-განათლების გაუჭიკობესებისათვის და სხვა მრავალი.

დარჩენილია აგრეთვე ს. რემონიძის წერილობითი სიტყვა, წარმოთქმული დიდების პანთეონში გამორჩენილი ქართველი ბელოტრისტის შიო არაგვისპირელის დაკრძალვისას, 1926 წლის 9 იანვარს.

„მოგეშორდა შიო, საყვარელი აღამიანი და ნიჭიერი მწერალი, საზოგადო მოღვაწე, ვინც თავისი აღამიანური ვალი პირნათლად და ღირსეულად შეასრულა საყვარელი სამშობლოს: და ერის წინაშე.

შენი მარგალიტი ნაწერებით, ძვირფასო მასწავლებლო, ჩაგვიჩერე გულში სამშობლოს სიყვარული და გვასწავლე მისთვის კეთილშობილური სამსახური. აი, ამისთვის ავიგებს ხელთქმნულ ძველს ხალხს თავის გულში და სიუვარულით გატარებს უფენითი უყენისამდე მეც — შენი უუმცროსი მოწაფე მთელ ქართველ ერთან ერთად მოვიხრი მუხლს და თვალტრემლიანი უყანასენლად ვეამბორბე შენს გაცივებულ სიტყვას მუხლს პოეტის შემდეგი სიტყვებით:

«Ты прав. Люблю родных,
Мне тяжко видеть их в неволе,
Всем жертвовать готов для них,
Но родину люблю я боле!»¹

საყურადღებოა ს. რემონიძის მოღვაწეობა

¹ სპ. სახ. ლიტ. მეზუმე, შიო არაგვისპირელის ფონდი № 16094.

შენიშვნა აქ მოტანილი ლექსის სტრაქონე-ში ეკუთვნის ცნობილ რუს დეკაბრისტს პოეტს კ. რილეევს (1795-1826); იგი ამოღებულია პოემა «Наливайко»-ს შესახებ თავიდან «Разговор с Лободой» (იხ. К. Ф. Рилев, Полное собр. соч., Академия, 1934 г., Москва-Ленинград, стр. 246). სტრაქონის პირველი ტაქში ასეთია: «Ты прав, мой друг, люблю родных».

მაგარა ფრაზა «Мой друг» რემონიძის სიტყვაში გამოტოვებულია, რადგან მან ზემოთ შიოს „ძვირფასი მასწავლებელი“ უწოდა და თავისი თავი მის „უუმცროსი მოწაფე“ აღიარა, ამიტომ, ჩვენი აზრით, ს. რემონიძეს უფროდ ეუბნებოდა შიოსათვის «Мой друг» ეწოდებოდა და ეს სიტყვები შეგნებულად გამოტოვა, მით უფრო, რომ აზრის მხრივ ამო სტრაქონს არაფერი დააკლებოდა.

საბავშვო მწერლობაშიც. იგი ახალგაზრდობიდანვე თანამშრომლობდა საბავშვო ჟურნალებში „ჩვენი“ და „ნაიალდში“. პირველი მისი საბავშვო მოთხრობა „პატარა ქერი“ დაიბეჭდა „ჩვენი“ (1903 წლის № 10). ს. რევიზიის ერთნაირი სიყვარულით ვეიდებოდა როგორც სადილო, ისე საბავშვო ნაწარმოებების შექმნას.

ს. რევიზიის საბავშვო მოთხრობები ყურადღებას იქცევდა უშუალოდ, ბუნების წარმტაცი და ცხოვრებისეული მართლი სურათების ოსტატური ზატით, ბავშვისათვის მიზნად ექცეოდა და გასაგები ენით. ამ მხრივ აღსანიშნავია „დაბრუნებული ჩიტი“, „ბუნების წილში“, „ზღაზღა“, „ჩვენი ყურში“, „შემოდგომა“, „გადატეხილი საღებო“, „ტყეში“, „დამკვრელი რუხი“, „ვაჟიკი და ვაიკი“ და სხვა. რევიზიის საბავშვო მოთხრობები საბჭოთა ბელისუფლების წლებში რამდენჯერმე გამოიცა.

საბავშვო ნაწარმოებების ამ ჯგუფიდან განსაკუთრებით სახელი გაითქვა მოთხრობამ „დამკვრელი რუხი“, რომელიც 1931 წელს გამოქვეყნდა. მას გატაცებით კითხულობდნენ მოსწავლე ახალგაზრდები და ისიც სასარგებლო გავლენას ახდენდა ნიჟერ, მაგრამ გაზარმაკებულ და სწავლაში ჩამორჩენილ მოსწავლეებზე. განათლების ზემდგომი ორგანოების მიერ ს. რევიზიის საბავშვო მოთხრობები მითითებული იყო სკოლებში საკითხავად, როგორც დამატებითი ლიტერატურა.

ს. რევიზიის კალამი ეკუთვნის მონოგრაფიული ნარკვევი „ევანტე ნინოშვილი“, რომელიც უშთაერესად შედგენილია ფ. შაბაძის, რ. კალაძის, პ. ირეთლის და სხვათა წერილებისა და მოკონცხების საფუძველზე. თუმცა მასში ახალი, მანამდე უცნობი მასალაა წარმოდგენილი: მაგალითად, ევანტეს წერილები ნადასი კალანაძისადმი, ვიორჯი წერეთლის წერილები ევანტესადმი და სხვა. აღნიშნული მონოგრაფიული ნარკვევი ევანტე ნინოშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ უფრო მეტად განკუთვნილი იყო მოსწავლეობისათვის პოპულარულ, საკითხავ ნაწარმად.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ს. რევიზიე წერდა პიესებსაც. 1925 წელს გამოვიდა მისი სამ მოქმედებიანი პიესა „პირველი ღელში (ანუ 1905 წელი ვურიაში)“. შემდეგ თავისი ცნობილი მოთხრობა „ძმები“ გადააკეთა 5 მოქმედებიან დრამად და 1926 წელს ელექტროსკოპის ავტორის ზღნაწერებში აღმოჩნდა აგრეთვე მოთხრობა „ძმების“ მიხედვით დაწერილი შეიღწევილიანი კინოსცენარის ლიბრეტო. მაგრამ ყველას მაინც მოთხრობა სწობს, რადგან საყოველთაოდ ცნობილია, რომ ყოველი ნაწარმოები მშობლივ იმ სახეში ინარჩუნებს მხატ-

ვრულ ძალას, რა სახითაც პირველად შეიქმნა.

1928 წელს რევიზიემ დაბეჭდა ტექნიკურ-დებიანი დრამა „ადამიანი“ და ორი საბავშვო პიესა „ქერი“ და „ძირს წადრი“. ეს პიესები ამ პერიოდში ხშირად იდგმებოდა სასოფლო და სასკოლო სცენებზე.

სიღ. რევიზიის მოთხრობების ენა ბუნებრივია, მარტივი და ნათელი. გზედება გერეული ცილოური ფორმებიც. რევიზიე არ მისდევს განსაკუთრებულ ლიტერატურულ დეკორაციას, მისთვის მთავარია შინაარსი, ანბანი, ვარკვეული იდეური ნაიალტარი.

ს. რევიზიე ახალგაზრდობაში პოეზიითაც იყო გატაცებული და შემდეგაც არ გაუნებებია თავი. მისი მოთხრობა „შემოღობი დედა“ მშვენიერი თეორი ლექსითაა დაწერილი, თუმცა სტროქონები, მოთხრობის მსგავსად, ერთი მეთრება მყოლებზე.

სიღიზისტრო რევიზიე უანგარო ადამიანი იყო, დაუზარალი მშრომელი და კაცთმოყვარე. ახალგაზრდობის მგვობარი. იგი სწავლისათვის სოფლიდან ჩამოსულ ყმაწვილებს მუდამ ეხმარებოდა გზის გაყვლევაში. პირადად შეედიდა დაეაღუბელი ვარ მისგან. ის იყო პირველი მწერალი და მწიგნობარი კაცი, ვისაც უნივერსიტეტში შესვლისას ვიენობდი თბილისში. დამომგობრა, წიგნებით მასაქტრებადა, მარიგებადა და მამხნეებდა. ზოგჯერ თავისი ველის დარდაც გამიმხელდა ხოლმე.

დასასრულს, უნდა თქვას, რომ ს. რევიზიემ ბევრი კარგი და სასარგებლო მუშაობა გასწია ქართული ლიტერატურისა და ეტლტურის დარგში. მისმა მოთხრობებმა და მის მიერ გამოქვეყნებმა ქართველ მწერალთა და მეცნიერთა წიგნებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ჩვენი ხალხის, ქართველი ახალგაზრდობის სულიერი აღზრდის საქმეში. ეს დეწელი კიდევ დაეფასა საბჭოთა მთავრობამ და იცდაითან წლებში ლიტერატურული დამსახურებისათვის პერსონალური პენსია დაენიშნა.

1961 წელს გამოქვეყნდა „ნაიალდში“ ამ სტროქონების ავტორის შედგენითა და რედაქციით გამოსცა ს. რევიზიის რჩეული საბავშვო მოთხრობები, სახელწოდებით „ბუნების წილში“, რომელშიც 13 საბავშვო მოთხრობა შევიდა. მიმდინარე წელს კი სახელმწიფო გამოქვეყნდა „საბჭოთა საქართველო“ სცემს ს. რევიზიის „რჩეული მოთხრობების“ მთხროლი კრებულს.

ს. რევიზიის ლიტერატურული მემკვიდრეობა კანონიერი ნაწილია ქართული რევოლუციამდელი დემოკრატიული პროზისა, რომელშიც ასახულია მშრომელი ხალხის ცხოვრება და შეუპოვარი ბრძოლა მეოცი საუკუნის პირველ მეთრებელში.

იაკობ გობეჯაშვილი და სოფელი ვარიანი

ვარიანი ერთ-ერთი ღამაზი და კეთილმოწყობილი სოფელია ვორის რაიონში. ისტორიული წყაროები სოფელ ვარიანზე და მის ისტორიულ წარსულზე ძალიან მცირეა. მხოლოდ ბატონიშვილი ვახუშტის „გეოგრაფიაში“ არის მოცემული ჩვენი სოფლის მდებარეობის ამსახველი რამდენიმე სტრიქონი: „ვორის ზევით, კარაღეთის პირდაპირ, ლიპვის დასავლეთით, რუისის მთის ძირას არს თედოწმინდა. მცირედ მის ზევით ერთვის დასავლეთიდან ლიახვს ვარიანის ფშანი და ახალდაბა“.

სოფლის შეფარებაში მანძიდან ბუნებრივი წყაროები ამორეზებულს. ეს წყაროები სასმელად ზინებულია და ამიტომაც მოსწონება ეს ადგილები ხალხს საცხოვრებლად. ვარიანში პირველად სამი გვარი ცხოვრობდა: ურჯუმელაშვილები, ზედაიანები, ბეზალაძეები, ხოლო XVI-XVII-XVIII — საუკუნეებში სოფელში დასახლებულან: ჟირველიშვილები, ქებაძეები, ბერაკაშვილები, კოკაძეები, კერესელიძეები, აღუაშვილები.

ზემო აღნიშნულ თვითველ გვარს თავიანთი ბატონები ჰყოლია, რომელნიც ვარიანის შტომელ მოსახლეობას სასტიკ, უმწირო მდგომარეობაში აყენებდნენ. მეზობლეთა სიმკაცრეზე და ვარიანელ გლეხთა ჩავერა-ვაჭირებებაზე კარგად შეტყვევებს ხალხური ლექსი:

— დასაქცივი მეზატონე,
ჩამოივლის ვარიანსა,
წიოკობას ატტებავს
ქათამსა და ვარიანსა.“

სოფელი ვარიანი საქართველოს მოსახლეობას გააცნო ქართული პედაგოგიკის მამამთავარმა, საზოგადო მოღვაწემ და მწერალმა, XIX საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თელსანი-

წო წარმოადგენელმა იაკობ სიმონის ძე გობეჯაშვილმა. მას თავის დროს სოფელი ვარიანი კარგად აქვს აღწერილი თავისი „ბავშვობის დროის მოგონებაში.“ აი რას წერს იაკობი: — შეფარულ სოფელში რამოდენიმე ვეებერთელა წყარო ამორეზებულა მიწიდან. სოფლის ვარშემო ადგილები ხომ სულ საესე იყო ცივ-ცივი წყლითა. წყაროების თავი დაჩარდილდყო ირველი ჩარგული ნეტრებითა, ზაფხულში აქ საამერი სიგრილე ტრიალებდა. ამ ჩრდილებში დასვენება, უნდლივით ცივი წყლით წუტრულის მოვლა სწორედ ნეტარება იყო. ეს მრავალი წყაროები სულ სამხრეთისკენ მიემართებოდნენ. ვხაზე ერთმანეთში ირეოდნენ და აჩენდნენ მოზრდილს ფშანებს, წმინდა წყალში ჩნდებოდნენ და მრავლდებოდნენ სხედასხვა თევზები და მათ შორის კალმახიც, უვემარეღესი თევზთა შორის.“

საერთოდ ამ სოფლის ვითარება, მისი ავი და კარგი ხალხმა უფრო კარგად დაახასიათა. ეპოქა შაირით, რომელიც იაკობს ძალიან მოსწონებია და ხშირად მოუყვანია იგი ვარიანელთა სიბელშეის დასახასიათებლად — „ვარიანი ვაღიანი, უტყუო და ქარიანი“ — და, მართლაც, იშვიათად მოიპოვებოდა ქართლში ასე ვაწყალბული და ვაპარტახებული სოფელი, როგორც ვარიანი. ასე ღარიბი და ბუნებისაგან ვაწწირულ-ანი, ასე დავალიანებული და ქარიანი, მართალია, ქართლის სხვა სოფლებიც ცნობილი არიან ქარიანობით, მაგრამ მათ უტყუობა მაინც არ აწუხებულათ. ბუნებამ დედინაცულობა ვაქწია სოფელ ვარიანს, როგორც ჰავით, ისე უტყუობით. შუის ზიღვა 40 კილომეტრის მანძილიდან, მეზობლეთა პარპაში, ყველანიირი ავადმყოფობანი, აი, რა ახასიათებდა იაკობის აყვანს, მის საუკუნელ ვარიანს. ბატონკმობის უღელქვეშ დამ-

ზღადაცემელი გლეხობა ამაოდ ეწვეოდა ხელს ზუნების ასეთ სასტიკ მთარას, რომელსაც ზედ ერთოვდა გაირტყვებამდე მისული ჩაგრული გლეხის სრული სისაწყლის სურათი. აი ასეთი იყო სოფელი ვარიანი, რომელსაც მახლობელი სოფლიდან, ახალდაბიდან შემოიჭრა გამოქცეული მანაბლიანთ უმა, მცირეწლოვანი სიმონ გოგებაშვილი და სოფელს შველა სთხოვა ვარიანშიც მიიღო იგი, თავის კალთას შეაფარა, დღემდე შეიღრეოთ ჩაყრა მყარდში და არც მოტყუვდა, რომ სიყვითე დათვისა მძვინვარე ბატონის გამოქცეული შინაყმისათვის.

რაც სოფელში დასახლდა სიმონ გოგებაშვილი, ვარიანში ცოტა ამოისუნთქა. სიმონი გამკრიხი გლეხი უფილა, წერა-კითხვა შეუსწავლა მღვდლისაგან, შემდეგ კი გლეხებსაც ემსარებოდა, რათა ისინი სიბნელიდან და ემყრებიდან გამოსულიყვნენ. სიმონ გოგებაშვილი ისე შეუყვარდათ ვარიანელ გლეხებს, რომ მათ 1835 წელს ერთხმად აირჩიეს ვარიანის ღვთისმშობლის ეკლესიის მეთაურად, სწორედ სიმონ გოგებაშვილის შვილები იყვნენ ის პირველი ვარიანელი გლეხები, რომლებმაც წერა-კითხვა იცოდნენ და ცდილობდნენ გლეხობაში წერა-კითხვის პოპულარიზაციას.

ქართველი ხალხის მოწინავე აღამიანებს დაეხმადათ ახრი შეექმნათ ისეთი გაერძიანება, რომელიც კულტურულ მომსახურებას გაუწყვედა ქართველ მოსახლეობას, განსაკუთრებით მის ქვედა ფენას, დაეხმარებოდა მშობლიურ ენაზე განათლების მიღებაში — რადგან „სწავლა ცოდნა, შეცნიერება ღონეა იმისათნა, რომელსაც დღეს წინ ვერაფერი უდგება: ვერც მუცლი, ვერც ხმალი, ვერც ჭრთა სიმარაღე.“

აი რას წერს იაკობ გოგებაშვილი მშობლიური სოფლის შესახებ თავის მოგონებაში:

„პატარა და ღარიბია ვარიანი, მაგრამ მე კი ეს სოფელი ძალიან მიყვარს, მიყვარს იმის გამო, რომ იქ დავიბადე, იქ ვიზილე სინათლე მზის, იქ ვაჯატარე ბედნიერი დღეები ჩემი ბავშვობისა. იქ ჩემს ყურებს ასიამოვნებდა წყლების ჩხრიალი, ჩიტურების ჭიკჭიკი, იქვარს მწვანე რკინიგზის აღტაცებაში მოყვავდი. იქ ვისწავლე ხალხური ლექსები და მოთხრობები. იქ შევიფიქრე და შევიყვარე მშრომელი ხალხი.“

იაკობის ეს სიტყვები იწერებოდა მაშინ, როცა ვარიანში სიღარიბე, ქარი და ვალი იცოდა. ასეთ პირობებში ვრცეივნასათვის ვასნა მშობლიური სოფლის სიყვარულით ვუღანთებელი იაკობის მგზნებარე სიტყვები — „ვისა ჰქვია პატრიოტი? — მას ვისაც სიცოცხლის უმოფრეს საგნად გაუხვდა მშობლიური ქვეყნის ბედნიერება, ვინც თავგაპოლებულია და შეუპოვრად ებრძვის ყოველს დაბრკოლებას, რომელიც მის სამშობლო ქვეყნას წარმატების გზაზე გადაიღობება, ვისაც მთლად დაყარულიად ზიანია ყოველი წამი, რომელიც არ მოუხმა-

რებია მამულის ზრუნვისათვის, ვისაც უდავლო გული მამულის ტანჯვითა, უხარია მისი ღვთაებრივი ბედნიერება მისი ბედნიერების უსწავლო მისი ავებლობით და ვინც მხოლოდ სიბნელით შესწროს მას თავისი სიცოცხლე.“

„მე ყველაფერი ხალხში მომცა და ხალხსვე უნდა დაუბრუნდეს“ ამბობდა იაკობი და მართლაც სამშობლოსათვის თავდადებულმა მამულიშვილმა ღირსებულად მოიხადა ვალი ხალხის წინაშე.

1901 წელს იაკობის ინიციატივით ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ დააარსა პირველი ორკლასიანი სკოლა სოფელ ვარიანში. აღნიშნული სკოლის შესახებ იაკობი ამბობდა:

„ჩემს პატარა სოფელში დავაარსე წერა-კითხვის სკოლა, რომელიც რევლამენტაციის გარეშე იღვა და სწავლება შეიძლებოდა მოწყობილი ყოფილიყო მხოლოდ და მხოლოდ დედა-ენაზე. მასწავლებლად დავამწესე ჩემი ძმისწული ალექსანდრე გოგებაშვილი და სასკოლო აფერი გაეცეთე ჩემის ხარკით, ყველა ნივთს ვუგზავნიდა უფასოდ. ასე რომ ღარიბს ვარიანს ვროშიც კი არ ეხარჯებოდა.“

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად იმსხვრეოდა ძველი კაპიტალისტური ურთიერთობა და მყარდებოდა ახალი სოციალისტური ურთიერთობა. რევოლუციამ მთელი იმპერიის ხალხი გამოიყვანა იმ წყუდი-ადიდან, რომელშიც აქამდე მეფის თვითმყარობელობას ჰყავდა.

1921 წლიდან ვარიანელ მშრომლებს უკვე კომუნისტები ხელმძღვანელობენ. გლეხობა ხალხით ერთიანდებოდა „კომუნში“, რომელიც მალე გადავიდა კლსურწერობად.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გახდა შესაძლებელი წარსულის დიდ მწერალთა და მოღვაწეთა ჭეროვანი დადასება.

1950 წელს ბედნიერმა ქართველმა ხალხმა დიდი ზეიმით იღვწასწავლა ერთწულ-განმთავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მეთაურის, უდიდესი პედაგოგის, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის და შესანიშნავი საბავშვო მწერლის იაკობ გოგებაშვილის დაბადების 101 წლისთავი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით შეიქმნა საიუბილეო კომისია ლეონიდა ბოცუაძის ხელმძღვანელობით, რომელმაც გამართა საიუბილეო მიტინგი სოფელ ვარიანში, საიუბილეო საღამო რუსთაველის თეატრში. კომისიამ იაკობის ნეშტი დიდების პანთონიდან მთაწმინდაზე გადაასვენა. იაკობის სახელი მიეკეთვნა ვარიანის საშუალო სკოლას, თელავის პედაგოგიკური ინსტიტუტის, დაწესდა ი. გოგებაშვილის სახელობის მედალი.

1941 წელს ფაშისტურმა ვერმანამ ომი და-

იწყო მშვიდობისმოყვარე საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ვარიანელი ვაჟაკებიც ქედღებრელი შემართებით აღიზარებენ მტრის წინააღმდეგ მამულის დასაცავად.

„აღსაღვე ქვეყანავ უზარმაზარო,
მრისხანე ბრძოლის ცეცხლი დასძარი,
რომ ფაშისტები დაასაშარო,
წყვეულთა ურდოს დასცე თავზარი.“

ეს სიტყვები დღეები იყო დედა-სამშობლოს დასაცავად აღმდგარი საბჭოთა ხალხისა და ვარიანელებიც ფრონტზე მობალისებებად მიდიოდნენ. იაკობის მშობლიური სოფლიდან 154 ვაჟაკიც წაივდა სამშობლოს დასაცავად, რომელთაგან 75 კაცი ვერ მოესწრო მტერზე გამარჯვებას. შთამომავლობა არასოდეს დაივიწყებს იმით, რომელთაც მამულის დაცვის საქმეს შესწირეს ყველაზე ძვირფასი რამ — სიცოცხლე.

იმის მსვლელობისას ვარიანელი გლეხაკობა თავდადებით შრომობდა საკომუნისტრო მინდვრებზე და თავისი წელიწადი შექონდა საერთო საქმეში, მტრის განადგურების საქმეში. „ყველაფერი ფრონტისათვის,“ „ყველაფერი გამარჯვებისათვის“ — ასეთი იყო პარტიისა და მთავრობის საბრძოლო ლოზუნგი და ხალხიც ძალ-ღონეს არ იშურებდა მტრის გასანადგურებლად.

საბჭოთა ხალხის გმირული შემართების შედეგად მტერი განადგურებულ იქნა. ვარიანშიც დაბრუნდნენ ოჯახსა და შრომას მონატრებული ვაჟაკები. „სოფელი დიდა“ — უთქვამს ქართველ გლეხაკს და მართლაც გაჭირვებაში ხალხს არ მიუტოვებია შრომა. კომუნისტრობა და სასოფლო საბჭო ყოველნაირად ეხმარებოდნენ დაზარალებულთა ოჯახებს.

სოფელი კვლავ მოღონიერდა. 1951 წელს ვარიანელთა ოჯახებში აციმციმდა ილიჩის ნათურები, ხოლო 1953 წელს სოფელი მთლიანად რადიოფიცირებული იქნა.

1954 წელს ვარიანში ახალგაზრდობამ მიიღო საუკეთესო სკოლის შენობა, რომელიც ი. გოგებაშვილის სახელს ატარებს.

1959 წელს ვარიანში გაიხსნა საფოსტო განყოფილება, საექიმო ამბულატორია.

1959 წლის 27 ოქტომბერს, იაკობ გუგუბაშვილის დაბადებიდან 120 წლისთავთან დაკავშირებით, ვარიანში გახსნილ იქნა ლეწლშოსილი პედაგოგის სახელმწიფო სტაციონალური გამოფენით.

1961 წელს ვარიანის კომუნისტრობა ვარდაიქმნა ვარიანის საბჭოთა მეურნეობად, რომელშიც ერთ-ერთი მოწინავე და მსხვილი მეურნეობაა გორის რაიონში.

აღსრულდა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის ლეონიდა ბოცვაძის სიტყვები: „ღიღებულო ადამიანო, ინტეგე იმით, რომ შენს ამაგს, შენს სახელს არც ერთი ქართველი არ დაივიწყებს, ვიდრე ქართველობა არსებობს ქვეყნად და რამდენიც დრო გავა უფრო ბრწყინვალე შარაფანდღოთ შეიმოსება იაკობ განმანათლებლის უცვლადი სული.“

აქი შეიმოსა კიდევ. შთამომავლობა არასოდეს დაივიწყებს მათ ლეწლსა და ამაგს ზვენი ერის წინაშე, ვინც ხმლით, კალმითა თუ ქედღებრული შეუპოვრობით იბრძოდნენ სამშობლოს ზედწიგებებისათვის.

პარტიის გორის რაიკომში და რაიონული საბჭოს აღმასკომში მიიღეს ერთობლივი გადაწყვეტილება, რომ ყოველი წლის ოქტომბრის ბოლოს, კვირა დღით ვარიანში, იაკობ გოგებაშვილის მშობლიურ სოფელში, ვარიანის სახალხო დღესასწაული — იაკობობა.

ხშირად შეუტივლიათ იაკობისათვის ვარიანულ გლეხებს, როდემდე უნდა ვიყოთ ასეთი გაჭირვებაში, როდემდე უნდა ვიტანოთ ასე, ფარას ჩამორჩენილი კოჭლი ცხვარივითო. იაკობი აიშვებდა თანასოფლელებს: დაცადეთ, ფარა მადე მობრუნდება მზისყენ და კოჭლი ცხვარი წინ მოექცევაო.

აღსრულდა დღი პედაგოგის წინასწარმეტყველება. დღეს იაკობის აჯვანი, ვარიანი წარმოადგენს განახლებულ, სოციალისტური სოფლის საუკეთესო მაგალითს. ოქტომბრის შექით ვაციკროვნებულ სოფელი მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად თამაზად მიაბიყებს წინ კაცობრობის ნათელი მომავლისაკენ — კომუნისტრობისაკენ.

ქართული ასომთავრული

საგულისხმოა, რომ არქაული ხანის ზოგიერთი ფინიკიური „ბეთ“-ის ქვედა კიდური, მსგავსად ქართულისა, აგრეთვე მარჯვნივ არის წარზიდული (მაგ., შაფათბაალის XIII-XII სს- ძვ. წ. წარწერაში). ამ შემთხვევაში ქართული „ბან“- ფინიკიური არქაული „ბეთ“-ის იდენტურია. მაგრამ ეს ვითარება შემთხვევით გრაფიკულ დამთხვევად უნდა ჩაითვალოს, რადგან ქართული ასომთავრული „ბან“-ის ქვედა მარჯვნივ წარზიდული ხაზი ქართული დამწერლობის მონუმენტური არსის მნიშვნელობისაა და მთელ რიგ ფუნქციებს ასრულებს:

1. ასო „ბან“-ის ქვედა მარჯვნივ წარზიდული შვერილი ასო „ბანს“ ასო „ყარ“-ისაგან განასხვავებს (იხ. ქართული ასომთავრული „ყარ“).

2. ქართული ასომთავრული ასო-ნიშნები, როგორც უკვე ითქვა, თითო-თითო ვერტიკალურ ხაზზეა აგებული. გრაფიკული თვალსაზრისით, შვეული ხაზების ხშირი თანმიმდევრობა დამწერლობას მონოტონურს გახდიდა და წარწერის წაკითხვას გააძნელებდა. მეტი და უკეთესი თვალსაზრისობის განხორციელების მიზნით შემოღებულია ასო

„ბან“-ის მარჯვნივ წარზიდული შვერილი, რომელიც ორ თანმიმდევრულ შვეულს ამორიშორებს და ჰქმნის ინტერვალს ორ ვერტიკალს შორის.

3. ასო „ბან“-ის მარჯვნივ წარზიდული შვერილი მომდევნო ასო-ნიშანთან გრაფიკულ კავშირს ამყარებს. ამდენად, ქართულ ასომთავრულ დამწერლობაში არსებობს გრაფიკული ურთიერთმიმართება ასო-ნიშნებს შორის.

4. ასო „ბან“-ის მარჯვნივ წარზიდული შვერილი მომდევნო ასო-ნიშანთან გრაფიკული კავშირის შემწეობით ჰქმნის პროპორციულობასა და სიმეტრიას.

1 9 9 2 9 5

3 9 6 9 7 4 9 7

ამგვარად, ქართული ასომთავრული „ბან“-ის მარჯვნივ წარზიდული შვერილი მონუმენტური გრაფიკის ფუნქციის მატარებელია და ამავე დროს ქართული ასო-ნიშნის დამატებით გრაფიკულ ელემენტად არ შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ფინიკურ „ბეთს“ იგივე გრაფიკული ელემენტი გააჩნია. ფინიკიური და

ქართული გრაფემები მხოლოდ და მხოლოდ ამ გრაფიკული ელემენტის სხვადასხვა მიმართულებით განსხვავდებიან.

ქართული ასომთავრული „ბან“-ის ერთადერთი გრაფიკული პროტოტიპია ფინიკიური „ბეთ“ ასო-ნიშანი.

დასკვნა: ქართული ასომთავრული „ბან“ შექმნილია ფინიკიური შესაბამისი ასო-ნიშნის გრაფიკის საფუძველზე; ქართული „ბან“ ფინიკიური გრაფემის მონუმენტური ნაირსახეობაა; გრაფიკული თვალსაზრისით ქართული „ბან“ ვაცილებით უკეთ იცავს ფინიკიური გრა-

ფემის მოხაზულობას, ვიდრე ბერძნული „ბეტა“.

ერყენულში

ქართული ასომთავრული „გან“ ქართულ ანბანში რიგით მე-2 გრაფემაა. მისი რიცხვითი მნიშვნელობა არის 2.

გ—ან

1. კლასიკური და საშუალო ფინიკიური, 2. ქართული ასომთავრულის დამატებითი ხაზები, 3. ქართული ასომთავრული, 4. არქაული და ბუსტროფედონური ბერძნული, 5. კლასიკური ბერძნული, 6. სემურ-ბერძნულ-ქართული რიცხვითი მნიშვნელობა.

1	2	3	4	5	6
↖ ↘	↖ ↘	↖ ↘	↖ ↘	Γ	3

ქართული ასომთავრული „გან“ შექმნილია ფინიკიური „გიმელ“ ასო-ნიშნის გრაფიკული ნახაზის საფუძველზე. არსებობს ამ ასო-ნიშნის აღრინდელი და უფრო მოგვიანო ხანის ფინიკიური გრაფიკული ფორმები, კლასიკურ ფინიკიურში (IX-VI სს. ძვ. წ.) ასო-ნიშნის მარცხენა ირიბი ხაზი უფრო მოკლეა, ვიდრე მარჯვენა ხაზი. საშუალო ფინიკიურში (V-III სს. ძვ. წ.) ორივე ირიბი ხაზი თითქმის თანაბარია (იხ. ტაბულის პირველი უჯრედი). კვიბრულ ფინიკიურში (V-IV სს. ძვ. წ.) გვხვდება ასო-ნიშნი, ორივე გრაფიკული ფორმა.

ქართული ასო-ნიშნის გრაფიკის საფუძველად უდევს შესაბამისი ფინიკიური გრაფემის აღრინდელი ფორმა. ფინიკიური გრაფემის ორივე — მოკლე და გრძელი ირიბი ხაზი ქართულ „გან“-ში იმგვარადვეა გასწორხაზონებული როგორც ბერძნულ „გამმა“-ში, ოღონდ ქართულ „განს“ დართული აქვს ორი დამატებითი ხაზი. ორი გრაფიკული ელემენტის მეშვეობით ქართული „გან“ რამდენადმე გართულებულია ფინიკიურ და ბერძნულ შესაბამისს გრაფემებთან შედარებით.

ქართული ასომთავრული „გან“ აგე-

ბულია ზუსტი შვეული და განივი ხაზებისაგან და ამდენად კუთხოვან-ხაზოვანი გრაფემაა. სწორხაზონობის შემწეობით ქართულ ასომთავრულ „გან“-ში განხორციელებულია დამწერლობის მონუმენტური პრინციპი.

ქართული „გან“ არის შესაბამისი ფინიკიური გრაფემის არა „ანტი“ ან „ინვერსიული“ ფორმა, არამედ ძირითადი ფორმა. ამ თვალსაზრისით ქართული „გან“ ზუსტად იცავს ფინიკიური გრაფემის პირ-მარცხნივ მდებარეობას (შედარებისათვის: კლასიკური ბერძნული „გამმა“ ფინიკიური გრაფემის „ანტი“ ფორმაა და ამდენად პირ-მარჯვნივ არის მიბრუნებული).

ქართულ „განს“ დამატებით ნიშნებად აქვს ზემო მოკლე შვეული ხაზი, იმ მიზნით, რათა ასო „გან“ განსხვავებულიყო ასო „ინ“-ისაგან და ქვემო მარჯვნივ წარზიდული შვერილი, რათა ასო „გან“ განსხვავებულიყო ასო „ენ“-ისაგან. ამგვარად, ქართულ ასომთავრულში ხმოვანი გრაფემები „ინ“ და „ენ“ გრაფიკულად მარტივი ასო-ნიშნებია, ხოლო თანხმოვანი „გან“ გრაფიკულად გართულებულია. ეს გამართლებულია ქართული ასომთავრულის მონუ-

მენტური გრაფიკის თვალსაზრისით. ქართულ ასომთავრულ დამწერლობაში ხმოვანი გრაფემები „ინ“ და „ენ“ შესაბამის ფინიკურ გრაფემებთან მიმართებით გამარტივებულია: ასო „ინ“ ორი გრაფიკული ელემენტებით, ხოლო ასო „ენ“ შესაძლოა ერთი გრაფიკული ელემენტით და, პირიქით, თანხმოვანი „გან“ ორი გრაფიკული ელემენტითაა გართულებული. ანალოგიური ვითარება გვაქვს კლასიკურ ბერძნულშიც. ბერძნული „იოტა“ უფრო მეტადაა გამარტივებული, ვიდრე ქართული „ინ“. ფინიკურ „იოდ“ ასო-ნიშანთან მიმართებით ბერძნული „იოტა“ სამი გრაფიკული ელემენტითაა გამარტივებული.

ქართული ასომთავრული „გან“-ის ზემო დამატებითი შვეული ხაზი — გამოყოფი ხაზია. გრაფიკული თვალსაზრისით ეს ხაზი ორ ასო-ნიშანს შორის გრაფიკულ საზღვარს სდებს და ორ ასო-ნიშანს ერთმანეთისაგან ჰყოფს. ამგვარად, ასო „გან“-ის ზემო დამატებითი შვეული ხაზი თანხმოვან ასო-ნიშანს უფრო თვალსაჩინოსა და მკაფიოს ხდის.

ქართული ასომთავრული „გან“-ის ქვედა მარჯვნივ წარზიდული შვერილი. როგორც უკვე ითქვა, ასო „განს“ ასო

„ენ“-ისაგან განასხვავებს. ამას გარდა ეს ხაზი ქართული ასომთავრული დამწერლობის მონუმენტური ნაირსახეობისა და იმავე გრაფიკულ ფუნქციებს ასრულებს, რასაც ასო „ბან“-ის ქვედა მარჯვნივ წარზიდული ხაზი (იხ. ასო „ბან“).

დასკვნა: ქართული ასომთავრული „გან“ შექმნილია ფინიკური შესაბამისი ასო-ნიშნის გრაფიკის საფუძველზე, ქართული „გან“ ფინიკური გრაფემის მონუმენტური ნაირსახეობაა, ზუსტად იცავს ფინიკური გრაფემის პირ-მარცხნივ მდებარეობას, ოღონდ ორი დამატებითი ხაზის მეშვეობით შექმნილია ფინიკურისა და ბერძნულისაგან განსხვავებული გრაფიკული ერთეული, მონუმენტური დამწერლობის ქართული გრაფიკული ერთეული.

ქართული ასომთავრული „გან“ ქართულ ანბანში რიგით მე-3 გრაფემაა, მისი რიცხვითი მნიშვნელობა არის 3-დ—ონ

1. არქაული ფინიკური, 2. კლასიკური და საშუალო ფინიკური, 3. გრაფემა 90°.
4. ქართული ასომთავრული, 5. კლასიკური ბერძნული, 6. სემურ-ბერძნულ-ქართული რიცხვითი მნიშვნელობა.

1	2	3	4	5	6
◁	△	△	⊖	△	4

ქართული ასომთავრული „დონ“ შექმნილია ფინიკური „დალეთ“ ასო-ნიშნის გრაფიკული ნახაზის საფუძველზე. ქართული ასომთავრული „დონ“-ი მეტ გრაფიკულ სიახლოვეს კლასიკურ და საშუალო ფინიკურ „დალეთ“-თან ამჟღავნებს.

როგორც გამოიჩვენა, ბერძნული კლასიკური „დელტა“ არის არქაული ფინიკური გრაფემის ასწვრივი ანუ 90°-ით აღმა ამართული გრაფემა (იხ. ტაბულის მე-5 უჯრედი). ამავე დროს ბერძნული „დელტა“ არის შესაბამისი ფინი-

კური გრაფემის სრულყოფილი გრაფიკული ანუ მონუმენტური ნაირსახეობა, ბერძნული „დელტა“ სრულყოფილი გეომეტრიული გრაფემაა, ტოლფერდა სამკუთხედი და დიაგონალური გრაფემაა.

ამგვარად, ფინიკურ და ბერძნულ ანბანებში მე-4 ასო-ნიშნად სამკუთხედი იჯდა. აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ იმ დროს, როცა ქართული ანბანი იქმნებოდა, სამკუთხედს საკლასიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

სამკუთხედი, როგორც საკრალური

ნიშანი, როგორც სიმბოლო სიციოცხლი-
სა ცნობილია ჯერ კიდევ ხეთურ სამყა-
როში.¹

განსაკუთრებული საკრალური მნიშვ-
ნელობა ენიჭება სამკუთხედს ბერძნულ
პითაგორიანულ მოძღვრებაში. პითაგო-
რიანელთა სწავლაში სამკუთხედი უკავ-
შირდება რიცხვს სამს, სამებას ანუ
ტრიადას.

ა. ფ. ლოსევი წერს:

«Согласно пифагорейскому уче-
нию треугольник есть первое оформ-
ление жизни (основной жизнен-
ный треугольник) после простой и
неразвернутой точки и после неоп-
ределенной, уходящей в бесконеч-
ность двойцы»².

პითაგორიანულ მოძღვრებაში სამ-
კუთხედი პირველი გეომეტრიული სხე-
ულია, პირველი გეომეტრიული სიბრ-
ტყეა და სიციოცხლის უპირველესი ნი-
შანია (დაწერილებით ამ საკითხზე ქვე-
მოთ ვიტყვი).

კლასიკური ბერძნული ანბანის საბო-
ლოო გრაფიკული დახვეწა, როგორც
უკვე ითქვა, V-IV საუკუნეთა მიჯნაზე
მოხდა ძველი წელთაღრიცხვით. ეს
სწორედ ის ხანაა, როცა პითაგორიან-
ულმა სწავლამ თავის კულმინაციურ
დიდებას მიაღწია. ამიტომ საკითხავია,
იქნებ ბერძნულ „დელტა“-ში პითაგო-
რიანული სამკუთხედის საკრალური
მნიშვნელობაა გააზრებული?

ვფიქრობ ეს აზრი უარსაყოფია, რად-
გან „დელტა“ ანბანში მე-4 ასო-ნიშა-
ნია და მისი რიცხვითი მნიშვნელობა
ოთხია. სამკუთხედის პითაგორიანული
რიცხვი კი სამია.

რიცხვი ოთხი პითაგორიანულ მოძღ-
ვრებაში ერთერთი წმინდა რიცხვია.
მასში სრულყოფილი პითაგორიანული
რიცხვის — 10-ის (დეკადის) საიდუმლოა
დამარბული, რადგან $1+2+3+4=10$ ს.
პითაგორიანელთა გაგებით ოთხი პირ-

ველი კვადრატული რიცხვია და მეტა-
ფიზიკური კვადრატია რეცხვების ქაფურ-
თოდ. ამიტომ ოთხი არის პირველი ეფე-
დებითი მღვდრი რიცხვი. ოთხკუთხედს,
როგორც ოთხის გამოხატულებას პითა-
გორიანელები დიდ დედამშობებს
აკუთვებდნენ. კერძოდ ქალმშობთ რე-
ას, დემეტრას, აფროდიტეს, ჰერას, ჰეს-
ტიას.

უკვე ითქვა, რომ ასტროლოგურად
ანბანის მე-4 ასო-ნიშანი მე-4 ცას, მზის
ცას განეკუთვნებოდა. ქართული „დონ-
ნი“ მზის ზესკენელოური ნიშანია და მე-4
ცაზე ზის. მისი რიცხვი არის 4, ამიტომ
ქართული ანბანის მზის ღვთაება მღვდ-
რი ღვთაება უნდა იყოს. ქართულ ან-
ბანში მთვარე მამრი ღვთაებაა, ხოლო
მზე მღვდრი ღვთაება.

გრაფიკულად ქართული „დონ“-ი ფი-
ნიკიური გრაფემისაგან არის გამოყვა-
ნილი. რადგან ქართულ ანბანში დიაგო-
ნალური გრაფიკა არ არის და მრგვლო-
ვანი გრაფიკული პრინციპია განხორცი-
ელებული, ამიტომ ცხადია „დალეთ“
ასო-ნიშნის დიაგონალური შეკრული
გრაფემა ქართულ ასომთავრულში წრი-
ულ გრაფემად უნდა ქცეულიყო, „და-
ლეთ“ ასო-ნიშნის ირიბი წარზიდული
ხაზი, ქართულ ასო-ნიშანში „დონ“-ის
ვერტიკალურ ხაზად იქცა. ამ ხაზს
„დონ“-ის ყელი ჰქვია. რაც შეეხება
„დონ“-ის ზემო პორიზონტალურ ხაზს,
მისი გრაფიკული ფუნქცია უკვე ცნობი-
ლია: ეს ხაზი ასო-ნიშნის ზედა ზღვარია
და ორი პუკარის გამყოფი ხაზია. ამ-
გვარად, ეს ხაზი ქართული ასო-ნიშნის
დამატებითი გრაფიკული ელემენტია.
აღსანიშნავია, რომ სამხრეთ-სამეურ
დამწერლობებში „დალეთ“ ასო-ნიშანს
ავრეთვე გააჩნია ეს გრაფიკული ელემ-
ენტი.

ქართული ასომთავრული „დონ“-ი
ფაქტიურად წრეზე დასმული ჯვარია და
ზესკენელოური მზის გრაფიკული ნიშანია.
ამავე დროს მსგავსად ბერძნული
„დელტა“ ასო-ნიშნისა, ქართული „დონ“
ასო-ნიშანი „დალეთ“ ფინიკიური გრა-

¹ Helmhuth Th. Bossert. Janus und der
Mann mit der Adler oder Greifenmuske
ტკაბული, 1959, გვ. 9, 10.

² А. Ф. Лосев, История античной эстети-
ки, М., 1969, стр. 322.

ფემის ასწერივი ანუ 90 გრადუსით აღ-
მა ამართული გრაფემა.

ე—ნ

1. არქაული და კლასიკური ფინიკი-
ური. 2. კლასიკური და საშუალო ფი-

ნიკიური. 3. ქართული ასომთავრული.
4. არქაული და ბუსტროფედონური
ბერძნული. 5. კლასიკური ბერძნული.
6. სემურ-ბერძნულ-ქართული რიცხვი-
თი მნიშვნელობა.

1	2	3	4	5	6
ჟჟ	Თ	Თ	ჟა	Ε	5

ქართული ასომთავრული „ენ“ შექმ-
ნილია ფინიკიური მე-5 ასო-ნიშნის გრა-
ფიკის საფუძველზე. ქართულ ასომ-
თავრულში დასტურდება ფინიკიური
გრაფემის არა არქაული, არამედ შედა-
რებით უფრო გვიანდელი ფორმა. V-IV
საუკუნეთა შიგნის კვიპრულ-ფინიკიურ-
სა და აგრეთვე არამეულ დამწერლო-
ბებში მე-5 სემური ასო-ნიშნის მოხა-
ზულობა ქართული ასომთავრული
„ენ“-ის მოხაზულობის იდენტურია, იმ

განსხვავებით, რომ ქართული ასო-ნი-
შანი, როგორც მონუმენტური სახეობა
გრაფიკულად უფრო დახვეწილია.

ე—ინ

1. არქაული და კლასიკური ფინიკიუ-
რი. 2. საშუალო ფინიკიური. 3. ქართუ-
ლი ასო-ნიშნის შექმნის მეთოდი. 4.
ქართული ასომთავრული 5. არქაული
და ბუსტროფედონური ბერძნული.
6. სემურ-ბერძნულ-ქართული რიც-
ხვითი მნიშვნელობა.

1	2	3	4	5	6
ყ	Ტ	Ტ Თ	Თ	ყ	6

ქართული ასომთავრული „ვინ“-ი შექ-
მნილია ფინიკიური „ვაე“ გრაფემის
არა არქაული და კლასიკური ნიმუშის
საფუძველზე, არამედ საშუალო-ფინი-
კიურისა და კერძოდ კვიპრულ-ფინიკი-
ური ნიმუშის საფუძველზე. ამიტომ
ქართული გრაფემა V-IV საუკუნეებით
შეიძლება დათარიღდეს.

კლასიკურ ბერძნულ ანბანში ქართუ-
ლი „ვინ“-ის შესაბამისი ასო-ნიშანი არ
იყო, ამიტომ ქართული „ვინ“-ის ბერძ-
ნული წარმომავლობა საერთოდ ვერ
აიხსნება. ეტრუსკულ-ლათინურ ანბანე-
ბში მე-6 ასო-ნიშანს ძ ბგერის მნიშვნე-
ლობა აქვს. ცხადია „ე“-ინ ქართული
ასო-ნიშნის ერთადერთი წყაროა სემურ
ანიბანი: მე-6 ასო-ნიშნად სემურ ან-
ბანში „ვაე“ გრაფემა ზის.

ქართული „ვინ“ გრაფემა შექმნილია

კვიპრულ-ფინიკიური გრაფემის გას-
წორხაზოვნებისა და ორი შვეული გრა-
ფიკული ელემენტის დამატების საშუ-
ალებით (იხ. ტაბულის მე-3 უჯრედი).
მეტი სიმეტრიისა და გრაფიკული წო-
ნასწორობის დასაცავად „ვინ“-ის მარჯ-
ვენა ფრთა დაბლაა დაწეული. გარდა
ამისა, ასე რომ არა, „ვინ“-ი მომდევნო
ასო-ნიშანთან გრაფიკულ კავშირს ვერ
დაამყარებდა, არამედ პირიქით მომ-
დევნო ასო-ნიშანს „დაეჯახებოდა“ ზემო
ნაწილში და შექმნიდა ცარიელ სივრ-
ცეს ქვემო ნაწილში. პლსანიშნავია ის
გარემოება, რომ ქართულ ნუსხურ დამ-
წერლობაში „ვინ“-ის მარჯვენა ფრთა
დაბლა დაწეული არ არის და მარცხე-
ნა ფრთის სისწორეზეა, რადგან ნუს-
ხურში ასომთავრული დამწერლობის
გრაფიკული კანონები აღარ მოქმედე-

ბენ. „ეინ გრაფემა ყველა უძველეს აღმოსავლურ-დასავლურ ანბანებში მე-6 ადგილზე ზის და მისი რიცხვითი მნიშვნელობა არის 6.

1	2	3	4	5	6
Ⓘ	Ⓔ~	Ⓔ	Ⓘ	Ⓔ	7

6. სემურ-ბერძნულ-ქართული რიცხვითი მნიშვნელობა.

სემურ „ზაინს“ ბერძნული „ძეტა“ შეესაბამება. ქართული ასომთავრულის წარმომავლობა ბერძნულს რომ უკავშირდებოდეს მე-7 ქართულ ასო-ნიშნს „ძ“ ბგერის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა და არა „ზ“ ბგერისა.

ქართული ასომთავრული „ზენ“ შექმნილია არა ბერძნული „ძეტა“ ასო-ნიშნის გრაფიკის საფუძველზე, არამედ ფინიკიური „ზაინ“ ასო-ნიშნის გრაფიკის საფუძველზე.

ქართული ასო-ნიშნის პროტოტიპად ვერ მივიჩნევთ ვერც არქაული ხანისა და ვერც საშუალო-ფინიკიურის „ზაინ“ გრაფემას. ქართული „ზენ“ განსაკუთრებულ გრაფიკულ მსგავსებას აქვდა ვენებს კლასიკური ხანის ფინიკიურ „ზაინ“-თან (იხ. ტაბულის მე-2 უჯრედის პირველი გრაფემა).

ჩემი თვალსაზრისით ქართული ასომთავრული „ზენ“ შექმნილია კლასიკურ

1	2	3	4	5	6
Ⓔ Ⓔ	7	Ⓔ	Ⓔ Ⓔ	Ⓔ	8

ქართული ასომთავრული მ (ე—მერვე), რომელსაც კლასიკურ ხანაში უთვოვ 3—ბგერის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, შექმნილია საშუალო ფინიკიური „ჰეთ“ გრაფემის საფუძველზე. ქართული ასომთავრული მ—ე ფაქ-

ზ—უნ

1. არქაული ფინიკიური, 2. კლასიკური და საშუალო ფინიკიური, 3. ქართული ასომთავრული, 4. არქაული ბერძნული, 5. კლასიკური ბერძნული.

რი ფინიკიური გრაფემის გასწორება-ზოვნებისა და ფინიკიური გრაფემის ქვემო კიდურის მომრგვალების საშუალებით (მოქმედებაშია ქართული ასომთავრულის მრგვალოვანი გრაფიკული პრინციპი).

„ზენ“-ის მაგალითი თითქოს ცხადყოფს, რომ ქართული ანბანი შექმნილია იმ დროს, როცა ჯერ კიდევ ხმარებაშია კლასიკური ხანის ფინიკიური გრაფემები. ეს ხანა V-IV საუკუნეთა მიჯნაა. ე. ი. ქართული ასომთავრული შექმნილი უნდა იყოს იმ ხანაში, როცა არსებობს ცოდნა კლასიკური ხანის ფინიკიურისა.

მ—ე

1. არქაული და კლასიკური ფინიკიური, 2. საშუალო ფინიკიური, 3. ქართული ასომთავრული, 4. არქაული და კლასიკური ბერძნული, 5. კლასიკური ბერძნული, 6. სემურ-ბერძნულ-ქართული რიცხვითი მნიშვნელობა.

ტიურად არის ფინიკიური გრაფემის ანტიფორმა.

კლასიკურ ბერძნულ ანბანში „ჰეთ“ ფინიკიური გრაფემა ვოკალიზებულია და „ეტა“ გრძელი ე—ს მნიშვნელობა აქვს.

ნიშნულია, რომ ძველი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნის მეორე ნახევარში ბერძნებმა „Spiritus asper“-ის გადმოსაცემად, რომელიც მნიშვნელობით „ჰ“ — ბგერას უახლოვდება, გამოიყენეს ბერძნული Η—„ეტა“ ბგერის ნახევარი (იხ. ტაბულის მე-4 უჯრედის მე-3 გრაფიკული ნიშანი), ე. ი. ფაქტიურად საშუალო ფინიკიური „ჰეთ“ გრაფემის ანტიფორმა.

ყოველ შემთხვევაში, ქართული ასომთავრული „მ-ე“ გრაფემის ფორმა და მისი წარმომავლობა იმას აღასტურებს, რომ ამ გრაფემას თავდაპირველად „ჰ“—თანხმოვანი ბგერის მნიშვნელობა

უნდა ჰქონოდა და არა „ე“—ბგერის მნიშვნელობა და ამდენად მისი წარმომავლობა უკავშირდება მას არა მქრქმულ კლასიკურ, არამედ სემურ დამწერლობას.

თ — ან

1. შემერული იდეოგრამა „თალი“.
2. არქაული და კლასიკური ფინიკიური.
3. ქართული ასომთავრული.
4. ფინიკიური გრაფემის მარჯვენა ნახევარი.
5. კლასიკური ბერძნული.
6. სემურ-ბერძნულ-ქართული რიცხვითი მნიშვნელობა.

1	2	3	4	5	6

ქართული ასომთავრული „თან“ შექმნილია ფინიკიური გრაფემის უძველესი გრაფიკული მოხაზულობის საფუძველზე. ჩანს, იმ დროს, როცა ქართული ასომთავრული დამწერლობა იქმნებოდა, ფინიკიური ასო-ნიშნის უძველესი მოხაზულობის ცოდნაც არსებობდა.

როგორც ცნობილია ბერძნული კლასიკური ანბანი საბოლოოდ ყალიბდება ძველი წელთაღრიცხვის მე-5 საუკუნის დასასრულს. სრულიად-ბერძნულ დამწერლობას საფუძვლად დაედო მილეტის იონური ანბანი, ხოლო ამ ანბანში მე-9 ასო-ნიშნის არქაული ფინიკიური ფორმაა შემორჩენილი.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართული ასომთავრული დამწერლობის შემოქმედმა კარგად იცის კლასიკური ბერძნული დამწერლობის ასო-ნიშნების სემური გრაფიკული პროტოტიპები. ვარაუდად ამ ცოდნის საფუძველზე შეიძლება აიხსნას იგივე სემური გრაფიკული პროტოტიპის ქართული გრაფიკული ნაირსახეობა. ქართული ასომთავრული დამწერლობის შემოქმედისათვის ცნობილია როგორც ბერძნული

გრაფიკული ერთეული, ასევე ამ გრაფიკული ერთეულის ფინიკიური გრაფიკული პროტოტიპი. ცხადია, ფინიკიური გრაფიკული პროტოტიპის საფუძველზე იქმნება ბერძნული საგან განსწავებელი ქართული ასომთავრული გრაფიკული ერთეული.

ფიქრობ, ქართული ასომთავრული დამწერლობის შემოქმედი მოლავწევებს იმ დროს, როცა ფინიკიური დამწერლობის გრაფიკის საფუძველზე საბოლოოდ ყალიბდება სრულიად-ბერძნული კაპიტალური დამწერლობა. სწორედ ძველი წელთაღრიცხვის V—IV საუკუნეთა მიჯნაზე არსებობს ფინიკიური გრაფიკული პროტოტიპების ის ცოდნა, რაც ქართულ ასომთავრულ დამწერლობაში მეტაქვდება. უფრო გვიან, ვთქვათ, ძველი წელთაღრიცხვის მე-3 საუკუნეში ასეთი ცოდნა ნაკლებ სავარაუდოდებელი და ნაკლებ მოსალოდნელია.

კერძოდ, ეს ვითარება მე-9 ქართული ასომთავრული ასო-ნიშნის მაგალითით შეიძლება ცხადვყოთ: ქართული ასომთავრული „თან“

შექმნილია მე-9 ფინიკიური „ტეთ“ ასო-ნიშნის გრაფიკის საფუძველზე. ქართული ასო-ნიშნის გრაფიკულ პროტოტიპად გამოყენებულია ბერძნული „თეტა“ ასო-ნიშნის ფინიკიური გრაფიკული პროტოტიპი (იხ. ტაბულის მე-2 უჯრედის არქაული და კლასიკური ხანის ფინიკიური „ტეთ“ გრაფემა).

საშუალო ფინიკიურში (5—3 სს. ძვ. წ.) „ტეთ“ გრაფემას უკვე აღარა აქვს ასეთი არქაული მოხაზულობა. მაგრამ, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ქართული ასომთავრულის შემქმნელი-სათვის ცნობილია ბერძნული „თეტა“ ასო-ნიშნის არქაული ფინიკიური პროტოტიპი (მე-5 საუკუნის დასასრული-სათვის ბერძნულ ანბანურ სამყაროში ჯერ კიდევ ცნობილია ბერძნული „თეტა“ ასო-ნიშნის ფინიკიური პროტოტიპი).

ქართული ასომთავრული „თან“ გრაფემა არის ფინიკიური გრაფემის მარცხენა ნახევარი (ტაბულის მე-3 უჯრედში მოცემულია ფინიკიური ასო-ნიშნის მარცხენა ნახევარი, ხოლო ტაბულის მე-4 უჯრედში მარჯვენა ნახევარი). თუ ეს ორი ნახევარი შევადრთებთ ზუსტად ფინიკიურ გრაფემას მივიღებთ.

ასო-ნიშნის გამარტივება და განახევრება ცნობილია ბერძნულ მონუმენტურ დამწერლობაშიც.

საქმე ის არის, რომ ჩემი ვარაუდითა და თვალსაზრისით, ქართულ ასომთავრულში შექმნილია ფინიკიური „ტეთ“ გრაფემის ისეთი ნახევარი, რომლის იდეოგრაფიული მნიშვნელობა — თვალია.

ცნობილია შუმერული იდეოგრაფია თვალისა (იხ. ტაბულის პირველი უჯრედის გრაფემა), რომელიც ზუსტად ისევე იწერება, როგორც ქართული ასომთავრული „თან“-ი. შემთხვევითია თუ არა ეს ვითარება? ვფიქრობ, რომ ქართულ ასომთავრულში ასტრალურ ღვთაებათა ტრიადაა, ხოლო ქართული ასომთავრულის თვალი და რიცხვი ცხრა ტრიალის მეორე წევრის მზის

ღვთაების ემბლემა და საკრალური რიცხვია. ქართული ასომთავრული ანბანის მზის ღვთაება ^{მზის ღვთაება} ცხრა მზისაა მზეა.

ქართული ანბანის „სემურ“ ანბანურ ჯგუფში ასო-ნიშნებს ძირითადად „სემური“ ფონემური მნიშვნელობა აქვთ. ოღონდ, ქართულ ანბანში „ბერძნული“ ანბანური ჯგუფის არსებობის გამო, ამ ჯგუფის ფონემებს რამდენიმე კორექტივი შეაქვთ ქართული ანბანის „სემური“ ანბანურ ჯგუფში. მაგრამ ქართული ანბანის მე-9 ასო-ნიშნის ფონემური მნიშვნელობა „ბერძნული“ ანბანური ჯგუფის გავლენით ვერ აიხსნება.

სემურ ანბანურ მწკრივში მე-9 ასო-ნიშანს „ტ“ ფონემის მნიშვნელობა აქვს, ხოლო უკანასკნელ 22-ე ასო-ნიშანს კი „თ“ ფონემისა. ქართულ ასომთავრულში შესაბამისად მე-9 ასო-ნიშანს „ტ“ ფონემის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, ხოლო ქართული ანბანის „სემური“ ანბანური ჯგუფის უკანასკნელ გრაფემას კი შესაბამისად „თ“ ფონემისა.

თუკი ქართულ ასომთავრულში მე-9 ასო-ნიშანს „თ“ ფონემის მნიშვნელობა აქვს, ეს ვითარება ბერძნულის გავლენით კი არ უნდა აიხსნას, არამედ იმით, რომ მე-9 ასო-ნიშანი თვალის ქართული იდეოგრაფია-აკროფონია და ამდენად ასო-ნიშანს აკროფონიული პრინციპის შესაბამისად „თ“ ფონემის მნიშვნელობა აქვს.

ფინიკიურ ღვთა-ანბანში თვალის იდეოგრაფია-აკროფონი მე-16 გრაფემად ზის, ხოლო ქართულ ანბანში რაკი თვალის იდეოგრაფია-აკროფონი მე-9 გრაფემად ზის, მისი რიცხვითი მნიშვნელობა არის ცხრა.

ინ

1. არქაული და კლასიკური ფინიკიური. 2. საშუალო ფინიკიური. 3. ქართული ასომთავრული. 4. არქაული ბერძნული. 5. კლასიკური ბერძნული. 6. სემურ-ბერძნულ-ქართული რიცხვითი მნიშვნელობა.

1	2	3	4	5	6
ჟ	ი	ი	ი	ი	10



ქართული ასომთავრული „ინ“ შექმნილია ფინიკიური ასო-ნიშნის გრაფიკის საფუძველზე. არქაული და კლასიკური ხანის მანძილზე ფინიკიურ მე-10 „იოდ“ ასო-ნიშანს განსაკუთრებული გრაფიკული ცვლილებები არ განუცდია. საშუალო ფინიკიური (5-3 სს ძვ. წ.) „იოდ“ ასო-ნიშნის ფორმა კი საკმარისად განსხვავდება ასო-ნიშნის კლასიკური ფორმისაგან (იხ. ტაბულის მე-2 უჯრედის გრაფემა).

ქართულ ასომთავრულ „ინ“ ასო-ნიშანს საფუძვლად დაედო არა საშუალო ფინიკიური, არამედ კლასიკური ფინიკიური „იოდ“ ასო-ნიშანი, რით უნდა აიხსნას ეს გარემოება? ბერძნულ დამწერლობებში, უკვე არქაულ ხანაშიც კი, ბერძნული „იოტა“ ასო-ნიშნის ფინიკიური პროტოტიპი აღარ არსებობს.

„იოდ“ ასო-ნიშნის კლასიკური ფორმა სემურ დამწერლობებში ხმარებაშია V-IV საუკუნეთა მიჯნაზეც (მაგ. თეიმას არამეული წარწერა). ყოველ შემთხვევაში, როგორც ჩანს, ქართული ასომთავრული დამწერლობის შემქმნელისათვის ცნობილია როგორც კლასიკური ფინიკიური „იოდ“ ასო-ნიშნის ფორმა, აგრეთვე ბერძნული „იოტა“

ასო-ნიშნის იგივე ფინიკიური პროტოტიპი.

როგორც ცნობილია, ბერძნული „იოტა“ ასო-ნიშანი ფინიკიურ ასო-ნიშანთან მიმართებით გამარტივებულია სამი გრაფიკული ელემენტით და გრაფიკული თვალსაზრისით უმარტივესი ასო-ნიშანია. ქართული „ინ“ გრაფემა ფინიკიურთან მიმართებით გამარტივებულია ორი გრაფიკული ელემენტით და ამდენად გრაფიკულად უფრო აბლოა ფინიკიურ პროტოტიპთან ვიდრე ბერძნული „იოტა“.

ქართული „ინ“-ის ზემო ჰორიზონტალი ქართულ ასომთავრულში მთელი რიგ გრაფიკულ ფუნქციებს ასრულებს. კერძოდ: 1. ასო-ნიშნის ზემო ზღვარია; 2. ორი პწკარის გამყოფი ხაზია; 3. წინ მდგომ ასო-ნიშანთან გრაფიკულ კავშირს ამყარებს და სხვ.

კ — ან

1. არქაული და კლასიკური ფინიკიური.
2. საშუალო ფინიკიური.
3. ქართული ასომთავრულის შექმნის მეთოდი.
4. ქართული ასომთავრული.
5. არქაული და კლასიკური ბერძნული.
6. სემურ-ბერძნულ-ქართული რიცხვითი მნიშვნელობა.

1	2	3	4	5	6
ყ	ყ	ს	ს	კ	20

ქართული ასომთავრული „კან“ გრაფემა შექმნილია კლასიკური ხანის ფინიკიური „კაფ“ ასო-ნიშნის გრაფიკის საფუძველზე. როგორც ცნობილია კლასიკური ბერძნული „კაპა“ არის შესაბამისი ფინიკიური ასო-ნიშნის ან-

ტიფორმა. რაც შეეხება ქართულ „კან“-ს იგი არის შესაბამისი კლასიკური ფინიკიური გრაფემის ინვერსიული ფორმა. ცხადია, ქართული ასომთავრული დამწერლობის მრგვლოვანი პრინციპის შესაბამისად, ფინიკიური გრაფე-

მის ირიბი ხაზები ქართულ ასო-ნიშანში შეკრულ რგოლს ჰქმნიან (იხ. ტაბულის მე-3 უჯრედი). კვლავ უფრადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ქართული ასო-ნიშნის ამოსავალია არა საშუალო ფინიკიური ასო-ნიშნის გრაფიკა, არამედ კლასიკური ხანის ფინიკიური ასო-ნიშნის გრაფიკა. ე. ი. ბერძნული და ქართული ასო-ნიშნების ფინიკიური პროტოტიპი ერთი და იგივე ფინიკიური ასო-ნიშანია.

ცხადია, ამ შემთხვევაშიც ქართული ასომთავრული უფრო სიძველისაკენ იხრება. ქართული ასომთავრული „კან“ არათუ ძველი წელთაღრიცხვის მე-3 საუკუნით, არამედ ძვ. წ. მე-5 საუკუნის დასასრულითაც კი ძნელია დათარიღდეს.

რით უნდა აიხსნას ეს გარემოება? ორი გამოსავალია: ან ქართული ასომთავრული დამწერლობის შექმნელისათვის ცნობილია ბერძნული ასო-ნიშნის ფინიკიური პროტოტიპი და ამიტომ ბერძნული მავალითის შესაბამისად

სად იმავე პროტოტიპის საფუძველზე ჰქმნის ბერძნულისაგან უცნესტვადებულ ქართულ გრაფიკულ ერთეულს, ან ქართული ასომთავრულის შექმნამდე საქართველოში უნდა არსებულიყო ფინიკიური დამწერლობის ადგილობრივი არქაული ტრადიციები. ქართულ ასომთავრულ ანბანში მე-11 ასო-ნიშანს „კ“ ბგერის მნიშვნელობა აქვს და არა „ქ“ ბგერისა, როგორც ფინიკიურ ანბანში. ეს აუცილებელი კორექტივი ქართული ანბანის „ბერძნული“ ანბანური გვერდის X—ქ ფონემის ზეგავლენით მოხდა.

ლ — ას

1. არქაული და კლასიკური ფინიკიური.
2. ქართული ასომთავრულის შექმნის მეთოდი.
3. ქართული ასომთავრული.
4. არქაული და ბუსტროფედონური ბერძნული.
5. კლასიკური ბერძნული.
6. სემურ-ბერძნულ-ქართული რიცხვითი მნიშვნელობა.

1	2	3	4	5	6
LL	შ	ზ	ქ	Λ	30

ქართული ასომთავრული „ლას“ გრაფიკა შექმნილია კლასიკური ხანის ფინიკიური „ლამედ“ ასო-ნიშნის გრაფიკის საფუძველზე. უფრო სწორად ქართული „ლა“ იმეტ გრაფიკულ სიახლოვეს კლასიკური ხანის „ლამედ“ ასო-ნიშანთან ამკლავებს.

არსებობს „ლამედ“ ასო-ნიშნის ორი გრაფიკული ვარიანტი: მრველოვანი და კუთხოვანი (იხ. ტაბულის პირველი უჯრედი). ბერძნული კლასიკური დამწერლობის „ლამბდა“—ასო-ნიშანს საფუძვლად დაედო ფინიკიური გრაფემის კუთხოვანი ვარიანტი. ბერძნული კლასიკური „ლამბდა“ არის შესაბამისი ფინიკიური გრაფემის ინვერსიული ფორმა. გარდა ამისა ბერძნულ გრაფე-

მას დამატებული აქვს დიაგონალური ხაზი, რის შედეგადაც ბერძნულ ასო-ნიშანში მიღწეულია ბერძნული გრაფემისათვის დამახასიათებელი სიმეტრია.

ქართული „ლას“-ი ინარჩუნებს ძირითად სემურ გრაფიკულ ფორმას, ე. ი. სემური გრაფემის არა ანტი და ინვერსიული ფორმაა. არამედ ძირითადი ფორმა. ოღონდ ფინიკიურ „ლამედ“ ასო-ნიშანთან მამართებით ქართულ ასო-ნიშანს დამატებული აქვს ორი გრაფიკული ელემენტი: ზემო განავი და შვეული ხაზი (იხ. ტაბულის მე-2 უჯრედი).

ასო „ლასს“ დამატებითი ხაზები მკაფიოდ განასხვავებენ „სან“-ისა და

„ზენ“-ისაგან. ვარდა ამისა „ლას“-ის დამატებითი ხაზები ქართულ ასომთავრულში გრაფიკულ ფუნქციებსაც ასრულებენ: დამატებითი ხაზების მეშვეობით ასო „ლასი“ გრაფიკულ კავშირს ამყარებს წინ მდგომ ასო-ნიშანთან, ჰქმნის ინტერვალს ასო-ნიშანების ორ ვერტიკალს შორის, აწესრიგებს სიმეტრიას და პროპორციებს. ამავდროს ეს დამატებითი ხაზები მონუმენტურ ქართულ დამწერლობაში ასო-ნიშნის ზემო ზღვარისა და ორი პეჯა-

რის გამყოფი ხაზის ფუნქციასაც ასრულებენ.

სარკინული
ნივლითი

მ — ან

1. არქაული და კლასიკური ფინიკიური.
2. კლასიკური და საშუალო ფინიკიური.
3. ქართული ასომთავრულის შექმნის მეთოდი.
4. ქართული ასომთავრული.
5. არქაული და კლასიკური ბერძნული.
6. სემურ-ბერძნულ-ქართული რიცხვითი მნიშვნელობა.

1	2	3	4	5	6
𐌆	𐌇	𐌈	𐌉	𐌊	40

ქართული ასომთავრული „მან“-ი შექმნილია ასო-ნიშნის არა აღრეული ფინიკიური ნიმუშის საფუძველზე, არამედ მისი გვიანდელი სახეობის საფუძველზე.

ასო-ნიშნის ბერძნული ნიმუში არქაული ფინიკიური შესაბამისი გრაფემის საფუძველზეა წარმოშობილი. ბერძნული „მიუ“ არის შესაბამისი ფინიკიური ასო-ნიშნის ანტიფორმა. დამატებითი დიაგონალური და ვერტიკალური ხაზების შემწეობით ბერძნულ ასო-ნიშანში განხორციელებულია მონუმენტური დამწერლობის სიმეტრიული პრინციპი.

ქართული ასომთავრული „მან“-ის პროტოტიპია კლასიკური და საშუალო ფინიკიური „მემ“ (იხ. ტაბულის მე-2 უჯრედი). ფინიკიური გრაფემის გასწორხაზოვნებისა და ფინიკიური ზემო შევეული გრაფიკული ელემენტის გადაადგილების მეშვეობით, შემუშავებულია ფინიკიური გრაფემის ქართული

მონუმენტური ნაირსახეობა. დამატებით გრაფიკულ ელემენტად ქართულ ასომთავრულ ასო-ნიშანში გვაქვს რგოლი (ქართული მრგვლოვანი დამწერლობის ძირითადი გრაფიკული კომპონენტი).

ქართული ასომთავრული „მან“-ის მარჯვნივ წარზიდული შვერილი მთელ რიგ გრაფიკულ ფუნქციებს ასრულებს, ჰქმნის ინტერვალს ორ ვერტიკალს შორის, ორ შევეულ ხაზს ამორიშორებს და მომდევნო ასო-ნიშანთან გრაფიკულ კავშირს ამყარებს.

ნ — არ

1. არქაული, კლასიკური და საშუალო ფინიკიური.
2. ქართული ასომთავრულის შექმნის მეთოდი.
3. ქართული ასომთავრული.
4. არქაული და ბუსტროფედონური ბერძნული.
5. კლასიკური ბერძნული.
6. სემურ-ბერძნულ-ქართული რიცხვითი მნიშვნელობა.

1	2	3	4	5	6
𐌎	𐌏	𐌐	𐌑	𐌒	50

ქართული ასომთავრული „ნარ“ შექმნილია ფინიკიური „ნუნ“ გრაფემის საფუძველზე. ფინიკიური „ნუნ“ დასაზღვრულ ქრონოლოგიას არ გვაძლევს.

ბერძნული გრაფემა ფინიკიური გრაფემის ანტიფორმაა. ქართული „ნარ“-ი ფინიკიური გრაფემის ინვერსიული ფორმაა. ბერძნულ ასო-ნიშანში დამატებით გრაფიკულ ელემენტებად გამოყენებულია დიაგონალი და ვერტიკალი. ქართულ ასომთავრულში დამატებით გრაფიკულ ელემენტად გამოყენებულია ზემო პორიზონტალური ხაზი.

ზემო პორიზონტალური ხაზი ასო

1	2	3	4	5	6
⌘	⌚	⌛	⌜	⌞ ≡	60

ფინიკურ ანბანში, დღევანდელი პალეოგრაფიული თვალსაზრისით რომ ითქვას, სამი „სან“-ი იყო. ფინიკიელნი, რა თქმა უნდა, ამა „სან“-ებს სხვადასხვანაირად გამოთქვამდნენ, მაგრამ ეს პალეოგრაფიას არ ეხება და ენათმეცნიერული საკითხია.

ფინიკიური „სან“-ებია სემური ანბანის მე-15 მე-18 და 21-ე გრაფემები: 1. სამეკ, 2. სსადე და 3. სინ. სემური ანბანის ამ გრაფემებს სხვადასხვა დამწერლობაში სხვადასხვა ფონემური მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამის გამო „სამი სანის პრობლემა“ სპეციალურ განხილვას საჭიროებს.

ამ საკითხს ამჯერად აქ არ განვიხილავ.

სამ „სან“-თაგან ერთერთია მე-15 ფინიკიური გრაფემა „სამეკ“ (იხ. ტაბულის პირველი უჯრედი).

ბერძნულ კლასიკურ ანბანში სემურ სამ „სან“-თაგან გამოყენებულია მხოლოდ ორი გრაფემა: „სამეკ“ და „სინ“, ქართულ ასომთავრულ დამწერლობაში კი გამოყენებულია სამივე სემური გრაფემა. ეს ფრიალ მნიშვნელოვანი გარემოებაა, რადგან არქაული დროიდან

„ნარ“-ს ასო „ჩინ“-ისაგან განასხვავებს. იგივე ხაზი ქართულ დამწერლობაში დასაზღვრულობის გრაფიკულ ელემენტებს ახორციელებს, რაც მკითხველისათვის უკვე ცნობილია და აქ აღარ ვიმეორებ.

ა — ე

1. არქაული ფინიკიური. 2. კლასიკური ფინიკიური. 3. კეიპრულ-ფინიკიური. 4. ქართული ასომთავრული. 5. არქაული და კლასიკური ბერძნული. 6. სემურ-ბერძნულ-ქართული რიცხვითი მნიშვნელობა.

„სან“-ის სამივე სემური გრაფემა არცერთ ბერძნულ ანბანში არ დასტურდება.

მე-15 „სამეკ“ სემურ გრაფემას კლასიკურ ბერძნულ ანბანში „ქსი“ მრჩობელი ბგერის მნიშვნელობა აქვს. ბერძნულ „ქსი“ გრაფემას საფუძვლად დაედო „სამეკ“—სემური გრაფემის არქაული ფორმა (იხ. ტაბულის პირველი და მე-5 უჯრედი).

ქართულ ასომთავრულ დამწერლობაში მე-15 სემური ასო-ნიშნის შესაბამის მე-15 ქართულ გრაფემას არც არქაული ფინიკიური გრაფემის ფორმა აქვს და არც კლასიკურ-ბერძნული გრაფემის ფორმა. მე-15 ქართულ ასო-ნიშანს, არც სემური ფონემური მნიშვნელობა აქვს და არც ბერძნული მრჩობელი ბგერის მნიშვნელობა.

ჯერ ქართული ასომთავრული მე-15 ასო-ნიშნის გრაფიკული მოხაზულობის გამო ვიტყვი.

ჩემი თვალსაზრისით, ქართული ასომთავრული ანბანის მე-15 ასო-ნიშნის საფუძვლად დაედო არა „სამეკ“ ასო-ნიშნის არქაული ფინიკიური გრაფემა, არამედ კლასიკური ხანის „სა-

მეკ" ასო-ნიშნის ფინიკიური გრაფემა (იხ. ტაბულის მე-2 უჯრედი). ნაკლებ სავარაუდებელია რომ ქართულ გრაფემას საფუძვლად დაედო კვიპრულ-ფინიკიური გრაფემა (იხ. ტაბულის მე-3 უჯრედი). ჩემი ვარაუდით, ქართულ მე-15 გრაფემა საფუძვლად დაედო კლასიკური ხანის ფინიკიური გრაფემა, რომელიც ტაბულის მე-2 უჯრედშია მოთავსებული (დაწვრილებით იხ. ქართული ანბანური ჭგუფის ასო-ნიშანი ქარ).

თუ ეს ასეა, ეს ფრიად მნიშვნელოვანი გარემოებაა. როგორც უკვე აღინიშნა, ქართული ასომთავრული ასო-ნიშნები უფრო სიძველისაკენ იხრება და მთელ რიგ შემთხვევებში კლასიკურ ფინიკიურ ასო-ნიშნებთან ჰპოულობს მსგავსებას.

კერძოდ ამ შემთხვევაშიც, ქართულ ასომთავრულ მე-15 გრაფემას არაფერი აქვს საერთო ბერძნულ გრაფემასთან როგორც გრაფიკული მოხაზულობით, აგრეთვე ფონემური მნიშვნელობით, არამედ არქაული ფინიკიურისაგან სრულიად განსხვავებულ კლასიკურ ფინიკიურ ასო-ნიშანს ემსგავსება (ეს ფინიკიური გრაფემა იხ. Corpus Inscriptionum Semiticarum, Parissi. 1881 წ. I ტომი. № 144).

ქართული ასომთავრული მე-15 გრაფემა არის შესაბამისი ფინიკიური გრაფემის გამარტივებული და გრაფიკულად დახვეწილი მონუმენტური ნაირსახეობა.

მაგრამ რატომ აქვს ფინიკიური „სა-

მეკ“, ანუ ფინიკიური ერთ-ერთი „სან“-ის ქართულ გრაფიკულ ვარიანტს „ა“ (აე) ნახევარხმოვნის მნიშვნელობა? ე. ი. რატომ ენაცვლება „სან“-ს „ა“—ნახევარხმოვანი?

ქართულ ასომთავრულ ანბანში, კერძოდ, ქართული ანბანის „სემურ“ ანბანურ ჭგუფში სამ „სან“-თაგან ერთერთი ფინიკიური „სან“-ის ი, კერძოდ „სამეკ“ ასო-ნიშანი ვოკალიზებულია. ე. ი. მოქმედებაშია ვოკალიზაციის ქართული პრინციპი (ამის შესახებ უკვე ითქვა).

მეტად ნიშნულია ის გარემოება, რომ ქართული მე-15 „აე“ ასო-ნიშნის ინვერსიულ ფორმას ქართული ანბანის ქართულ ანბანურ ჭგუფში „ც“ („ცან“) ფონემის მნიშვნელობა აქვს.

თავისთავად იბადება აზრი: მე-15 ქართული ასო-ნიშნის თავდაპირველი მნიშვნელობა „ც“ (ცან) ფონემური მნიშვნელობა ხომ არ იყო? ე. ი. ფინიკიურ ერთერთ „სან“-ს ბგერათმსგავსების საფუძველზე სისინა თანხმოვნის „ც“—წინანუნისმიერი ყრუ აფრიკატის მნიშვნელობა ხომ არ ჰქონდა?

უფრო დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ქართული ანბანური ჭგუფის „ცან“.

ონ

1. არქაული, კლასიკური და საშუალო ფინიკიური.
2. საშუალო ფინიკიური (ვარიანტი).
3. ქართული ასომთავრული.
4. ქართული ასომთავრული.
5. არქაული და კლასიკური ბერძნული.
6. სემურ-ბერძნულ-ქართული რიცხვითი მნიშვნელობა.

1	2	3	4	5	6
○	⊂	⊚	⊚	○	70

მე-16 ასო-ნიშანი „ინ“ ფინიკიურ ანბანში წრიული გრაფემაა. ამ ასო-ნიშანს ფინიკიურის არსებობის მანძილზე გრაფიკული ცვლილება არ განუცდია. (იხ. ტაბულის პირველი უჯრედი).

ოლონდ საშუალო ფინიკიურში და კერძოდ კვიპრულ ფინიკიურში ძვ. წ. მე-5 საუკუნეში ასო-ნიშანს ზემოთ თავი გაეხსნა (იხ. ტაბულის მე-2 უჯრედი). მე-5 საუკუნეში ძვ. წ. იგივე გრაფიკული

ცვლილება მოხდა არამეულ დამწერლობაში.

კლასიკური ბერძნული „ო-მიკრონ“ აგრეთვე წრიული გრაფემაა და არაფრით განსხვავდება ფინიკური პროტოტიპისაგან.

ქართული „ონ“ გრაფემა შექმნილია ფინიკური პროტოტიპისა და არა ბერძნული გრაფემის საფუძველზე. ამ მონაზრებს ცხადყოფელია ქართული ასომთავრული „ღან“ გრაფემა (იხ. ქვემოთ „ღან“).

იმ მიზნით, რომ ქართულ „ონ“ ფინიკურ და ბერძნულ გრაფემებს არ დამსგავსებოდა და ქართული „ონ“ დამოუკიდებელი გრაფიკული ერთეული ყოფილიყო, ქართულ ასომთავრულში წრიულ გრაფემას დამატებული აქვს ქვემო გრაფიკული ელემენტი, რომ ეს მართლაც დამატებითი გრაფიკული ელემენტია, ამ ვარაუდს უნდა ცხადყოფდეს მცხეთის ჭერის კვარცხლბეკის წარწერა. ამ წარწერაში „ონ“-ის

დამატებითი გრაფიკული ელემენტი ერთ შემთხვევაში მარჯვნივ წარზიდული პორიზონტალური მწვერილია (იხ. ტაბულის მე-3 უჯრედი), ხოლო მეორე შემთხვევაში მარჯვნივ წარზიდულ გრაფიკულ ელემენტს რკალური მოხაზულობა აქვს. (იხ. ტაბულის მე-4 უჯრედი).

ასო „ონ“-ის დამატებითი გრაფიკული ელემენტი ქართულ ასომთავრულ დამწერლობაში გრაფიკულ ფუნქციასაც ასრულებს: ასო „ონი“ დამატებითი გრაფიკული ელემენტის მეშვეობით მომდევნო ასო-ნიშანთან გრაფიკულ კავშირს ამყარებს.

3 — არ

1. არქაული, კლასიკური და საშუალო ფინიკური.
- 2, 3. ქართული ასომთავრულის შექმნის მეთოდი.
4. ქართული ასომთავრულის განვითარების შედეგი.
5. ქართული ასომთავრული.
6. სემურ-ბერძნულ-ქართული რიცხვითი მნიშვნელობა.

1	2	3	4	5	6
7	ღ	ონ	ონ	ონ	80

ქართული „პარ“ შექმნილია ფინიკური გრაფემის საფუძველზე. ქართული ასომთავრული „პარ“-ი არის შესაბამისი ფინიკური გრაფემის ინვერსიული ფორმა (იხ. ტაბულის მე-2 უჯრედი), ოღონდ იმისათვის, რომ ასო „პარი“, კლასიკურ ხანაში, ასო „სან“-ისაგან გარჩეულიყო, ასო „პარ“-ს ზემო მარცხნივ წარზიდული ხაზი დაემატა (იხ. ტაბულის მე-3 უჯრედი). ვფიქრობ კლასიკურ წარმართულ ხანაში და ახ. წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ქართული ასომთავრული „პარი“ სწორედ ასე იწერებოდა: მარჯვნივი ასწერივი ხაზის გაერზე (იხ. ტაბულის მე-3 უჯრედი).

ივანე ჯავახიშვილი ფიქრობს, რომ „პარ“-ის მარჯვენა ასწერივი ხაზი

ღროთა განმავლობაში თანდათანობით მალა იმართა და საბოლოოდ მარცხენა ასწერივ ხაზს გაეტოლდა. დიდი მეცნიერი წერს:

„ქართული ასომთავრული პარი VI საუკუნის წარწერაში (ივლისხმება ბოლნელი დავით ეპისკოპოსის წარწერა. რ. პ.) თავის მოხაზულობით იმ მხრივ განსხვავდება უკვე ჯვარის ეკლესიის VII საუკ. წარწერათა დამწერლობის „პარ“-ისაგან, რომ ზარჯენითი ტოტი მარცხნივ უფრო მოკლეა: VII და შემდეგ საუკუნეებში კი იგი ზომილით მარცხნივ უთანასწორდება. რაღვან მარჯვნივ ტოტის მერმინდელ განვითარებას ზეითყენ ზრდისაკენ მიმართულება ემჩნევა, რაც უფრო ძველი იქნება ხანა, მარჯვნივ ტოტი შეიძლე-

ბა უფრო მოკლედ ვიგულისხმობთ¹. ივანე ჯავახიშვილის ზოგადი თვალსაზრისი ასო „პარ“-ის მარჯვენა ასწერივი ხაზის შესახებ ჭეშმარიტი უნდა იყოს, მაგრამ სამწუხაროდ ბოლნისის წარწერების „პარ“-ი საამისო მტკიცების საფუძველად არ გამოდგება. დაკვირვებამ ცხადყო, რომ ბოლნისის წარწერებში ასო „პარ“-ი ორ შემთხვევაში დაზიანებულია. ამობურცული წარწერების ასო „პარ“-ს ორ შემთხვევაში მარჯვენა ასწერივი ხაზი უეპველად მომტვრეული აქვს.

უნდა დავასვენათ, რომ მე-5 ს. უძველეს ქართულ წარწერებში ასო „პარ“-ის მარჯვენა ასწერივი ხაზი მარცხენა ასწერივი ხაზის ტოლია, ე. ი. ახ. წ. მე-5 ჯაუჟუნისათვის ასო „პარ“-ის გრაფიკული განვითარების პროცესი უკვე დამთავრებულია.

ამგვარად, ქართულ ასომთავრულში „პარ“ ასო-ნიშნად შემოღებულ იქნა

ფინიკური გრაფემის ინვეზიული ფორმა დამატებითი მარცხენა წარწერილი ჰორიზონტალურმა ხაზით¹ უფრო გვიან „პარ“-ის მარჯვენა ტოტი თანდათანობით მალა აიშართა და საბოლოოდ მარცხენა ასწერივი ხაზს გაუტოლდა (იხ. ტაბულის მე-4 და მე-5 უჯრედები).

როდის უნდა მომხდარიყო ეს პროცესი? საამისოდ საჭიროა განვიხილოთ ასო „პე“ გრაფემის განვითარების პროცესი ბერძნულ, ლათინურ და ბრაჰმი დამწერლობებში.

1. არქული და კლასიკური ბერძნული.
2. გვიანი ხანის კლასიკური ბერძნული [II-III სს. ახ. წელთაღრიცხვით.]
3. არქული და გვიანი კლასიკური ხანის ლათინური [II-III სს. ახ. წელთაღრიცხვით].
4. ბრაჰმი დამწერლობა [III ს. ძვ. წ.—I, II სს. ახ. წელთაღრიცხვით].
5. გუბტა დამწერლობა [IV ს. ახ. წ.].

1	2	3	4	5	
Პ	Ჟ	Რ	Ს	Ტ	

ბერძნული „პი“ ასო-ნიშნის პროტოტიპია იგივე „პარ“ ქართული ასო-ნიშნის ფინიკური პროტოტიპი.

კლასიკურ ბერძნულ დამწერლობაში დაკანონდა ფინიკური გრაფემის ანტიფორმა. არქული ბერძნულ დამწერლობაში იხმარებოდა „პი“ ასო-ნიშნის ორგვარი დაწერილობა — მრგვლოვანი და კუთხოვანი. ძვ. წ. V-IV ს. მიჯნის კლასიკურ ბერძნულ დამწერლობაში დაკანონდა „პი“ ასო-ნიშნის კუთხოვანი დაწერილობა (იხ. ტაბულის პირველი უჯრედი).

ახალი წელთაღრიცხვის დამდგვიდან ბერძნული „პი“ ასო-ნიშნის მარჯვენა ვერტიკალმა თანდათანობით ქვევით

დაიწყო დაშვება. ეს პროცესი საკმაოდ დიდხანს გრძელდებოდა, ვიდრე ახ. წ. II-III სს. მიჯნამდე, როცა მარჯვენა ვერტიკალი საბოლოოდ დაბლა დაეშვა და მარცხენა ვერტიკალს გაუტოლდა (იხ. ტაბულის მე-2 უჯრედი).

ლათინურ დამწერლობაში გაბატონდა „პე“ ასო-ნიშნის მრგვლოვანი ფორმა (იხ. ტაბულის მე-3 უჯრედი). თანდათანობით „პე“ ასო-ნიშნის მრგვლოვანი ზემო ნაწილი სრულ რგოლად იქცა. სწორედ ამის გამო ბერძნული „რო“ ასო-ნიშანი და ლათინური „პე“ ასო-ნიშანი გრაფიკულად ერთმანეთს დაემთხვა. ლათინურ დამწერლობაში „პე“ ასო-ნიშნის მომრგვალებული ფორმა საბოლოოდ ახ. წ. II-III სს. დაკანონდა (იხ. ტაბულის მე-3 უჯრედი).

ბრაჰმი დამწერლობამ, მსგავსად ქარ-

¹ ივ. ჯავახიშვილი. ქართული პალეოგრაფია, გვ. 21.5

თულისა, „პა“ ასო-ნიშნის გამოსახვა-ტავად სემური ასო-ნიშნის ინვერსიული ფორმა გამოიყენა. ბრაჰმი დამწერლობაში არსებობდა ასო-ნიშნის როგორც შრველოვანი, აგრეთვე კუთხოვანი ფორმა (იხ. ტაბულის მე-4 უჯრედი).

ბრაჰმი დამწერლობისაგან წარმოშობილ გუპტა დამწერლობაში ახ. წ. მე-4 საუკუნეში „პა“ ასო-ნიშნის განვითარების პროცესი უკვე დამთავრებულია: „პა“ ასო-ნიშნის მარჯვენა ვერტიკალი უკვე მალდა არის ამართული და მარცხენა ვერტიკალის ტოლია (იხ. ტაბულის მე-5 უჯრედი).

როგორც ჩანს ამგვარივე გრაფიკული პროცესი მოხდა ქართულ ასომთავრულში. ჩემი ვარაუდით, ქართული ასომთავრული „პარ“-ის მარჯვენა ვერტიკალი უნდა ვატოლებოდა მარცხენა ვერტიკალს ახალი წელთაღრიცხვის II ს. დასასრულიდან IV საუკუნის დამდეგამდე ქრონოლოგიურ პერიოდში.

ქართული ასომთავრული „პარ“-ის ზემო მარცხნივ წარზიდული შვერილი ქართულ ასომთავრულში მთელ რიგ გრაფიკულ ფუნქციებს ასრულებს: ორ

შვეულ ხაზს ამორიშორებს; ასე „პარ“-ის წინ მდგომ ასო-ნიშნადგენ გრაფიკულ კავშირს ამყარებს; ჰქმნის ასრქმენების სიმეტრია-პროპორციულობას. ამავე დროს იგივე ხაზი ქართულ ასომთავრულ დამწერლობაში პწკარში ასო-ნიშნის ზემო ზღვარია და ორი პწკარის გამყოფი ხაზია.

იმის გამო, რომ ქართული ანბანის „ბერძნულ“ ანბანურ ჯგუფში არის ბერძნული ფონემური გრაფემა „ფ“, ამ მიზეზით ქართული ანბანის „სემურ“ ანბანურ ჯგუფში მე-17 სემურ „ფ“ გრაფემას „პარ“ ფონემის მნიშვნელობა მიენიჭა. ე. ი. ამ შემთხვევაში ქართული ანბანის „ბერძნული“ ანბანური ჯგუფის ფონემას შეაქვს კორექტივი ქართული ანბანის „სემურ“ ანბანურ ჯგუფში.

ე — ან

1. არამეული (V—IV სს. მიჯნა ძვ. წ.).
- 2,3. ქართული ასომთავრულის შექმნის მეთოდი.
4. ქართული ასომთავრული.
5. არქაული ბერძნული.
6. სემურ-ქართული რიცხვითი მნიშვნელობა.

1	2	3	4	5	6
ⲡ	ⲑ	Ⲓ	ⲓ	Ⲕ	90

მე-18 სემურ ასო-ნიშნის ფინიკურ ანბანში „სსადე“-ს ანუ ე. წ. სამ „სან“-თაგან ერთერთი „სან“-ის ფონემური მნიშვნელობა აქვს. კლასიკურ ბერძნულ ანბანში მე-18 სემური გრაფემა საერთოდ არ არის. ამიტომ ქართული მე-18 გრაფემის ბერძნულიდან წარმოშობის საკითხი საერთოდ მოხსნილია.

ივ. ჯავახიშვილი წერს: „ქან“-ი სემური ანბანის „სსადე“-ს ადგილას არის და მისი მოხაზულობა აქვს“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია. გვ. XII).

რატომ აქვს ქართულ ასო-ნიშნის ქართული ანბანის „სემურ“ ანბანურ მწკრივში „ე“ (ქან) ფონემის მნიშვნელობა? ეს ვითარება ვერ აიხსნება „ბერძნული“ ანბანური ჯგუფის ფონემური ზეგავლენით „სემურ“ ანბანურ ჯგუფზე. ეს ვითარება ვერ აიხსნება სემური კონსონანტების ვოკალიზაციის პრინციპით ქართულ ანბანში.

„ე“ ფონემა არათუ ფინიკურ, არამედ არცერთ სემურ ანბანში არ არის და არც ოდესმე ყოფილა. უნდა აღინიშნოს, რომ „ე“ ასო-ნიშანი დასტურდება მხოლოდ და მხო-

ლოდ სემურ-უგარიტულ ლურსმულ ანბანურ დამწერლობაში. ლურსმულ უგარიტულში 30 ასო-ნიშანი იყო, ხოლო 28-ე ასო-ნიშანად „ე“ ასო-ნიშანი იქდა. რადგან „ე“ ფონემას სემურ ენაში გამართლება არა აქვს, ფიქრობენ, რომ „ე“ ასო-ნიშნის არსებობა უგარიტულში იმით იყო გამოწვეული, რომ ამ ასო-ნიშნით არა-სემური ენის—ხურიტულის სიტყვები დაწერილიყო.

ყოველ შემთხვევაში, ამ გარემოებას ჩვენთვის მნიშვნელობა არ ენიჭება, რადგან უგარიტული ლურსმული ანბანი აღარ არსებობს უკვე 1200 წ. ძველი წელთაღრიცხვისა.

„ჟან“ ფონემა როგორც არა-სემური ფონემა, ქართული ანბანის „სემურ“ ანბანურ მწკრივში არ უნდა ყოფილიყო, არამედ როგორც ქართული ენისათვის დამახასიათებელი ფონემა, იგი უთუოდ ქართული ანბანის ქართულ ანბანურ მწკრივში უნდა მოთავსებულიყო. მაგრამ ეს ასე არ არის.

ამ გარემოებას ერთადერთი ახსნა-განმარტება აქვს: ქართული ასომთავრული ანბანის შემქმნელს „ჟან“ ფონემა სპეციფიკურ ქართულ ფონემად არ მიაჩნია. იმ დროს, როცა ქართული ასომთავრული იქმნება „ჟან“ ფონემა აუცილებელია. მაგრამ ამავე დროს უცხოა ქართული ენისათვის.

ასეთია პალეოგრაფიული ჩემი თვალსაზრისი და ვარაუდი. სიტყვა ენათმეცნიერთ ეკუთვნით.

რადგან „ჟან“ ფონემა სპეციფიკურ ქართულ ფონემად მიჩნეული არ არის, ამიტომ ერთადერთი გამოსავალია „ჟან“ ასო-ნიშანი ქართული ანბანის „უცხოურ“ ანბანურ ნაწილში მოთავსდეს. ქართულ ანბანში ეს მართლაც ასეა.

„ჟან“ ფონემის გადმოსაცემად ქართულ ანბანში, გამოყენებულ იქნა სემური ანბანის ერთერთი „სან“-ის, კერძოდ მე-18 „სსადე“ გრაფემა. ამგვარად, სემური ანბანის რიგით მეორე

„სან“-ს—მე-18 „სსადე“ გრაფემას მოეძებნა თავისი დანიშნულება.

ქართულ ასომთავრულ „ჟან“ გრაფემის მოხაზულობას ფინიკიურ ანბანში პროტოტიპი ვერ მოვუპოვე. ფინიკიური „სსადე“ არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ქართული „ჟან“-ი გრაფიკულად მას დაეუკავშიროთ. ჩემს მკვლელობას, რა თქმა უნდა, საბოლოო განაჩენის გამოტანად არ ვთვლი. იქნებ სხვამაც სცადოს.

ჩემი ვარაუდით „ჟან“ გრაფემისათვის დაშვებულია ერთდაგვარი გამონაკლისი. ამ „უცხო“ ფონემურ გრაფემას საფუძვლად დაედო არა ფინიკიური, არამედ არამეული „სსადე“ გრაფემა. (იხ. ტაბულის პირველი უჯრედის გრაფემა).

ეს არამეული „სსადე“ გრაფემა თარიღდება V-IV საუკუნეთა მიჯნით. იგი დასტურდება თეიმას არამეულ წარწერაში (იხ. ჰანს იენსენის უკვე დასახელებულ წიგნში გვ. 283).

ქართული ასომთავრული „ჟან“-ი არის შესაბამისი არამეული გრაფემის ანტიფორმა (იხ. ტაბულის მე-2 უჯრედი). ოღონდ არამეული გრაფემის რგოლ-ქვედა პორიზონტალი ქართულ ასო-ნიშანში რგოლ-ზედა პორიზონტალად გადაადგილდა. ზედა პორიზონტალური ხაზის დანიშნულება ქართულ ასომთავრულ დამწერლობაში უკვე ცნობილია.

თუ ჩემი ვარაუდი სწორია, ქართული ასომთავრული „ჟან“-ი საინტერესოა თავისი ქრონოლოგიური მონაცემით.

„კოფ“

1. არქაული ფინიკიური. 2. კლასიკური და საშუალო ფინიკიური. 3. ქართულ ასომთავრულში გრაფემა გამოტოვებულია. 4. არქაული ბერძნული. 5. კლასიკურ ბერძნულში გრაფემა გამოტოვებულია. 6. სემურ-ბერძნული რიცხვითი მნიშვნელობა.

1	2	3	4	5	6
ფფ	პპ	-	ჭჭ	-	100 90

საქართველო
საზოგადოებრივი
მეცნიერებათა
აკადემია

ქართული ანბანის „სემურ“ ანბანურ ჯგუფში სემური „კოფ“—ასო-ნიშანი გამოტოვებულია. ამგვარად, ქართული ანბანის „სემური“ ანბანური ჯგუფი ერთი გრაფემით ნაკლებია, ვიდრე თვით სემური ანბანი. სემურ ანბანში 22 გრაფემაა, ხოლო ქართული ანბანის „სემურ“ ჯგუფში 21. სემურ ანბანში „კოფ“ ნიშნის რიცხვითი მნიშვნელობა არის 100.

კლასიკურ ბერძნულ ანბანში „კოფ“ ასო-ნიშანი აგრეთვე გამოტოვებულია, მაგრამ ბერძნული ანბანური სათვალა-

ვით ასო-ნიშანს შენარჩუნებული აქვს რიცხვითი მნიშვნელობა. „კოფ“ის რიცხვითი მნიშვნელობა ბერძნულში 90-ია.

რ — აე

1. არქაული და კლასიკური ფინიკიური. 2. საშუალო ფინიკური. 3. ქართული ასომთავრული. 4. არქაული ბერძნული. 5. კლასიკური ბერძნული. 6. ბერძნულ-ქართული რიცხვითი მნიშვნელობა.

1	2	3	4	5	6
ა	აყ	ბ	პპ	პ	100

გრაფიკულად ქართული ასომთავრული „რაე“ არის შესაბამისი ფინიკიური გრაფემის ანტიფორმა. რაც მთავარია, ქართული ასომთავრული „რაე“ არის სემური გრაფემის ქართული მრგვლოვანი ნაირსახეობა. ქართულ მრგვლოვან დამწერლობაში ასო „რაე“, შეიძლება ითქვას, ყველა ასო-ნიშანზე მეტად მრგვლოვანია. გარდა ამისა, მისი გრაფიკული არსი, ბერძნული ასო-ნიშნებისა არ იყოს, სტატიკური კი არ არის, არამედ უკიდურესად დინამიკურია. ასო „რაე“ უთუოდ გამოხატავს წრიულ მოძრაობას, ბრუნვას, ტრიალს მარცხნიდან მარჯვნივ წერის მიმართულებით და გრაფიკულად ბორჯღალს მოგვაგონებს.

ქართული წარმართული კულტურის შესახებ ცნობილი მეცნიერი ვერა ბარდაველიძე წერს:

«Обряд посвящения... в честь раз-

личных божеств... заключался в круговом движении... слева направо. Круговое движение, как одна из общих форм служения астральным божествам... генетически восходит к почитанию небесных светил»¹.

რაც შეეხება ასო „რაე“-ს გრაფიკულ ფუნქციას ქართულ ასომთავრულ დამწერლობაში ამის შესახებ მოკლედ ითქვას და აქ სიტყვას არ გავაგრძელებ. ოღონდ შეიძლება აღინიშნოს, რომ თუ ბერძნულ ხაზოვან სტატიკურ დამწერლობაში „ომიკრონ“—წრიული გრაფემა განსაკუთრებით თვალსაჩინოა, ქართულ ასომთავრულ დამწერლობაში რამდენაღმე მსგავს გრაფიკულ ფუნქციას ასო „რაე“ ასრულებს.

¹ В. В. Бардавелидзе. Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тбилиси, 1957, გვ. 195, 196.

ს — ან

1. არქაული და კლასიკური-საშუალო ფინიკიური. 2. ქართული ასომთავრუ-

ლის შექმნის მეთოდი. 3. ქართული ასომთავრული. 4. არქაული შექმნის მეთოდი. 5. კლასიკური ბერძნული. 6. ბერძნულ-ქართული რიცხვითი მნიშვნელობა.

1	2	3	4	5	6
Ɑ Ɱ	ϵ Ϸ	ϸ	Ϲ Ϻ	ϻ	200

ქართული ასომთავრული „სან“ შექმნილია არა არქაული ფინიკიური „სინ“ გრაფემის საფუძველზე, არამედ კლასიკური ან საშუალო ფინიკიური რკალური გრაფემის საფუძველზე.

კლასიკური ბერძნული „სიგმა“ ასონიშნის პროტოტიპია არქაული ფინიკიური ასონიშნის კუთხოვანი გრაფემა (იხ. ტაბულის პირველი უჯრედი).

ბერძნული „სიგმა“ 90°-ის გრაფემაა. ე. ი. ფინიკიური პროტოტიპი ბერძნულში 90°-ით ასწვრივ არის ამართული. იგივე შეიძლება ითქვას ქართული „სან“ გრაფემის გამო. ქართული გრაფემა არის გრაფემა 90°, ოღონდ ქარ-

თული „სან“-ი გამარტივებულია ერთი გრაფიკული ელემენტით (იხ. ტაბულის მე-2 და მე-3 უჯრედი). ქართული „სან“ ასწვრივ ამართული ფინიკიური პროტოტიპის ქართული მონუმენტური ნაირსახეობაა.

ტ — არ

1. არქაული ფინიკიური. 2. საშუალო ფინიკიური. 3. ქართული ასომთავრულის შექმნის მეთოდი. 4. ქართული ასომთავრული. 5. კლასიკური ბერძნული. 6. ბერძნულ-ქართული რიცხვითი მნიშვნელობა.

1	2	3	4	5	6
Ɑ × Ɱ	Ɱ ϳ	ϲ	ϳ	ϴ	300

ქართული ასომთავრული „ტარ“ შექმნილია არა არქაული ან კლასიკური ფინიკიური „თავ“ გრაფემის საფუძველზე, არამედ საშუალო ფინიკიური (5-3 სს. ძვ. წ.) ასონიშნის გრაფიკის საფუძველზე. „თავ“ ფინიკიური ანბანის უკანასკნელი ასოა და როგორც ჯვარის იდეოგრაფია-აკროფონი ფინიკიური ანბანის დასასრულის მაუწყებელია (იხ. ტაბულის პირველი უჯრედი).

ბერძნული „ტაუ“ ჯვარის ბერძნული იდეოგრაფიაა და ბერძნული ანბანის „სემური“ ანბანური ჯგუფის დასასრულის მაუწყებელი (იხ. ტაბულის მე-5 უჯრედი).

ქართული ასომთავრული ანბანის შექმნელისათვის უთუოდ ცნობილი უნდა ყოფილიყო სემურა და ბერძნული ასონიშნების დანიშნულება და მნიშვნელობა. მითუმეტეს, თუ ქართულ ანბანში, სემური და ბერძნული მაგალითის შესაბამისად, ამ ადიკლას ჯვარის იდეოგრაფია არ დაისვა ეს გარემოება ქართული ანბანის შექმნელის თვალსაზრისზე მეტყველებს.

ქართული „ტარ“-ი არის შესაბამისი ფინიკიური გრაფემის გასწორხაზოვნებული და მრგვლოვანი ფორმა. ფინიკიური გრაფემის ზემო რკალი ქართულ ასონიშანში შეკრულ რკალად, რგო-

ლად, არის ქცეული. რაც შეეხება ქართული ასო-ნიშნის ქვემო პორიზონტულურ ხაზს, იგი ქართული გრაფემის დამატებითი გრაფიკული ელემენტია. ამ ელემენტის შემოღება გრაფიკული აუცილებლობით არის ნაკარნახევი: აესებს ასო-ნიშნის უჩრდის ცარიელ სივრცეს და გრაფიკულ კავშირს ამყარებს მომდევნო ასო-ნიშანთან.

21 ასო-ნიშნით ამოიწურა ქართული ასომთავრული ანბანის „სემური“ ანბანური ჩგუფი.

II. „ბერძნული“ ანბანური ჩგუფი

ბერძნული ანბანის ბერძნულ ანბანურ ჩგუფში გამოყენებულია კვლავ

1	2	3	4	5	6
Υ	ϣ ϣ	ϥ	Ϛ Ϛ ϛ	Ϝ	400

ბერძნულ „იუ-ფსილონ“ ასო-ნიშანს საფუძვლად დაედო ფინიკიური ანბანის მე-6 გრაფემა „ვაე“ (იხ. ტაბულის პირველი, მე-4 და მე-5 უჩრდეები).

ქართულ „ვე“ ასო-ნიშანს, მსგავსად ბერძნულისა, საფუძვლად დაედო ფინიკიური ანბანის მე-6 „ვაე“ — გრაფემა. ე. ი. ქართულ ანბანში მე-6 ფინიკიური გრაფემა ორგზის არის გამოყენებული: ერთგზის ქართული „ვინ“ ასო-ნიშნის შესაქმნელად, ხოლო მეორეგზის ქართულ „ვე“ ასო-ნიშნის შესაქმნელად. ოღონდ ქართულ ანბანში გამოყენებულია არა ერთიადიგივე ფინიკიური გრაფემა, არამედ ფინიკიური მე-6 ასო-ნიშნის ორი სხვადასხვა ვარიანტი. ქართული „ვე“ ასო-ნიშნის შესაქმნელად თითქოს გამოყენებულია ფინიკიური გრაფემის უფრო ძველი ფორმა (იხ. ტაბულის მე-2 უჩრდელი). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზუსტი ქრონოლოგიური განსაზღვრა ფინიკიური ამ გრაფემისა შეუძლებელია, რადგან ასეთი გრაფემა შეიძლება გვხვდებოდეს

სემური და კერძოდ ფინიკიური გრაფიკული ერთეულები. ოღონდ ამ გრაფემებს უკვე არა ფინიკიური, არამედ საკუთრივ ბერძნული ფონემური მნიშვნელობა აქვთ.

იგივე ვითარება გვაქვს ქართული ანბანის „ბერძნულ“ ანბანურ ჩგუფში.

3 — ე

1. არქაული ფინიკიური „ვაე“.
2. კლასიკური და საშუალო ფინიკიური „ვაე“.
3. ქართული ასომთავრული.
4. არქაული ბერძნული.
5. კლასიკური ბერძნული.
6. ბერძნულ-ქართული რიცხვითი მნიშვნელობა.

როგორც კლასიკურ, აგრეთვე საშუალო ფინიკიურში.

ფინიკიური „ვაე“ გრაფემის რკალი ქართულ ასო-ნიშანში სრულ შეკრულ რკალად არის ქცეული (ძალაშია ქართული ასომთავრულის მრგვლოვანი პრინციპი), ოღონდ ეს შეკრული რკალი ქართულ ასო-ნიშანში ოდნავ დაბლაა დაწეული, იმ მიზნით, რომ ქართული „ვე“ ქართულ ასო „ყარ“-ს არ დაშლავსებოდა.

საგულისხმოა, რომ გვიან ასომთავრულში „ვე“-ს რკალი გაიხსნა ხოლო ქართულ ნუსხურ დამწერლობაში „ვე“-ს კუთხოვანი მოხაზულობის გამო, ქართული ნუსხური „ვე“ ისევე იწერებოდა, როგორც ფინიკიური „ვაე“ ძველ ხანაში.

ფ — არ

1. არქაული ფინიკიური „ყოფ“.
2. კლასიკური ფინიკიური „ყოფ“.
3. ქართული ასომთავრული.
4. არქაული ბერძნული.
5. კლასიკური ბერძნული.
6. ბერძნულ-ქართული რიცხვითი მნიშვნელობა.



1	2	3	4	5	6
Ⓟ	ⓅⓅ P	Ⓟ	ⓅⓅ	Ⓟ	500

ბერძნულში „ჭი“ ასო-ნიშნად ფინიკიური ანბანის მე-19 „კოფ“—ასო-ნიშანი გამოიყენეს. კლასიკურ ბერძნულში (იხ. ტაბულის მე-5 უჯრედი) ფინიკიური „კოფ-ის მოხაზულობა შეცვლილია, ქართულ ასომთავრულში კი „ფარ“ ასო-ნიშანს შენარჩუნებული აქვს „კოფ“ის არქაული თუ კლასიკური მოხაზულობა. V-IV საუკუნეთა მიჯნაზე ძველი წელთაღრიცხვით ბერძნული

„ჭი“ გრაფემის პროტოტიპი — ფინიკიური „კოფ“ის არქაული მოხაზულობა ჯერ კიდევ ცნობილი იყო.

ქ — ან

1. არქაული ფინიკიური „თავ“.
2. საშუალო ფინიკიური „თავ“.
3. ქართული ასომთავრული.
4. არქაული ბერძნული.
5. კლასიკური ბერძნული.
6. ბერძნულ-ქართული რიცხვითი მნიშვნელობა.

1	2	3	4	5	6
+ x +	h	+	↓ x +	X	600

ფინიკიური ანბანის უკანასკნელი 22-ე „თავ“ ასო-ნიშანი ბერძნულში „ჭი“ ასო-ნიშნად გამოიყენეს (იხ. ტაბულის პირველი და მე-5 უჯრედი).

კლასიკურ ბერძნულში დაკანონდა ფინიკიური „თავ“ ასო-ნიშნის დიაგონალური ფორმა ე. წ. (crux decussata).

საერთოდ ბერძნული ანბანის ბერძნულ ანბანურ ჯგუფში სემური და ბერძნული ასო-ნიშნების ფონემური შეუსაბამობაა: როგორც ამის წინ უკვე ითქვა, „კოფ“ ასო-ნიშანს ბერძნულ ანბანურ ჯგუფში „ჭი“ ასო-ნიშნის მნიშვნელობა აქვს, ხოლო „თავ“ ასო-ნიშანს კი „ჭი“ ასო-ნიშნისა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ეს ფონემური შეუსაბამობა, იქნებ იმით უნდა აიხსნას, რომ ჯვარის სემური ფორმა (crux decussata) ბერძნულში თავის დროზე ანბანის დასასრულის ნიშნად გამოიყენეს, ვიდრე ბერძნულ ანბანს „ფსი და „ომეგა“ ასო-ნიშნები დაერთოდა.

ქართული ანბანის „ბერძნულ“ ანბანურ ჯგუფში „თავ“ ფინიკიურ ასო-ნი-

შანს, ბერძნულს მსგავსად, „ქან“ ფონემის მნიშვნელობა აქვს, ოღონდ ქართულ ასომთავრულში გამოყენებულია ფინიკიური „თავ“ ასო-ნიშნის არა დიაგონალური, არამედ სწორხაზოვანი ფორმა+ (crux immissa).

საგულისხმოა, რომ ქართულ ანბანში „ტარ“ ასო-ნიშნისათვის გამოყენებულ იქნა ფინიკიური „თავ“ ასო-ნიშნის შედარებით უფრო გვიანდელი ფორმა, ხოლო „ქან“ ასო-ნიშნისათვის „თავ“ ასო-ნიშნის შედარებით უფრო ადრინდელი ფორმა.

„ქან“ ასო-ნიშნის ჯვარის ფორმას ქართულ ანბანში თავისი გამართლება აქვს: ქართული ანბანის „სემურ-ბერძნულ“ ანუ „უცხოურ“ ანბანურ ნაწილს ქართულ ანბანში დასასრულის მუწყებელი ნიშანი — ჯვარი ამთავრებს.

„ფსი“

1. კლასიკური ბერძნული მრჩობლი ბგერა „ფსი“.
2. ქართულში გრაფემა

გამოტოვებულია. 3. ბერძნული რიცხვითი მნიშვნელობა.

1	2	3	
Υ	-	700	

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ქართული ანბანის „სემურ“ ანბანურ ჩგუფში გამოტოვებულია მე-19 სემუ-

1	2	3	4	5	
⊙	∩	Ω	∩	800	

ქართული ასომთავრული „ღან“ ქართული ანბანის „ბერძნული“ ანბანური ჩგუფის გრაფემა და არქაული ბერძნული ასო-ნიშნის მოხაზულობისაა (იხ. ტაბულის მე-2 უჯრედი). გარდა ამისა, ქართული ანბანის „ბერძნულ“ ანბანურ ჩგუფში ქართული „ღან“ ბერძნული „ომეგა“ ასო-ნიშნის ადგილზე ზის, მაგრამ გამონაკლისის სახით „ბერძნულ“ ანბანურ ჩგუფში ქართულ ასო-ნიშანს ბერძნული ფონემური მნიშვნელობა არა აქვს.

ამით ამოიწურება ქართული ასომთავრული ანბანის „სემური“ და „ბერძნული“ ანბანური ჩგუფების ასო-ნიშნები.

ქართული ასომთავრული ანბანის ასო-ნიშნების „სემურ-ბერძნული“ მწკრივის გამო შეიძლება ითქვას შემდეგი:

1. „სემური“ მწკრივის ქართულ ასომთავრულ ასო-ნიშნებს საფუძვლად დაედო ასო-ნიშნების არა ბერძნული, არამედ ფინიკურ-სემური გრაფიკა.

2. ქართული ასომთავრული ანბანის

რი „კოფ“ ასო-ნიშანი, ხოლო ქართული ანბანის „ბერძნული“ ანბანურ ჩგუფში გამოტოვებულია ბერძნული ანბანის „ფსი“ მრრობლი ასო.

ღ — ან

1, 2 არქაული ბერძნული „ომეგა“.
3. კლასიკური ბერძნული „ომეგა“.
4. ქართული ასომთავრული „ღან“. 5. ბერძნული რიცხვითი მნიშვნელობა.

„ბერძნული“ ანბანური ჩგუფის ასო-ნიშნებს (ჰ, ფ, ჰ, ლ) საფუძვლად დაედო ასო-ნიშნების არა ბერძნული, არამედ ფინიკურ-სემური გრაფიკა.

3. ქართული ანბანის „სემურ“ ანბანურ მწკრივში ასო-ნიშნების ფონემური მნიშვნელობა ძირითადად სემურია და არა ბერძნული, ოღონდ ქართული ანბანის „ბერძნული“ ანბანური ჩგუფის ორ ფონემას (ფ, ქ) შეაქვს რამდენიმე ფონეტიკური კორექტივი ქართული ანბანის „სემურ“ ანბანურ ჩგუფში. ეს თვალსაზრისი, რომ უფრო თვალსაჩინო იყოს, მოვიტანოთ ქართული ანბანის ორივე — „სემური“ და „ბერძნული“ ანბანური ჩგუფები:

1. ა	10 ი	19. რ
2. ბ	11. კ	20. ს
3. გ	12. ლ	21. ტ
4. დ	13. მ	
5. ე	14. ნ	22. ჰ
6. ვ	15. ა	23. ფ
7. ზ	16. ო	
8. ჟ	17. პ	24. ქ
9. თ	18. ე	25. ლ

ხმოვნებს, ქართული ანბანის „სემურ“ ანბანურ მწკრივში, რა თქმა უნდა, ამ ასო-ნიშანთა ბერძნულ ფონემურ მნიშვნელობად ვერ მივიჩნევთ. თუმცა ვოკალიზაციის ზოგადი პრინციპი ქართულ ასოთავრულში ბერძნულია, მიუხედავად ამისა, ქართულ ანბანში განხორციელებულია სემური კონსონანტების საკუთრივ ქართული ვოკალიზაცია, ე. ი. სემურ ასო-ნიშნებს მინიჭებული აქვთ ქართული ხმოვანი ბგერების მნიშვნელობა. მითუმეტეს, მე-15 სემურ ასო-ნიშანს ქართულ ანბანში „ფ“ ხმოვნის მნიშვნელობა აქვს, ხოლო მე-8 (შე) ასო-ნიშანს კლასიკურ ქართულში, კლასიკური ბერძნულის საპირისპიროდ, არა ხმოვნის, არამედ თანხმოვანი „ჰაე“ ბგერის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა.

მე-6 ასო-ნიშნად ქართულ ანბანში „ვინ“-ი ზის და მე-6 სემური „ვაე“ ასო-ნიშნის ფონემური მნიშვნელობისაა. კლასიკურ ბერძნულ ანბანში არქაული ბერძნული „ვაუ“ ანუ „დიგამა“ საერთოდ აღარ არსებობს;

მე-7 ასო-ნიშნად ქართულ ანბანში „ზენ“-ი ზის და მე-7 სემური „ზაინ“ ასო-ნიშნის ფონემური მნიშვნელობისაა და არა კლასიკური ბერძნული მე-6 „ძეტა“ ასო-ნიშნის მნიშვნელობისა;

მე-11 ასო-ნიშანს ქართულ ანბანში „კან“ ბგერის მნიშვნელობა აქვს და არა „ქაფ“ სემური ბგერისა. ეს იშის გამო მოხდა, რომ ქართული ანბანის „ბერძნულ“ ანბანურ ჯგუფში 24-ე ასო-ნიშანს „ქ“ ბგერის მნიშვნელობა აქვს. „ბერძნული“ ანბანური ჯგუფის 24-ე „ქ“-ბგერას შეაქვს ფონეტიკური კორექტივი ქართული ანბანის „სემურ“ ანბანურ ჯგუფში

მე-17 ასო-ნიშანს ქართულ ანბანში

„პ“-არ ბგერის მნიშვნელობა აქვს და არა „ფ“ სემური ბგერის მნიშვნელობა ქართული ანბანის „ბერძნულ“ ანბანურ ჯგუფის ერთერთი, ყურძოდ, 23-ე „ფ“-არ ბგერის გამო. ქართული ანბანის „ბერძნული“ ანბანური ჯგუფის 23-ე „ფ“-არ ბგერას შეაქვს ფონეტიკური კორექტივი ქართული ანბანის „სემურ“ ანბანურ ჯგუფში.

ამგვარად, ქართული ანბანის „ბერძნული“ ანბანური ჯგუფის ორად-ორ ასო-ნიშანს შეაქვს ორად-ორი ფონეტიკური კორექტივი ქართული ანბანის „სემურ“ ანბანურ ჯგუფში.

მაგრამ, ხომ შეიძლება ქართული ანბანის „სემური“ ანბანური ჯგუფის მე-11 და მე-17 ასო-ნიშნებს მინიჭებოდათ არა „ბერძნული“, არამედ საკუთრივ „სემური“ ფონემური მნიშვნელობა, ე. ი. შესაბამისად 11 „ქ“-ან და 17 „ფ“-არ ბგერებისა.

ასეთ შემთხვევაში, ქართული ანბანის „ბერძნული“ ანბანური ჯგუფის 23-ე და 24-ე ასო-ნიშნებს შესაბამისად უნდა მინიჭებოდათ „პ“-არ და „კ“-ან ფონემური მნიშვნელობა. ასეთი რამ პალეოგრაფიულად გაუმართლებელი იქნებოდა, რადგან სემური გრაფემები ქართული ანბანის „ბერძნულ“ ანბანურ ჯგუფში დაკარგავდნენ როგორც სემურ, აგრეთვე ბერძნულ ფონემურ მნიშვნელობას.

ქართული ანბანის „სემურ“ ანბანურ მწკრივში მე-9 და 21-ე ასო-ნიშნებს სემური ფონემური მნიშვნელობა შენაცვლებული აქვთ. ე. ი. ამ ასო-ნიშნებს არა სემური, არამედ ბერძნული ფონემური მნიშვნელობა აქვთ.

ეს გარემოება გამოწვეულია არა ბერძნული ანბანის გავლენით, არამედ ქართული ანბანური აუცილებლობით: ქართული ასოთავრული ანბანის მე-9 ასო-ნიშანი თვალის იდოგრაფია-აკროფონია, მზის ღვთაების ემბლემა და მზის ღვთაების საყრალური რიცხვის, —

ცხრის მნიშვნელობისაა. ასე რომ არა, მე-9 ასო-ნიშანს ანბანში „სემური“ — „ტ“ — ფონემის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, ხოლო 21-ე ასო-ნიშანს კი „თ“ ფონემისა.

ამგვარად, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ქართული ანბანის „სემურ“ ანბანურ მწკრივში ასო-ნიშნებს სემურ-ბერძნულ-ქართული ფონემური მნიშვნელობა აქვთ.

მაგრამ გვაქვს ერთი გამონაკლისი „სემურ“ ანბანურ მწკრივში, რაც ყოველივე ზემოთქმულით ვერ აიხსნება. ეს ერთადერთი გამონაკლისია მე-18 ასო-ნიშანი ქართული ანბანის „სემური“ ანბანური მწკრივისა — ასო-ნიშანი „ჟან“ (ამის შესახებ ქვემოთ ვიტყვი).

4. ქართული ანბანის „ბერძნულ“ ანბანურ ჯგუფში ასო-ნიშნების ფონემური მნიშვნელობა ძირითადად ბერძნულია, ოღონდ „ოჟეგა“ ასო-ნიშნის შესაბამე ქართულ გრაფემას, არა ბერძნული, არამედ სემური ფონემური მნიშვნელობა აქვს მინიჭებული — „ლ“-ან ბგერისა.

ქართული ანბანის „სემურ“ ანბანურ ჯგუფში „ჟ“-ან მე-18 ასო-ნიშანი ფაქტურად ერთადერთი გამონაკლისია, რომელსაც სემური ფონემური მნიშვნელობა არა აქვს; ხოლო „ბერძნულ“ ანბანურ ჯგუფში „ლ“-ან ერთადერთი გამონაკლისია, რომელსაც ბერძნული ფონემური მნიშვნელობა არა აქვს.

ქართული ანბანის „სემურ“ ანბანურ მწკრივში 21 ასო-ნიშანია, ე. ი. ერთი ნაკლები, ვიდრე იდეალურ სემურ ანბანურ მწკრივში. სემური ანბანური მწკრივის მე-19 „კოფ“ ასო-ნიშანი ერთადერთი გამონაკლისია, რომელიც ქართული ანბანის „სემურ“ ანბანურ მწკრივში არა გვაქვს.

ქართული ანბანის „ბერძნულ“ ანბანურ ჯგუფში სულ 4 ასო-ნიშანია, ე. ი. ერთი ნაკლები, ვიდრე ბერძნული ანბანის საკუთრივ ბერძნულ ანბანურ ჯგუფში. ბერძნული ანბანური ჯგუფის „ფსი“ ასო-ნიშანი ერთადერთი გამო-

ნაკლისია, რომელიც ქართულ ანბანის „ბერძნულ“ ანბანურ ჯგუფშიც არა გვაქვს.

საერთოდ, ნიშნულია, რომ ქართულ ასომთავრულ ანბანს სხვადასხვა ანბანურ ასპექტში საერთო წესიდან თითო-თითო გამონაკლისი ეძებნება. ზემოთ თქმულისა არ იყოს, თუ ქართული ანბანის „სემურ“ და „ბერძნულ“ ჯგუფებში გამონაკლისის სახით თითო-თითო ასო-ნიშანი არა გვაქვს, რის გამოც ქართული ანბანის „სემური“ და „ბერძნული“ ჯგუფები თითო-თითო ასო-ნიშნით ნაკლებია, მთლიანად ქართულ ანბანში, გამონაკლისის სახით, გამოუყენებელი დარჩა ერთადერთი „ფსი“ გრაფემა (სემური მე-19 „კოფ“ გრაფემა ქართულ ანბანში გამოყენებულია „ლან“-ის მომდევნო „ყარ“ ასო-ნიშნად.).

როგორც უკვე აღინიშნა, მრგვლოვან ქართულ ასომთავრულ გრაფიკაში უარყოფილია დიაგონალური ხაზები, მაგრამ გამონაკლისის სახით გვაქვს ერთადერთი დიაგონალური გრაფემა — ასო-ნიშანი „ჟან“. ამ ერთადერთ გამონაკლისს თავისი ახსნა-განმარტება ეძებნება.

ისევე გრაფიკის თვალსაზრისით, ქართულ ასომთავრულ ასო-ნიშნებს ურთიერთკავშირი აქვთ; ასო-ნიშნების გრაფიკული ურთიერთკავშირი ხორციელდება ასო-ნიშნის როგორც მარცხენა, ასევე მარჯვენა მხარეს. ამ მხრივ ერთადერთი გამონაკლისია ასო „რაე“, რომელიც ერთდროულად არც ერთ ასო-ნიშანს არ იყარებს ორივე მარცხენა და მარჯვენა მხარეს (გამონაკლისის სახით ასო „რაე“ გრაფიკულ კავშირს ამყარებს ორად-ორ „ფ“ და „ჟ“ ასო-ნიშნებთან მარცხენა მხარეს და ერთადერთ „ძ“ ასო-ნიშანთან მარჯვენა მხარეს). ასო „რაე“-ს გრაფიკული თავისებურება, ვფიქრობ, იმით უნდა აიხსნას, რომ იგი განსხვავებულ გრაფიკულ ფუნქციას ასრულებს ქართულ ასომთავრულში: ამრავალფეროვნებს და ამსუბუქებს ასომთავრუ-

ლის გრაფიკას. გარდა ამისა, ასო „რაე“ ყველაზე მეტად თვალსაჩინო ასო-ნიშანია, რადგან დამორებულია წინ მდგომ და მომდევნო ასო-ნიშანს, ხოლო გრაფიკული თვალსაზრისით, ვფიქრობ, სწორუბოვარი გრაფემაა ქართულ ასომთავრულში;

არის ერთი გამონაკლისი ქართული ასომთავრული ასო-ნიშნების სახელდებიან. რატომ შეერქვა ქართული ანბანის მე-12 ასო-ნიშანს „ლას“? ასეთი სახელდების სხვა ასო-ნიშანი ქართულ ანბანში არა გვაქვს. გამონაკლისს უთუოდ უნდა ჰქონდეს თავისი დანიშნულება, თავისი მნიშვნელობა და, რა თქმა უნდა, ამიტომ თავისი გამართლება. ასო „ლას“-ი უნდა გაირკვეს და უნდა აიხსნას. მე შევეცდები.

კიდევ ერთი გამონაკლისას შესახებ: ყველა ასომთავრული ასო-ნიშანი ზემოდან ქვემოთ იწერება. ერთადერთი გამონაკლისია ასო „ლან“-ი, რომელიც ქვემოდან იწყება და ზემოთ მიემართება, ხოლო შემდეგ ზემოდან კვლავ ქვემოთ ეშვება. რა არის ამის მიზეზი? ყვე-

ლა ასომთავრული ასო-ნიშანი ერთ შვეულ ხაზზე, ერთ ვერტიკალზე აგებული (წრიულ-რკალურ გრაფიკულ ტექმა უნდა, ეს არ შეეხება). ერთადერთი გამონაკლისია ასო „ლან“-ი, რომელიც ორ ვერტიკალზე აგებული და შვეული ხაზების მეშვეობით მთლიანად იკავებს ასო-ნიშნის უჭრედს.

ასო „ლან“-ი ერთადერთი ასო-ნიშანია ქართულ ანბანში, რომელიც ერთდროულად „ბერძნული“ ანბანური ჯგუფის უკანასკნელი ასო-ნიშანიცაა და ქართული ანბანური ჯგუფის პირველი გრაფემა; ასო „ლან“-ი ერთადერთი გრაფემაა „ბერძნულ“ ანბანურ ჯგუფში, რომელსაც ბერძნული ფონემური მნიშვნელობა არა აქვს; გრაფიკული თვალსაზრისით კი, ასო „ლან“-ი ერთადერთი ასო-ნიშანია ქართულ ასომთავრულში, რომელიც ორ ვერტიკალზე აგებული, ხოლო ეს ორი ვერტიკალი ზემოთ თაღით არის შეკრული.

ქვემოთ განხილული იქნება ქართული ასომთავრულის საკუთრივ ქართული ანბანური ჯგუფი.

„შირიმის“-„შირიმთას“ ბრძოლისა და
 ადგილმდებარეობის შესახებ

XI საუკუნის მეორე და მესამე ათეული წლების მიჯნაზე საქართველოსა და ბიზანტიას შორის ურთიერთობა გამწვავდა. სადავო და ბრძოლის ობიექტი გახდა დაეთ კურაპალატის ყოფილი სამფლობელოს გარკვეული რაიონები და ციხე-სიმაგრეები. ამ ნიადაგზე, როგორც ცნობილია, 1021-1022 წლებში, გიორგი I მეფობის ხანაში, ორჯერ გაიმართა შკაციო ბრძოლა ქართველებსა და ბიზანტიელებს შორის, ბევრი სისხლი დაიღვარა და დასახლებული პუნქტებიც განადგურდა. ამჟამად ჰეენს შიხანს არ შეადგენს ამ მოვლენის მთელი შინაარსისა და გამოწვევი მიზეზების დადგენა. გვიჩნდა მხოლოდ გავარკვეით თარიღი და ადგილი იმ ბრძოლისა, რომელიც ქართულ ნარატიულ ძეგლებში „შირიმის“-„შირიმთას“ ბრძოლის სახელით არის ცნობილი და ქართველებსა და ბიზანტიელებს შორის მოხდა. ამის დადგენა ერთგვარ წარმოდგენას მოგვცემს სადავო ტერიტორიისა და ბრძოლის მასშტაბის შესახებაც, რაც არც თუ ისე ნათლად არის გაშუქებული საისტორიო ლიტერატურაში.

საკითხის გასათვალისწინებლად ძირითად ცნობებს გვაწვდიან სუმბატ დაეთის ძე, „პართილის მატიანე“, არისტარყე ლასტივერტელი, მათე ურპაელი (ეფესელი), ვარდან დიდი აღმოსავლელი, იაპია ანტიოქელი, გიორგი კედარენე, მიხეილ ატალიატე და იოანე ზონარა. ამათგან პირველი სამი — სუმბატ დაეთის ძე, „პართილის მატიანე“ და არისტარყე ლასტივერტელი — ერთ-ერთი ბრძოლის ადგილად „შირიმის“ მოუთითებენ, მაგრამ მის ადგილმდებარეობასა და იქ მომხდარი ამბავის კრონოლოგიას სხვადასხვანაირს გვაძლევენ.

სუმბატ დაეთის ძე წერს: „გიორგის მეფობისა მეშვიდესა წელსა გამოვიდა ბასილი ბერ-

ძენთა მეფე ამას გიორგის მეფესა ზედა. ხოლო ესე გიორგი განვიდა ლაშქრითა დიდითა და დაიბანავეს ქვეყანასა ბასიანისასა ორთავე მრავალ დღე, და არა შივიდეს ბრძოლად ერთმანეთსა ზედა, არამედ მოვიდა გიორგი და მოვიდა და დაწუა ქალაქი ოლთასი [და მენიო მოვიდა კოლასა და] გამოუდგა კუალსა და მოუდგა უკანა მეფე ბერძენთა. და შეტრბეს რა უკანამავალნი გიორგისნი და წინამავალნი ბასილისნი ლაშქარნი, იქმნა ბრძოლა დიდი სოფელსა შინა, რომელსა ეწოდების შირიმთა. და მრავლად მოისრნეს ორკერძოვე... და ვითარ მოესმა კმა ომისა გიორგი მეფესა, აღბორგნა, განვიდეს და მოვიდეს ადგილსა მას, სადა იყვნეს ბრძოლად, და მოვიდა მუნ ბასილი მეფეცა სპითა დიდითა... და იქმნა მუნ ბრძოლა დიდი და მოისრნეს მუნ ბერძენნი დიდნი და ფრიადნი. და წარმოიდეს გიორგისთა ავირი, და ვაზომ განდიდნა ბრძოლა იგი, რომელ სიელტრულა ეველუბოდა ბასილი მეფესა. ვარნა გიორგისნივე სულმოკლე იქმნეს, რამეთუ მოვიდეს და წარმოვიდეს, ხოლო ბასილი უკანა წარმოუდგა და მოვიდა არტანს და დაწუა იგი“ ([1], 67).

თითქმის სიტყვა-სიტყვით ამასვე იმეორებს ამ საკითხზე „ქართლის მატიანის“ ავტორიც ([2], 284-285).

ვრცლად მოგვიხსრობს ამ ამბავს აგრეთვე არისტარყე ლასტივერტელი. იგი წერს: დიდი ლაშქრით მოსული იმპერატორი კარინის ვრცელ მინდორში დაბანაქდა. იქიდან გიორგი მეფეს მოცემული ვაუგზავენა, რათა ის ბასილთან გამოცხადებულყო, მაგრამ გიორგი არ ვაუგზაშეურა ბასილის მოწოდებას. ამის შემდეგ უკანსწეული ბასიანში გადავიდა, საიდანაც სამკერავ გაუგზავენა მოცემული გიორგის და სურდა თავისი ლაშქრობა მშვიდობიანად დაემთავრე-

ბია, რათა მხარე არ განადგურებულყო. მაგრამ როცა მოლაპარაკებამ შედეგი ვერ გამოიღო, გაჯერებულმა იმპერატორმა ბრძანება გასცა ცეცხლითა და მახვილით გასწორებოდნენ დიდ ქალაქს — ოკომსა და მასთან დაჯავშრებულ სოფლებსა და ხეობებს. იქ შეპყრობილი ტყვეები ქალაქის მხარეში გაგზავნა, ხოლო თვის მასიანზე გაღვლია ვანანთის მხარეებზე, ევროპოდ. კაპიტრი მოკლეს მთავორამდე შევიდა. გიორგიმ შეარჩია რა ხელსაყრელი მომენტო, თავს დაესხა ოლთისს, უბრძანა ლაშქარს ცეცხლისთვის მიეცათ ქალაქის შესანიშნავი, ლაშაზი შენობები, აეღოთ ნაღველი, მაგრამ ხალხისათვის არ მიუყენებიათ რაიმე ზიანი ([8], 11-13; 60-61).

როცა ეს ამბავი იმპერატორმა გაიგო — განაგრძობს არისტარკე — იგი, კიდევ უფრო განარსებულა, გიორგიანენ დაიბრა. მოწინააღმდეგეში პალატიოს ტბის ახლოს შეხვდნენ ერთმანეთს, სადაც შეცვრა ბრძოლა გაიმართა. რომელთა ლაშქარი გახდულად იბრძოდა, თუმცა უკუ იქცა არა ერთხელ. ამ დროს გულადი ერისთავი რატო, რამაც ტაოს მხარე დიდ შეუხარებამი ჩაადგო. გიორგი მეფემ თავის ლაშქრით აფხაზეთის გასაგრებულ ადგილს შეაფარა თავი, ხოლო იმპერატორმა ქვეყნის ოთხივე მიწაბუდეებით მიუსია თავის ლაშქარი და ბრძანა, რათა არ დახოვონ არც მოხტეო, არც ახალგაზრდა, არც ბუილი, არც სრულწლოვანი, არც ქალი, არც კაცი. ასე განადგურა 12 მხარეო ([8], 13-14; 60-61. [9] 62. [10], 128).

ამრიგად, სუმბატ დავითის ძისა და ქართლის მატიაშის ცნობებით პირველი ბრძოლა ქართველებსა და ბიზანტიელებს შორის თითქოს იმ ადგილზე მოხდა, რომელსაც „შრიმითა“-„შრიმინი“ ეწოდებოდა, ხოლო არისტარკე დასტივერტელის მიხედვით „პალატიოს ტბის ახლოს“, რასაც სუმბატი და „ქართლის მატიაშე“ არ მოუთითებენ. ამ ცნობათა შეყერების შედეგად შესაძლებელია შეკვლევარი ადგილად მივხედს იმ დასკვნაზე, რომ „შრიმითა“-„შრიმინი“ პალატიოს ტბის ახლოს იყო და ის შრიმინოს ამ ბრძოლის ადგილად, რაც ასედაც მოხდა. საქართველოს ისტორიის ცნობილი

შეკვლევები, რომლებმაც შემოიღვეთილი ქართული და სომხური წყაროები შესანიშნავად იკოდნენ, პირველი ბრძოლის მდებარეობაში მინი-მინი-ს, „შრიმითა“-ს მიიჩნევენ სწორედ ამ ადგილად:

კანტეტი ბატონიშვილი წერდა: „შემდგომად წელსა მეფობისა გიორგისა 7-სა გამოვიდა ბასილი კეისარი გიორგი მეფესა ზედა მაშინ გიორგი მეფემან შეკრია სანა და მივიდა ბასიანს და დაბანაყეს ორთავე შუნ, არამედ არა ეწყენეს ერთი-ერთსა დღეთა მრავალთა. შემდგომად შემოიქცა გიორგი მეფე და მოუღვა კელსა მისსა კეისარი; ხოლო უკანაჲვადნი გიორგისნი და შეწინავენი კეისარისნი შეკრებნ დაბასა შრიმითას: იქმნა მუნ ბრძოლა დივირა“ ([11], 144).

ასევე, აყად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: ქართველებმა უბრძოლველად უკან დაიხიეს და ოლთისიც გადაწყვეს, ხოლო იქიდან გიორგი მეფე აუდავიდა კოლას. მას უკან დაედევნა ბერძენთა მეფე და დაეწია ქართველთა ჯარის „უკანაჲვადნი“ და ბერძენთა „წინაჲვადნი“ შეყერნენ ერთიერთმანეთს და ბრძოლა მოხდა სოფელსა, რომელსაც ერქვა შრიმინი... საბოლოოდ გამარჯვება კეისარს დაჩა, რომელიც ამის შემდეგ არტაანში მივიღო“ ([12], 134-135). ე. ი. შეკვლევარის ამ განმარტებით იგულისხმება, რომ „შრიმინი“ ამ პირველი ბრძოლის ადგილია და ის სადაც, კოლასა და არტაანს შორის მდებარეობდა.

სუმბატ დავითის ძისა და „ქართლის მატიაშის“ ცნობებიდან გამოდიოდა აგრეთვე აყად. 6. ბერძენიშვილი, როცა მოუთითებდა: 1021 წელს ბასილ კეისარი „მრავალრიცხოვანი ჯარით საქართველოში შემოიჭრა ბრძოლა მოხდა სოფელ შრიმინში“ ([13], 142). ამ განმარტებითაც იგულისხმება, რომ პირველი ბრძოლა მოხდა შრიმინი და ეს სოფელი კოლას და არტაანს შორის იყო.

ამრიგად, ზემოაღნიშნული ქართული ნაბატონული მეფეების ცნობებითა და ამის საფუძველზე შეკვლევართა განმარტებებით ბასიანიდან წამოსული მოწინააღმდეგენი ოლთისისა და კოლას გამოიღოს შემდეგ, მივიდნენ შრიმინში და იქ მოხდა ბრძოლა მაგრამ სომხური წყაროების მიხედვით „შრიმინი“-ი მეორე ბრძოლის ადგილია და ის სამხრეთით ბევრად შორს უნდა უფიცილო იმ ადგილადან, სადაც ეს პირველი ბრძოლა მოხდა.

როგორც ცნობილია, ბიზანტიასა და საქართველოს შორის წამოჭრილი კონფლიქტი 1021 წლის ბრძოლით არ დამთავრებულა, 1022 წელს კვლავ განმეორდა ბრძოლა ბიზანტიელებსა და ქართველებს შორის და ამის შესახებაც იგივე ავტორები მოგვითხრობენ, რომლებიც ზემოთ დავსაბუღეთ. მაგრამ ამ შემთხვევაში ბრძოლის ადგილი მხოლოდ არისტარკე დასტივერტელი უჩვენებს და ის სწორედ შრიმინზე მოუთა-

1 ოკომი — «Ниже Угуми, к северу-востоку от Асан-кала» ([3], 146). ეს გეოგრაფიული სახელი, — იხსენიება აგრეთვე კვდრენ-სკალიცეს ოხზულეში ([4], 580, 3-4; 590, 10. [5], 77). და უყენიას სახელით „ქართლის მატიაშეში“ ([2], 302). იხ. აგრეთვე ამის შესახებ მარტი ბროსე ([6], 225) და ე. პონიგმანი ([7], 162).

2 კაპიტრი პორატი, იგივე კიზილ-გადუქის ვოჩა, უარსის დასავლეთით მდებარეობს ([3], 146). იგი ქართული წყაროების „ქარნიფორა“ ([24], 203. [2], 317 [25], 333, 344) არის.

თებს, ე. ი. სუმბატ დავითის ძისა და „ქართლის მატიაწის“ მიხედვით შირიმში პირველი ბრძოლა მოხდა, ხოლო არისტარკე ლასტოვრეტელის მიხედვით მეორე. იგი წერს პირველი ბრძოლის მიზეზებისა და შედეგების შესახებ მოგვითხრობს, ხოლო შემდეგ ცალკე თავი — „უცანასენელი ბრძოლის შესახებ მლქაიში“ (შირიმში) — აქვს გამოყოფილი და აღნიშნავს, რომ იმპერატორი ვიოტრისაგან მოითხოვდა სამ ციხეს, რომლებიც საყოკრასი მხარეში იყვნენ და გიორგიმ უცანონოდ წილი კერაპალატის სამფლობელოდან. მაგრამ გიორგი არ დათანხმდა ამას (8, 23-24; 66). ამის შემდეგ ბასილმა დატოვა სალოკრასი და მლქაი („შირიმში“) წოდებული ადგილისაგან გაემართა (8, 24; 67).

ვაკოპ რა ეს გიორგიმ, — განაგრძობს არისტარკე, — შან ბერის მიმართ: როცა რომაელები ის-ის იყო დაბანაკებულნი იყვნენ, მაგრამ წერ-ვერობით ვერ მოესწროთ თავიანთი ბანაკის გაშვება, წინასწარ ეღრები ვაგზავნი იმპერატორთან და თან მიუყვამთ ლაშქარს, რათა უცუკრი თავდასხმით შეეშინებია კეისარი და გაქცეოდა ის (8, 24; 67). მაგრამ როცა ქართველები იმპერატორს მოულოდნელად თავს დაესხნენ, რომაელებმა სასწრაფოდ შემოარტყეს ალყა მათ, ამოხიციეს უშეტილობა, ხოლო დანარჩენებშია გაქცეული უშეველს თავს და საქართველოს სომეგრებმა მად მიღწიეს (8, 25; 67).

საყურადღებოა, რომ ისტორიკოსი ქართველების ამ დამარცხებას დიდი მანიძლის გავლის შემდეგად გამოწვეულ მათ დღლილობასაც მიაწერს. მისი სიტყვით, როცა ქართველები კეისარის ბანაკს თავს დაესხნენ, მამინ ისინი მხედართა მძიმე რკინის იარაღების ტარებითა და ხანჯარბოები და სწრაფი სვლით მოუძღვრებულნი, ე. ი. დაღლინი იყვნენ (8, 25; 67).

სუმბატ დავითის ძის მიხედვით, გიორგი მეფე და მისი ძირითადი ლაშქარი კი არ დასხმია თავს ბიზანტიელთა ბანაკს, არამედ „ლაშქართა დიდთა უწინარეს“ გიორგისა წარგზავნილმა ზეიადმა და მისმა ლაშქარმა „იწვეს ბრძოლად და აიტეს ზოგი ბასილის ლაშქრისა“ ისე, რომ „ეთო მეფე გიორგი და უძლიერესი ლაშქარი

მისი არღარა მისრულ იყო ქრეთ ყოვლად“ (1, 71).

„ქართლის მატიაწის“ ცნობაშიც მითითებული არ ჩანს მარტო „უწინარეს“ წინაგზავნილმა ლაშქარსნენ თავს ბიზანტიელთა ბანაკს, თუ მათთან ერთად „ეთო მეფე გიორგი და უძლიერესი ლაშქარი მისი“ იღებდა მონაწილეობას. მაგრამ ის კი გარკვევით არის ნათქვამი, რომ ქართველებმა დაასწრეს და „მივიდეს ბასილი მეფესა ზედა დაბანაკებულსა, რომელსა უწოდებდნენ სუნდაქსად“ (2, 287). ე. ი. გიორგის მიერ ვაგზავნილ ზეიადსა და მის ლაშქარს, რომლებიც აღრე მივიდნენ „ამირ კიდესა ბასიანისასა“ (1, 70), უცან კი არ დაუხვებიათ, არამედ „მივიდეს ბასილი მეფესა ზედა დაბანაკებულსა“. სად „დაბანაკებულსა“ შირიმში.

ამრიგად, არისტარკეს მიხედვით „შირიმში“, მეორე ბრძოლის ადგილი, სამხრეთით, უფრო შორს არის საცულებელი, ვიდრე ამას „ქართლის მატიაწი“ და სუმბატ დავითის ძე მიიჩნევენ და პირველი ბრძოლის ადგილად თვლიან. ისტორიკოსი ცნობის უპირატესობაზე უნდა მიუთითებდეს ის, რომ ქართველი ისტორიკოსები მეორე ბრძოლის ადგილს ვეღარ ასახელებენ, ვინაიდან ის პირველი ბრძოლის ადგილად მიიჩნევა.

(სად იყო მთავრ — „შირიმში“, სადაც ქართველებსა და ბიზანტიელებს შორის 1022 წელს მეორე ბრძოლა უნდა მომხდარიყო?) სომხური წყაროების მიხედვით იგი არშარუნის მხარეში მდებარეობდა. არშარუნის კი ყარსის სამხრეთით არსების მარცხენა სანაპირო ტერიტორიას მოიცავდა. აღონის განმარტებით იგი, როგორც ვარკვეული პოლიტიკური ერთეული, «Образовалась... из той береговой полосы Аракса, которая раньше входила в Аппарат или в Ширак» ([14], 300, [15], 62—63 რუკა).

სტეფანე ტარონელის ცნობით, ვანანდის (ყარსის) მეფემ ამასმა (984-989) მონასტრის იგუბა გადაწყვიტა და საპისოლ მან შეარჩია არშარუნის ფარგლებში ადგილი, რომელსაც „შირიმში“ ეწოდებოდა ([16], 197; 139).

ეს კი იმის მთქვენილია, რომ ქართველები,

1 „სუნდაქსი“ — სუნდაქსი (საბრძოლველად დარაზმია, „ბრძოლად ვანდალდებო“ (2, 287. შენ. 2).

2 შირიმი („შირიმში“) სხვადასხვანაირი მნიშვნელობით იხმარება როგორც ქართულში, ისე სომხურში (იხ. აკარაინი, სომხური ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი, ტ. V, ვრეგანი, 1926, სომხურ ენაზე). ქართლის ცხოვრების ძველ სომხურად მთარგმნელს შირიმში მრავლობითი — „სჩრქამბო“ — აღ — უთარგმნია ([17], 222), რაც ნიშნავს — „აღლამები“, „სასაფლაოები“, ხოლო საბას განმარტებით „შირიმი ბუშტისა და თირკმლის ქვა“ არის.

3 «Шлапай—тоже, что и Ширмак («усыпавших»)» ([3], 149), მარი ბროსე ქართლის ცხოვრების თარგმანის იმ ადგილს, სადაც შირიმის, თითქმის და პირველი ბრძოლის ადგილის, შესახებია ლაპარაკი შენიშნავს: «Aristaces de Lastiverd... nomme le lieu du Combat Chghpha» ([23], 306), მაგრამ აღარ განმარტავს, რომ არისტარკე იმ ადგილს არა პირველის, არამედ მეორე ბრძოლის ადგილად მიიჩნევს.

4 «Салжоран находилась на берегу Аракса, ниже Салжюли — Дача севернее Делибана» ([3], 148—149).

როგორც 1021 წელს, ისე ახლაც ღრმად შეკრძანად დეით ქუჩაბაღის უფილ სამფლო-ბელოში, რაც იმაზედაც მეტყველებს, რომ 1022 წელს ისინი საკმაოდ დიდი ტერიტორიის შემოკრების იმედით იბრძოდნენ.

წყაროები აშკარად მიუთითებენ, რომ სადავო ტერიტორიის მოსახლეობის, განსაკუთრებით მისი ზედა ფენის, დიდი ნაწილი საქართველოს უჭრდა მხარს და მისკენ იღებდა ორგენტაციას. ამის შედეგი უნდა იყოს ის, რომ თუ ქართველები ამ მოსახლეობის ფიზიკურა ზიანის მიყენებას უფრთხილდებოდნენ, ბიზანტიელები დაუზოგავად ექცეოდნენ და ძლიერდნენ მათ. ვაიხსენით არისტარკეს ცნობა იმის შესახებ, რომ როცა გიორგიმ განკარგულება ვასცა ოლთისის დაწესებულების, მან თავის მებრძოლები საგანგებოდ გააფრთხილა, რომ აღამიანებისათვის ზიანი არ მიყენებინათ, მაგრამ, როგორც ვაიხსენით, კეისარმა საშინლად განადგურა 12 მხარე და უდიდესი ფიზიკური ზიანი მიყენა იქნარ მოსახლეობას. ზოლი ამ აქტის შესრულებამდე, როცა გიორგიმ კეისარს წინადადება უარყო, უკანასკნელმა ბრძანება ვასცა, რათა „დიდი ქალაქი ოკომი“, რომელიც თეოდოსიუპოლის ახლეს, თანამედროვე ასანჯლის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობდა ([14], 24), ცეცხლისათვის მიეცათ, მოსახლეობა კი როგორც ამ ქალაქის, ისე მათთან დაკავშირებული სოფლებისა და ხეობების, არ დაეზოგათ და დაეტყველებინათ.

გიორგის მიერ ოლთისის ვადაქვის შესახებ განკარგულების ვაიხსენებენ მტრის კომუნიაკიების მოშლისა და ამით მისი ხელის შეშლის მიზნით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, მაგრამ იმპერატორის მიერ სადავო ტერიტორიაზე არსებული ქალაქებისა და სოფლების განადგურება და იქნარი მოსახლეობის შეუბრალებლად გაქცევა, ამ მოსახლეობის საქართველოსადმი სიმპათიებისა და მხარდაჭერის შედეგი უნდა ყოფილიყო.

საჭერადებოა, რომ თეოდოსიუპოლისა და ჩრდილო ბასიანის რაიონები ადრიატიკურ იუბიზანტიელებსა და ქართველებს შორის ბრძოლის საგანი. ბიზანტიასთან ურთიერთობის დროს ქართველები აშკარად ამყარებდნენ ამ რაიონების მოსახლეობისადმი პატივისცემას. ვაიხსენით კონსტანტინე პორფიროგენიტის ცნობა იმის შესახებ, რომ ბაგრატიონები კატეგორიულ პრეტენზიებს აცხადებდნენ თეოდოსიუპოლის რაიონში, არაჟისს სამხრეთით მდებარე ახიქსა და მასტატის ციხეებზე ([18], 45, 203-205; [19], 269-271). არაბთა ვანდევნის შემდეგ ეყრატ კიდეც ვარკვეული დროის განმავლობაში ეს ციხეები, რომელთაგან მასტატი ბაგრატ მაგისტროსმა (ვარდაციცლა 945 წ.) თეოდოსიუპოლელებს უწვალბა ([18], 45, 204; [19], 271). თეოდოსიუპოლის ახლოს მდებარეობდა კეცის ციხეც, რომელიც ბაგრატიონებს ვჭრათ და არ

დაუთმეს ბიზანტიელებს „თეოდოსიუპოლეთადმი სიყვარულის გამო და იქნის გამოცხადებულ თეოდოსიუპოლის ციხე არ გაქცეულა“ ([18], 45, 201; [19], 264).

ასე რომ, აღნიშნული რაიონებისათვის ქართველების მიერ ბრძოლის საუფველი 979 წელს კი არ შექმნილა, როცა კეისარმა დეითს „უწვალბა“ ეს მხარე, არამედ უფრო ადრე თვოდნენ მას თავისად ქართველები.

1001 წელს, ბიზანტიელების მიერ დეით ქუჩაბაღის სამფლობელოს მისატყველად მიღებული პირველი ღონისძიებისათავე სწორედ თეოდოსიუპოლის სამხრეთით, მის ახლოს მდებარე პავკინის ციხე-სიმაგრესთან მოხდა ქართველებსა და ბიზანტიელებს შორის სისხლისმღვრელი შეტაკება ([16], 276; 200. [8], 4; 56).

1021 წელსაც ამ მხარეში შეხედნენ ერთმანეთს ბიზანტიელები და ქართველები და „დაიბანაკეს ორთავე ქუეყანასა ბასიანისასა მრავალდღე“ ([2], 284). უკანასკნელადაც— 1022 წელს, ტრპიზონიდან აქ მოვიდა ბასილ კეისარი და აქვე აცნობეს მას ნიკოლოზი ქსიფიასისა და ნიკოლოზე ბარდა ურუგას მის აწარუების შესახებ, რამაც შიშის ზარი დასცა იმპერატორს და მასტატის ციხეში გამაგრდა ([8], 19; 64). აწარუებულთა აღმარებების შემდეგ კი ბასიანის საზღვარზე, სასტორაში მოვიდა ([8], 21; 65), სოლო იქიდან არშარუნის მხარეში ([8], 24; 67), სადაც, ჩანს, რომ ქართველებიც მოიწვართოდნენ და თავს დაესხნენ „შირმის“-ში ახლად მისულ ბიზანტიელებს.

როგორც ო. კეიტიშვილი აღნიშნავს, „ბრძოლის საქართველოსა და ბიზანტიას შორის XI ს. ოციანი წლების დასაწყისში წინ უსწრებდა ხანგრძლივი მოსამზადებელი მუშაობა“ ([10], 123-124), რომლის შედეგად საქართველომ საერთო ენა გამოიხატა ზოგიერთი ახლო მეზობელი თუ შორეული პოლიტიკური ერთეულის მეთაურებთან, მაგრამ 1021 წლის მარცხისა და ბასილ კეისარის გამარჯვების შემდეგ უკანასკნელმა გიორგი მეფეს ახლო მეზობელი მოკავშირეება ჩამოაშორა, სოლო შორეულ ევკიბტესთან ერთად მტრის წინააღმდეგ საქართველოს გამოსვლა აღარ განხორციელდა. ყოველივე ამის შემდეგ საქართველოს მოკავშირედ რჩებოდნენ მხოლოდ ბასილ კეისარის წინააღმდეგ მოქმედი ბიზანტიაში მყოფი ძალები, რომელთა ზოგიერთი აქტიური წევრი სადავო ტერიტორიის ვარკვეული ნაწილის ფეოდალური მფლობელი და

1 ახოლიკის ნაშრომის რუსულად მთარგმნელი ნ. ვინი დიქროზი, რომ პავკინი ტაოს პროვინციაში იყო ([16], 200). მაგრამ მეფე, კ. იუზუპოინის მოსაზრებას ეწინააღმდეგება, რომელიც წერს: „Иванчик находилась близ нынешнего хребта Бишгел, южнее Эрзерума“ ([3], 142).

ბიზანტიის იმპერატორის მოხელე უნდა ყოფილიყო. მხედველობაში მყავს პატრიკიოსის ფერის ჯოჯოხისძე, „რომელიც ყველაზე უწინარეს მოგვედლა აქანყებულებს“ ([4], 478. [5], 48) და მისი სიძე ანდრონიკე. არისტარკე ლატრავერტელის ცნობით, როცა აჯანყება დამარცხდა, ბასილ კეისარმა დამსჯელი რაზმი გაგზავნა ფერისისა და ანდრონიკეს შენაპრობად, მათ შეიპრეს ისინი, მოიყვანეს ციხე-სიმაგრე ზალტო-არიფთან კარიის საზღვარზე და იქ მოკვდნენ თავები ორთავეს. ასე ბრძანაო იმპერატორმა იმიტომ, რომ აჯანყდნენ რა ფერისი და ანდრონიკე, შეუკავშირდნენ აფხაზს (ე. ი. გიორგი მეფეს) და შეპირდნენ მას გამოეყოფდნენ და გაღსკემდნენ ტერიტორიას ამ ადგილამდე ([8], 22; 65).

ზალტო-არიფა, როგორც ცნობილია, ერთ-ერთი იმ ციხე-სიმაგრეთაგანი იყო, რომლებიც 979 წელს ბასილ კეისარმა დავით კურაპალატს გადასცა და მდებარეობდა თეოდოსიოპოლის ანუ კარნუქ-ქალაქის აღმავლეთით სწორედ იქ, სადაც იმავე წლიდან დავით კურაპალატის სამფლობელოსა და ბიზანტიის იმპერიის საზღვარი გადაიღოა. ე. ი. ჩანს ტართველები 1022 წელს საქმიად ვრცელა ტერიტორიის მიღების იმედით აგრძელებდნენ ბრძოლას. საფუძრებულა, რომ ამ შემთხვევაში არა მარტო ფერისისა და ანდრონიკეს სურვილსა და თანხმობას უნდა ჰქონოდა ადგილი, არამედ გიორგისათვის ამ ტერიტორიის გადაცემა აჯანყების მეთაურებთან, ქიფიასთან და ბარდა ფოკას ძესთანაც, როგორც ტახტის მამულებთან, წინასწარ უნდა ყოფილიყო შეთანხმებული. მაგრამ როცა აჯანყება დამარცხდა და ამით ქართველებს უკანასკნელი მოკავშირეებიც ჩამოსცილდნენ, რა იმედი ჰქონდათ მათ, რომ მაინც ეკეთდნენ მტრის?

წყარობიდან ჩანს, რომ ქართველთა ბანაკში ბუბა გამართულა იმის შესახებ, რომ აჯანყების დამარცხების შემდეგ იყო თუ არა გამართლებული ძლიერი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმა ეს კარგად ჩანს სუმბატ დავითის ძის ცნობებიდან. მისი გადმოცემით გიორგი მეფეს ზავი სურდა, მაგრამ „ორვერთვე მზავრონი იგი აზნაურნი არა მიეშენეს გიორგის ყოფად ზავისა, რამეთუ არა უნდოდა მშვიდობა, არამედ აზრახეს მას ბრძოლად. აწვიეს იგი ბასილის ზედა“. ([1], 70). საინტერესოა ვის გულისხმობს აქ ავტორი, რომლებმაც „აწვიეს“ გიორგი „ბასილის ზედა“? თუ იპაია ანტიოქელს დავუჭრებთ, გიორგის თავისი ვეზირი — ზვიადი ურჩევდა ბრძოლის ვაგრძელებას ([9], 65. [10], 130). მაგრამ როცა სუმბატ დავითის ძე ბრძოლის მომხრე აზნაურებს მრავლობითი რიცხვით იხსენიებს, აქ მარტო ზვიადი არ უნდა იგულისხმებოდეს და იქნებ ავტორი ამ ტერიტორიის მკვიდრი აზნაურებიც ჰყავდა მხედველობაში, რომელიც ბრძოლის საგანი იყო. უპიკველია,

რომ ფერის ჯოჯოხის ძესა და ანდრონიკესთან ერთად დავით კურაპალატის ბევრი სხვა ყოფილი ქვეშევრდომი აზნაურნი წინააღმდეგობით ბასილ კეისარის მოწინააღმდეგეებდნენ. მათ სურვილსა და მხარდაჭერასაც უნდა მიეცა გიორგისათვის გამხედველობის ერთგვარი ბიძგი ზელი არ აეღო ბრძოლაზე.

იქნებ ეს იყო მიზეზი, რომ გამარჯვების შემდეგ იმპერატორმა „დანიშნა მხარის ერისთავები, რომლებმაც ურეგრეთის განაწილეს საბლი სახლზე, სოფელი სოფელზე და აგარაკი აგარაკზე, როგორც წინათ იყო“ ([8], 25-26; 67). აქ „დანიშნა“-ში უნდა იგულისხმებოდეს ძველი მფლობელების ახლებით, იმპერატორისათვის სანდო პირებით შეცვლა. ამასთანავე, ამ ცნობიდან ისიც ჩანს, რომ სოფლები და აგარაკები, რომლებიც იმპერატორის მიერ ახლად დანიშნულმა პირებმა ძველი ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით განაწილეს, გიორგის ხელში ყოფილა გადასული.

არისტარკე ლატრავერტელი, რომელიც 1021-1022 წლებში მომხდარი ამბების შესახებ ძვირფას ცნობებს გვაძლევს, თეოდოსიოპოლისა და არენის რაიონებში მდებარე დამა ლატრავერტის მკვიდარს უნდა ყოფილიყო და «ხვა оше виднемъ востаня Никифора Фоки противъ Василия II въ 1022 г.» ([3], 14), ე. ი. არისტარკე ბიზანტია-საქართველოს შორის მომხდარი მაშინდელი ამბების თვითმხილველი ჩანს და შესანიშნავად ავგიწერს ტრაგიკულ ამბებს, რომელიც ბიზანტიელებმა თავს დაატყვეს ამ მხარის მოსახლეობას, რომლის მკვიდრი არისტარკე იყო. მისი გადმოცემით ბასილ კეისარმა განსაკუთრებული შური აზნაურთა ოჯახის წევრებზე, კერძოდ მათ ცოლებზე იძია ([8], 15-16; 62). სწორედ ესეც გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ ბრძოლისაგან გიორგის წამებულები სადავო ტერიტორიის მფლობელი აზნაურებიც უნდა ყოფილიყვნენ.

XI საუკუნის 20-იან წლებში, ბასილ II-ის მეფობის ამ აღზევების ხანაში, სრულებითაც არ არის ვასაკერი დავით კურაპალატის ყოფილი ქვეშევრდომი ფეოდალების საქართველოსაკენ მიდრეკილება. ბასილი ხომ ერთადერთი იმპერატორი იყო, რომელმაც ყველაზე გაბედული ნაბიჯი გადადგა პროვინციის ფეოდალთა აღზევებისა და უფლებრივი მფლობელობის შეცვევის მიზნით. «Время небывало возросшего влияния провинциальной аристократии на военные дела империи окончилось — император взял армию под личный контроль» ([20], 218).

ამასთანავე, თუ XI საუკუნის ბიზანტიელ ისტორიკოსს მიხედვით ატალიატეს დაუეჭრებო,

1 ამ ნაშრომში ბიზანტიური წყაროები ციტრებულია ს. ყაფხჩიშვილის თარგმანების მიხედვით.

ქართველები ბრძოლის მოგებას ძირითადად საკუთარ ძალებზე ამყარებდნენ. მისი გაღმაცემით, პროდესაც აღმოსავლეთში აიშალნენ აბაზგები, დაუბირისპირდნენ მეფეს და აშქარად აღიშარბნენ მის წინააღმდეგ (ისინი ეყრდნობოდნენ არა მხოლოდ სომარკლეს, არამედ იარაღის უძლიერეს შესაძლებლობებს, ასე რომ, არა მხოლოდ თავის თავს, არამედ შეეჯიშნულ და წყუღუღამულ ცხენებსაც ყოველმხრივად იჭარბდნენ) [21], 234, 17-22. [22], 27).

ატალიატეს ამ მხატვრულად გაფორმებულ მონათხრობში შესაძლებელია ზოგი რამ ვადა-ქარბებულის იყოს, მაგრამ იგი ეხმოდრება არისტარკე ლასტივერტელის ცნობას, რომელიც ზემოთ მოვიტანეთ, იმის შესახებ, რომ მხედართა შიშით რკინის იარაღებით იყო აღჭურვილი ქართველთა ლაშქარი, როცა ის, შორი გზის სწრაფად გაელის შედეგად დაღლილი, თავს დაესხა მტერს.

ბრძოლის გაგრძელების ერთდაგვირა საბაბი უნდა მიეცა ქართველებისათვის აგრეთვე იმასაც, რომ ბარდა ფოკას ძისა და ქსოფიანის დამარცხების მოუხედავად, ჩანს, „მონათხრობს“ კიდევ იყო მოსალოდნელი ბასილ კეისრის წინააღმდეგ შეთქმულება; გიორგის დამარცხების შემდეგაც კი, სუმბატ დავითისძის ცნობით, ბასილს „მეში აქუნდა საბერძნეთით ევლადცა განდგომილებისა“ ([1], 71).

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ შესაძლებელია დავისკენათ: 1. „მორიანის“-ი არშარუნიქის მხარეში მდებარეობდა და ის არა 1021, არამედ 1022 წლის ბრძოლის ადგილია.

2. ბასილ კეისრის წინააღმდეგ ბიზანტიელ შეთქმულებთან შეთანხმებამ და საკუთარი ძალების იმედმა საფუძველი მისცა გიორგი მეფეს, როგორც შემკვიდრეს დავით ერპალატისა, 1022 წელს ბრძოლა განებალებია არა მარტო სამხრეთი ტაოს, არამედ უფრო ვრცელი ტერიტორიის დაბრუნების იმედით.

წყაროები და ლიტერატურა

1. სუმბატ დავითის ძის ქრთიკა ტაო-კლარჯეთის ჰეგრატიონთა შესახებ, გამ. შესაშვ. ტექსტი გამოსცა შესავლით, შტნიშენებით და ორი გენეალოგიური ტაბულით ე. თაყაიშვილმა, თბილისი, 1949.

2. „ქართლის შტაიანე“, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. 1. თბილისი, 1955.

3. К. Н. Юзбашин Фрагменты: Повествование варданета Аристакеса Ластивертци, перевод с древнеармянского, вступительная статья, комментарии и приложения К. Н. Юзбашина, Москва, 1968.

4. Georgius Cedrenus, Ioannis Scylitzae opre ab Immanuele Bekkero suppletus et emendatus, II, Bonnae, 1839.

5. გეორგიკა „ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ“, V, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1963.

6. M. Brosset, Additions et eclaircissement a l'histoire de la Géorgie. St. Petersburg, 1851.

7. E. Hönigmann, Die Ostgrenze des byzantinischen Reiches von 363 bis 1071, Bruxelles, 1935.

8. Պատմիկն Արիստակես Վարդապետ Աստիվերտցու, Քննիչ, 1912; რუსული თარგმანი: Повествование варданета Аристакеса Ластивертци. Перевод с древнеармянского, вступительная стат.я, комментарии и приложения К. Н. Юзбашина, Москва, 1968.

9. В. Г. Розен, Император Василий Богаробойца. Извлечения из летописи Яхьи Антиохийского. Издал, перевел и объяснил В. Р. Розен, Санктпетербург, 1883.

10. თ. ექითიშვილი, მსაბუღე საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის გიორგი I-ის მეფობის ხანაში, „მაცნე“ № 4, 1968.

11. ვახუშტი, საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამოცემა, თბილისი 1885.

12. ივ. ჯავახიშვილი ქართველი ერის ისტორია, 113-ე თბილისი, 1965.

13. ნ. ბერბენიშვილი, ე. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატკიანი, საქართველოს ისტორია, I, თბილისი 1958.

14. Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана. С.—Петербург, 1908.

15. История армянского народа, ч. I, с древнейших времен до конца XVIII века, Ереван, 1944.

16. Մակրახանի Տարոնցույ (Մակրახան), պատմիկն Երեւանի, Մոսկուայ, 1885, რუსული თარგმანი: Всеобщая история Степаноса Таронского, Асохика по прованию, переведена с армянского и объяснена Н. Эммином, Москва, 1864.

17. ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი გამოკლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, თბილისი, 1953.

18. Constantinus Porphirogenitus, vol. III, De thematibus et De administrando imperio. Recognovit Immanuel Bekkerus, Bonnae, 1840.

19. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნო-

ბები საქართველოს შესახებ, ტ. IV, 2. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1952.

20. Г. Г. Литаврин, Внутренняя и внешняя политика Византии во второй половине X—первой четверти XI в. წიგნში: История Византии, т. II, 1967.

21. Michaëlis Attaliatae Historia, Opus a Wladimiro Bruneto de Presle, instituti gallici socio, inventum, descriptum, correctum. Recognovit Immanuel Bekkerus, Bonnac, 1853.

22 ვეორგია, ბიზანტიელი მწერლების ცნო-

ბები საქართველოს შესახებ, ტ. VI. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1966.

23. M. Brœset, Histoire de la Géorgie, 1-partte, 1-livraison, SPB., 1849.

24 ჟუანშერი, ცხოვრება ეპიტანგ გორგასალისა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილა ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955.

25 დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955.



დიდი სამამულო ომის ნაკვალევები

ლიტერატურულ-მატერული კრიტიკის ქმედითი დახმარებით, საბჭოთა სოციალისტური რელიზმის ლიტერატურის შეუქმნა ადვილად გადასჭრას მის წინაშე დასმული ამოცანა. — ასახოს ყოველმხრივ განვითარებული, სრულყოფილი, სოციალისტური საზოგადოების მშენებელი საბჭოთა აღამიანის-მოქალაქის მდიდარი სულიერი სამყარო, ნათლად გვაჩვენოს, მორალური და ფიზიკური ძალების სიღამა-ზესთან ერთად, მისი პარმიონული ჩამოყალიბების, ფორმირების პროცესი, ამასთანავე, ეს პროცესი ხელშესახებდა, ნათელფერებში ასახოს, ვასაგებნი, მკითხველის გულამდე ადვილი მისატანი ვახდოს. სკკ-ის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება — „ლიტერატურულ-მატერული კრიტიკის შესახებ“ ფართო პარამონის შლის ლიტერატურათმცოდნეობის ყველა სფეროში მომუშავეთა წინაშე, უფრო მეტად ზრდის პასუხისმგებლობისა და მოვალეობის ვრანობას.

ამ დიდი პასუხისმგებლობისა და მოვალეობის სრული შეგნებით ვინდა განვიხილოთ მწერალ ელადიმერ თორდუას შემოქმედება და კმრძოდ მისი უქანსეულად — 1971 წელს გამოცემული წიგნი „აღსარება“.

გასული წელი ელადიმერ თორდუას შემოქმედებითი ნაყოფიერებით აღინიშნა, ვერ იყო 1971 წლის დასაწყისში მკითხველმა მიიღო ავტორის მხატვრული ნარკვევებისა და მოთხრობების კრებული „მთავარი ვმირი“, რომელიც საქართველოს კმ კუ-ის გამომცემლობაში დაისტამბა.

ამასთან ერთად, მწერლის შემოქმედებაში სასიამოვნო მოვლენად მიგვანინა, რომ მან ქართულ მკითხველს მიაწოდა მომხმ უქრანიელი ხალხის ლიტერატურის კლასიკოსის, მწერალ-დემოკრატის ეასილ სტეფანიკის რჩეული ნოველების საუკეთესო თარგმანი ქართულ ენაზე. ამ ნაშრომისათვის მწერალმა დიდი მადლობა დაიმსახურა როგორც ქართულ საზოგად-

დობისაგან, ისე უქრანიელებისაგან. ამის აღნანიშნავად, ავტორმა უქრანიდან ყილდოდ მიიღო ეასილ სტეფანიკის საუბაბლო ბრინჯაოს მედალი, სამკერდე ნიშანი მწერლის გამოსახულებით და კლასიკოსის თხზულებათა საბუბლო აკადემიური გამოცემა წარწერით: „...ეასილ სტეფანიკის მთარგმნელსა და პომულარიზატორს“...

ვ. თორდუას შემოქმედებითი ნაყოფიერი მუშაობის შედეგია აგრეთვე ნოველებისა და მოთხრობების ახალი წიგნი „აღსარება“, რომელმაც ქართველი მკითხველის კმაყოფილება გამოიწვია.

კარგა ხანი რაც ვლ. თორდუა სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობს და ქართველ მკითხველთა შორის დამსახურებული პომულარიზა მოიპოვა. მის, თავისი მოქმალეული შემოქმედებითი მუშაობით, ქართული საბჭოთა პროზის განვითარებაში გარკვეული წვლილი შექმნა, ეს განპირობა სწორედ მწერლის მიერ ცხოვრებისეულმა, დღევანდლობის აქტუალურ თემაზე შექმნილმა ნაწარმოებებმა.

ცხოვრებაში განვლილ, ნამდვილად მომხდარ საქმეებში მონაწილე სამშობლოსათვის თავგანწირულ, თავადებულ ალაღმართალ ადამიანებზე შექმნილ ნოველებსა და მოთხრობებს, თავიანთი ცხოველყოფელი გამომსახველი ჭლებებით, ყოველთვის ენიჭება მკითხველის შემოცნებაზე გავლენის, შთავგონებისა და შემოქმედების ძალეში შესაძლებლობა მასების სულიერი აღზრდის კეთილშობილურ საქმეში, რასაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს.

მკითხველის გულთან, მის ფიქრთან და აზრთან მისელა, მისი დაინტერესება, ვატაცება, თანაგრძნობის, სიხარულისა თუ წუხილის გამოწვევა, განცდებით დატვირთვა, შთავგონება და შემოქმედება, — ჩვენი აზრით სწორედ ეს არის უპირველესი ღირსება ვლ. თორდუას ნოველებისა და მოთხრობისათვის.

სიკვიდილ-სიკიცხლესთან უღმობელ ბრძოლას შევიღებულმა მწერალმა ვლ. თორდუამ ცხოვრების მეტად მძიმე, მკარამ მეტად სანტრეტის ვხა განვლო დიდი სამამულო ომის

დროს, უმკაცრეს გამოცდის ეამს. და, რასაკვირ-
დელია, სრულიად კანონზომიერად მიგვიჩნია,
რომ რიგით მებრძოლმა — მებრძოლმა — მებრძოლმა,
შემდეგ მეთაურმა — პოლკმენმა ცხოვრე-
ბის ცოდნის დიდი გამოცდილება შეიძინა და
გამარჯვების შემდეგ, სამშობლოში დაბრუნე-
ბული, მშვიდობიანი აღმშენებლობის პრაქტიკაში
ჩაბმული, ავტომატურად ათუღელს წელითა მხა-
ტრული სიტყვის საშუალებით ეხმარება
ჩვენს თანადროულობას და მკითხველის გულს
აღმტკრელი ნაწარმოებებით გვახარებს და გვა-
ხალისებს.

ამიტომაც ბუნებრივია, რომ ავტორის მიერ
ცხოვრებაში წინახიზა და განცდილის მდიდარი
გამოცდილების საფუძველზე შექმნილი „დღე-
ების ექო“, „მოთხრობები ნამდვილ ადამიანებ-
ზე“, „მთავარი გმირი“, „აღსარება“ და სხვა
საინტერესო საკითხავ წიგნებზე იქცა: ქართუ-
ელმა მკითხველმა გულთბილად მიიღო მწერ-
ლის ყველა ეს წიგნი და თავის სულიერ მეგობ-
რებად აღიარა.

მწერლის მამულიშვილური სიყვარული,
კაცთმოყვარეობისა და ჰუმანიზმის ცხოველყო-
ფილი ბრწყინვალეობა ნათელ შუქს ჰფენს ყო-
ველ მის ნაწარმოებს, რომელითა სიუვეტური
ქარგა ამოტანილია ცხოვრების სიღრმეიდან და
მხატვრულად არის წარმოსახული და ფერ-
ხორცშესხმული.

კითხვობით ნაომატი მწერლის ვლადიმერ
თორდენს მიერ სამამულო ომის მძიმე ნაყა-
ღებზე შექმნილ ამ მართალ, გულთბილად დო-
კუმენტურ მოთხრობებსა თუ სხვა მის ნაწარმოებებს
და გულსშეშორავი მიღწევებზე გვეფ-
ლებათ: თქვენს ბსოენში ცოცხლებიან გმირებ-
ში თუ მოვლენებში, ომის საშინელი ნატყვიანი
ეპიზოდები.

ხოლო ნოველით „ბალადა ზეგლისა“ კლემი-
ნაციურ წერტილამდე ადის ბელადისადმი საბ-
ჭოთა ადამიანის უსაზღვრო სიყვარულის
ფსიქოლოგიური დასაბუთება. ეს ნოველი პირ-
ველად გახუთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა და მას-
ხვას, რაოდენ ღრმა ემოცია გამოიწვია მან
ველა ჩვენგანში.

სამწუხაროდ, თუ მწერლის საბედნიეროდ,
წნულია თორდენის ნოველების მტეტი წი-
ლის შინაარსის ვადმოცემა, ისევე, როგორც
წნულია მთლიანად, მანერს შინაარსის ვადმოცე-
მა, — იგი უნდა მოისმინო, ასევე მთლიან უნ-
და წაიკითხო, რადგან, ვფიქრობ, ელ. თორ-
დენს ნოველებში მარტო სტრუქტურები როდი
გაუყვებინა ამავე, ვიხატავენ სურათს, ვადმოცე-
მევენ განცდებს, არამედ, როგორც, სტრუ-
ქტურებს შორისაც პოეზიობს მკითხველი სუ-
ლიერ დაფხებს, ავტორის გულთან დამაკავშირებ-
ბელს.

„აღსარებაში“ უმთავრესად წარმოდგენილია
დიდი სამამულო ომის თემატიკა [ქვეყნული] ნა-
წარმოებები. მათი ლიტერატურული მნიშვნე-
სათვის ერთობ დამახასიათებელია სამავალით
მორალური თვისებები, სამშობლოს უსაზღვრო
სიყვარული, მეგობრობა, თავდადება. საქმარო-
ბად, ფრონტი ადამიანთა სულიერი საშუაროს
ნათელი სარკეა. იქ კარგად მოხანდა ავიღ და
კარგიც. ადამიანის ნამდვილი სახე — მთელი
თავისი ღირსებობა და ნაკლი. დიხაც, მწერ-
ლისათვის ბრძოლის ველი წარმოადგენდა სარ-
კეს, რომელშიც ღრმად ჩაიხდა და თვალწინ
ნათლად გადმოეშალა ადამიანის მთელი სულიერი
საშუარო, რომელიც სრული სიძარბოთა აღი-
ჭვა და აგვისაბა თავის საოცრად ლაქონერად
ჩამოქნილ ნოველებსა და მოთხრობებში.

ვინც სამამულო ომში ყოფილა და მონაწი-
ლეობა მიიღო მძიმე ბრძოლებში, განუცდია
წარუმატებლობის სიმწარე თუ წარმატების სი-
ხარული, იგი ადვილად შეიკნობს თავისათვის
მწერლის ნოველებსა და მოთხრობებში. მათში
წარმოდგენილ მოქმედ პირთა საქმიანობაში,
მათს ფიქრებში ავტორი თითქოს მათს საყუთარ
განცდილსა და მოქმედებსა გადმოსცემს,
მათს სულიერ მოძრაობებსა თუ ფიქრთა სამუ-
როს გვიხვედღეს... ბევრ შემთხვევაში ასე მერ-
ვენება შე ჰირადად, როგორც სამამულო ომის
მონაწილესა და მწერლის ნაწარმოებთა მკითხ-
ველს. მათში ხშირად მესახება საყუთარი თავის
თრეული — საყუთარი ფიქრითა და განცდით,
სურვილითა და მისწრაფებით.

მეც ამაში ხედავ სწორედ მწერლის შემოქ-
მელების ზემოქმედების ძალასა და გამარჯვებას!
— ჩასწვდომ მკითხველის სულიერ საშუაროს,
აღიჭამდე, დაანახო თავისთავი, ხატავე, ჰქმნი-
დე და გადმოსცემდე ისე რეალურად, ხელშე-
სახებად... ასე წარმომიდგება ყოველი ქვეშა-
რიტი მწერლის ღირსება, მისი შემოქმედები-
თი სიძლიერე.

ისეთი ფაქტორი ნოველისტიკისათვის, როგო-
რიც აერთიანებს უცვლადებს“ თუ „რტი-ცი-
კონის“, „ლტოლენის“ ან „არავისას“, „სტრა-
აის“ ან „ტრაველის“ ავტორია, თითქოსდა
მოულოდნელი იყო მოეცა ისეთი ვრცელი ნა-
წარმოები, როგორც „ნამეხარი მუხა“. მაგრამ
ამ ეპიკურ ფანტაზიულ ხედავს მკითხველი მწე-
რალს ისეთსავე ამაღლებულსა და პოეტურს,
მძაფრი და ღრამატული სიტუაციების მხატვარს,
ფსიქოლოგიური ექსპრესიის ოსტატს, როგო-
რიც იგი საუკეთესო ნოველებში გვაღიწნება.
თქმია ნოველისტს აქა-იქ თითქოს ვერ პოუფნის
პერი, ვერ გასწვდომ სენოქა. ის კი ნათელია,
რომ „ნამეხარი მუხა“ ქართულ პატრიოტულ
მოთხრობებს შორის ერთ-ერთ ღირსეულ ად-
გის იმედიდრებს.

გადაკარგებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ

კრებული „აღსარება“ ღირსეული საქუქარია ქართული მეთხველისათვის.

ფრონტელმა ამხანაგებმა კარგად იცოდა თუ რა არის ეგრეთწოდებული მეთოდური ცეცხლი. შესაძლოა არტალურია უშინდეს ცეცხლს, მაგრამ მიზანს ვერ ახიანებდეს. მაგრამ აი ჩასაფრებელმა სნაიპერმა კი ერთი გასროლით ის ვაყეთოს, რაც არტალურას მთელი დღის სროლით ვერ ვაყეთებია. მიწის ფუჭი ჩიჩქნის ვარდა. ელადიმერ თორღუა შეიძლება ამ სნაიპერს შევადაროთ თავისი უმცირესი ფორმის ეანროთ. მას, ვარდა „ნამუხარი მუხისა“, არა აქვს ვრცელი ნაწარმოებები, მაგრამ მოგაგონებთ, ვისაც ვეალვაში წვიმა უნდა, მას წვეთაც უნდა უყვარდეს. დე. დიდ ლიტერატურაში, — როგორც წვიმაში, — ელადიმერ თორღუა წვეთი იყოს, მაგრამ ის კი დაეინახე, რომ ეს წვეთი ქვაზე კი არ დაეცემლა, არამედ ხტელზე, და

ამ წვეთს გუდღეებია, აღმოტყენებია თესლი, რომლის ნაყოფსაც მკითხველს, მკითხველთათვის ნათქვამს ახლა ისიც მინდა ელადიმერს უნდა დღეს ელადიმერ თორღუას „აღსარებას“ მიმოვიხილო ანა როგორც ლიტერატურის მკვლევარი, არამედ, უპირველეს ყოვლისა, როგორც ამგადახდილი ქართველი კაცი „ნამუხარი მუხის“ გმირების მსგავსად „ნასეტყვარი“ და მით უმეტეს გულდაჯერებული — აქტიური რიგითი მკითხველი, რომლის გვლის უხილავი სიშვები ბევრჯერ შეურხევი ამ მწერალს. მე მჯერა, რომ იგი მომავალში თავის ცხოვრებისეული შემოქმედებით, არა ერთხელ კიდევ გაახარებს თავის მოყვარულ მაღლიერ მკითხველს.

ზალვა ბოზალთვილი

„დილის ბიბლიოთეკის“ ფურცლებზე

ამ ბოლო ხანებში ქართული საბავშვო ლიტერატურის ღირსშესანიშნავ მოკლენათა რიგში კიდევ ერთი საახლე გამოჩნდა. ესაა „დილის ბიბლიოთეკა“, რომელიც 1970 წლიდან ორ თვეში ერთხელ გამოდის და უკვე რამდენიმე წიგნი მოაწოდა ნორს მკითხველს. მოგვან 1970-71 წლებში გამოცემულ პირველ რვა წიგნს შევხებით. წინამწარვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ სერიით მხოლოდ დღემდე დაუბეჭდავი მხატვრული სიტუების ნიმუშები გამოდის, რასაც, უდავოდ, თავისი დადებითი მნიშვნელობა აქვს. ამ ვხით მიღირდება ჩვენს საბავშვო ლიტერატურა ახალი ნაწარმოებებით. შემთხვევითი არც ის იყო, რომ ხშირად გაისმოდა უყმაყოფილო ხმები ორიგინალური, თანამედროვე ზღაპრის ნაყლებობაზე. ეს ბიბლიოთეკა ამ ხარვეზსაც ავსებს, რადგან ამ რუბრიკით გამოსული წიგნები ან უშუალოდ ზღაპრებია, ან ზოგ მათგანში იმდენად დიდია ზღაპრული ელემენტის კუთრი წონა, რომ ზღაპრის უახლოვდება. ბავშვებს იზიდავს ფანტასტიკა, რაც ყველაზე მეტად სწორედ ზღაპრისათვისაა დამახასიათებელი. გმირის მიერ ზღაპრში მოქმედი შექმნილების დაძვრვა-გადალახვა პატარებში აღძრავს ვეაყურა სულისკვეთებას, გმირისადმი სიმპათიას, მისდამი მიზაქვის სერვილს, გმირულ შემართებას.

„დილის ბიბლიოთეკა“ პირველ წიგნად გამოქვეყნდა „დილის ვრცელი ლექსი“ შავი ტაფა და შავი კატა“ გამოსცა. ბავშვებს რომ უცნაურობანი უყვართ, ამის

მოწმე ვინ არაა. პოეტის მით უცნაურ ამბავს სთავაზობს. ერთ დროს ტაფაც კატასავით სულერი ყოფილა, მაგრამ თავისი უღრბისი მოქმედებით ქველუა იმად, რაც დღესაა. ძვირად დაუქდა შავ ტაფასაც და შავ კატასაც ქურდობა. ისინი სთანადლო დაისაყენენ კვერცხის მოპარვისათვის. აქ მინიშნებულია იმაზე, რომ ქურდობა მიუტყვებელია, ცულუტის საყადრისად იხვევა, ტრახხი არ არის კარგი და არც საქმეში შეუთანხმებლობა სარგებლობის მოპტანი. ზღაპრის გამობარია გ. ჰუიწინაძისათვის დამახასიათებელი მსუბუქი იუმორით და ლექსიც ხალისიანად აკითხება. სამწუხაროდ, ამ კარგ ნაწარმოებს ჩრდილს აფენებს რამდენიმე ენობრივი შეუსაბამობა. მაგალითად, ტაფა კატას ეუბნება „რა გადარდებს, რას სწუხარ?“ (გვ. 3). რასაკვირველია, უკანასკნელ სიტყვაში ფუქსიეული ხ არის. მაგრამ არ ჩანს სუბიექტური მე-2 პირის ნიშანი. „რა სპირობა სიტყვის დასაწყისში ხ პირის ნიშანი? რომელი პირის ნიშანი იგი? სინამდვილეში უნდა იყოს — წუხხარა“. „ვფიცავარ“ (გვ. 7). დიალექტური ფორმა, „ეღღღღღ“ (გვ. 8) დეფისით უნდა იყოს გაყოფილი. საერთოდ, პოეზიაში პოეტური ლიცენციისათვის გვერდის აელა ჰირს, მაგრამ განსაკუთრებით უნდა ვერიდოთ მას სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვთათვის განკუთვნილ ლიტერატურაში, რადგან ამ დროს განსაკუთრებით ამახსოვრებს ბავშვი აღქმულ-

ნოღარ შემანათის მხიარული ერეკლე ლექსი-ზღაპარი „ალაყტა, მალაყტა“ იუმორისტულ ფორმებში ვადმოგვემს ორი ყაბადღებულ ზარმაცის ამბავს. ისინი სიზარმაცემ იმდენად გააზნტა ყველაფერი ეზარებოდათ. ბოლოს სუნთქეა კი მოპბებრდათ, მხოლოდ მაშინ მოეგნენ გონს, როცა სამარეში ჩასვენეს. ბოლოს ზედაეთ გაუოჩალებულ ძმაკაცებს. ზენებრივია, ახლა უკვე ქებას იმსახურებენ. ამ პოეტს კარვად აქვს ეპნარებული სიზარმაცის მანკერება, ის, რომ უქნარა არაუეს უყვარს. მცონარობა დასავმობია და, პირიქით, — რადღი პატვისსკეშით ეპყრობა შრომისმოყვარე, გამრჯე პიროვნებას ხალხი.

ზღაპარი გამოირჩევა სისადავით, შესანიშნავად შეჩვენულ-შისადაგებელი რითმებითა და საბავშვო ლექსისთვის მეტად საჭირო რიტმულობითაც. თვით სათაური ხალხური საუნჯისათვის ნიშანდობლივი ზერხითაა გამართული, რასაც ზმირად მიმართავს თავის შემოქმედებამი ავტორი და სასურველ შედეგად ალწევს. ნამდვილად არაა შემთხვევითი ისიც, რომ ნ. შამანაძის წიგნი მალაზიის თაროებზე დიდხანს ვერ ძლებს. ასე მოუვიდა ზემოხსენებულ პაწია წიგნსაც. იგი გამოსელისთანავე ვაქრა.

დაბეჭდვებით შეიძლება ითქვას, რომ „ალაყტა, მალაყტა“ ჩვენი საბავშვო პოეზიის ძვირფასი შენაძენია. სულ ახლახან გამოსულ წიგნის სახელწოდება უკვე ზარმაცის, მცონარას, უქნარას სინონიმად იქცა.

შეცდომებისაგან არც ეს წიგნია დაზღვეული. მაგალითად, წიგნში სამკერ გვხვდება მცდარი დორბა „თესდნენ“ (გვ. 3-4-5), ერთგან ზმნას ავლია პირის ნიშანი — „შეფერის“ (უნდა იყოს შევტყარის).

შესანიშნავია რ. ცუციქორიძის ილუსტრაციები. ზედაე სურათებს და გრძობ, რომ ამნაირად მხოლოდ ზარმაცები შეიძლება ისტენენ, ასე მხილოდ უსაქმურები დადიან, ამგვარად მართლა უქნარები შეიძლება წამოგორდნენ. ყოველგვარი მოლოდინს აკარბებს ალაყტანა და მალაყტანს თავთ დამღვარი, დამგლოუარებული ხალხის ილუსტრაცია. რადღი იუმორითაა გაცოცხლებული ზარმაცების სიცოცხლის ნიშანწყლის დასაღვენად დაჩოქილი უღვაში ექიმი. ზედაე სურათს და გრძობ, რომ მისთვის სპეციალურად შეექმნიათ ერთერთისათვის თავიღებულ მეგობარებს შორის „ღრქოი“. მეტად შთაბეჭდვითაა გმირების ამბის შესატყობად მიმავალი პროცესია. რომელსაც ძალდიე ასდევნებია. ამბავი სოფელში ხდება და მხატვარსაც შესანიშნავად აუტყდრება თავისი ფუნჯით სოფლის ფონი, მისი კოლორიტი, „მიცვალეზულთა“ სურათში პირველ რიგში თვით მოქმედი პირები იპყრობენ ბურადღებას. რა მობეჭებულად გამოუყურებია მხატვარს მსუბუქი იუმორი. შეუძლებელია

სურათს დახედო და გულიანად არ გავცინოს. სუნთქვაშეკრულ ზარმაცებს ხელთ უპყრობათ ზუსტად ერთნაირი თითო ყაბადღე. ეგრეთვე მსუბუქი იუმორითაა გამოზარი სამარეში წამოლილი ზარმაცების გამოფხიზლება. ზედაე და გგონია, სადაა მართლა ამოძრავებდიან და წამოსხდებიან შემტბარი, დამარხვის შიშით შეტრწუნებული უქნარებში. ახლა საფლავის ირველიე მყოფთა გაოცებული სახეები!

ათვალეირებთ რ. ცუციქორიძის შესანიშნავი ილუსტრაციებს და გგონიათ, რომ მის მიერ ქაღალდზე გამოსახული ცალკეული ტიპი თუ შეკრებილობა სადღაც შენც გინახავს, შეგხვედრია. სწორედ ამამიცაა ილუსტრაციების დიდი ღირსება.

გადუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სარეცენზო წიგნის საბით ყოველმხრივ შემკული ძვირფასი საჩუქარი მიიღეს ნორჩმა მკითხველებმა.

გივი ძნელაძის „მზის სტუმარი“ ვადმოგვემს ვაკონურებული ზამთრის სურათს. სოფელში ყველა შეუწუხებია იმას, რომ უკვე გაზაფხული დადგა, მზე კი არასდ ჩანს. პაპის ზეშრობა პატარა თანდლას სიხმრად ჩაყვა და სიხმარიც საოყარი ნახა. ეთომ თავისი რაკეტით ეწეია მზეს, უამბო გაუთავებული ზამთრის შესახებ. ავტორს აქვს შესაძლებლობის რწმენა:

თადო, — ვინ იცის — ვეება
 მართლა მიველის სიერე, —
 შენი ლამაზი სიხმარი
 ეგების ცხადად იქცეს!

ტყუილად როდი საუვედღრობენ, რომ ჩვენში ბავშვებისათვის ძალიან ცოტა იწერება კოსმოსის ათვისებაზე და, საერთოდ, კოსმოსზე. ამ მხრივ ეს ნაწარმოები ძვირფასია. იგი კოსმოსისადმი აღძრავს ინტერესს. ლექსი მდიდარია მხატვრული სახეებით, გამოირჩევა ნაკილი რითმებით. ერთი სიტყვით, ამ წიგნის სახითაც კარგი საჩუქარი მიიღეს ნორჩებმა. დასანიდა, რომ აქვე სამეოო რაოდენობად ვეხვდება ენობრივი შეცდომები, ესენია:

ა. პირის ნიშნის ხმარება იქ. სადაც საჭირო არაა (მუნახს — გვ. 4, ჰქრის — 5, ასქრა — 10, მიმოჰყარა — 12, გადაჰხელა — იქვე, გადაჰხელა — 13, ამოჰყო. — 14, ჰგზავნიდა — იქვე).

ბ. ზმნა დათესავს ერთგან მცდარადაა წარმოდგენილი (დასთესო — 7), მეორეგან — მართებულად. (დათესავს — 12).

მხატვარ გ. ველოვანის ნახელავში იგრძნობა ზამთრის სუსხიე და გაზაფხულის სივგებავე.

სოლომონ დემურხანაშვილის „წერილა“ შესანიშნავი ზღაპარია. მასში კარ-



გადაა გადმოცემული მედიების ცხოვრების ნორმები და ამ ცხოველს ვამბობთ. აქვე მინიშნებულია მოხუცთა წარსულით სიახვესა და მოგონებებით თავის შეტყუებაზე, რაც, მართლაც, შევეუბნებოდა, ცხოვრებისეული მოვლენა. აქაც გვხვდება თითო-ორლა ენობრივი ლაფსუსი პირის ნიშანი ზედმეტია: ხედა (გვ. 4), ასტეხს (გვ. 5), ვასპრა (გვ. 10), უწყვეტ-ლისებელი და ავლია მე-14 გვერდზე წარმოდგენილ ზმნის იწმენდნენ (უნდა იყოს იწმენდნენ). თერმეობითის წარმოების აშკარა დიალექტური ფორმაა ჩაუცვია (7, უნდა იყოს ჩაუცვამს).

ქ. ლოლუას მხატვრობა გამოირჩევა ზღაპრისთვის სპირით პასაჟებითა და ტიპიურობით.

ღ. გოგიაშვილმა ბევრი კარგი ზღაპარი უძღვნა ნორჩებს. მათ შორის საბატო ადგილს იღებენ „მეკვლე თეკლა“, რომელიც პოეტისათვის დამახასიათებელი იუმორითაა გამთბარი, დაწერილია დახვეწილი, გასაგებია წართლული, მზარული ლექსით.

ზღაპარი კიდევს ჯიბეებს, თავის საკეთარ ძალაზე დიდი წარმოდგენის შქონე პირივნებას, რომელიც ხშირად თავს იღებს შეუძლებელსა კი. ამას, ცხადია, საბოლოოდ ვარდული კრახიც მოჰყვება. ასე მოუვიდა თავნება თავუნას თეკლესაც, რომელმაც ფისოსთვის შეკვლეობა იღო თავს. დედის ნების წინააღმდეგ წასვლას შედეგად სათანადო მოყვია, რასაც ატორი ლეკონიურად გადმოგვცემს ოთხ სტრიქონში.

სათავეში გლოვია,
წასულს ახლაც ელიან,
ფისოსთან კი ლხინია
და ახალი წელია!

ამ ზღაპარშიც გვხვდება რამდენიმე ენობრივი შეუსაბამობა: ზმნის პირის ნიშანი წარმოდგენილია იქ, სადაც სპირით არაა (ჩახედებს — 5, დახტოვა — 7), ან პირიქით — არაა იქ, სადაც უნდა იყოს (ძინავს — 9) უნდა იყოს იშოვის, გვაქვს კი იშოვნი (12).

შ. ცხადაძემ დიდი ხანია მოხვევა საბელი როგორც საბავშვო წიგნების შესანიშნავად გამფორმებელმა. მისი მხატვრობა ყოველთვის ზუსტად მისდევს ტექსტს. მხატვრის სისახლოდ უნდა ითქვას, რომ ასეა აქაც.

როდის უნდა იწყებოდეს პატრიოტული აღზრდა? მანვე ორი აზრი არ არსებობს — პატრიოტულ აღზრდას ჯერ კიდევ სკოლამდელ ასაკში უნდა ჩაეყაროს საფუძველი, რაშიც დიდ როლს ასრულებს მხატვრული სიტყვა. ამ მხრივ გამოირჩევა დავით ჭავჭავაძის შვილის „ყინულის ბიჭუნა“, რომლის ლექსობრივია — ტკვეობაში ხანგრძლივ ყოფნას სჭობს რამ-

დენიმე წუთი თავისუფალი ცხოვრება. აქვე ყოველგვარი სენტიმენტის გარეშე უფლებებისა და მინიშნებული წიგნების უფლებების ცხოვრებაში. მკითხველის ეს შეტად დიდი პე-მინიშნით გამსჭვალავი პაწაწის ზღაპრია. ენა მიმოხვევლია. მოკლე, სპარტი, მარტივი წინადადებები, გადმოსაცემი დიდი აზრის ბავშვებამდე დასაყვანად აუცოდებელი სისადავე, ჭავჭავაძის ქართული, ზღაპარში გადმოცემული უცნაური ამბავი იზიდავს და იტაცებს მკითხველს. მართალია, ყინულის ბიჭუნა ასულ ცოტა ხანს იყო თავისუფალი, რაც მკითხველს ველს დასწყევტს. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ მას ტყვეობაში არ ამოხდენია სული. დ. ჭავჭავაძის სხვა ზღაპრებთან ერთად, ამ წიგნითაც ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ შეუძლია ისეთი ნაწარმოებების შექმნა, რომლებიც გაამდიდრებენ ზაქვებისათვის განკუთვნილი მხატვრული სიტყვის „კარხის ფონდს“.

ენობრივი თვალსაზრისით ერთგან ზმნის ავლია პირის ნიშანი (ძინავს გვ. 9), გვაქვს ერთი კორექტორული შეცდომა (მოატნილი — გვ. 9 — მოტანილი) და ორიოდ შექმნილია ორი ხასიათის ლექსული.

უფროდებია იყრობს ზ. მეტეხარიაშვილის შესანიშნავი ილუსტრაციები. მხატვარს გულმოდგინედ უმუშავია, რათა ნორჩი მკითხველისათვის კიდევ უფრო ნათელი გაეხადო მწერლის აზრი.

ამ მოკლე მიმოხილვიდანაც ნათლად ჩანს, რომ „დილის ბიბლიოთეკა“ შეტად სასარგებლო საქმეს აკეთებს. როგორც წესი, პოეტური ნიმუშს ენაცვლება პროზაული ნაწარმოები მოხერხებული შმობლისა და ბაღის აღმზრდელის ხელში ყველა ისინი სკოლამდელთათვისაც გამოდგება, როგორც წასაკითხი ან გამარტივებული სახით მსათორბი პეჩარფის მასალა. სასიამოვნოა, რომ ამ სერიით გამოსული თითოეული წიგნის ტარაჟი 50 000 ვეჯშპლარია, რაც სულ ცოტა ხნის წინათ საოცნებო იყო მისასაღმებელი ისიც, რომ ვერც ერთ წიგნზე ვერ ეტყვიან, რომ სუსტია, ან არ პასუხობს რეზერვისს, რაც, თავის მხრივ, ამ ახალი წამოწყების დიდ სარგებლანობაზე მეტყველებს. როგორც ჩანს, მასალა საველდაველოდ ირჩევა და რედაქციის მუშაობით შეშაობის შედეგია ისიც, რომ რეა სარეცენზიო წიგნში მხოლოდ ორადორი კორექტურა აღმოჩნდა. რასაკვირველია, ენობრივი შეუსაბამობანიც როდია მოკარბებული, მაგრამ, გასაგებია მიზეზის გამო, სასურველია მომავალში გამოსაცემი წიგნების ყოველგვარი ლექსისაგან დასრულება. პირთუნელობა და ობიექტრობა მოიხიბვის ითქვას ერთიც — ამჟამა ტექნიკური ხასიათის ნაკლია, რომ ზოგ წიგნს, არ ახლავს პავინცია („აღაქებთა, მალაქებთა“, „მზის სტემარია“, „მეკვლე თეკლა“, და „ყინულის ბიჭუნა“).

ბით იყვებება და იქ იღებს სათავეს. შორს რომ არ წავიღებ, საიათნოვას თუნდაც ეს პოეტური ფრაზა: „ანათბე, ქვეყნის მთვარე და მზე ხარ. ნეტავი არ დაღამდე, რა კარგი დღე ხარ!“— აღმოსავლურ პოეზიაში ვაკვეთილი ხატოვანი თქმის ერთგვარ მოდიფიცირებას წარმოადგენს. ასეთი მაგალითები მრავლისაგან მრავალია პოეტის შემოქმედებაში. გ. შაყულაშვილის მიზანიც პოეტის შემოქმედების ანალიზის დროს სწორედ ის არის, რომ აჩვენოს საღ არის საიათნოვა ორიგინალური და საღ არა. უნდა ითქვას, რომ ავტორი ამას დამაჯერებლად ახერხებს.

მართალია, მკვლევარის მიერ არჩეული გზა უღრესად რთულია. სირთულეს იწვევს ის გარემოება, რომ ამშღვრის პოეზიის რაობა გერყვობით სათანადოდ შესწავლილი არ არის სამეცნიერო ლიტერატურაში. ამიტომ გ. შაყულაშვილს უხდება საყუთრივ გაიკვლიოს გზა. მაგრამ ის მართებულად არის დაწინაურებული, რომ სათავესთან მიუხედილად სასურველ შედეგს ვერ მიადრეებს. წიგნის ავტორი ახერხებს მოგვეყვას ამშღვრის პოეზიის გენეზისის საერთო სურათი. თუქმე, საკითხი გერყვით მოითხოვს დაზუსტებას და დამუშავებას, მაგრამ ის, რაც გ. შაყულაშვილმა ამ სფეროში გააკეთა, უდავოდ საყურადღებოა და ვერცერთი მკვლევარი, რომელიც ამ საკითხით არის დაინტერესებული, მას გვერდს ვერ აუღვლის. ამასთან ერთად, მკვლევარი როდი ვაჩივრებს აღმოსავლურ ტრადიციების ცოდნამ. მას არასოდეს არ რჩება მხედველობაჲს ის ყოფითი თუ რელიგიური ელემენტები, რომლებიც საიათნოვას აზროვნებაში ქართულმა და სომხურმა სინამდვილემ განაპირობა. საიათნოვას შემოქმედება ერთგვარი სინთეზია ქრისტიანული და მუსლიმანური ყოფითობისა და ამას არასოდეს არ ივიწყებს წიგნის ავტორი. გარდა ამისა, არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად ვადაპირაბებულად იყო შეფასებული საიათნოვას პოეტური შემეყიდრების გვიგულენტური ღირებულება. ზოგიერთი მკვლევარი მას დაწვტის და შექსპირის გვერდით აყვებდა. ზოგივე პოეტის გვიხატება ხალხთა შორის მეგობრობის ხელის ვამდეგ და ამ გრანობის დაუღალავ მომღერლად. სხვები კიდევ პოეტს სოციალური ჩავეხის წინააღმდეგ მუშტმორეებულ შეამზხედ წარმოგვიდგენდნენ. მოსაწონია ის ფაქტი, რომ გ. შაყულაშვილს არასოდეს არ ღალატობს ზომიერების გრანობა. იგი ობიექტურად აშუქებს პოეტის შემეყიდრების და საყიდრის ადგილს უსადაგებს მას ისე, რომ არც აზაფერს აკლებს და არც არას უმატებს.

რღა მეგრი ვთქვა, დღემდე არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ თვალსაზრისით უფრო უფოთხად შესრულებული გამოკვლევა ჩვენ არ გვეხდება. თუ ზოგიერთ უზუსტობას თუ შექანიურად გაპარულ შეუდომებს (მაგ. ლექსის სახეობის (ფორმის) ნაცვლად, ხმარობს ლექსის

ზომებს გვ. 174) არ მივიღებთ მხედველობაში, ამ წიგნის მეცნიერულ-თეორიულად დიდ სავსებით აკმაყოფილებს დღევანდელ მხედველებს.

აქვე დაემთნ, რომ სასურველია მკვლევარში წარმოდგენილი მსგელობის ზოგიერთი ადგილის შეყვევა და რაფინირება. ჩვენი აზრით, ზედმეტია სიტყვა ოზანისა და ფირის შინაარსის ვარკვევისას მოხშობა და დამოწმება მრავალრიცხოვანი ლექსიკონებისა. წიგნის ავტორი სამართლიანად ეყამთება ს. ჰასრათიანს, რომელსაც სიტყვა ფირი მუზად უთარგმნია. ცხადია, ფირის შინაარსი არ ესადაგება მუზას, რომელსაც აღმოსავლურ ლიტერატურაში საყუთარი სახელი აქვს. მაგრამ ამის დასამტკიცებლად, ვდებობო, სახსვებით ზედმეტია თექსმეტო ლექსიკონიდან ამ სიტყვის განმარტების ვაღმოყვრა, მითუმეტეს, რომ ვწვლა დაინტერესებულ პირს ხელ მიუწვდება მათზე.

დაზუსტებას მოითხოვს ავტორის შემდგომი მოსაზრება: „მან საიათნოვას პოეზიისაგან აიღო ქართული ტრადიციული ლიტერატურისათვის მიუღებელი ნაწილი, რატომღაც მის დადებითს ზურგი აქცია. თქმევა იქ მართ საიათნოვა არ თამაშობს ვადაწვევტ როლს. წუთიერი საიათნების შედონისტური მოტაგების ჩამოყალიბებაში დიდი ვაველმა უნდა ჰქონდეს ე. წ. რინდულ პოეზიასაც, რომელიც დღემდე დაუწოშავებელია ქართულ ლიტერატურასთან მიმართებაში“ (ხალხისა ჩემი — ე. წ.). ვამოდის, თითქმის რინდული პოეზია შედონისტურ მოტივებს ქადაგებს. რინდული მსოფლმხედველობის ქვაყუთხედს ქმნის სწორედ მარადიულობის პირობებმა და რინდულ პოეზიაში ასახული სიმბოლიტრ-მისტაყური თრობა სახსვებით ვამორიკხავს შედონისის ელემენტებს. აღმათ, ავტორის უნდობა ეთქვა, რომ ქართულმა სინამდვილემ რინდული პოეზიის ფორმა აიღო, მას ქვეტექსტურა ვაგება მოუხსნა და მისი მისტაყური ღრეობა — შედონისტურ სიბრტვეზე მოაზრა. ასეთ შემთხვევაში ყველაფერი ნათელი იქნება. ეს მიერელი შენიშვნები ჩრდილს ვერ ღვენ ამ წიგნის მალა მეცნიერულ-თეორიულ დონეს. ლიტერატურული ანალიზის დროს მკვლევარი იჩენს კარგ მეცნიერულ ადლოს და ამქდავენებს დახვეწილ გამოკვებას.

გარდა ამისა, როგორც უვეე აღვნიშნეთ, წიგნში მოცემულია თემიზრანისეულ დავთარში ქართული ტრანსკრიპციითი ჩაწერილი აზერბაიჯანული ლექსების ტექსტოლოგიური დამუშავება. ეს სამუშაო უღრესად რთულია. სირთულეს იწვევს მთელი რიგი ვარგზობანი, რომელთაც ავტორი ჩამოთვლის (გვ. 64) და დასძენს, რომ „მარ არის ვამორიკხული, რომ ვრთი და იგივე წინადადება, ან სიტყვა სხვადასხვანაირად იქნეს ამოკითხული, ვანებული. ვანსაგებად იყოს ჩვენს მიერ ვაშიფრულსა და სხვა მკვლევართა დადგინოლ ტექსტში. იყოს საექვეცო და ბუნდოვანი ადგი-

ლები². სწორედ ეს გარემოება გვაბედინებს ზოგიერთი შენიშვნა თუ ჩვენი გავება წარმოვადგინოთ ამ საკითხთან დაკავშირებით. საერთოდ, აღნიშნულ წიგნს არ ახლავს ბელნიწერის ფორტოკოპიო, რაც ერთობ სასურველი იყო. ამიტომ ჩვენი შენიშვნები თუ გასწორებანი ეხება უკვე აღდგენილ ტექსტს და მის ავტორისეულ თარგმანს. ქვემოთ წარმოვადგენთ ვერ ავტორისეულ თარგმანს და შემოვლომ კონტექსტის ჩვენ გავებას:

1. თარგმნილია:

მეცხრე ცასაც რომ მიადწიო, ფიროსტატის ვალში მაინც დაჩნები ფრანგისტანის საქმეა, საჭირთა უოველი ბელობისათვის, ძვირფასია მის გასაჯალი

უნდა იყოს:

მეცხრე ცასაც რომ მიადწიო — ფირ-ოსტატს ნუ გაუტოლდები... ახალ ქვეყანაშიც შედეგს გამოიღებს, ფრანგისტანიც გაოგებს. საჭირთა უოველი ბელობისათვის, ძვირფასია ეს რუდუნება.

2. თარგმნილია:

აშვებულ ცხენებს დაწვეა უნდა დაეწვეო

უნდა იყოს:

აშვებულ ცხენებს გაქენება უნდა, გააქენებ

3. თარგმნილია:

როგორი ბუღბული ხარ ფრენა შენა აღარ ხანს

უნდა იყოს:

როგორი ბუღბული ხარ ხმა შენი არ ისმას

4. თარგმნილია:

არ დაიჭრებ, ლამაზო, სისხლი მწვეთს თვალთაგან

უნდა იყოს:



დაიჭრე, ლამაზო, სისხლი მწვეთს თვალთაგან

5. თარგმნილია: **ერკენული**
 ხე თუ ნაყოფიერია, მუწეს ლეკუქურს კადანებს სულმდაბალი კაცი ნურასოდეს ნახავს სამოთხეს

უნდა იყოს:

ხე თუ ნაყოფიერია, მის ძარს ფუფრებენ (უვლიანი) არ ღამდაბლდება არ იხეტიალებს სულღარი კაცი.

6. თარგმნილია:

მან დამაუძღურა ეს ლამაზი კი თამაშობს ტოტზე ჩამოკიდებული ეს ლამაზი ბროწეულია ეს შუშის ფანჯანია ეს ლამაზი თამაშობს ეს კადრაკია, ეს ნარდი, ეს კამათელია.

უნდა იყოს:

მან — ამ ლამაზმა, ჩემ სულში იმ ცეცხლი ჩამივლო

ტოტზე ჩამოკიდებული ეს ბროწეულია — ეს ლამაზი

ეს შუშის ფანჯანი სწადია იმ ლამაზს

ეს კადრაკია, ეს ნარდი — ეს კი კამათელი.

ჩვენ აღარ შეეჩერლებით სხვა სადავო და საკამათო ადგილებზე. შესაძლებელია, ჩვენს მიერ წარმოდგენილი თარგმანის ზოგიერთი ადგილიც მოითხოვს დაზუსტებას, მაგრამ შემოთმოტანილი შენიშვნები, ვფიქრობთ, გარკვეულ დასმარებას გაუწევს შემდგომ მუშაობაში გ. შავულაშვილს, რომელმაც ქართულ ლიტერატურათმცოდნეობას უდავოდ საინტერესო გამოკვლევა შესწირა.

ელოიზაბარ ჯაბაშვილი



0560 80 333.

077

ИНДЕКС
76128

„МНАТБИ“

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ